



# ჰარი პოტერი

და

დაწყველილი ბავშვი



პირველი და მეორე ნაწილები

ინგლისურიდან თარგმნა

ქეთევან ყანჩაშვილმა



გაქარ სულაქაიის  
გამომცემლობა

ჯ. კ. როულინგი  
ჰარი პოტერი და დანჯევილი ბავშვი  
პიესა

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა  
თბილისი  
2017

მთარგმნელი ქეთევან ყანჩაშვილი  
რედაქტორი ნინო გოგალაძე  
დიზაინერი ია მახათაძე  
ტექნიკური დიზაინერი ლადო ლომსაძე

პირველი გამოცემა © ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2017  
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“  
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112  
ტელეფონი: 291 09 54, 291 11 65  
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-23-837-6

Original Title

HARRY POTTER AND THE CURSED CHILD, PARTS ONE AND TWO –  
(SPECIAL REHEARSAL EDITION SCRIPT)

**J.K. Rowling, Jack Thorne and John Tiffany**

First published in print in Great Britain in 2016 by Little, Brown

Text © Harry Potter Theatrical Productions Limited 2016

Harry Potter Publishing and Theatrical rights © J.K. Rowling

Artwork and logo are trademarks of and © Harry Potter Theatrical Productions Limited

Harry Potter characters, names and related indicia are trademarks of and © Warner Bros. Entertainment Inc.

J.K. Rowling's Wizarding World is a trademark of J.K. Rowling

and Warner Bros. Entertainment Inc.

All characters and events in this publication, other than those clearly in public domain,  
are fictitious and any resemblance to real persons, living or dead, is purely coincidental.

No part of this publication may be reproduced, stored in a retrieval system, or transmitted, in any form,  
or by any means, without the prior permission in writing of the publisher, nor be otherwise circulated in any  
form of binding or cover other than that in which it is published and without a similar  
condition including this condition being imposed on the subsequent purchaser.

All rights reserved.

Translated by **Ketevan Kanchashvili**

Georgian edition published by Sulakauri Publishing, 2017

[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)

# სარჩევნი

## პირველი ნაწილი

მოქმედება 1

13

მოქმედება 2

85

## მეორე ნაწილი

მოქმედება 3

149

მოქმედება 4

221

მსახიობთა ჩამონათვალი 275

შემოქმედებითი და სამუშაო ჯგუფი 279

ორიგინალური ისტორიის ავტორთა ბიოგრაფიები 283

მადლობა 286

## ფ. კ. როულინგი

ედღენება ჯეკ თორნს,  
რომელიც ჩემს სამყაროში შემოვიდა  
და მშვენიერი ამბები დაატრიალა.

---

## ჯონ ტიფანი

ჯოს, ლუის, მაქსს და მერლის...  
ყველა ჯადოქარს...


---

## ჯეკ თორნი

ელიოტ თორნს, დაბადებულს 2016 წლის 7 აპრილს.  
როცა ჩვენ რეპეტიციებს გავდიოდით, ის ტყლოპინებდა.



პირველი  
ნაწილი





## მოქმედება 1 სცენა პირველი

### კინგს ქროსი

ხალხმრავალი და ხმაურიანი სადგური. ყველას სადღაც მიეჩქარება. ამ ფუსფუსსა და ალიაქოთში ორი ბიჭი ისე მიახრიგინებს დატვირთულ ურიკებს, რომ მათზე შემოდგმულ დიდ გალიებს ზრიალი გაუდით. ბიჭები ჯეიმს და ალბუს პოტერები არიან. მათ უკან დედა – ჯინი მოჰყვებათ. ოცდაჩვიდმეტი წლის მამაკაცს – ჰარის მხრებზე თავისი გოგონა ლილი შემოუსვამს.

**ალბუსი:** მამა, ისევ იმას მეუბნება!

**ჰარი:** ჯეიმს, გეყოფა!

**ჯინი:** მე მარტო ის ვუთხარი, შეიძლება, სლიზერინში მოხვდე-მეთქი... ხომ შეიძლება მართლა მოხვდეს... (მამის მკაცრ მზერას თვალს არიდებს). კარგი, ჰო...

**ალბუსი (დედას ასცქერის):** ხომ მომწერთ?

**ჯინი:** ყოველდღე მოგწერთ, თუ გინდა.

**ალბუსი:** არა. ყოველდღე არა. ჯეიმსი ამბობს, მშობლებისგან დაახლოებით თვეში ერთხელ იღებენ წერილებსო. არ მინდა...

**ჰარი:** შარშან შენს ძმას კვირაში სამჯერ ვწერდით.

**ალბუსი:** რაო? ჯეიმს!

**ალბუსი საყვედურით უყურებს ჯეიმსს.**

**ჯინი:** ყველაფერს კი ნუ დაიჯერებ, რასაც ჯეიმსი ჰოგვორტსზე გიყვება. ხომ იცი, რა ხუმარაა.

**ჯინი (ეშმაკური ლიმილით):** ახლა შეიძლება წავიდეთ?

ალბუსი ჯერ მამას უყურებს, მერე დედას.

**ჯინი:** პირდაპირ მეცხრე და მეთე პლატფორმების გამყოფ ბარიერში უნდა გაიარო.

**ლილი:** ვაიმე, როგორ ვლელავ!

**ჰარი:** რაც მთავარია, არ შეჩერდე და არ შეშინდე, დავეჯახებიო. თუ ნერვიულობ, მაშინ ჯობს სირბილით იარო.

**ალბუსი:** მზად ვარ.

ჰარი და ლილი ალბუსის ურიკას ხელს ავლებენ, ჯინი ჯეიმსის ურიკას ეჭიდება და ოჯახი ერთად გარბის ბარიერში.





## მოქმედაბა 1 სცენა მეორე

### პლატფორმა ცხრა და სამი მეოთხედი

რომელიც კომპორტისის ექსპრესის გამონაბოლქვ თეთრ, სქელ კვამლშია გახვეული.

და აქაც ბევრი ხალხი ირევა, ოღონდ იქაურობა საქმიან კოსტიუმებში გამონკეპილი, თავთავიანთ საქმეზე მიმავალი ადამიანების ნაცვლად, შვილების გასაცილებლად მოსული მანტიამოსხმული ჯადოქრებითაა სავსე.

ალბუსი: მოვედით.

ლილი: ვააა!

ალბუსი: პლატფორმა ცხრა და სამი მეოთხედი.

ლილი: სად არიან? აქ არიან? იქნებ არ მოსულან?

ჰარი დაანახვებს რონს, ჰერმიონსა და მათ გოგონას, როუზის. ლილი თავპირისმტვრევით გარბის მათკენ.

ძია რონ. ძია რონ!!!

რონი მათკენ ზუსტად მაშინ ბრუნდება, როცა მას ლილი მიეჭრება, და გოგონას ხელში იყვანს.

რონი: ამას ვის ვხედავ! ყველაზე საყვარელ პოტერს!

ლილი: ახალი ფოკუსი მაჩვენე, რა!

რონი: კარგი. აბა, უისლების ჯადოსნური ოინების გარანტირებული ცხვირის წამძრობი სუნთქვა თუ იცი?

როუზი: დედა! მამა ისევ იმ უნიჭო ფოკუსს ატარებს!

**პერმიონი:** შენთვის უნიჭოა, მას რომ ჰკითხო, საუცხოო, მე კი ვიტყვოდი, სადღაც შუაშია.

**რონი:** მოიცა. ჯერ ეს... ჰაერი უნდა გავლექო. ახლა ისლა დარჩა... უკაცრავად, ნივრის სუნი ხომ არ გცემთ?

*ლილის სახეში უბერავს და გოგონა ხითხითებს.*

**ლილი:** ფაფის სუნი აგდის.

**რონი:** მაშ ასე, ხომ? ახლა ველარაფრის სუნს ველარ გაიგებ, ქალბატონო...

*ხელს ცხვირზე გადაუსვამს და ჰაერში ისე გაიქნევს, ვითომ შორს აგდებს.*

**ლილი:** სადაა ჩემი ცხვირი?

**რონი:** ტადაააააა!

*ხელი ცარიელი აქვს. მართლაც უნიჭო ფოკუსია. ისეთი უგერგილო, რომ ყველას ეცინება.*

**ლილი:** რა სასაცილო ხარ!

**ალბუსი:** ყველა ისევ ჩვენ მოგვშტერებია.

**რონი:** არაფერია. მე მიყურებენ! ხომ იცით, რა სახელგანთქმული ვარ. ჩემს ცხვირის ექსპერიმენტებზე ლეგენდები დადის.

**პერმიონი:** ლეგენდები ნამდვილად ივლის, კი.

**პარი:** მანქანა მშვიდობიანად დააყენე?

**რონი:** კი. იცი, ჰერმიონს არ სჯეროდა, რომ მაგლების მანქანის მართვის გამოცდის ჩაბარებას შეეძლებდი. ეგონა, გამომცდელზე კონფუნდუსის შელოცვას გამოვიყენებდი. ასე არაა, ჰერმიონ?

**პერმიონი:** მსგავსი არაფერი მიფიქრია. შენში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ.

**როუზი:** მე კი დარწმუნებული ვარ, რომ გამომცდელზე კონფუნდუსის შელოცვა გამოიყენა.

**რონი:** ეეე!

**ალბუსი:** მამა...

*ალბუსი პარის მანტიაზე ექაჩება. პარი დახედავს.*

რა მოხდება, თუ... თუ სლიზერინში მოვხვდები?

ჰარი: მერე რა.

ალბუსი: სლიზერინი ხომ გველის, ბნელი ძალების კლუბია... და არა მამაცი ჯადოქრების.

ჰარი: ალბუს სვეერუს, შენ ჰოგვორტსის ორი დირექტორის სახელი გქვია. ერთი მათგანი სლიზერინელი იყო და იმაზე მამაცი კაცი არასდროს შემხვედრია.

ალბუსი: მაგრამ მაინც რომ...

ჰარი: თუ შენთვის ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, გამანანსილებელი ქუდი შენს არჩევანს გაითვალისწინებს.

ალბუსი: მართლა?

ჰარი: ჩემი გაითვალისწინა.

*ეს აქამდე არავისთვის უთქვამს. ნამით ეს სიტყვები მის გარშემო ექოდ ხმიანდება.*

ჰოგვორტსში საინტერესო წლები გელის, ალბუს. დამიჯერე, არაფერი საშიში იქ არ არის.

ჯეიმსი: თესტრალების გარდა. თესტრალებს უფრთხილდი.

ალბუსი: მე მეგონა, უჩინარები იყვნენ!

ჰარი: მასწავლებლებს დაუჯერე, ჯეიმსს არ აჰყვებ და შეეცადე შეირგო იქ ყოფნა. ახლა კი, თუ არ გინდა, რომ მატარებელი უშენოდ გავიდეს, ახტი...

ლილი: მე მატარებელს უნდა გავეკიდო და ისე გავაცილო.

ჯინი: ლილი, აბა, ახლავე მოდი აქ!

პერმიონი: როუზ, ნევილს აკოცე და დიდი სიყვარულით მოგვიკითხე.

როუზი: დე, პროფესორს როგორ ვაკოცო?

*როუზი მატარებელში ადის. ალბუსი ჯინისა და ჰარის მიუბრუნდება, ერთხელაც გადაეხვევა და როუზის გაჰყვება.*

ალბუსი: აბა, კარგად.

*ვაგონში ადის. პერმიონი, ჯინი, რონი და ჰარი დგანან და მატარებელს შეჰყურებენ. ბაქანს სასტვენის ხმა აყრუებს.*

ჯინი: იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

**პერმონი:** ჰოგვორტსი საინტერესო ადგილია.

**რონი:** საინტერესო კი არა, გადასარევი! საქმლით გატენილი. რას არ მივცემდი, უკან დაბრუნება რომ შემეძლოს.

**პარი:** რა უცნაურია, ალი ნერვიულობდა, სლიზერინში არ მოვხვდეთ.

**პერმონი:** ეგ რა არის, როუზი იმაზე ღელავს, შეძლებს თუ არა ქვიდიჩის გოლების რეკორდის მოხსნას პირველივე ან მეორე კურსზე მაინც. და რამდენად ადრე შეძლებს ზ.შ.ა.-ს ჩაბარებას.

**რონი:** ნეტავ საიდან ასეთ ამბიციები.

**ჯინი:** პარი, მართლა რომ მოხვდეს... რას იზამ?

**რონი:** იცი, ჯინ, ჩვენ ყოველთვის გვეგონა, რომ შეიძლებოდა სლიზერინში მოხვედრილიყავი.

**ჯინი:** მართლა?

**რონი:** მართლა. ფრედმა და ჯორჯმა სანაძლეოც კი დადეს.

**პერმონი:** ხომ არ დავიშალოთ? ხალხი გვიყურებს.

**ჯინი:** ხალხი სულ გვიყურებთ, მით უმეტეს, ახლა სამივე ერთად დაგინახეს. თქვენ ყოველთვის გვიყურებენ.

*ოთხივენი გადიან. ჯინი პარის აჩერებს.*

პარი... ხომ კარგად იქნება?

**პარი:** რა თქმა უნდა.



## მოქმედება 1 სცენა მესამე

### პოგვორტსის ექსპრესი

ალბუსი და როუზი მატარებლის ვაგონს მიუყვებიან.

ტკბილედ მოვაჭრე ქალი მათკენ ურიკას მოაგორებს.

**ტაკილედით მოვაჭრა:** რამეს ხომ არ ინებებთ, ძვირფასებო? გოგ-  
რის ღვეზელებს, შოკოლადის ბაყაყებს, ქვაბურა ნამცხვრებს?  
**როუზი** (ამჩნევს, როგორ უშტერდება ალბუსს ნეტარი მზერა შოკოლადის  
ბაყაყზე): ალ, ყურადღება უნდა მოვიკრიბოთ.

**ალბუსი:** რისთვის?

**როუზი:** იმისთვის, რომ გადავწყვიტოთ, ვის დავუმეგობრდეთ.  
ხომ იცი, ჩემმა მშობლებმა მამაშენი პოგვორტსის ექსპრესში  
პირველად ჩაჯდომისას გაიცნეს...

**ალბუსი:** ანუ მაინცდამაინც ახლა უნდა ავარჩიოთ, ვისთან ვიმე-  
გობრებთ მთელი ცხოვრება? რა საშინელებაა!

**როუზი:** პირიქით, ძალიან მაგარია. მე გრეინჯერ-უისლი ვარ, შენ -  
პოტერი. ყველას მოუნდება ჩვენთან მეგობრობა, შეგვიძლია,  
ვინც გვინდა, ის ამოვირჩიოთ.

**ალბუსი:** პოდა, როგორ გადავწყვიტოთ, რომელ კუპეში შევიდეთ...

**როუზი:** ჯერ ყველას შევაფასებთ და მერე მივიღებთ გადანყვე-  
ტილებას.

ალბუსი ერთ-ერთ კარს აღებს. კუპეში მარტო ზის ქერა ბიჭი - სკორ-  
პიუსი. დანარჩენი ადგილები ცარიელია. ალბუსი უღიმის. პასუხად  
სკორპიუსიც იღიმის.



ალბუსი: გამარჯობა. ეს კუპე...

საორაიუსი: ცარიელია. მარტო მე ვარ აქ.

ალბუსი: ძალიან კარგი. მაშინ ცოტა ხნით... შემოვალთ, თუ წინააღმდეგი არ ხარ.

საორაიუსი: შემოდით. გამარჯობა.

ალბუსი: ალბუსი, ალი. მე... ალბუსი მქვია...

საორაიუსი: გამარჯობა, სკორპიუსი. ანუ სკორპიუსი მე მქვია. შენ ალბუსი ხარ, მე – სკორპიუსი. და შენ ალბათ...

როუზის გამომეტყველება ნამში ეცვლება. მზერაში სუსხი ეპარება.

როუზი: როუზი.

საორაიუსი: გამარჯობა, როუზი. შუშხუნა-ზუზუნა კანფეტები ხომ არ გინდა?

როუზი: არა, გმადლობ. ახლახან ვისაუზმე.

საორაიუსი: კიდევ შოკი-შოკოლადები, ცხარე ეშმაკუნები და ჟელატინის ლოქორები მაქვს. დედამ ძალით გამომატანა, ასე მეუბნება (ნამღერებით), „ტკბილეული მეგობრების შექენაში გვეხმარება“ (ხედება, რომ ნამღერება შეცდომა იყო). სისულელეა, რა თქმა უნდა.

ალბუსი: მე მომეცი რამე... დედაჩემი ტკბილეულს არ მაკარებს. რომლით დავინყო?

როუზი სკორპიუსისგან უჩუმრად იდაყვს ნაჰკრავს ალბუსს.

საორაიუსი: რა თქმა უნდა, ცხარე ეშმაკუნებით. მე თუ მკითხავ, კანფეტების მეფეა. პიტნის კანფეტია და რომ შეჭამ, ყურებიდან კვამლს გამოუშვებ.

ალბუსი: ძალიან კარგი, მაშინ მაგას... (როუზი ისევ სთავაზობს იდაყვს). როუზ, ნუ მირტყამ, რა.

როუზი: როდის დაგარტყი.

ალბუსი: როგორ არ დამარტყი. მეტკინა.

სკორპიუსს სახე ელუშება.

საორაიუსი: ვიცი, რატომაც გირტყამს. ჩემ გამო.

ალბუსი: შენ გამო?

საორაიუსი: მისმინე, მე ვიცი, ვინც ხართ, ამიტომ დროა ჩემი ვინაობაც გაიგოთ.

ალბუსი: რას ქვია, იცი, ვინ ვარ?

საორაიუსი: შენ ალბუს პოტერი ხარ. ეს როუზ გრეინჯერ-უისლია. მე კი სკორპიუს მალფოი ვარ. ჩემი მშობლები ასტორია და დრაკო მალფოები არიან. ჩვენი მშობლები... ასე ვთქვათ, ერთმანეთს ვერ ენცობოდნენ.

როუზი: ეგ რბილად არის ნათქვამი. დედაშენი და მამაშენი სიკვდილის მხერგელები არიან!

საორაიუსი (შურაცხყოფილი): მამაჩემი იყო, დედაჩემი – არა.

როუზი თვალს არიდებს და სკორპიუსი ხვდება, რატომაც.

ვიცი ეგ ჭორი. და იცოდეთ, რომ ტყუილია.

ალბუსს უხერხულად ანურული როუზიდან მზერა გამნარებულ სკორპიუსზე გადააქვს.

ალბუსი: რა ჭორი?

საორაიუსი: ჭორი დადის, რომ ჩემს მშობლებს შვილი არ უჩნდებოდათ. მამაჩემსა და ბაბუაჩემს კი ჯანმრთელი მემკვიდრე უნდოდათ და მალფოის გვარის გადაშენება რომ არ დაეშვათ... დროის მდეურით დედაჩემი ნარსულში დააბრუნეს...

ალბუსი: ნარსულში? რა დროში?

როუზი: ალბუს, ამ ჭორის მიხედვით, ის ვოლდემორის შვილია.

აუტანლად უხერხული სიჩუმე.

აშკარა მონაჩმახია. შეხედე, შენ ხომ გაქვს ცხვირი.

დაძაბულობა ცოტათი განიმუხტება. მადლიერი სკორპიუსი სანყლად იცინის.

საორაიუსი: თან – მამაჩემისნაირი. ცხვირიც, თმაც და სახელიც მისი მაქვს. ეს დიდად მიხარია-მეთქი, ვერ ვიტყვი, ანუ... მამაჩემთან მთლად დალაგებული ურთიერთობა არ მაქვს. მაგრამ საერთოდ, მირჩევნია მალფოი ვიყო, ვიდრე, ხომ გესმით... ბნელი ბატონის ვაჟი.

სკორპიუსისა და ალბუსის თვალები ერთმანეთს ხვდება და ბიჭები თითქოს უსიტყვოდ უგებენ ერთიმეორეს.

როუზი: გასაგებია. კარგი, მგონი ჯობს სადმე სხვაგან დავსხდეთ. ნამოდი, ალბუს.

ალბუსი ჩაფიქრებულია.

ალბუსი: არა (როუზის თვალს არიდებს). მე დავრჩები. შენ ნადი...

როუზი: ალბუს, იცოდე, არ დაგიცდი.

ალბუსი: არ დამიცდი და ნუ დამიცდი. მე აქ ვრჩები.

როუზი ნაშინა აკვირდება და შემდეგ კუპედან გადის.

როუზი: როგორც გინდა!

სკორპიუსი და ალბუსი მარტონი რჩებიან და დაბნეულები გადახედავენ ერთმანეთს.

სკორპიუსი: გმადლობ.

ალბუსი: არა, არა. შენ გამო არ მითქვამს. შენი ტკბილეულისთვის დავრჩი.

სკორპიუსი: ფიცხი გოგოა.

ალბუსი: ჰო. ბოდიში.

სკორპიუსი: არა, პირიქით, მომწონს. შენ რომელი გირჩევნია, ალბუსი თუ ალი?

სკორპიუსი ილიმის და ორ კანფეტს პირისკენ მიაქანებს.

ალბუსი (დაფიქრებით): ალბუსი.

სკორპიუსი (ყურებიდან სტვენით უშვებს კვამლს): გმადლობ, რომ ჩემი ტკბილეულისთვის დარჩი, ალბუს!

ალბუსი (იცინის): აუ, რა მაგარია!

# მოქმედება 1 სცენა მეოთხე

## გარდამავალი სცენა

ამჯერად დროის დინების ორომეტრიალში მოვყვებით. ეს სცენა თავიდან ბოლომდე ჯადოქრობაა. სცენები სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს, რადგან სხვადასხვა დროსა და ადგილას გადავდივართ. თუმცა ცალკეული სცენები კი არა, უფრო ფრაგმენტული ეპიზოდებია, რომლებიც დროის დინებაზე მიგვანიშნებს.

თავიდან ჰოგვორტსის დიდ დარბაზში ვართ და ალბუსის გარშემო ყველა ცეკვავს.

**აოლი ჩეაჩენი:** ალბუს პოტერი.

**კარლ ჯენკინსი:** პოტერი. თან ჩვენს კურსზე.

**იან ფრედერიკსი:** თმით როგორ ჰგავს მამამისს.

**როუზი:** ჩემი მამიდაშვილია. (ყველა როუზისკენ ბრუნდება) როუზ გრეინჯერ-უისლი. სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

გამანანილებელი ქუდი მოსწავლეებს შორის დადის და ისინიც თავ-თავიანთ კლუბებში ნანილდებიან.

მალე ვხედავთ, რომ როუზის უახლოვდება. როუზი დაძაბული ელის თავის ხვედრს.

**გამანაწილებელი ძუდი:**

საუკუნეა, ამ საქმეს მივდეგ

და ვილას თავში არ ჩამიხედავს,

ვიცი ყოველი, რაც კი გულში გაქვთ,

რადგან ჰოგვორტსის ბრძენი ქუდი ვარ.

მე ვანანილებ მალლებს და დაბლებს,  
ადგილს მივუჩენ მსუქნებს თუ გამხდრებს.  
მაშ, მოსნი თავი, გრეინჯერ-უისლი  
საკადრის კლუბში გაგიშვებ წამსვე.

როუზის ქუდი თავზე ეხურება.

### **ბრიფინდორი!**

გრიფინდორელების მხრიდან ყიჟინა ისმის. როუზი მათ უერთდება.

**როუზი:** მადლობა დამბლდორს!

ახლა სკორპიუსი გარბის, რომ გამანანილებელი ქუდის ქვეშ როუზის  
ადგილი დაიკავოს.

**გამანანილებელი ქუდი:** სკორპიუს მალფოი.

იგი ახლა სკორპიუსის თავზე სკუპდება.

### **სლიზერინი!**

სკორპიუსი სწორედ ამას ელოდა. იქ მყოფებს თავს უკრავს და  
ოდნავ ილიმის. სლიზერინელებისკენ მიდის და ისინიც მხიარული  
შეძახილებით ხვდებიან.

**აოლი ჩაამენი:** ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

ალბუსი მარდად მიემართება სცენის წინა ნაწილისკენ.

**გამანანილებელი ქუდი:** ალბუს პოტერი.

ახლა ქუდი ალბუსს ეხურება თავზე. ამჯერად თითქოს იბნევა,  
უფრო მეტ ხანს ფიქრობს.

### **სლიზერინი!**

სიჩუმე.

სრული, სამარისებური სიჩუმე.

ისეთი სიჩუმე, ყველაფერში რომ ატანს, ჰაერში ირხევა და მძიმე  
სუნი დაჰკრავს.

აოლი ჩავამენი: სლიზერინი?

კრავ ბოუკარ უმცროსი: ვაა! პოტერს სლიზერინში რა უნდა?

ალბუსი ყოყმანით აცეცებს თვალებს. გაბრწყინებული სკორპიუსი ულიმის და მთელი დარბაზის გასაგონად ეძახის.

სკორპიუსი: მოდი, აქ დადექი, ჩემთან!

ალბუსი (ერთიანად დაბნეული): ჰო, კარგი.

იან ფრადერიკსი: ისე, კარგად თუ დააკვირდები, მთლად მამამისისნაირი თმა არ აქვს.

როუზი: ალბუსი სლიზერინში? წარმოუდგენელია! ეს როგორ მოხდა!

მოულოდნელად მადამ პუჩის ფრენის გაკვეთილზე აღმოეჩნდებით.

მადამ პუჩი: რაღას უცდით? თქვენ თქვენი ცოცხების გვერდით დადექით. დაუჩქარეთ!

ბავშვები ფაცხაფუცხით იკავენ ადგილს ცოცხებთან.

მადამ პუჩი: მარჯვენა ხელი ცოცხის გასწვრივ დაიკავეთ და თქვით: „მალლა!“

ყველანი: მალლა!

როუზისა და იანის ცოცხები ჰაერში იწევა და ორივეს ხელში უბტება.

როუზი და იანი: არის!!!

მადამ პუჩი: ჩქარა, ჩქარა. ნუ ზოზინობთ. თქვით „მალლა!“ თამამად!

ყველანი (როუზისა და იანის გარდა): მალლა!

ყველას, მათ შორის სკორპიუსის, ცოცხი მალლა მიღვივლივებს. მხოლოდ ალბუსისა რჩება ძირს.

ყველა (როუზის, იანისა და ალბუსის გარდა): არის!

ალბუსი: მალლა! მალლა! მალლა!

მისი ცოცხი არ იძვრის. მილიმეტრითაც კი. ალბუსი გაოგნებული და სასოწარკვეთილი დასცქერის. მისი კურსელები ხითხითებენ.

აოლი ჩავამენი: მერლინის წვერს ვფიცავ, მამამისს არაფრით ჰგავს. რა სირცხვილია!

კარლ ჯენკინსი: ალბუს პოტერი, სლიზერინელი სქვები.

**მადამ კური:** კარგი ბავშვებო, დროა ავფრინდეთ.

სცენა კვამლით იფარება. მოულოდნელად, ალბუსის გვერდით ჰარი ჩნდება.

ისევ პლატფორმა ცხრა და სამ მეოთხედზე ვართ. დრო სწრაფად გაქცეულა. ალბუსი უკვე ერთი წლით უფროსია (ჰარიც, მაგრამ ასაკის ცვლილება მას უფრო ნაკლებად ეტყობა).

**ალბუსი:** უბრალოდ გთხოვ, მამა, რომ ცოტათი... ცოტათი შორს დადგე ჩემგან.

**ჰარი (ელიმება):** მეორეკურსელებს უკვე გეთაკილებათ, მამები რომ გაცილებენ?

მამა-შვილს ვიღაც ცნობისმოყვარე ჯადოქარი აუვლის და ჩაუვლის.

**ალბუსი:** არა. უბრალოდ. შენ შენ ხარ და მე მე...

**ჰარი:** ნუ აქცევ სხვებს ყურადღებას, კარგი? ხალხი სულ გვიყურებს. თანაც მე მიყურებენ და არა შენ.

ცნობისმოყვარე ჯადოქარი ჰარის რალაცაზე ხელის მოწერას სთხოვს და ჰარი უარს არ ეუბნება.

**ალბუსი:** ჰარი პოტერს და მის სამარცხვინო შვილს.

**ჰარი:** ეს რას ნიშნავს?

**ალბუსი:** ჰარი პოტერსა და მის სლიზერინელ შვილს.

მათ ჩანთით ხელში ჯეიმსი ჩაურბენს.

**ჯეიმსი:** სლიზერინელო, სლიზერინელო, ზოზინა და ნელო, მატარებელში ჩაჯდომის დროა.

**ჰარი:** აი, ეს უკვე ზედმეტი იყო, ჯეიმს.

**ჯეიმსი (ამასობაში თვალს მიეფარება):** შობამდე, მამა.

ჰარი შენუხებული დასცქერის ალბუსს.

**ჰარი:** ალ...

**ალბუსი:** მე ალბუსი მქვია და არა ალი.

**ჰარი:** სხვა ბავშვები ცუდად ხომ არ გექცევიან? ამის გამო ხარ ასე? იქნებ ახალი მეგობრები რომ გაგეჩინა... ჰერმიონისა და

რონის გარეშე ჰოგვორტსში ვერ გადავრჩებოდი, საერთოდ ვერ გადავრჩებოდი.

**ალბუსი:** კი, მაგრამ მე არ მჭირდება რონი და ჰერმიონი. მე... მე მყავს მეგობარი, სკორპიუსი. ვიცი, რომ გულზე არ გეხატება, მაგრამ მეტი არავინ მჭირდება.

**ჰარი:** ჩემთვის სულერთია. მთავარია, შენ იყო ბედნიერი.

**ალბუსი:** არ იყო საჭირო ჩემი მოყვანა სადგურზე, მამა.

*ალბუსი ჩემოდანს იღებს და სწრაფად ეცლება.*

**ჰარი:** მე მხოლოდ ის მინდოდა, რომ გამეცილებინე...

*მაგრამ ალბუსი უკვე შორსაა. უძვირფასეს მანტიაში გამოწყობილი დრაკო მალფოი, ფაქიზად გადავარცხნილი და უკან შეკრული თმით, ბრბოს გამოეყოფა და ჰარის უახლოვდება.*

**დრაკო:** შენთან სათხოვარი მაქვს.

**ჰარი:** გამარჯობა, დრაკო.

**დრაკო:** ეს ჭორები, ჩემი შვილის წარმომავლობის შესახებ... არა და არ ჩაცხრა. ჰოგვორტსის მოსწავლეები სკორპიუსს მუდმივად დასცინიან ამის გამო – იქნებ სამინისტრომ განცხადება გაავრცელოს, რომელშიც კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ საიდუმლოებების დეპარტამენტში მომხდარი ბრძოლისას ყველა დროის მღევარი განადგურდა...

**ჰარი:** დრაკო, შეეშვი. მობეზრდებით და თავისით გაივლის.

**დრაკო:** ჩემი შვილი იტანჯება და... ასტორიაც ვერაა ბოლო დროს კარგად... ამიტომ ახლა სკორპიუსს ყველანაირი მხარდაჭერა სჭირდება.

**ჰარი:** ჭორზე რეაგირება მის აღიარებას ნიშნავს. ამით კიდევ უფრო შეუნყოფ ხელს მის გავრცელებას. რამდენი წელია, ხმები დადის, რომ ვოლდემორს შვილი დარჩა. სკორპიუსი პირველი არაა, ვისაც ეს დასწამეს. სამინისტრო ამ ყველაფერში არ უნდა ჩაერიოს, ისევ და ისევ შენი და ჩვენი გულისთვის.

*გაღიზიანებული დრაკო შუბლს იკრავს. სცენა ცარიელდება და გამოჩნდებიან სამგზავროდ გამზადებული როუზი და ალბუსი, თავ-თავიანთი ჩემოდნებით.*



**ალბუსი:** როგორც კი მატარებელი გავა, შეგიძლია, აღარ დამელაპარაკო.

**როუზი:** ვიცი. მთავარია, მშობლებთან ვიქცეოდეთ სანიმუშოდ.

*მათკენ იმედებით ფრთაშესხმული და ჩემოდნით დამძიმებული სკორპიუსი მორბის.*

**საორაიუსი (სახეგაბრწყინებული):** გამარჯობა, როუზ.

**როუზი (შეუვალი ტონით):** კარგად, ალბუს.

**საორაიუსი (ჯერაც იმედიანად):** მგონი, ცოტა მოლბა, არა?

*ახლა ისევ დიდ დარბაზში ვართ. წინ პროფესორი მაკგონაგელი დგას და ფართოდ იღიმის.*

**პროფესორი მაკგონაგელი:** ახლა კი სიამაყით წარმოგიდგენთ გრიფინდორის ქვიდიჩის გუნდის ახალ წევრს, ჩვენს (ჩერდება. ხედება, რომ მიკერძობებული არ უნდა იყოს)... თქვენს ბრწყინვალე ახალ ჩეიზერს – როუზ გრეინჯერ-უისლის.

*დიდ დარბაზს ყიჟინა აყრუებს. სკორპიუსიც სხვებთან ერთად უკრავს ტაშს.*

**ალბუსი:** შენ რაღა გახარებს? ჩვენ ხომ ქვიდიჩს ვერ ვიტანთ, თან როუზი სხვა კლუბისთვის ითამაშებს.

**საორაიუსი:** ის ხომ შენი ბიძაშვილია, ალბუს.

**ალბუსი:** მე რომ მის ადგილზე ვყოფილიყავი, გგონია, ტაშს დამიკრავდა?

**საორაიუსი:** მე მგონია, რომ ძალიან მაგარი გოგოა.

*ალბუსს გარს მოსწავლეები შემოეხვევიან და შხამ-წამლების გაკვეთილი იწყება.*

**პოლი ჩეაჩენი:** ალბუს პოტერი. არარაობა. პორტრეტებიც კი ზურგს აქცევენ, კიბეზე რომ ამოდის.

*ალბუსი კიდევ უფრო იხრება შხამით სავსე ქვაბზე.*

**ალბუსი:** ახლა რა უნდა დავამატოთ? ერთი რქა, თუ ორი?

**კარლ ჯენკინსი:** შეეშვი. მაგას და ვოლდემორის ნაშიერს თავისი გასჭირვებით.

**ალბუსი:** ცოტაც სალამანდრას სისხლი...

*მისი ქვაბი გამაყრუებელი გრუხუნით ფეთქდება.*

**საორპიუსი:** კარგი. რა არის გამაუვნებელი ინგრედიენტი? რა შეგვეშალა?

**ალბუსი:** ყველაფერი.

*დრო ისევ სწრაფად მიქრის წინ. ალბუსს თვალის უბეები უშავდება, სახე კიდევ უფრო უფერმკრთალდება. მაინც მომხიბვლელი გარეგნობის ბიჭია, თუმცა ამაში საკუთარ თავსაც არ უტყდება.*

*აი, კვლავ პლატფორმა ცხრა და სამ მეოთხედზე დგას მამასთან ერთად, რომელიც ისევ ცდილობს დაარწმუნოს შვილი (და თავისი თავიც), რომ ყველაფერი რიგზეა. გარეგნობაზე ორივეს ეტყობა, რომ კიდევ ერთმა წელმა განვლო.*

**ჰარი:** მესამე კურსი მნიშვნელოვანი წელია. ესეც ხელმონერილი ნებართვის ფურცელი ჰოგსმიდისთვის.

**ალბუსი:** ვერ ვიტან ჰოგსმიდს.

**ჰარი:** როგორ შეიძლება ვერ იტანდე ადგილს, სადაც ჯერ არ ყოფილხარ?

**ალბუსი:** იმიტომ რომ ვიცი, ჰოგვორტსის მოსწავლეებით იქნება სავსე.

*ალბუსი ფურცელს ართმევს და ჭმუჭნის.*

**ჰარი:** რატომ არ გინდა, სცადო... წარმოიდგინე, შეგიძლია, „თაფლუჭში“ შეხვიდე და ყველაფერი გასინჯო ისე, რომ დედაშენმა ვერაფერი გაიგოს... არა, ალბუს, არც კი გაბედო!

**ალბუსი** (*ჯადოსნურ ჯოხს იმარჯვებს*): ინცენდიო!

*ქალღმრთის გორგალს ცეცხლი ეკიდება და ალი სცენაზე აიჭრება.*

**ჰარი:** რას აკეთებ!

**ალბუსი:** სასაცილო ისაა, რომ არ მეგონა, თუ გამომივიდოდა. ძალიან უნიჭო ვარ ამ შელოცვაში.

**ჰარი:** ალ... ალბუს, პროფესორი მაკგონაგელისგან ბუ მივიღე. ინერებოდა, რომ ახლოს არავის იკარებ, გაკვეთილებში არ მონაწილეობ, სულ დაღვრემილი ხარ, რომ...

ალბუსი: ვერ გავიგე, რა გინდა ჩემგან! პოპულარობა შეეულოცო ჩემს თავს? კლუბის გამოცვლის ჯადო მოვიგონო? ტრანსფერაციის მეშვეობით უკეთეს მოსწავლედ გადავიქცე? მიდი, შემილოცე, მამა, და მაქციე იმად, ვინც გინდა, რომ ვიყო. ორივე დავისვენებდით. ნავედი, თორემ მატარებელი გამასწრებს. მეგობარი მეღის.

ალბუსი სკორპიუსისკენ გარბის. სკორპიუსი თავის ჩემოდანზე ზის და გარე სამყაროსგან თითქოს მთლიანად გამოთიშულია.

(გახარებული) სკორპიუს... (ხმაში შეშფოთება ეპარება) სკორპიუს... რა გჭირს?

სკორპიუსი არაფერს ამბობს. ალბუსი ცდილობს, მეგობარს თვალეში ჩახედოს.

დედაშენს რამე დაემართა? უარესადაა?

სკორპიუსი: ამაზე უარესად ველარ იქნება.

ალბუსი სკორპიუსის გვერდით ჯდება.

ალბუსი: მეგონა, ბუს გამომიგზავნიდი.

სკორპიუსი: არ ვიცოდი, რა მომენერა.

ალბუსი: ახლა კი მე არ ვიცი, რა გითხრა...

სკორპიუსი: ნურაფერს მეტყვი.

ალბუსი: რამით ხომ ვერ...

სკორპიუსი: დასაფლავებაზე მოდი.

ალბუსი: რა თქმა უნდა, მოვალ.

სკორპიუსი: და ჩემი მეგობარი იყავი.

ამ დროს სცენის შუაში გამანანილებელი ქუდი გამოჩნდება და კვლავ დიდ დარბაზს ვუბრუნდებით.

გამანანილებელი ქუდი:

გეშინია რას ჩაგძახებ?

გეშინია განაჩენის?

ოღონდ სლიზერინი არა!

ოღონდ გრიფინდორი არა!

ოღონდ ჰაფლეპაფი არა!  
ოღონდ რეივენქლო არა!  
სულ ტყუილად შიშობ, ბავშვო,  
კარგად ვიცი ჩემი საქმე,  
სიცოცხლე მაშინ დააფასებ, ტირილს როცა მოითავებ.  
ლილი პოტერ, გეყო ღელვა  
ბრიზინდორი გელოდება!

ლილი: ვაშააა!

ალბუსი: გადასარევია!

სკორპიუსი: აბა, გეგონა, ჩვენთან მოვიდოდა? პოტერების ადგილი  
სლიზერინში არ არის.

ალბუსი: ჩემი არის.

*ცდილობს ხალხში ჩაიკარგოს. სხვა მოსწავლეები იცინიან. ალბუსი  
გარშემომყოფებს ასცქერის.*

ხომ იცით, რომ მე არაფერ შუაში ვარ. რა ჩემი ბრალია, რომ  
მისი შვილი ვარ.



## მოქმედება 1 სცენა მეხუთე

### მაგიის სამინისტრო, პარის კაბინეტი

პარის უნესრიგო კაბინეტში ჰერმიონი ზის, მაგიდაზე ქალღმერთების დასტა დაუხვევებია და სათითაოდ არჩევს. პარი შემორბის. ლოყაზე განაკანრიდან სისხლი სდის.

პერმიონი: როგორ ჩაიარა?

პარი: სიმართლე აღმოჩნდა.

პერმიონი: თეოდორ ნოტი?

პარი: დაპატიმრებულია.

პერმიონი: და დროის მდეუარი?

პარი უჩვენებს დროის მდეუარს, რომელიც მაცდურად ბზინავს.

ნამდვილია? მუშაობს? ესეც რამდენიმე საათით უკან გაბრუნებს, თუ უფრო შორეულ წარსულში გადაჰყავხარ?

პარი: ჯერჯერობით არ ვიცით. მინდოდა, იქვე გამომეცადა, მაგრამ სხვები გონს დროულად მოვიდნენ და შემაჩერეს.

პერმიონი: მთავარი ისაა, რომ ახლა ჩვენს ხელშია.

პარი: მართლა აპირებ, რომ დაიტოვო?

პერმიონი: მე მგონი, არჩევანი არ გვაქვს. შეხედე. სრულიად განსხვავდება იმ დროის მდეურისგან, მე რომ მქონდა.

პარი (მშრალად): ჯადოქრული სამყარო ჩვენი ბავშვობის მერე აშკარად წინ წასულა.

პერმიონი: სისხლი გდის.

ჰარი სარკეში ათვალეერებს თავის სახეს. ჭრილობას მანტიის კალთით ინმენდს.

არა უშავს, შენს ნაიარევს მოუხდება.

**ჰარი (ღიმილით):** ჰერმიონ, ჩემს კაბინეტში რას აკეთებ?

**ჰერმიონი:** თეოდორ ნოტის ამბავი მაინტერესებდა და... ვიფიქრე, შევამონმებდი, დანაპირები თუ შეასრულე და საბუთები მოაწესრიგე.

**ჰარი:** როგორც ხედავ, პირობა არ შემისრულებია.

**ჰერმიონი:** არა, არ შეგისრულებია. ჰარი, რანაირად მუშაობ ასეთ ქაოსში?

ჰარი ჯადოსნურ ჯოხს იქნევს და ქაღალდები და წიგნები ფაქიზად ლაგდება ერთმანეთზე. ეღიმება.

**ჰარი:** აღარაა ქაოსი.

**ჰერმიონი:** მაგრამ რომ არ გაცნობიხარ? იცი, რა საინტერესო რაღაცებს ნაგანყდი? უნგრეთში მთის ტროლები რქაკაუჭებს დააჭენებენ, საბერძნეთის ზღვებში ზურგზე ფრთებამოსვირინგებულ გოლიათები დააბოტებენ, მაქციებმა მინისქვეშეთს მიაშურეს...

**ჰარი:** ძალიან კარგი. მოდი, საქმეს შევუდგეთ. ხალხი შევეკრიბოთ.

**ჰერმიონი:** ჰარი, გასაგებია, რომ კაბინეტში ჯდომა შენთვის მოსაწყენია.

**ჰარი:** რასაც შენზე ვერ ვიტყვი.

**ჰერმიონი:** მე ჩემი საქმე ისედაც თავზე გადამდის. მაგრამ ესენი სწორედ ის არსებები და ცხოველები არიან, რომლებიც დიდ ჯადოქრულ ომებში ვოლდემორის მხარდამხარ იბრძოდნენ. ისინი ბნელი ძალების მოკავშირეები იყვნენ. ამას თუ თეოდორ ნოტის ინციდენტსაც დავუმატებთ, აშკარად რაღაც ახალთან გვაქვს საქმე. მაგრამ თუ ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების თავმჯდომარე საბუთებს არ კითხულობს...

**ჰარი:** ნაკითხვა არ მჭირდება. მე იქ, გარეთ ვარ და ეს ყველაფერი ისედაც ვიცი. დროის მდევრის შესახებ ჭორი პირველმა მე გავიგე და ზომებიც მე მივიღე. დამიჯერე, სასაყვედურო არაფერი გაქვს.

*ჰერმიონი გამომცდელად უყურებს ჰარის.*

**ჰერმიონი:** ირისის კანფეტი არ გინდა? ოღონდ რონთან არ გამცე.

**ჰარი:** თემა შეცვალე, ხომ?

**ჰერმიონი:** კი. გინდა თუ არა?

**ჰარი:** არა. ჩვენს ოჯახში შაქარს ვერიდებით (პაუზა). იცი, რომ მასეთი რამეები დამოკიდებულებას იწვევს?

**ჰერმიონი:** აბა, რა გითხრა. ჩემი მშობლები კბილის ექიმები იყვნენ და რალაც ასაკში ხომ უნდა გავმხდარიყავი მეამბოხე. ორმოცი წელი ცოტა გვიანია, მაგრამ... შენ ეს-ესაა დიდისაქმე გააკეთე. არ მინდა, ჩემი ლაპარაკი საყვედურად მიიღო – უბრალოდ გთხოვ, დროდადრო საბუთებს მიხედო. სულ ესაა. მიიღე ეს, როგორც მსუბუქი... ბიძგი მაგიის მინისტრისგან.

*ჰარისთვის გასაგები ხდება ხაზგასმით წარმოთქმული ბოლო სიტყვების მნიშვნელობა და თავს უკრავს.*

*ჯინი და ალბუსი როგორ არიან?*

**ჰარი:** როგორც ჩანს, მამობაშიც ისევე ვივარგე, როგორც საკანცელარიო საქმეში. როუზი და ჰუგო როგორ გყავს?

**ჰერმიონი (ღიმილით):** იცი, რონი ჩივის, რომ ჩემს მდივანს, ეთელს (ხელით ანიშნებს კარისკენ), უფრო ხშირად ვხედავ, ვიდრე მას. როგორ ფიქრობ, რალაც ეტაპზე წლის საუკეთესო მშობელსა და წლის საუკეთესო მოხელეს შორის არჩევანი ხომ არ გავაკეთეთ? შინ წადი, ჰარი. ჰოგვორტის ექსპრესი მალე გავა. ახალი სასწავლო წელი იწყება. ოჯახურ გარემოში გაატარე დარჩენილი დრო, დასვენებული თავით დაბრუნდი და ამ საბუთებს გაეცანი.

**ჰარი:** შენი აზრით, ეს ყველაფერი მართლაც რამეს მოასწავებს?

**ჰერმიონი (ღიმილით):** შესაძლებელია. მაგრამ თუ მართლაც ასეა, ბრძოლის რამე გზას გამოვნახავთ. ჩვენ ეს ყოველთვის შეგვეძლო.

*ერთხელაც გაუღიმებს, ირისის კანფეტს პირში იღებს და კაბინეტიდან გადის. ჰარი მარტო რჩება. ჩანთას ალაგებს. კარს მიაშურებს*

და მერე დერეფანს მიუყვება. მხრები თითქოს მთელი სამყაროს ტვირთით აქვს დამძიმებული.

დაღლილი ნაბიჯით უახლოვდება სატელეფონო ჯიხურს, შედის და კრეფს ნომერს 62442.

**სატელეფონო ჯიხური:** კარგად ბრძანდებოდეთ, პარი პოტერ.

შემდეგ ზემოთ დაიძვრება და პარი სამინისტროდან გაჰყავს.





## მოქმედება 1 სცენა მუქვსა

### პარი და ჯინი პოტარაჰის სახლი

ალბუსს არ ეძინება და კიბის თავში ზის. ქვემოდან ხმაური აღწევს. პარის ხმა მანამდე გვესმის, სანამ სცენაზე გამოჩნდება. მას ეტლში მჯდომი ხანდაზმული კაცი, ამოს დიგორი, ახლავს.

**პარი:** ამოს, მესმის, როგორ არ მესმის, მაგრამ ეს ნუთია სახლში მოვედი და...

**ამოსი:** სამინისტროში შენთან შეხვედრის დანიშვნა რომ ვცადე, იცი, რა მითხრეს? „ბატონო დიგორი, შეხვედრა შეგვიძლია დაგინიშნოთ... ახლავე გადავამოწმებთ... ორ თვეში“. კი ბატონო, მოთმინებით ვიცადე.

**პარი:** ...ეს არ ამართლებს ამ შუალამისას ჩემს სახლში მოსვლას, თან მაინცდამაინც იმ სალამოს, როცა ჩემი შვილები სკოლაში წასასვლელად ემზადებიან.

**ამოსი:** გადის ორი თვე. მიგზავნიან ბუს: „ბატონო დიგორი, სამწუხაროდ, ბატონი პოტერი სასწრაფო საქმეზე გაიხმეს, თქვენი შეხვედრის გადატანა მოგვიხდა. ორი თვის მერე გეცლებათ, რომ მობრძანდეთ?“ მერე ეს ყველაფერი თავიდან მეორდება... გგონია, ვერ ვხვდები, რომ თავს მარიდებ?

**პარი:** ცხადია, თავს არ გარიდებთ. უბრალოდ, მე, როგორც ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების თავმჯდომარე, პასუხისმგებელი ვარ...

**ამოსი:** შენ ბევრ რამეზე ხარ პასუხისმგებელი.

**პარი:** უკაცრავად? ვერ მიგიხვდით...

**ამოსი:** ჩემი ბიჭი სედრიკი. ხომ გახსოვს სედრიკი?

**ჰარი** (სედრიკის გახსენება გულს ტკენს): დიახ, როგორ არ მახსოვს, თქვენი ვაჟი. მისი დაკარგვა...

**ამოსი:** ვოლდემორს შენ უნდოდი! შენ, და არა ჩემი შვილი! შენ თვითონ არ მომიყვები, „ზედმეტი მოიშორეთო!“, ასე რომ თქვა? ჩემი ბიჭი, ჩემი ულამაზესი ბიჭი „ზედმეტი“ იყო.

**ჰარი:** ბატონო დიგორი, გარნმუნებთ, მზად ვარ, ყველანაირად დაგეხმაროთ სედრიკის ხსოვნის უკვდავყოფაში... მემორიალის გახსნა იქნება ეს, თუ სხვა რამე...

**ამოსი:** მემორიალი? მემორიალს რა თავში ვიხლი... არა, მემორიალი აღარ მჭირდება. დავბერდი, ცალი ფეხი სამარეში მიდგას. აქ იმიტომ მოვედი, რომ... გთხოვ, გემუდარები, დამეხმარე მის დაბრუნებაში.

*გაოცებული ჰარი თვალს თვალში უყრის.*

**ჰარი:** დაბრუნებაში? ამოს, ეს შეუძლებელია!

**ამოსი:** სამინისტროს ხომ აქვს დროის მდევარი?

**ჰარი:** ყველა დროის მდევარი განადგურდა.

**ამოსი:** იცი, სახლში რატომ მოგაკითხე ასე მოულოდნელად? იმიტომ, რომ ეს-ესაა ჭორი გავიგე – საფუძვლიანი ჭორი – რომ სამინისტრომ თეოდორ ნოტს უკანონო დროის მდევარი ჩამოართვა და გამოძიების მიზნით შეინახა. მომეცით მაგ დროის მდევრის გამოყენების უფლება. დამიბრუნეთ შვილი.

*ხანგრძლივი, სამარისებური სიჩუმე. ჰარი თვალს ხრის. ალბუსი კიბეზე ჩამოჩოჩდება და გულდასმით აყურადებს.*

**ჰარი:** ამოს, დროსთან თამაში? ხომ იცით, რომ ამას ვერ დავუშვებთ.

**ამოსი:** რამდენი ადამიანი დაიხოცა ბიჭისთვის, რომელიც ცოცხალი გადარჩა? მე გთხოვ, ერთი მათგანი მაინც იხსნა სიკვდილისგან.

*ეს სიტყვები ჰარის ეკალივით ესობა. ჩაფიქრდება, თუმცა მალევე უმკაცრდება მზერა.*

**ჰარი:** არ ვიცი, რა ჭორი გაიგეთ, ამოს, მაგრამ თეოდორ ნოტის ამბავი, სამწუხაროდ, სიმართლეს არ შეესაბამება.

**დელფი:** გამარჯობა.

ალბუსი მოულოდნელობისგან შეხტება. ქვემოთ, კიბეზე ოც წელს გადაცილებული, თამამი გამომეტყველების ქალი გამოჩნდება, რომელიც პირდაპირ მას ასცქერის.

უკაცრავად. შეშინება არ მინდოდა. მე თვითონ კიბიდან დაყურადების ოსტატი ვარ. ბავშვობაში ასე ვიჯექი ხოლმე და ველოდი, რომ ვინმე რამე საინტერესოს იტყოდა..

**ალბუსი:** ვინ ხართ? ჩემს სახლში რა გინდათ...

**დელფი:** ვინ ვარ და... ქურდი! ყველაფერი უნდა მოგპარო. მომეცი, შენო ოქრო, შენი ჯადოსნური ჯოხი და შოკოლადის ბაყაყები! (დაუნდობელ მზერას ტყორცნის და მაშინვე უღიმის). გეხუმრე. დელფინი დიგორი ვარ. (საფეხურებზე ადის და ხელს უწვდის) დელფი. ამოსს ვუვლი. ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ (ამოსისკენ ანიშნებს). და შენ ვინ ხარ?

**ალბუსი** (უხალისოდ უღიმის): ალბუსი.

**დელფი:** რა თქმა უნდა! ალბუს პოტერი! ესე იგი, ჰარი მამაშენია? ნარმომიდგენია, როგორი უნდა იყოს ჰარი პოტერის შვილობა.

**ალბუსი:** დიდი ვერაფერი.

**დელფი:** აჰ, მტკივნეულ ადგილს შევეხე? ასეთი დაუფიქრებელი ვარ. სკოლაშიც სულ დამცინოდნენ, დელფინი დიგორის დელფინის ჭკუაც კი არ აქვსო.

**ალბუსი:** დაცინვას არც მე მაკლებენ.

**პაუზა.** დელფი ყურადღებით აკვირდება.

**ამოსი:** დელფი!

დელფი ადგილიდან დაძვრას აპირებს, მაგრამ ყოყმანობს. შემდეგ ალბუსს უღიმის.

**დელფი:** სისხლით ნათესავეებს არ ვირჩევთ. ამოსი... მარტო ჩემი პაციენტი კი არა, ბიძაცაა. ზემო ფლეგლიში მუშაობაზე ნაწილობრივ ბიძაჩემის გამო დავთანხმდი. მაგრამ ბიძაჩემის გამო იქ გაძლება განსაკუთრებით მიჭირს. რთულია წარსულში ჩარჩენილ ადამიანებთან ცხოვრება, არა?

**ამოსი:** დელფი!

ალბუსი: ზემო ფლეგლი?

დელფი: ჰო, მაგ სოფელშია წმინდა ოსვალდის სახელობის მოხუცებულ ჯადოქართა თავშესაფარი. ერთხელ მოდი, მოგვინახულე, თუ სურვილი გექნება.

ამოსი: დელფი!

ერთხელაც უღიმის, კიბეზე მკვირცხლად ჩარბის და იმ ოთახში შედის, სადაც ამოსი და ჰარი არიან. ალბუსი თვალს აყოლებს.

დელფი: დიახ, ბიძია.

ამოსი: გაიცანი ოდესღაც დიადი ჰარი პოტერი, რომელიც სამინისტროს გულქვა ჩინოსნად ქცეულა. მე დაგტოვებთ, სერ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, თუკი ამას მშვიდობა ეთქმის. დელფი, ეტლი...

დელფი: დიახ, ბიძია.

ამოსის ეტლს გასასვლელისკენ მიაგორებს. სასონარკვეთილი ჰარი მარტო რჩება. ფიქრებში წასული ალბუსი მას თვალს არ აშორებს.

## მოქმედაბა 1 სცენა მეშვიდე

### ჰარი და ჯინი პოტერების სახლი, ალბუსის ოთახი

ალბუსი საწოლზე ზის. მისი ოთახის კარს მიღმა ცხოვრება დუღს. გარეთ ფუსფუსი და ფაციფუცია, შიგნით კი – სრული მდუმარება. შორიდან ჯეიმსის ღრიალი ისმის (სცენის მიღმიდან).

**ჯინი:** ჯეიმს, დაივიწყე თმა და დაალაგე ოთახი, თორემ არ ვიცი, რას გიზამ!

**ჯეიმსი:** როგორ დავივიწყო? ვარდისფერია! უჩინმაჩინის მოსასხამით მომიწევს წასვლა.

კართან ვარდისფერთმიანი ჯეიმსი გამოჩნდება.

**ჯინი:** მამაშენს მაგისტვის არ მოუცია მოსასხამი!

**ლილი:** ჩემი შხამ-ნამლებს სახელმძღვანელო ხომ არ გინახავთ?

**ჯინი:** ლილი პოტერ, ასე გამონყობილს ხვალ სკოლაში, იცოდე, არ გაგიშვებ.

ალბუსის კარში ლილი მოჩანს. ზურგზე ფერიის მოფარფატე ფრთები უკეთია.

**ლილი:** მომწონს. ნახე, როგორი ფარფატაა.

გადის. ალბუსის ოთახში ახლა ჰარი იჭყიტება.

**ჰარი:** გამარჯობა.

უხერხული პაუზა. ლია კარში ჯინი გამოჩნდება. სიტუაციას აფასებს და ცოტა ხნით ყოვნდება.

ჰოგვორტსში საჩუქარი უნდა გაგატანო... უფრო სწორად, საჩუქრები. ერთიც რონმა გამოგიგზავნა...

**ალბუსი:** სიყვარულის ელექსირი? კარგი. მომეცი.

**ჰარი:** თავისი ჭკუით გეხუმრებათ... ლილიმ კუანა გნომები მიიღო, ჯეიმსმა სავარცხელი, რომელმაც თმა გაუვარდისფრა. ხომ იცი, რონი როგორია...

ჰარი ალბუსს სიყვარულის ელექსირს საწოლზე უდებს.

მეც მაქვს რაღაცა. ეს ჩემგან...

მომცრო საბანს უჩვენებს. ჯინი საბანს ხედავს და ხვდება, რომ ჰარი შვილთან შერიგებას ცდილობს, ამიტომ უჩუმრად ეცლება მათ.

**ალბუსი:** ძველი საბანი?

**ჰარი:** ბევრი ვიფიქრე, წელს შენთვის რა მეჩუქებინა. ჯეიმსს... ჯეიმსი რა ხანია, უჩინმარინის მოსასხამს მთხოვს, არ მომასვენა. ლილის ვიცოდი, რომ ფრთები მოეწონებოდა. მაგრამ შენ... შენ უკვე თოთხმეტი წლის ხარ, ალბუს, და მინდოდა რამე ისეთი მომეცა, რაც... რაღაცას ნიშნავს ჩემთვის. ეს... უკანასკნელია, რაც დედაჩემისგან დამრჩა. ერთადერთი ნივთი. დერსლებს ამაში გახვეული მიუყვანეს ჩემი თავი. დაკარგული მეგონა, მაგრამ როდესაც ბებიაშენის და პეტუნია გარდაიცვალა, ჩემდა გასაკვირად, დადლიმ მის პირად ნივთებში ესეც იპოვა, პატივი დამდო და გამომიგზავნა. მას შემდეგ... ყოველთვის, როდესაც იღბალი მჭირდებოდა, ამ საბანს გულში ვიკრავდი. ამიტომ გადავწყვიტე, რომ შენც...

**ალბუსი:** მეც გულში ჩავიკრა? კარგი. გასაგებია. იმედია, იღბალს მაინც მომიტანს. ნამდვილად არ მანყენდა.

საბანს ხელით ეხება.

მაგრამ იცი, რა... აჯობებს შენთვის დაიტოვო.

**ჰარი:** მე მგონია... არა, მე დარწმუნებული ვარ, რომ პეტუნიას უნდოდა, მე დამრჩენოდა, და ამიტომ ინახავდა ამდენ ხანს. მე კი მინდა, რომ შენ გადმოგცე. დედაჩემს ფაქტობრივად არ ვიცნობდი, მაგრამ მგონია, რომ მასაც ენდომებოდა, რომ შენ გქონდეს. და იქნებ... ჰელოუინზე მოგინახულო. მინდა, მათი

- დალუპვის ღამეს ჩემთან იყო... ეს საბანიც... ეს ჩვენთვის, ორივესთვის კარგი იქნებოდა...
- ალბუსი:** მისმინე, ბარგი მაქვს ჩასალაგებელი და ვიცი, რომ შენც სამინისტროს საქმე გაყრია, ამიტომ...
- ჰარი:** ალბუს, მე მინდა, რომ საბანი დაიტოვო.
- ალბუსი:** და რა ვუყო? ფერიის ფრთები გასაგებია, მამა, უჩინმაჩინის მოსასხამიც გასაგებია, მაგრამ ეს... კარგი, რა.
- ჰარი გულდანყვეტილი უყურებს შვილს. ეტყობა, რომ მთელი გულით ცდილობს, შემოირიგოს.*
- ჰარი:** ბარგის ჩალაგებაში დახმარება ხომ არ გინდა? ყოველთვის მიყვარდა აბარება. ეს იმას ნიშნავდა, რომ პრივიტ დრაივიდან მივდიოდი და ჰოგვორტსში ვბრუნდებოდი. ჰოგვორტსი... ვიცი, რომ არ გიყვარს ამაზე...
- ალბუსი:** შენთვის დედამინის ზურგზე საუკეთესო ადგილია. ვიცი. სანყალი ობოლი, რომელსაც ძია და დეიდა დერსლები ცუდად ექცეოდნენ...
- ჰარი:** ალბუს, ძალიან გთხოვ. არ შეიძლება, რომ...
- ალბუსი:** ...რომელსაც თავისი დეიდაშვილი დადლი ჩაგრავედა და რომელიც ჰოგვორტსმა იხსნა. ყველაფერი ვიცი, მამა. საკმარისია.
- ჰარი:** ტყუილად ცდილობ, კამათში გამომიწვიო, ალბუს პოტერ.
- ალბუსი:** სანყალი ობოლი, რომელმაც ჩვენ, ყველა გადაგვარჩინა. ნება მიბოძეთ, მთელი ჯადოქრული მოდგმის სახელით მოგახსენოთ, რა მადლიერები ვართ თქვენი გმირობისთვის. თავიც დაგიკრათ, თუ სიტყვები საკმარისია?
- ჰარი:** ალბუს, ძალიან გთხოვ... ხომ იცი, რომ მადლიერება არასდროს მითხოვია.
- ალბუსი:** მაგრამ რა ვქნა, რომ მადლიერებას გული ვერ იტევს? ალბათ ამ დაობებულმა საბანმა თავისი საქმე გააკეთა, სიკეთით ამავსო...
- ჰარი:** დაობებულმა საბანმა?
- ალბუსი:** აბა, რა გეგონა? ერთმანეთს გადავებხვეოდით, და გეტყოდი, რომ მიყვარხარ?

ჰარი (ბოლოს და ბოლოს მოთმინებას კარგავს): იცი, რა? დავიღალე  
შენს უბედურებაზე პასუხისმგებლობის ზიდვით. შენ მამა  
მაინც გყავს. მე კი მამაც არ მყავდა, გაიგე?

ალბუსი: და გგონია, რომ შენზე მეტად გამიმართლა? მე ასე არ  
ვფიქრობ.

ჰარი: ჩემი სიკვდილი გინდა?

ალბუსი: არა, უბრალოდ მერჩივნა, მამაჩემი არ ყოფილიყავი.

ჰარი (იფეთქებს): ზოგჯერ მეც მინატრია, რომ ჩემი შვილი არ იყო.

სიჩუმეა. ალბუსი თავს უქნევს. ჰარი აცნობიერებს, რა უთხრა  
შვილს.

არა, ამის თქმა არ მინდოდა...

ალბუსი: დიახაც, გინდოდა.

ჰარი: ალბუს, ნამდვილად გეხერხება ჩემი მდგომარეობიდან  
გამოყვანა...

ალბუსი: ზუსტად ის თქვი, რასაც ფიქრობდი, მამა. და სიმართლე  
რომ გითხრა, არ გადანაშაულებ.

საზარელი სიჩუმე.

ახლა, ალბათ, ჯობს, მარტო დამტოვო.

ჰარი: ალბუს, გთხოვ...

ალბუსი იღებს საბანს და მოისვრის. რონის სიყვარულის ელექსირს  
ხვდება და აყირავებს. ელექსირი საბანსა და სანოლს ესხმება და  
კვამლის მსუბუქ ბოლქვს უშვებს.

ალბუსი: გამოდის, არც იღბალი მიწერია და არც სიყვარული.

ალბუსი ოთახიდან გარბის. ჰარი აედევნება.

ჰარი: ალბუს, ალბუს... ძალიან გთხოვ.



# მოქმედა 1 სცენა მერვე

## სიზმარი, ქონი კლდეზე

ისმის გამაყრუებელი გუგუნი. შემდეგ ძლიერი ბრახუნი. დადლი დერსლი, დეიდა პეტუნია და ძია ვერნონი სანოლის უკან მიყუყულან.

დადლი დერსლი: დედა, რა ხდება?

დეიდა პეტუნია: ვიცოდი, აქ არ უნდა მოგვედგა ფეხი. ვერნონ, ვერნონ, ახლა ველარსად დავიმალებით. შუქურაზეც კი მოგვაგნებენ!

ისევ გამაყრუებელი გუგუნი.

ძია ვერნონი: მოიცა, მოიცა. რაც უნდა იყოს კარს იქით, აქ ვერ შემოვა.

დეიდა პეტუნია: დანყველილები ვართ! ბიჭმა დაგვწყევლა! (პატარა ჰარის გადახედვას) შენი ბრალია ყველაფერი. აქედან დამეკარგე!

პატარა ჰარი კრთება და თავის კუთხეს მიაშურებს. ამასობაში ძია ვერნონი თოფს იმარჯვებს.

ძია ვერნონი: რომელი ხარ მანდ! გაფრთხილებ, იარალი მაქვს!

ისმის ყურისნამლები ჭახანი და კარი ანჯამებიდან ვარდება. ზღურბლზე ჰაგრიდი დგას და იქ მყოფებს თვალს მოავლებს.

ჰაგრიდი: ერთ ფინჯან ჩაის ხომ არ შემომთავაზებდით, ჰა? გზაში, ცოტა არ იყოს, გავწვალდი...

დადლი დერსლი: ეს... ვინლაა?

ძია ვერნონი: აქეთ, აქეთ! მე ამომეფარეთ, პეტუნია, დადლი. ამ საფრთხოებელას სულს გავაცხებინებ.

პაბრიდი: რაო?

ძია ვერნონს ხელიდან თოფს სტაცებს.

კაი ხანია, ესეთები არ მინახია.

თოფის ლულას ღუნავს და ისე კვანძავს, თითქოს რეზინისა ყოფილიყოს.

ესეც ასეეეე!

ამ დროს პატარა პარის ხედავს და მთელი ყურადღება მასზე გადააქვს.

პარი პოტერ.

პატარა პარი: გამარჯობა.

პაბრიდი: ბოლოს რომ გნახე, სულ პატარა იყავი. მამაშენს ჰგავხარ, მაგრამ თვალები დედისა გაქვს.

პატარა პარი: ჩემს მშობლებს იცნობდით?

პაბრიდი: სულ დამავიწყდა. დაბადების დღეს გილოცავ. ჰო, ისა, რალაცა მოგიტანე. მგონი, ცოტა გავჭყლიტე, მაგრამ არა უშავს, მაინც გემრიელი იქნება.

პალტოს გულის ჯიბიდან ოდნავ შეჭყლუტულ მოკოლადის ტორტს იღებს. ზედ ზურმუხტისფერი მინანქრით ანერია: „პარი, გილოცავ დაბადების დღეს“.

პატარა პარი: თქვენ ვინ ბრძანდებით?

პაბრიდი (როხროხით): სწორია, სულ დამავიწყდა თავი გამეცნო. რუბეუს ჰაგრიდი, ჰოგვორტსის გასაღებებისა და მინების მცველი. (აქეთ-იქით იყურება) ჩაის საქმე როგორ იქნება, ა? რომ გქონდეთ, უფრო მაგარ რამეზეც არ ვიტყვოდი უარს.

პატარა პარი: ჰოგ... რისი მცველი?

პაბრიდი: ჰოგვორტსის. ჰოგვორტსის შესახებ, რა თქმა უნდა, ყველაფერი იცი.

პატარა პარი: არა, არ ვიცი. ძალიან ვწუხვარ.

**ჰაბრიდი:** ნუხხარ? შენ კი არა, აი, ვინ უნდა ნუხდეს! არა, ნერილებს რომ არ იღებდი, ვიცი, მაგრამ ჰოგვორტსზე თუ წარმოდგენა არ გექნებოდა, როგორ ვიფიქრებდი! არ დაინტერესებულხარ, შენმა მშობლებმა სად ისწავლეს ეს ყველაფერი?

**პატარა ჰარი:** რა ყველაფერი?

*ჰაბრიდი მუქარით ტრიალდება ძია ვერნონისკენ.*

**ჰაბრიდი:** თქვენ რა, იმის თქმა გინდათ, რომ აი, ამ ბიჭმა, ამ ბიჭმა, საერთოდ, არაფერი იცის? სულ, სულ არაფერი?!

**ძია ვერნონი:** კმარა! მე გიკრძალავთ, რომ ბიჭს რამე უთხრათ!

**პატარა ჰარი:** რა მითხრათ?

*ჰაბრიდი ჯერ ძია ვერნონს გადახედავს და შემდეგ პატარა ჰარის.*

**ჰაბრიდი:** ჰარი, შენ ჯადოქარი ხარ. შენ ყველაფერი შეცვალე. შენ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ჯადოქარი ხარ.

*ამ დროს ოთახის ბოლოდან ჩურჩული აღწევს და თანდათან ყველას მკაფიოდ ესმის სიტყვები. ხმა, რომელიც ამ სიტყვებს წარმოთქვამს, მხოლოდ მას შეიძლება ეკუთვნოდეს. ეს ვოლდემორის ხმაა...*

**ჰაარი პოტტტერ...**



## მოქმედება 1 სცენა მეცხრა

### ჰარი და ჯინი პოტერების სახლი, საქინაბელი

ჰარის შუალამისას ეღვიძება. სიზნელეში მისი მძიმე სუნთქვა ისმის.

წუთით ჩუმად წევს და ცდილობს, დამშვიდდეს. მაგრამ უეცრად შუბლზე, ნაიარევის მიდამოში, მწვავე ტკივილი უვლის. მის გარშემო შავი მაგიის ღრუბელი იხლართება.

ჯინი: ჰარი...

ჰარი: არაფერია. დაიძინე.

ჯინი: ლუმოს.

ოთახი ჯადოსნური ჯოხის წვერიდან გამოჭრილი სინათლით ივსება. ჰარი ცოლს თვალს უსწორებს.

ცუდი სიზმარი ნახე?

ჰარი: კი.

ჯინი: რაზე?

ჰარი: დერსლებზე, ყოველ შემთხვევაში, დერსლებით დაიწყო და მერე სხვანაირად გაგრძელდა.

პაუზა. ჯინი შესცქერის და მისი გამომეტყველების ამოკითხვას ცდილობს.

ჯინი: ძილის წამალი ხომ არ გინდა?

ჰარი: არა, კარგად ვარ. დაიძინე.

ჯინი: კარგად ყოფნისა არაფერი გეტყობა.

ჰარი არაფერს პასუხობს.

(ამჩნევს მის მღელვარებას) ვიცოდი, რომ ამოს დიგორისთან შეხვედრა კვალს დატოვებდა.

ჰარი: სიბრაზეს როგორღაც ვუმკლავდები, მაგრამ ის, რომ ამოსი მართალია, ბოლოს მიღებს. შვილი ჩემ გამო დაკარგა.

ჯინი: მგონი, მეტისმეტად მკაცრად სჯი საკუთარ თავს...

ჰარი: ...თან სათქმელიც რომ არაფერი მაქვს! ვის რა უნდა ვუთხრა. ხმას ამოვიღებ თუ არა, საქმეს უფრო ვაფუჭებ...

ჯინი ხვდება: რას გულისხმობს, უფრო სწორედ, ვის.

ჯინი: აი, თურმე რას განიცდი ასე ძალიან. ჰოგვორტსში გამგზავრების წინა საღამოს გუნება რომ მოშხამული აქვს, რა გასაკვირია. ხომ ვიცით, რომ იქ დაბრუნება არ უნდა. ალისთვის საბანის მიცემა გულითადი შესტი იყო.

ჰარი: მერე დიალოგი საკმაოდ ცუდად წარიმართა. ზედმეტი რაღაცები ვუთხარი, ჯინი...

ჯინი: ვიცი, გავიგონე.

ჰარი: და მაინც მელაპარაკები?

ჯინი: იმიტომ, რომ ვიცი, შესაფერისი დრო როცა დადგება, ბოდიშს მოუხდი. ეტყვი, რომ სინამდვილეში ასე არ ფიქრობ. ის სიტყვები შენ... სხვა მიზეზებმა გათქმევინა. ჰარი, შეგიძლია მასთან გულახდილი იყო. მას მხოლოდ ეს სჭირდება.

ჰარი: ნეტავ ჯეიმსსა და ლილის უფრო მეტად ჰგვანებოდა.

ჯინი (მშრალად): მთლად ასეთი გულახდილიც ნუ იქნები.

ჰარი: არა, მასში არაფრის შეცვლას არ ვისურვებდი... უბრალოდ, დანარჩენი ორი შვილისა კარგად მესმის, ეს კიდევ...

ჯინი: ალბუსი სხვანაირია და განა ეს კარგი არაა? თანაც, იცი, მაშინვე ხვდება, როცა ჰარი პოტერის ნიღაბს ირგებ. უნდა, შენი ნამდვილი სახე დაინახოს.

ჰარი: სიმართლე მშვენიერი, მაგრამ ამასთანავე საშინელი რამ არის, ამიტომ მასთან დიდი სიფრთხილე გვმართებს.

ჯინი გაოცებული შეხედავს.

დამბლდორის სიტყვებია.

**ჯინი:** ცოტა უცნაურია, ბავშვს ასეთი სიტყვები უთხრა.

**პარი:** სულაც არაა უცნაური, როდესაც იცი, რომ ის ბავშვი სამყაროს გადასარჩენად უნდა მოკვდეს.

*პარის სუნთქვა ეკვრის და თავს ძალას ატანს, ნაიარევს ხელით არ შეეხოს.*

**ჯინი:** პარი, რა გჭირს?

**პარი:** არაფერი, მართლა არაფერი. ყველაფერში გეთანხმები. შევეცდები, უფრო...

**ჯინი:** ნაიარევი გტკივა?

**პარი:** არა, არა, კარგად ვარ. ახლა ჩააქრე ჯოხი და დავიძინოთ.

**ჯინი:** პარი, რამდენი ხანია, რაც ნაიარევი არ აგტკივებია?

*პარი ჯინის მრავლისმეტყველი სახით მიუბრუნდება.*

**პარი:** ოცდაორი წელია.



## მოქმედება 1 სცენა მათა

### ჰოზვორტის ექსპრესი

ალბუსი სწრაფად მიაბიჯებს მატარებლის დერეფანში.

როუზი: ალბუს, შენ გეძებდი...

ალბუსი: მე? რატომ?

როუზი იშმუშნება. არ იცის, რით დაინყოს.

როუზი: ალბუს, უკვე მეოთხე კურსზე გადავედით. ახალი სასწავლო წელი იწყება და მინდა, რომ ისევ ვიმეგობროთ.

ალბუსი: ჩვენ ხომ მეგობრები არასდროს ვყოფილვართ.

როუზი: რა სასტიკი ხარ! ექვსი წლის ასაკში ხომ ჩემი საუკეთესო მეგობარი იყავი!

ალბუსი: ეს დიდი ხნის წინ იყო.

ზურგს აქცევს, მაგრამ როუზი ხელს სტაცებს და ცარიელ კუპეში შეათრევს.

როუზი: ჭორი გაიგე? რამდენიმე დღის წინ სამინისტროს დიდი რეიდი მოუწყვია. მამაშენს ძალიან გამოუჩენია თავი.

ალბუსი: ყველაფერს ჩემზე ადრე რატომ იგებ?

როუზი: ამბობენ, იმ ჯადოქარს, ვის სახლშიც რეიდი მოაწყვეს... მგონი, თეოდორ ნოტი ჰქვია... ბევრი აკრძალული ჯადოქრული ნივთი უპოვეს. მაგრამ ყველაზე მეტად რაზე შეფუცხუნდნენ, იცი? უკანონო დროის მდევარი ჰქონია. თან საკმაოდ ხარისხიანი.

ალბუსი: დროის მდევარი? მამამ დროის მდევარი იპოვა?

როუზი: ჩუ! ჰო, რა მაგარია, არა?

ალბუსი: დარწმუნებული ხარ?

როუზი: რა თქმა უნდა!

ალბუსი: უნდა წავიდე, სკორპიუსი ვიპოვო.

მატარებელს გაუყვება. როუზის აშკარად გადანყვეტილი აქვს, ბოლომდე უთხრას სათქმელი და უკან მისდევს.

როუზი: ალბუს!

ალბუსი: ჩემთან დალაპარაკება ვინ დაგავალა?

როუზი (შემცბარი): კარგი, ჰო. დედაშენმა მამაჩემს ბუ გაუგზავნა... იმიტომ, რომ ნერვიულობდა შენზე. და მეც მგონია...

ალბუსი: თავი დამანებე, როუზ.

სკორპიუსი ამოჩემებულ კუპეში ზის. ალბუსი შედის და როუზიც შეჰყვება.

სკორპიუსი: ალბუს! ო, გამარჯობა როუზ, ეს რა სუნი აგდის?

როუზი: რაო? რამე სუნი ამდის?

სკორპიუსი: არა, კარგი სუნია, ახლად დაკრეფილი ყვავილების და ახალგამომცხვარი პურის ნარევი...

როუზი: ალბუს, რამე თუ დაგჭირდება, აქ ვარ, კარგი?

სკორპიუსი: ანუ, კარგი პურის, სურნელოვანი პურის... პურის... რითაა პური ცუდი?

როუზი თავს გააქნევს და შორდება.

როუზი: პური რითაა ცუდიო...

ალბუსი: ყველგან გეძებდი...

სკორპიუსი: და მიპოვე. გილოცავ! სად დავიმალები. ხომ იცი, მატარებელში ადრე ვჯდები ხოლმე, რომ ხალხის დაჟინებულ მზერას და რეპლიკებს მოვერიდო, და ჩემოდანზე არავინ წამინეროს „ვოლდემორის ნაშიერი“. თან რომ არც ბეზრდებათ... როუზის არ მოვწონვარ, ხო?

ალბუსი მეგობარს ღონივრად ეხვევა და წამით არ უშვებს ხელს. სკორპიუსი გაკვირვებული რჩება.

მმმ... ალბუს. რას მეხუტები... მშვიდობა გაქვს?



ბიჭები ერთმანეთს შორდებიან და უხერხულად იშმუშნებიან.

ალბუსი: ცოტა უცნაური დღე მქონდა და...

სკორპიუსი: რა მოხდა?

ალბუსი: მერე მოგიყვები. ახლა მატარებლიდან უნდა ჩავიდეთ.

შორიდან სასტვენის ხმა ისმის. მატარებელი ადგილიდან იძვრის.

სკორპიუსი: გვიანაა. მატარებელი დაიძრა. წინ, ჰოგვორტსისკენ!

ალბუსი: ესე იგი, მოძრავი მატარებლიდან უნდა ჩავხტეთ.

ტაგილელის მონაწილე: რამეს ხომ არ იხილეთ, ძვირფასებო?

ალბუსი გადაძრომის მიზნით ფანჯარას აღებს.

სკორპიუსი: მოძრავი, ჯადოსნური მატარებლიდან?

ტაგილელის მონაწილე: გოგრის ღვეზელებს, ქვაბურა ნამცხვრებს?

სკორპიუსი: ალბუსს სევერუს პოტერს, შენი გამოხედვა რაღაც არ მომწონს.

ალბუსი: პირველი კითხვა: რა იცი სამი ჯადოქრის ტურნირზე?

სკორპიუსი (კმაყოფილი): ოჰო, ვიქტორინას ვთამაშობთ? სამი სკოლა ირჩევს სამ ჩემპიონს, რომლებიც ერთი თასის მოსაპოვებლად სამ დავალებას ასრულებენ. რამ გაგახსენა?

ალბუსი: იცი, რომ ნამდვილი წიგნის ჭია ხარ?

სკორპიუსი: ვიცი.

ალბუსი: მეორე კითხვა: რატომ არ ჩატარებულა სამი ჯადოქრის ტურნირი ბოლო ოცი წლის განმავლობაში?

სკორპიუსი: ბოლო შეჯიბრებაში მამაშენი და ერთი ბიჭი, ვინმე სედრიკ დიგორი მონაწილეობდნენ... გადანყვიტეს, ორივეს ერთდროულად აელო გამარჯვებულის თასი, მაგრამ თასი პორტაჟი აღმოჩნდა და... ვოლდემორთან გადაიყვანა. სედრიკი მოკლეს. ამის შემდეგ ტურნირი გააუქმეს.

ალბუსი: ყოჩაღ. მესამე შეკითხვა: სედრიკის სიკვდილი აუცილებელი იყო? კითხვაც და პასუხიც მარტივია: არა. ვოლდემორმა თქვა, ზედმეტი მოიშორეთო. ზედმეტიო. ის მარტო იმიტომ დაიღუპა, რომ მამაჩემთან ერთად იყო და მამაჩემმა მისი გადარჩენა ვერ შეძლო... მაგრამ ჩვენ შეგვიძლია. დაშვებული

შეცდომა დროის მდევრის გამოყენებით უნდა გამოვასწოროთ. სედრიკი უნდა დავაბრუნოთ.

**სკორპიუსი:** ალბუს, დროის მდევრის გაგონებაც არ მინდა. ალბათ, ხვდები, რატომაც.

**ალბუსი:** როდესაც ამოს დიგორიმ მამაჩემს დროის მდევარი სთხოვა, მამაჩემმა მისი არსებობაც კი უარყო. მოატყუა მოხუცი, რომელსაც მხოლოდ თავისი შვილის დაბრუნება უნდა, რომელსაც უბრალოდ უყვარს შვილი. და ასე იმიტომ მოიქცა, რომ ფეხებზე ეკიდა... ფეხებზე ჰკიდია. ყველა მამაჩემის საგმირო საქმეებზე ბოდავს. მაგრამ მას შეცდომებიც აქვს დაშვებული. და ზოგი საკმაოდ სერიოზულიც, რომ იცოდე. მე მინდა, მისი ერთ-ერთი შეცდომა გამოვასწორო. მინდა, რომ სედრიკი გადავარჩინოთ.

**სკორპიუსი:** გასაგებია. ვხედავ, საბოლოოდ აგინყვეტია.

**ალბუსი:** მე ამას მაინც ვიზამ, სკორპიუს. ჩემთვის მნიშვნელოვანია ამის გაკეთება. და ჩემი არ იყოს, შენც მშვენივრად იცი, რომ თუ არ გამომყვები, ყველაფერს გავაფუჭებ. ნამოდი ჩემთან ერთად.

*ულიმის და ფანჯრიდან ძვრება. სკორპიუსი ნამით ყოყმანობს. მერე იმანჭება, დგება და ალბუსის კვალდაკვალ უჩინარდება.*





## მოქმედება 1 სცენა მეთერთმეტი

### ჰოგვორტსის ექსპრინის სახურავზე

ძლიერი ქარი უბერავს და გულისწამლებად უსტვენს.

სკორპიუსი: კარგი, უკვე მატარებლის სახურავზე ვართ, სწრაფია, საშიშია, კარგი თავგადასავალი გამოგვივიდა, ვგრძნობ, რომ საკუთარ თავზე ბევრი რამ შევიტყვე და შენც უკეთ გაგიცანი, მაგრამ...

ალბუსი: ჩემი გათვლით, მალე ხიდს უნდა მივუახლოვდეთ. იქიდან წმინდა ოსვალდის სახელობის მოხუცებულ ჯადოქართა თავშესაფარი ახლოსაა, ფეხითაც მივალთ...

სკორპიუსი: რა? სად? მისმინე, მეც შენსავით აღტაცებული ვარ, რომ ცხოვრებაში პირველად ავჯანყდი... ვაშა... მატარებლის სახურავი... აწყვეტა... მაგრამ ახლა... ვაიმე...

სკორპიუსი რაღაცას ხედავს და თავბარი ეცემა.

ალბუსი: თუ ამორტიზებული ბალიშის შელოცვა არ გაჭრის, გადასარჩენად წყალში ჩახტომა მოგვიწევს.

სკორპიუსი: ალბუს! ტკბილეულის დამტარებელი ქალი!

ალბუსი: რამე ტკბილეული გინდა გავიყოლოთ?

სკორპიუსი: არა, ალბუს! ჩვენკენ მოდის!

ალბუსი: შეუძლებელია. მატარებელზე ვართ...

სკორპიუსი თითის გაშვერით გაახედებს ალბუსს საჭირო მიმართულებით და ახლა უკვე ისიც ხედავს ტკბილეულით მოვაჭრე ქალს, რომელიც მათკენ უდარდელად მოაბიჯებს, თან თავის ურიკას მოაგორებს.

**ტკბილეულით მოვაჭრა:** რამეს ხომ არ ინებებთ, ძვირფასე-  
ბო? გოგრის ღვეზელებს, შოკოლადის ბაყაყებს, ქვაბურა  
ნამცხვრებს?

**ალბუსი:** ვაი.

**ტკბილეულით მოვაჭრა:** მოსწავლეებმა ჩემზე თითქმის არაფერი  
იციან. ჩემს ნამცხვრებს ყიდულობთ, მაგრამ მე ხეირიანად  
ვერც კი მამჩნევთ. აღარც მახსოვს, ბოლოს როდის მკითხეს  
სახელი.

**ალბუსი:** რა გქვიათ?

**ტკბილეულით მოვაჭრა:** დამავინწყდა. მხოლოდ ის მახსოვს, რომ  
როდესაც ჰოგვორტსის ექსპრესი პირველად გავიდა სადგურ-  
რიდან, ეს სამუშაო თვით ოტალინ გემბოლმა შემომთავაზა...

**სკორპიუსი:** ეს ხომ ას ოთხმოცდაათი წლის წინ იყო. ამდენი ხანია,  
რაც აქ მუშაობთ?

**ტკბილეულით მოვაჭრა:** ამ ხელებით ექვს მილიონზე მეტი გოგრის  
ღვეზელი დამიმზადებია. ამასობაში გვარიანად დავხელოვ-  
ნდი. მაგრამ ერთ რამეს კი დღემდე ვერავინ მიმხვდარა – რომ  
ჩემი ღვეზელები ხელის ერთი მოსმით შეიძლება სულ სხვა  
რამედ გადაიქცეს...

*გოგრის ერთ ღვეზელს იღებს და ხელყუმბარასავით ისვრის. ღვე-  
ზელი ფეთქდება.*

და ვერც წარმოიდგენთ, ჩემს შოკოლადის ბაყაყებს რა შეუძ-  
ლიათ. ამ მატარებლიდან არასდროს არავინ გამპარვია, სანამ  
დანიშნულების ადგილს არ მივალწევდით. ზოგს უცდია, სი-  
რიუს ბლექსა და მის კმაბიჭებს, ფრედ და ჯორჯ უისლებს.  
არაფერი გამოუვიდათ! რადგან ამ მატარებელს არ უყ-  
ვარს, როცა მგზავრები ტოვებენ...

*ტკბილეულით მოვაჭრე ჯადოქარი ბიჭებს უღიმის და ხელებზე  
ბასრი კლანჭები ეზრდება.*

გთხოვთ, დაუბრუნდეთ თქვენს კუპეს და მგზავრობა გააგრძე-  
ლოთ.

**ალბუსი:** მართალი იყავი, სკორპიუს. ეს მატარებელი ჯადოსნურია.

საორპიუსი: ამ კონკრეტულ შემთხვევაში სულაც არ მიხარია, რომ მართალი გამოვდექი.

ალბუსი: მაგრამ მეც მართალი ვიყავი... ხიდზე რომ გითხარი... ქვემოთ წყალია, დროა, ამორტიზებული ბალიშის შელოცვა ვცადოთ.

საორპიუსი: ალბუს, ძალიან ცუდი აზრია.

ალბუსი: მართლა? (წამით ყოყმანობს, მაგრამ მალევე ხვდება, რომ უკან ველარ დაიხვეს) უკვე გვიანია. სამი, ორი, ერთი, მოლიარე!

შელოცვას წარმოთქვამს თუ არა, ხტება.

საორპიუსი: ალბუს... ალბუს...

სასონარკვეთილი კისერს იგრძელებს და მეგობარს ჩასცქერის. მერე მისკენ მომავალ ტკბილეულით მოვაჭრე ჯადოქარს შეხედავს. ჯადოქარს გაშლილ თმას ქარი უწენავს, ბასრ კლანჭებად ქცეული ხელები მუქარით მოუღერებია.

რა გიყოთ, თქვენი გარეგნობით კი მოხიბლული ვარ, მაგრამ მეგობარს ვერ ვალოდინებ.

ცხვირზე ორ თითს იჭერს და ალბუსის კვალდაკვალ ხტება შედახილით:

მოლიარე!





## მოქმედება 1 სცენა მეთორმეტი

### მაგიის სამინისტროს სათათბირო დარბაზი

სცენა სავსეა ჯადოქრებით და როგორც ჯადოქრებს სჩვევიათ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცდიან. დგას ერთი გნიასი და ღრია-ნცელი. ჯინი, დრაკო და რონიც აქ არიან. ზემოთ, შემალლებულ პლატფორმაზე, ჰერმიონი და ჰარი მოჩანან.

**ჰერმიონი:** გთხოვთ წესრიგი დაიცვათ! მაინცდამაინც სიჩუმის შელოცვა უნდა გამომაყენებინოთ?! (ჯადოსნური ჯოხის მსუბუქი დაქნევით დამსწრეთა ხმებს შთანთქავს და სიჩუმე დგება) მაშ, ასე. რიგგარეშე საერთო კრებას გახსნილად ვაცხადებ. მოხარული ვარ, რომ ბევრმა თქვენგანმა მოახერხა მოსვლა. ჯადოქრული სამყარო უკვე მრავალი წელია მშვიდობიანად ცხოვრობს. ოცდაორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჰოგვორტსის ბრძოლაში ვოლდემორი დავამარცხეთ და სიამაყით შემოიძლია ვთქვა, რომ ახალმა თაობამ ომზე მხოლოდ გადმოცემით იცის. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასე იყო. ჰარი, გისმენთ.

**ჰარი:** ბოლო რამდენიმე თვეა, ვოლდემორის მომხრეები გააქტიურდნენ. როგორც ჩვენი აურორები გვატყობინებენ, მთელ ევროპაში ტროლები დაეხეტებიან, გოლიათები ზღვებში დააბიჯებენ, მაქციები კი... მათი კვალი, სამწუხაროდ, რამდენიმე კვირის წინ დავკარგეთ. ჩვენ არ ვიცით, საით მიეშურებიან, ან ვის ბრძანებას ემორჩილებიან... მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ ერთ ადგილზე არ ისვენებენ... და ამ ყველაფრის

შესაძლო მიზეზები გვაფიქრებს. ამიტომ გთხოვთ, თუ ვინმეს რამე გინახავთ, გიგრძნიათ, ასწიეთ ჯადოსნური ჯოხი და აუცილებლად გადმოგცემთ სიტყვას. გისმენთ, პროფესორო მაკონაგელ.

**პროფესორი მაკონაგელი:** ზაფხულის არდადეგების შემდეგ სკოლაში რომ დავბრუნდით, შხამ-წამლების მარაგი გაძარცვული დაგვხვდა, მაგრამ ბევრი ინგრედიენტი არ წაუღიათ. ცოტაოდენი გუდაფშუტას გახეხილი კანი გვაკლდა და ფართოფრთიანი ბუხები, ისეთი არაფერი, რაც აკრძალული შხამ-წამლების სიაშია. ამიტომ მაშინვე პივსზე მივიტანეთ ეჭვი.

**პერიონი:** გმადლობთ, პროფესორო. მაგ ამბავს გამოვიძიებთ (ოთახში მყოფებს თვალს ავლებს). სხვას ხომ არავის გაქვთ სათქმელი? კეთილი. და რაც ყველაზე უარესია, და ვოლდემორის განადგურების შემდეგ არ მომხდარა: ჰარის ნაიარევი ისევ სტკივა.

**დრაკო:** ვოლდემორი მკვდარია. ვოლდემორი აღარ არსებობს.

**პერიონი:** კი, დრაკო, ვოლდემორი მკვდარია, მაგრამ ეს მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ არსებობს შესაძლებლობა, რომ ვოლდემორი... ან მისი აჩრდილი... დაბრუნდა.

*ამ სიტყვებს ჩოჩქოლი მოჰყვება.*

**ჰარი:** ჩვენთვისაც რთულია, მაგრამ იძულებულები ვართ გკითხოთ, რომ საბოლოოდ გამოვრიცხოთ. ვისაც „შავი ნიშანი“ გაქვთ, ბოლო დროს რამე ხომ არ გიგრძნიათ? ოდნავ მაინც ხომ არ გწინქნიდათ?

**დრაკო:** რა თქმა უნდა, მაშინვე შავნიშნიანებზე მივიტანეთ ეჭვი, არა, პოტერ?

**პერიონი:** არა, დრაკო. ჰარი უბრალოდ ცდილობს, რომ...

**დრაკო:** მე გეტყვი, საქმე როგორაა: ჰარის თავისი სახის გაზეთებში გამოქვენება მოენატრა. ჭორები ვოლდემორის დაბრუნების თაობაზე ნელინადში ერთხელ მაინც იბეჭდება „დილის მისანში“...

**ჰარი:** მე არცერთი ჭორი არ გამივრცელებია!

**დრაკო:** მართლა? „დილის მისანს“ შენი ცოლი არ არედაქტირებს?

*გაცოფებული ჯინი წინ ნაბიჯს დგამს.*

**ჯინი:** მხოლოდ სპორტულ სვეტს!

**პერმიონი:** დრაკო, ჰარიმ ეს საკითხი სამინისტროში წამოწია. და მე, როგორც მაგიის მინისტრი...

**დრაკო:** თანამდებობა, რომელიც მასთან მეგობრობის წყალობით მოიპოვე....

*დრაკოსკენ რონი გაიწეწვს, მაგრამ ჯინი შეაჩერებს.*

**რონი:** გინდა, სახეში მოგცხო?

**დრაკო:** აღიარეთ, მისი პოპულარობა ყველას ხელს გაძლევთ. და როგორ გავხადოთ პოტერი კვლავ აქტუალური? ყველას ისევ პირზე რომ ეკეროს მისი სახელი? როგორ და... (ჰარის აჯაერებს) „ნაიარევი მტკივა, ნაიარევი მტკივა...“ და იცით, ეს ყველაფერი რას ნიშნავს? რომ ჭორიკნებს ისევ ეძლევათ შესაძლებლობა, ჩემი შვილის წარმომავლობას ჩირქი მოსცხონ.

**ჰარი:** დრაკო, არავინ ამბობს, რომ ამ ყველაფერს სკორპიუსთან რამე საერთო აქვს...

**დრაკო:** ეს შეხვედრა თვალთმაქცობაა და მეტი არაფერი. მე აქ არაფერი მესაქმება. ნახვამდის!

*გადის. მონანილეები დაშლას იწყებენ.*

**პერმიონი:** არა, ასე არ შეიძლება... დაბრუნდით. სტრატეგია ხომ უნდა შევიმუშაოთ!





## მოქმედება 1 სცენა მეცამეტა

### წმინდა ოსვალდის სახელობის მოხუცებულ ჯადოქართა თავშესაფარი

წმინდა ოსვალდის სახელობის მოხუცებულ ჯადოქართა თავშესაფარში სრული ქაოსი სუფევს. იქაურობა მაგიას აქვს აკლებული და თვალწინ არნახული სანახაობა იშლება.

ორთოპედიული სამარჯვები გაუცოცხლებიათ და აქეთ-იქით დახტიან, საქსოვი ძაფები ყველგან ქსელს აბამენ, სანიტარი ბიჭები, თითქოს რალაცა შეუჩნდათო, ტანგოს ცეკვავენ.

ჯადოქრებს აქ მოხსნილი აქვთ მაგიის გონივრულად გამოყენების ტვირთი და თავშესაქცევად ჯადოქრობენ. გართობა კი, ეტყობათ, რომ კარგად გამოსდით!

ალბუსი და სკორპიუსი შემოდიან და გაოცებულები, გახალისებულები და, ცოტა არ იყოს, შეშინებულები ათვალთქვნიან იქაურობას.

ალბუსი და სკორპიუსი: უკაცრავად. უკაცრავად... უკაცრავად!

სკორპიუსი: სულ გაუფრენიათ აქ.

ალბუსი: ჩვენ ამოს დიგორის ნახვა გვინდა.

მოულოდნელად სრული სიჩუმე დგება. ყველა და ყველაფერი ადგილზე შეშდება და იქაურობა მაშინვე სევდიანდება.

მატყლივით გაჩეჩილთმინანი ძალი: თქვენისთანა ბიჭებს იმ საცოდავი ბებრუხანასგან რა დასჭირვებიათ?

შემოდის მოლიმარი დელფი.

დეღი: ალბუს? ალბუს! მოხვედი? რა კარგია! წამოდი, ამოსი ინა-  
ხულე!





## მოქმედება 1 სცენა მეთოთხეატი

### ნინდა ოსვალდის სახელობის მოხუცებულ ჯადოქართა თავმჯდომარე, ამოსის ოთახი

ამოსი სკორპიუსსა და ალბუსს გაღიზიანებული ხვდება. დელფი სამივეს აკვირდება.

ამოსი: ერთი კარგად გამაგებინეთ... ესე იგი, ჩვენი საუბარი მოისმინეთ... თანაც უნებართვოდ მოგვაყურადეთ და... რატომღაც, ჩვენს დაუკითხავად და თვითნებურად გადაწყვეტით, ჩვენს საქმეში ცხვირი ჩაყოთ, ხომ?

ალბუსი: მამაჩემმა მოგატყუათ. ზუსტად ვიცი. სამინისტროს აქვს დროის მდედარი.

ამოსი: რა თქმა უნდა, აქვს! შეგიძლიათ ნაბრძანდეთ. თავისუფალი ხართ.

ალბუსი: რაო? არა, ჩვენ აქ თქვენს დასახმარებლად მოვედით.

ამოსი: დასახმარებლად? რა უნდა გამიკეთოთ ცხვირმოუხოცავმა ლლაპებმა?

ალბუსი: მამაჩემმა დაამტკიცა, რომ ჯადოქრული სამყაროს გადასარჩენად აუცილებელი არაა, სრულწლოვანი იყო.

ამოსი: ესე იგი, ჩემს საქმეში ჩარევის უფლება იმიტომ უნდა მოგცე, რომ პოტერი ხარ? შენს გვარს ბოროტად ხომ არ იყენებ?

ალბუსი: არა!

ამოსი: თან ამას მეუბნება პოტერი, რომელიც სლიზერინის კლუბშია გამწესებული... დიახ, შენზე ნავიკითხე... ჩემს სანახავად მობრძანდება და თან მალფოი მოჰყავს... მალფოი, რომელიც

შეიძლება სულაც ვოლდემორია. ვინ იცის! როგორ დამიმტკიცებ, რომ შავი მაგიის მიმდევარი არ ხარ?

**ალბუსი:** კი, მაგრამ...

**ამოსი:** შენი ინფორმაცია სიახლე არ ყოფილა, მაგრამ დადასტურებაც საქმეა. ჩანს, მამაშენმა მართლაც იცრუა. ახლა გამეცალეთ. ორივე მომშორდით. დროს ნუ მაკარგვინებთ.

**ალბუსი (შეუპოვრად):** არა! კარგად მომისმინეთ! თქვენ თვითონ არ თქვით, რომ მამაჩემის გამო ბევრი სისხლი დაიღვარა? მომეცით უფლება დაგეხმაროთ და შევცვალოთ ეს. მომეცით უფლება, რომ გამოვასწორო მისი ერთ-ერთი შეცდომა. მენდეთ.

**ამოსი (ხმას იმაღლებს):** არ გესმის ჩემი, ბიჭო? შენი ნდობის საფუძველი არ მაქვს. ნადით. ახლავე ნადით, სანამ აქედან გამიყრიხართ.

*მუქარით უღერებს ჯადოსნურ ჯოხს. ალბუსი ჯოხს თვალს ჰკიდებს და ფარ-ხმალს ყრის. ამოსმა არჩევანი არ დაუტოვა.*

**სკორპიუსი:** წამოდი, მეგობარო. მე და შენ ერთი რამ კი კარგად ვიცით: იქ არ უნდა გავჩერდეთ, სადაც ჩვენი ყოფნა არ უხარიათ.

*ალბუსი ფეხს ითრევს. სკორპიუსი მკლავზე ექაჩება. მიბრუნდება და ორივენი მიდიან.*

**დელფი:** მე ვიცი ერთი მიზეზი, რატომაც უნდა ენდო მათ, ბიძია.

*ბიჭები ჩერდებიან.*

შენი დახმარების სურვილი მარტო მათ გამოთქვეს. მზად არიან, თავი საფრთხეში ჩაიგდონ, ოღონდ შვილი დაგიბრუნონ. დარწმუნებული ვარ, მარტო აქ მოსვლითაც კი უკვე შეიქმნეს პრობლემა...

**ამოსი:** მაგრამ საქმე სედრიკს ეხება...

**დელფი:** თანაც, შენ თვითონ არ თქვი, ჰოგვორტსში ჩვენიანის ყოფნა ძალიან ნაგვადგებოდაო?

*დელფი ამოსს ხელზე კოცნის. ამოსი დელფის უყურებს და შემდეგ ბიჭებს უბრუნდება.*

ამოსი: რატომ? რატომ გინდათ თავი საფრთხეში ჩაიგდოთ? თქვენ რა ხეირი?

ალბუსი: მე ვიცი, რას ნიშნავს, იყო ზედმეტი. თქვენს შვილს სიკვდილი არ დაუმსახურებია, ბატონო დიგორი. ჩვენ დაგეხმარებით მის დაბრუნებაში.

ამოსი (ბოლოს და ბოლოს ხმა ებზარება): ჩემი ბიჭი... ჩემი ბიჭი ჩემი ცხოვრების უდიდესი საჩუქარი იყო... მართალი ხარ... უსამართლობა მოხდა, დიდი უსამართლობა. თუ სერიოზულად ამბობთ...

ალბუსი: სრული სერიოზულობით გეუბნებით...

ამოსი: საწიფათო გზას ადგახართ.

ალბუსი: ვიცი.

სკორპიუსი: ვიცი?

ამოსი: დელფი, შენც ხომ არ გაყვებოდით?

დელფი: თუ თქვენ ასე გინდათ, რა თქმა უნდა, გაყვები, ბიძია.

ალბუსს უღიმის, პასუხად ალბუსიც უღიმის.

ამოსი: ხომ კარგად აცნობიერებთ, რომ დროის მდედრის მარტო ხელში ჩაგდებაც კი შეიძლება სიცოცხლის ფასად დაგიჯდეთ?

ალბუსი: მზად ვართ, გავრისკოთ.

სკორპიუსი: მზად ვართ?

ამოსი (დაღვრემილი): იმედი მაქვს, ყველაფერი გამოგივათ.



## მოქმედება 1 სცენა მეთხუთმეტი

### ჰარი და ჯინი პოტერების სახლი, სამზარეულო

ჰარი, რონი, ჰერმიონი და ჯინი ერთად ვახშობენ.

**ჰერმიონი:** დრაკოს რამდენჯერ უნდა ვუთხრა, რომ სამინისტროში სკორპიუსზე არავინ ავრცელებს ხმებს. ჭორები ჩვენგან არ გადის.

**ჯინი:** მე მივწერე, როცა ასტორია გარდაიცვალა. ვკითხე, რამით ხომ არ შეგვიძლია დაგეხმაროთ-მეთქი. ვიფიქრე, რაკი ბიჭები ასე მეგობრობენ, იქნებ სკორპიუსს საშობაო არდადეგებზე რამდენიმე დღის ჩვენთან გატარება მოსურვებოდა... პასუხად დამიბრუნა წერილი, რომელშიც მხოლოდ ერთი წინადადება ეწერა: „შენს ქმარს უთხარი, ერთხელ და სამუდამოდ უარყოს ხმები ჩემი შვილის შესახებ“.

**ჰერმიონი:** ეს ამბავი მოსვენებას არ აძლევს.

**ჯინი:** სრულ ჭკუაზე არაა. მწუხარებამ გონება დააკარგვინა.

**რონი:** კი მეცოდება, მაგრამ ჰერმიონს რომ ადანაშაულებს... იცი, რა (ჰარის გახედვას)... სულ ამას ვეუბნები, შეიძლება ეს სულაც არაფერს ნიშნავდეს-მეთქი.

**ჰერმიონი:** ვის?

**რონი:** იქნებ ტროლები წვეულებაზე მიდიან, გოლიათები ქორწილში, შენ კიდეც კოშმარები იმიტომ გესიზმრება, რომ ალბუსზე ღელავ, ნაიარევი კი შეიძლება იმიტომ გტკიოდეს, რომ ბერდები.

**ჰარი:** ვბერდები? გმადლობ, მეგობარო.

**რონი:** გეუბნები. ყოველ დაჯდომაზე ხენეშა გამიდის. და ფეხები? აღარ იკითხავ, როგორ მანუხებს? ჩემი ფეხების ტკივილზე ერთი კაი პოემა დაინერებოდა. იქნებ შენი ნაიარევიც ასეა.

**ჯინი:** რას ბოდავ.

**რონი:** ბოღვა ხომ ჩემი სტიქიაა. სხვებისგან სწორედ ეს განმასხვავებს. ეგ და ჩემი საშატალოე საუზმის დიდი მარაგი. და ჩემი სიყვარული ყველა თქვენგანის მიმართ, წვნიკი ჯინის ჩათვლით.

**ჯინი:** წესიერად თუ არ მოიქცევი, რონალდ უისლი, დედას ვეტყვი.

**რონი:** არა, ასე არ გამწირავ.

**პერმიონი:** თუ ვოლდემორი რალაც ფორმით მაინც არსებობს, ამისათვის მზად უნდა ვიყოთ. მეშინია.

**ჯინი:** მეც მეშინია.

**რონი:** მე არავისი არ მეშინია. დედაჩემის გარდა.

**პერმიონი:** სერიოზულად გეუბნები, ჰარი. არ ვაპირებ, კორნელიუს ფაჯივით მოვიქცე. თავს სირაქლემასავით ქვიშაში არ ჩავრგავ და ნამდვილად არ მაძარდებს, თუ ეს ნაბიჯი დრაკო მალფოის არაპოპულარული მოეჩვენება.

**რონი:** შენ პოპულარობას ისედაც ვერასდროს ირგებდი, გახსოვს?

*პერმიონი გამანადგურებელ მზერას ტყორცნის რონს და დარტყმას უპირებს, მაგრამ ის განზე ხტება.*

*ამაცილა!*

*ამ დროს ჯინის ხელი ხვდება და სახე ტკივილით ემანჭება.*

*აუ, რა მომარტყა!*

*მოულოდნელად ოთახში ბუ შემოფრინდება, დაბლა ეშვება და ჰარის თეფშზე წერილს უგდება.*

**პერმიონი:** ფოსტისთვის ცოტა გვიანი არაა?

*ჰარი წერილს ხსნის და გაოცებისგან თვალები უფართოვდება.*

**ჰარი:** პროფესორ მაკგონაგელისგანაა.

**ჯინი:** რაო, რას იწერება?

ჰარის სახე ელუშება.

ჰარი: ჯინი... ალბუსი და სკორპიუსი... სკოლაში არ მისულან. დაი-  
კარგნენ.







## მოქმედება 1 სცენა მეთექვსმეტი

### უაიტჰოლი, სარდაზი

სკორპიუსი თვალმოჭუტული დასცქერის ბოთლს.

სკორპიუსი: ესე იგი, პირდაპირ ვსვამ?

ალბუსი: წიგნის ჭიასა და შხამ-წამლების ექსპერტს მე უნდა გიხსნიდე, როგორ მოქმედებს მრავალწვნიანი სასმელი? კიდევ კარგი, დელფიმ ითავა მომზადება. ჩვენ ისლა დაგვრჩენია დავლიოთ, სახე ვიცვალეთ და მაგიის სამინისტროში შევალწიოთ.

სკორპიუსი: გასაგებია. ორი კითხვა მაქვს. პირველი: მტკივნეულია?

დელფი: რამდენადაც ვიცი, საკმაოდ.

სკორპიუსი: გმადლობთ. გულზე მომეშვა. მეორე კითხვა: რომელიმემ იცით, როგორი გემო აქვს? იმიტომ მაინტერესებს, რომ გამიგია, თევზის გემო დაჰკრავსო და თუ მართლა ასეა, იცოდეთ, რომ გული ამერევა და უკან ამოვიღებ. თევზი საშინლად მწყენს. ყოველთვის მწყენდა და ყოველთვის მანწყენს.

დელფი: გავითვალისწინებთ. (სასმელს გადაჰკრავს) თევზის გემო არ აქვს (გადაქცევას იწყებს და ტკივილისგან იკრუნჩხება). სხვათა შორის, საკმაოდ სასიამოვნო გემო აქვს. მტკივნეული კია, მაგრამ... (ხმამალა აბოყინებს) არა, მოიცა... თევზის ოდნავი (ისევ აბოყინებს და ჰერმიონად იქცევა)... ოდნავი... არა, ძლიერი გემო დამრჩა პირში.

ალბუსი: საოცრებაა!

სკორპიუსი: სასწაულია!

დელფი/ჰერმიონი: ვერც კი მივხვდი, როგორ... ვაა, ხმაც კი მისი მაქვს! ნამდვილი სიგიჟეა!

ალბუსი: კარგი, ახლა ჩემი ჯერია.

სკორპიუსი: ვერ მოგართვი! თუ ვსვამთ, ერთად ვსვამთ (ყველასათვის ნაცნობ სათვალეს იღებს ჯიბიდან და იკეთებს).

ალბუსი: სამი, ორი, ერთი.

ერთი მოყლუპვით სვამენ.

არა უშავს (აუტანელი ტკივილი უვლის). არა, არა, ძალიანაც უშავს.

ორივენი გადაქცევას იწყებენ და სიმწრით იგრიხებიან.

ალბუსი რონად გადაიქცევა, სკორპიუსი – ჰარიდ.

ერთმანეთს გადახედავენ და ცოტახანს ჩუმად არიან.

ალბუსი/რონი: ძალიან უცნაური რაღაც წამოვიწყეთ, არა?

სკორპიუსი/ჰარი (თავისი როლი მოსწონს და დრამატული ხმით პასუხობს): წადი შენს ოთახში. აბა, მოუსვი. უმადური, ყოვლად უვარგისი შვილი ხარ.

ალბუსი/რონი (იციინის): სკორპიუს...

სკორპიუსი/ჰარი (მანტიას იგდებს მხრებზე): შენი იდეა იყო, რომ მე მამაშენი უნდა ვყოფილიყავი და შენ – რონი! რატომაც არა, ცოტა გავერთოთ, სანამ მე... (ხმამალლა აბოყინებს). ფუ, რა საზიზღრობაა.

ალბუსი/რონი: სხვათა შორის, ძია რონს გვარიანი ღიპი წამოზრდია. კარგად კი მალავს, აქამდე არ შემიმჩნევია.

დელფი/ჰერმიონი: მგონი, დროა, დავიძრათ, არა?

ქუჩაში გადიან. სატელეფონო ჯიხურში შედიან და კრეფენ ნომერს 62442.

სატელეფონო ჯიხური: მოგესალმებით, ჰარი პოტერ. მოგესალმებით ჰერმიონ გრეინჯერ. მოგესალმებით, რონალდ უისლი.

ერთმანეთს უღიმიან. სატელეფონო ჯიხური სცენის იატაკში უჩინარდება.



## მოქმედება 1 სცენა მიწვიდგეცა

### მაგიის სამინისტრო, სათათბირო ოთახი

ჰარი, ჰერმიონი, ჯინი და დრაკო პატარა ოთახში ბოლთას სცემენ.

**დრაკო:** ლიანდაგის მიმდებარე ტერიტორია გადაამოწმეთ?

**ჰარი:** ჩემმა დეპარტამენტმა მთელი ტერიტორია ერთხელ უკვე გადაჩხრიკა, მაგრამ კიდევ ეძებენ.

**დრაკო:** ტკბილეულის გამყიდველი ჯადოქრისგან სასარგებლო ვერაფერი შევიტყვეთ?

**ჰერმიონი:** გაგიჟებულა. გაიძახის, ოტალინ გემბოლს იმედი გავუცრუეო. ყოველთვის ეამაყებოდა ის, რომ ჰოგვორტსში ყველა მგზავრი უვნებლად ჩაჰყავდა.

**ჯინი:** მაგლებს ხომ არ განუცხადებიათ ჯადოქრობის შემთხვევების შესახებ?

**ჰერმიონი:** ჯერჯერობით არა. მაგლების პრემიერ-მინისტრი გავაფრთხილე და დამპირდა, რომ „სამძებრო საქმეს წამოიწყებს უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მიმართ“. შელოცვა-სავით ჟღერს, მაგრამ შელოცვა არაა.

**დრაკო:** ანუ მაგლების იმედზე ვართ? ბარემ ჰარის ნაიარევზეც მოგეყოლა მათთვის.

**ჰერმიონი:** მაგლებს უბრალოდ დახმარება ვთხოვეთ. ჰარის ნაიარევს რაც შეეხება... ჯერ არ ვიცი, ამ ამბავთან როგორაა დაკავშირებული, მაგრამ ამ საკითხს სერიოზულად ვეკიდებო. ჩვენი აურორები ამონებენ ყველას, ვინც ოდესმე შემჩნეული ყოფილა შავ მაგიაში და...

**დრაკო:** სიკვდილის მხვრელები აქ არაფერ შუაში არიან.

**ჰარი:** მე ამაში ასე დარწმუნებული ვერ ვიქნებოდი.

**დრაკო:** დარწმუნებული კი არა, მართალი ვარ. შავი მაგიით დღეს მარტო ჭკუასუსტები არიან გატაცებულები... მალფოის შვილს ვერაფერს გაუბედავდნენ.

**ჰარი:** ეს იმ შემთხვევაში, თუ რალაც ახალი საფრთხე არ გაჩნდა...

**ჯინი:** მე დრაკოს ვეთანხმები. არ მგონია, საქმე გამტაცებლებთან გვექონდეს... ალბუსის გატაცება კიდევ მესმის, მაგრამ ორივეს რატომ წაიყვანდნენ...

*ჰარი ცოლის მზერას აწყდება და ხვდება, რომ ჯინი მისგან სიმართლის თქმას მოელის.*

**დრაკო:** მიუხედავად იმისა, რომ ცდა არ დავაკელი, როგორმე ლიდერად მექცია, სკორპიუსი ინიციატივიანი არაა. დარწმუნებული ვარ, რომ ალბუსმა გაიტყუა მატარებლიდან. საკითხავი ისაა, სად ჯანდაბაში წაიყვანა.

**ჯინი:** ჰარი, მე და შენ ხომ ვიცით, რომ ბიჭები უბრალოდ ადგნენ და გაიქცნენ.

*დრაკო ამჩნევს, რომ ცოლ-ქმარი საეჭვოდ მისჩერებია ერთმანეთს.*

**დრაკო:** იცით? რამე იცით და არ გვეუბნებით?

*სიჩუმეა.*

არ ვიცი, რას მიმაღავეთ, მაგრამ გირჩევთ, ახლავე დაფქვათ.

**ჰარი:** მე და ალბუსი გამგზავრების წინა დღეს წავეკამაღდით.

**დრაკო:** მერე?

*ჰარი ჭოჭმანობს, მაგრამ შემდეგ თამამად უსწორებს დრაკოს თვალს.*

**ჰარი:** ვუთხარი, ზოგჯერ მინატრია, რომ ჩემი შვილი არ იყო-მეთქი.

*ისევ სიჩუმე. კრინტს არავინ ძრავს. დრაკო მუქარით დგამს ჰარისკენ ნაბიჯს.*

**დრაკო:** იცოდე, სკორპიუსს თუ რამე მოუვა...

*დრაკოსა და ჰარის შორის ჯინი დგება.*

**ჯინი:** ნუ იმუქრები, დრაკო, გთხოვ, არ გინდა.

**დრაკო (ღრიალებს):** ჩემი შვილია დაკარგული და არც დავიმუქრო?

**ჯინი (ღრიალში არ ჩამორჩება):** ჩემი შვილიც დაკარგულია!

თვალებში უყურებს. ოთახი თითქოს დამუხტულია.

**დრაკო (ტუჩს იბზუებს და იმნუთას საოცრად ჰგავს მამამისს):** ოქრო  
თუ გჭირდებათ... მალფოების მთელი ავლადიდება... ის ჩემი  
ერთადერთი მემკვიდრეა... ჩემი ოჯახის ერთადერთი წევრი.

**ჰერმონი:** სამინისტროს საკმარისი რეზერვი აქვს, დრაკო. გმა-  
დლობ.

**დრაკო კარისკენ გასწევს. ჩერდება და ჰარის გადმოხედავს.**

**დრაკო:** ფეხებზე მკიდია, რა გააკეთე და ვინ გადაარჩინე. ჩემი ოჯა-  
ხისთვის შენ მუდმივი წყევლა ხარ, ჰარი პოტერ.





## მოქმედა 1 სცენა მეთვრამეტე

### მაგიის სამინისტრო, დერეფანი

**სკორპიუსი/ჰარი:** ნამდვილად აქ არის?

**დაცვის წვერი ჩაუვლით.** სკორპიუსი/ჰარი და დელფი/ჰერმიონი უმაღლვე როლში იჭრებიან.

დიახ, მინისტრო, გეთანხმებით, რომ ამ საკითხზე დაფიქრება გვმართებს.

**დაცვის წვერი (თავის ოდნავი დაკვრით):** მოგესალმებით.

**დელფი/ჰერმიონი:** დიახ, ერთად უნდა ვიფიქროთ.

**დაცვის წვერი გასცდება თუ არა, ყველანი შვებით ამოისუნთქავენ.**

ვერიტაზერუმის გამოყენება ბიძაჩემის იდეა იყო. ჩვენთან მოსულ სამინისტროს თანამშრომელს სასმელში შევაპარეთ. მან გვიამბო, რომ დროის მდევარი არ გაანადგურეს, შეინახეს და ისიც გვითხრა, სად – თვით მაგიის მინისტრის კაბინეტში!

**ერთ-ერთ კარზე ანიშნებს.** უეცრად შორიახლოდან ხმები შემოესმებათ.

**ჰერმიონი (სცენის მიღმიდან):** ჰარი... ამაზე აუცილებლად უნდა დავილაპარაკოთ...

**ჰარი (სცენის მიღმიდან):** სალაპარაკო არაფერია.

**დელფი/ჰერმიონი:** ო, არა.

**ალბუსი/რონი:** ჰერმიონი და მამაჩემი.

**სამივე პანიკაში ვარდება.**

სკორპიუსი/ჰარი: ჩქარა. სამალავი ვიპოვოთ. აქ სად უნდა დავი-  
მალოთ? გაუჩინარების რამე ჯადო არავინ იცით?

დელფი/ჰარი: მის კაბინეტში ხომ არ შევიპაროთ?

ალბუსი/რონი: კაბინეტში შემოვა.

დელფი/ჰარი: სხვა არჩევანი არ გვაქვს.

კარს ეჯაჯგურება.

ჰარი (სცენის მიღმიდან): იცოდე, მე ან ჯინის თუ არ დაგველა-  
პარაკები...

სკორპიუსი/ჰარი: უკან გაინიეთ. ალოჰომორა!

ჯადოსნურ ჯოხს კარს უმიზნებს. კარგი იღება. გახარებული ყურე-  
ბამდე ილიმის.

ალბუს, შენ უნდა შეაჩერო. შენ გარდა ამას ვერავინ იზამს.

ჰარი (სცენის მიღმიდან): რაზე უნდა დაგელაპარაკოთ, არ მესმის...

ალბუსი/რონი: მე რატომ?

დელფი/ჰარი: აბა, ჩვენ ხომ ვერ დავენახვებით. მათი სახე  
გვაქვს მიღებული.

ჰარი (სცენის მიღმიდან): რაც შენ თქვი, ნამდვილად არ არის  
სწორი, მაგრამ... აქ უფრო მეტი ფაქტორია გასათვალისწი-  
ნებელი...

ალბუსი/რონი: არა, არ შემიძლია...

ჰარი: ჰერმიონ, ძალიან ვაფასებ, რომ ჩემზე ასე ზრუნავ, მაგრამ...

ჰარი: რონ?

ალბუსი/რონი: სიურპრიზი მოგიწყვე!!!

ჰარი: აქ რას აკეთებ?

ალბუსი/რონი: საკუთარი ცოლის სანახავად მიზეზი მჭირდება?

ჰერმიონს მგზნებარედ კოცნის.

ჰარი: მე წავედი...

ჰარი: ჰარი... უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ... დრაკოს ყურს  
ნუ უგდებ... ალბუსს რაც უთხარი... ამაზე თუ არ ჩაიციკლები,  
ყველასთვის უმჯობესი იქნება.

ალბუსი/რონი: აა, იმას განიხილავთ, ჰარიმ როგორ თქვა, რომ

ზოგჯერ ნატრობს, მე ... (შეცდომას ასწორებს) ალბუსი მისი  
შვილი არ იყოს?

**ჰერმიონი:** რონ!

**ალბუსი/რონი:** მხოლოდ ის ვიგულისხმე, რომ გულში ჩახვევას  
ყოველთვის ჯობს, სათქმელი ითქვას!

**ჰერმიონი:** ალბუსი მიხვდება... რომ ხანდახან ისეთი რამე დაგვც-  
დება, რაც გულში არ გვიდევს. ალბუსმა ეს იცის.

**ალბუსი/რონი:** მაგრამ რა მოხდება, თუ ზოგჯერ იმას ვიტყვით,  
რაც გულში გვაქვს? მაშინ რა?

**ჰერმიონი:** რონ, ცუდი დრო შეარჩიე ამაზე მსჯელობისთვის.

**ალბუსი/რონი:** რა თქმა უნდა, საყვარელო. აბა, კარგად.

ალბუსი/რონი მიმავალ ჰერმიონს თვალს არ აშორებს. იმედი აქვს,  
რომ თავის კაბინეტს ჩაუვლის და გაეცლება. მაგრამ რა თქმა უნდა,  
ასე არ ხდება. ალბუსი/რონი თავპირისმტვრევით მირბის და კარის  
წინ გადაუდგება, რომ არ შეუშვას.

**ჰერმიონი:** რატომ მიღობავ გზას?

**ალბუსი/რონი:** არაფერსაც არ გიღობავ.

**ჰერმიონი:** შემისვი კაბინეტში, რონ.

**ალბუსი/რონი:** მოდი, კიდევ ერთი ბავშვი ვიყოლიოთ.

ჰერმიონი კარში შესხლტომას ცდილობს.

**ჰერმიონი:** რა თქვი?

**ალბუსი/რონი:** ბავშვი თუ არა, სამოგზაუროდ მაინც წავიდეო.

მოკლედ, ან ბავშვი მინდა ან მოგზაურობა. იცოდე, არ მოგე-  
შვები. დავილაპარაკოთ ამაზე, ძვირფასო, კარგი?

ჰერმიონი ისევ ცდილობს ოთახში შეღწევას. ალბუსი/რონი ეძგერე-  
ბა და კოცნის. ჰერმიონი გაიბრძოლებს. ძიძგილაობენ.

გახვრეტილ კარდალაში დავლიოთ და დავილაპარაკოთ,  
კარგი?.. მიყვარხარ.

**ჰერმიონი (გული მოუღებება):** სასმელში ყროლ-კანფეტს ისევ თუ  
გაურევ, მერლინიც კი ვერ გიშველის. კარგი, წავედით. ისედაც  
მაგლებისთვის შეტყობინება მაქვს გასაგზავნი.



გადის. მასთან ერთად ჰარიც გადის.

ალბუსი/რონი კარისკენ ბრუნდება. ჰერმიონი ისევ შემოდის. ამჯერად მარტოა.

ბავშვი ან მოგზაურობა? იცი, რომ ზოგჯერ მეტისმეტი მოგდის?

ალბუსი/რონი: ამიტომაც არ გამომყევი ცოლად? ჩემი უტიფარი იუმორის გრძნობით მოგნუსხე.

ჰერმიონი ისევ გადის. ალბუსი/რონი კარის გაღებას აპირებს, მაგრამ ჰერმიონი ბრუნდება და ისიც სასწრაფოდ ხურავს.

ჰერმიონი: თეზის გემო გაქვს. ხომ გითხარი, თეზის ჩხირების სენდვიჩებს არ გაეკარო-მეთქი.

ალბუსი/რონი: ვალიარებ. მეტს აღარ ვიზამ.

ჰერმიონი გადის. ალბუსი/რონი რწმუნდება, რომ მართლა წავიდა, შვეებით ამოისუნთქავს და კარს აღებს.





## მოქმედება 1 სცენა მეცხრამეტა

### მაგიის სამინისტრო, ჰერმიონის კაბინეტი

სკორპიუსი/ჰარი და დელფი/ჰერმიონი კარის მეორე მხარეს ატუზულან და უცდიან. ალბუსი/რონი შემოდის და ძალაგამოცლილი იატაკზე ებერტყება.

ალბუსი/რონი: კაი საშარო საქმე წამოვიწყეთ.

დელფი/ჰერმიონი: ყოჩაღ, რა კარგად გამოგივიდა. აი, მესმის, იერიშიც ასეთი უნდა!

სკორპიუსი/ჰარი: შენით აღტაცებული ვარ, მაგრამ არც კი ვიცი, საკუთარი ბიცოლის ჩაკოცნა როგორ უნდა მოგიწონო.

ალბუსი/რონი: რონი მოსიყვარულე ქმარია. სხვა გზა არ მქონდა, სკორპიუს. მისი ყურადღება რამეზე ხომ უნდა გადამეტანა. მთავარი ისაა, რომ გაჭრა.

სკორპიუსი/ჰარი: მამაშენმა მართლა ეგრე გითხრა?

დელფი/ჰერმიონი: ბიჭებო... მალე დაბრუნდება.. ცოტა დრო გვაქვს.

ალბუსი/რონი (სკორპიუს/ჰარის): გაიგონე?

დელფი/ჰერმიონი: თქვენი აზრით, სად დამალავდა ჰერმიონი დროის მდევარს? (ოთახს ათვალიერებს და ნიგნების კარადას ამჩნევს). ნიგნის თაროები შეამოწმეთ.

ინყებენ ძებნას. სკორპიუსი/ჰარი შენუხებული უყურებს მეგობარს.

სკორპიუსი/ჰარი: მე რატომ არ მითხარი?

ალბუსი/რონი: რა ვიცი, რა უნდა მეთქვა... „სკორპიუს, იცი, მამაჩემს არ უნდა, რომ მისი შვილი ვიყო“?

სკორპიუსი/ჰარი შესაფერის სიტყვებს ეძებს.

სკორპიუსი/ჰარი: იცი... მართალია, ეჭვი არ მეპარება, რომ ვოლდე-  
მორზე ჭორი ტყუილია, მაგრამ ხანდახან... ხანდახან მამაჩემს  
ისეთი სახე აქვს, თითქოს უკვირს, ჩემისთანა შვილი როგორ  
გამოუვიდა.

ალბუსი/რონი: მამაჩემზე უარესი მაინც არაა. არ გამიკვირდება,  
გამუდმებით იმაზე ფიქრობდეს, როგორ დამაბრუნოს უკან.

დელფი/ჰერმიონი ცდილობს სკორპიუსი/ჰარი წიგნის თაროებთან  
მიათრიოს.

დელფი/ჰერმიონი: დაგავიწყდათ, აქ რისთვის ვართ?

სკორპიუსი/ჰარი: მე იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ შემთხვევით არ  
გავმხდარვართ მეგობრები, ალბუს... ერთმანეთს ბედმა შეგვა-  
ხვედრა. და ამ თავგადასავლის მიზანი რაც უნდა იყოს...

ამ დროს თაროზე წიგნს ამჩნევს და შუბლს იკრავს.

ნახეთ, ამ კარადაში ნახეთ რა წიგნებია! რამდენიმე იშვიათი  
ეგზემპლარია. აკრძალული, დაწყველილი წიგნები.

ალბუსი/რონი: როგორ მოვწყვიტოთ სკორპიუსი სერიოზულ და  
ემოციურ თემებს? როგორ და, ვაჩვენოთ ბიბლიოთეკა.

სკორპიუსი/ჰარი: აკრძალული სექციის ყველა წიგნი აქაა. და კიდევ  
სხვებიც. „მავნე მაგია“, „მეთხუთმეტე საუკუნის ავსულები“,  
„ჯადოქრის სონეტები“, ეს წიგნები ჰოგვორტსშიც კი არაა  
დაშვებული!

ალბუსი/რონი: „ჩრდილები და სულები“, „ნეკრომანტის სახელმ-  
ძღვანელო“...

დელფი/ჰერმიონი: საინტერესო ბიბლიოთეკა ჰქონია, არა?

ალბუსი/რონი: „ოპალის ცეცხლის ნამდვილი ისტორია“, „იმპერი-  
უსის წყევლა და როგორ გამოვიყენოთ ის“.

სკორპიუსი/ჰარი: ერთი ეს ნახეთ. ვააა. სიბილ ტრელოუნის „გან-  
ჭვრიტე მომავალი“. მისნობის წიგნი? ჰერმიონ გრეინჯერი  
ხომ ვერ იტანს მისნობას. საინტერესოა. აი, ეს ნამდვილი  
აღმოჩენაა...

წიგნს თაროდან ექაჩება. წიგნი თავისით იშლება და ენას იდგამს.

**წიგნი:** პირველი მეოთხეა, მეორე კი – მეხუთე.

და ამ ორით მიმართავს ყველა თავის ტკბილ მშობელს.

**სკორპიუსი/ჰარი:** მოლაპარაკე წიგნი? რა უცნაურია.

**წიგნი:** ახლა სხვაგვარად მითხარ მწვრთნელი, დამრიგებელი.

შეკრიბე და მიიღე ამ არსების სახელი.

**ალბუსი/რონი:** გამოცანაა. გამოცანას გვეუბნება.

**დელფი/ჰერმიონი:** რა ჩაიდინე?

**სკორპიუსი/ჰარი:** არაფერი, წიგნი გადავშალე. იმ პლანეტაზე, სადაც ვცხოვრობ, ამის გაკეთება საშიში არ არის.

*წიგნები ალბუსს/რონს ეტანებიან და მის დაჭერას ცდილობენ.*

*ალბუსი/რონი წიგნებს ძლივს უსხლტება.*

**ალბუსი/რონი:** ეს რა იყო?

**დელფი/ჰერმიონი:** ბიბლიოთეკა მოუჯადოებია! ბიბლიოთეკა თავს იცავს! დროის მდედარი აქ უნდა იყოს! გამოცანა გამოიცანი და ვიპოვით!

**ალბუსი/რონი:** „პირველი მეოთხეა, მეორე კი – მეხუთე... და ამ ორით მიმართავს ყველა თავის ტკბილ მშობელს“... დ... ე... დე!

*წიგნები ამჯერად დელფი/ჰერმიონის გადაყლაპვას ცდილობენ.*

**სკორპიუსი/ჰარი:** „ახლა სხვაგვარად მითხარ მწვრთნელი, დამრიგებელი. შეკრიბე და მიიღე ამ არსების სახელი“...

**დელფი/ჰერმიონი (მთელი ხმით):** მენტორი! დემენტორებზე უნდა მოძებნო წიგნი. (წიგნის თარო შეითრევს). ალბუს!

**ალბუსი/რონი:** დელფი! რა ხდება?

**სკორპიუსი/ჰარი:** ალბუს, გონება მოიკრიბე. გააკეთე, რაც გითხრა. მოძებნე წიგნი დემენტორებზე და ეცადე, ფრთხილად იყო.

**ალბუსი/რონი:** „დემენტორებზე დომინირება: აზკაბანის ნამდვილი ისტორია“.

*წიგნი თავისით იშლება და თვალის დახამხამებაში სკორპიუსს/ჰარის ეცემა. სკორპიუსი/ჰარი როგორღაც იცილებს, მაგრამ კარადას ეჯახება, რომელიც მაშინვე შთანთქმას დაუპირებს.*

წიგნი: გალიაში შობილმა  
დავამსხვრიე კედლები,  
დავგმე მამის სისხლი და  
უკვდავებას ვეძებდი.

ალბუს/რონი: ვოლდემორი!

წიგნებიდან დელფი ამოყვინთავს, ამასობაში თავისი იერი დაუბრუნებია.

დელფი: დაუჩქარე!

რალაცა ისევ შეითრევს კივილით.

ალბუსი/რონი: დელფი! დელფი!

ცდილობს, დელფის ხელს ჩაეჭიდოს, მაგრამ ის უკვე გაუჩინარებულია.

სკორპიუსი/ჰარი: ისევ თავისი სახე მიიღო... შეამჩნიე?

ალბუსი/რონი: არა, მე ის უფრო შევამჩნიე, რომ წიგნის კარადამ გადაყლაპა! დამეხმარე! რამე წიგნი მოძებნე ვოლდემორზე.

რალაცას პოულობს.

„სლიზერინის მემკვიდრე“. როგორ ფიქრობ, ესაა?

წიგნს სწვდება, მაგრამ ის იძალებს და პირიქით, ალბუსს/რონს შეითრევს კარადაში.

სკორპიუსი/ჰარი: ალბუს! ალბუს!!!

მაგრამ ალბუსი არსად ჩანს.

უნდა დავმშვიდდე. ვოლდემორი... ვოლდემორი... ვოლდემორი...

თაროებს ათვალეერებს.

„მერვოლოს სიმართლე“, ეს უნდა იყოს.

ალალბედზე შლის. წიგნი ხელიდან უსხლტება, იქიდან სინათლის სხივი ამოიჭრება და წინა წიგნებზე უფრო ბოხი ხმით ალაპარაკდება.

წიგნი: მე ის ვარ, შენ რომ ზოგჯერ ხედავ.  
მე შენ ვარ. შენ – მე. ექო ნელი.  
ზოგჯერ შენ წინ, და ზოგჯერ – უკან  
მარადი ლანდი, ასლი შენი.

წიგნებიდან ალბუსი ამოყოფს თავს, მასაც თავისი იერი დაუბრუნებია.

სკორპიუსი/ჰარი: ალბუს...

ცდილობს ჩაებლაუჭოს.

ალბუსი: ნუ ცდები! იფიქრე!

ალბუსს კარადა ისევ თავის წიაღში ითრევს.

სკორპიუსი/ჰარი: რა ვენა, ვერ ვხვდები... სუსტი ექო რას ნიშნავს?  
მეგონა, ჭკუა მიჭრიდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება,  
თურმე არაფერი გამომდის.

წიგნები მასაც ექაჩებიან. სრულიად უმწეოა და დამფრთხალი.

სიჩუმეა.

ბრააახ! წიგნის კარადიდან წიგნები სეტყვასავით ცვივა. იქიდან  
სკორპიუსი გამოძვრება და წიგნებს მიმოყრის.

სკორპიუსი: არა! ხელი არ მახლო! სიბილ ტრელოუნი. არა!!!

მიმოიხედავს. სასწონარკვეთილი სახე აქვს, მაგრამ თვალები ბრძოლის  
ჟინით უელავს.

ასე არ შეიძლება! ალბუს, გესმის ჩემი? ღირდა დროის მდევარი  
ამად? იფიქრე, სკორპიუს, იფიქრე!

წიგნები ისევ ეტანებიან.

ზოგჯერ შენ წინ, და ზოგჯერ – უკან, მარადი ლანდი, ასლი  
შენი... მოიცა, როგორ ვერ გამოვიცანი! ჩრდილი. მგონი, ვიპოვე...  
ვე...

თაროებზე მიძვრება. კარადა იზრდება, ზემოდან ეფოფრება, წიგნები  
ფეხებზე ებლაუჭებიან.

ნიგნს თაროდან ექაჩება. ნიგნი ნებდება და ხმაური და ქაოსი ერთბაშად წყდება.

ნუთუ...

უეცრად თაროებიდან ალბუსი და დელფი ცვივიან და იატაკს ბრაგვანით ენარცხებიან.

დავამარცხეთ! ბიბლიოთეკა დავამარცხეთ!

ალბუსი: დელფი, როგორ ხარ?

დელფი: ვაჰ, ეს რა იყო...

ალბუსი სკორპიუსის მკლავებში გამომწყვდეულ ნიგნს ამჩნევს.

ალბუსი: ეს ნიგნია, სკორპიუს? რა არის შიგნით?

დელფი: მე მგონი, ვიპოვეთ, არა?

სკორპიუსი ნიგნს შლის. შუაგულში მობზრიალუ დროის მდევარი დევს.

საორაიუსი: დროის მდევარი ვიპოვეთ!.. არ მეგონა, ასე შორს თუ შევტოპავდით.

ალბუსი: დროის მდევარი ხელთ გვაქვს, ახლა სედრიკის გადარჩენის დროა! სკორპიუს, ჩვენი თავგადასავალი ახლა იწყება!

საორაიუსი: ახლა იწყება და უკვე კინალამ სული გაგვაფრთხოვინა. ვატყობ, მაგარი ამბები გველის.

ჩურჩული ღრიალში გადაიზრდება და სიბნელე ჩამონვება.



შესვენება



პირველი ნაწილი  
**მოქმედება 2**



Handwritten text on the left margin, possibly bleed-through from the reverse side of the page.



## მოქმედება 2 სცენა პირველი

სიზმარი, პრივიტ ღრაივი,  
საკუჭნაო კიბის ქვეშ

დეიდა ვეტუნია: ჰარი. ჰარი. ქვაბები გასახეხია. ნახე, რას ვბავს  
ეს ქვაბები! ჰარი პოტირ, გაიღვიძე!

პატარა ჰარის ეღვიძება და თავზე წამომდგარ დეიდა პეტუნიას  
ხედავს.

პატარა ჰარი: დეიდა პეტუნია, რომელი საათია?

დეიდა ვეტუნია: შენი ადგომის დროა. იცი რა, შენ რომ შეგიფარეთ,  
იმედი გვექონდა, სწორ გზაზე დაგაყენებდით, შენგან წესიერ  
ადამიანს გამოვიყვანდით. ეტყობა, ჩვენი ბრალია, რომ ასეთი  
გაიზარდე... ასეთი სამარცხვინო.

პატარა ჰარი: მე ხომ ვცდილობ...

დეიდა ვეტუნია: საკმარისად არ ცდილობ. ჭიქებზე ცხიმის ლაქებია.  
ქვაბებზე ნაფხაჭნები დამხვდა. აბა, გაინძერი, წადი სამზარე-  
ულოში და დაალაგე!

ჰარი ლოგინიდან დგება. უკან, შარვალზე, სველი ლაქა ატყვია.

ოჰ, არა. ეს რა არის! ისევ ჩაისველე საწოლში?

საბანს გადაადრობს.

არ გრცხვენია?!

პატარა ჰარი: მაპატიეთ. მე მგონი, კოშმარი მესიზმრა და იმიტომ...

დეიდა ვეტუნია: შე საზიზლარო ბიჭო. ქვეშ მარტო ცხოველები  
იფსამენ. ცხოველები და საზიზლარი პატარა ბიჭები.

პატარა ჰარი: დედა და მამა დამესიზმრა. მე მგონი... ვნახე, როგორ მოკვდნენ.

დეიდა პეტუნია: მე რატომ მიყვები ამას, არ მესმის!

პატარა ჰარი: ვილაც კაცი ყვიროდა, ადკავა ად-რალაცა... აკაბრა... ად... და გველის სისინი მესმოდა. კიდევ – დედაჩემის კივილი.

დეიდა პეტუნია სიმშვიდის შესანარჩუნებლად ნამით დუმდება.

დეიდა პეტუნია: თუ მართლა მათი სიკვდილი ნახე, მაშინ მხოლოდ დამუხრუჭებისა და შეჯახების ხმა უნდა გაგეგონა. ხომ იცი, რომ შენი მშობლები ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ. დედა-შენი დაკივლებასაც კი ვერ მოასწრებდა. ამაზე მეტის ცოდნა არაფრად გარგია. ახლა გადაადრე სანოლს შენი თეთრეული, სამზარეულოში მიბრძანდი და საქმეს შეუდექი. აღარ გამამეორებინო.

გადის და კარს იჯახუნებს.

პატარა ჰარი ხელში თეთრეულით დგას.

სცენა იცვლება, ზედ ხეები ამოიზრდება და სიზმარი ერთიანად გარდაისახება.

მოულოდნელად ალბუსი გამოჩნდება და პატარა ჰარის მიაჩერდება.

და შემდეგ, ოთახის სიღრმიდან პარსულ ენაზე ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვები აღწევს.

მოდისსსს. მოდისსსს...

ხმა, რომელიც ამ სიტყვებს წარმოთქვამს, მხოლოდ მას შეიძლება ეკუთვნოდეს. ეს ვოლდემორის ხმაა.

ჰაარი პოტტერ...





## მოქმედება 2 სცენა მეორე

### ჰარი და ჯინი პოტერების სახლი, კიბე

ჰარის სიბნელეში ეღვიძება. მძიმედ სუნთქავს. შიშით ცახცახებს.

ჰარი: ლუმოს.

საძინებელში სინათლის ანთების მიზეზის გასაგებად ჯინი შემოდის.

ჯინი: ცუდად ხომ არ ხარ?

ჰარი: მეძინა.

ჯინი: კი, ვიცი, რომ მეძინა.

ჰარი: შენ რატომ არ გძინავს? რამე ახალი ხომ არ ისმის? ბუ ხომ არ მოსულა?

ჯინი: არა.

ჰარი: სიზმარი ვნახე... ისევ კიბის ქვეშ ვცხოვრობდი და მისი ხმა გავიგე, ვოლდემორის... ისე მკაფიოდ...

ჯინი: ვოლდემორის?

ჰარი: და მერე ალბუსი დავინახე. ნითლები ეცვა. დურმსტრანგის სკოლის ფორმით იყო.

ჯინი: დურმსტრანგის ფორმით?

ჰარი დაფიქრდება.

ჰარი: ჯინი, მე მგონი, ვიცი, სად არის...





## მოქმედება 2 სცენა მესამე

### ჰოპკორტსი, დირექტორის კაბინეტი

ჰარი და ჯინი პროფესორ მაკგონაგელის კაბინეტში დგანან.

პროფესორი მაკგონაგელი: აკრძალულ ტყეში... მაგრამ ზუსტად  
სად, არ ვიცი, ხომ?

ჰარი: ასეთი სიზმარი უკვე წლებია, არ დამსიზმრებია. მაგრამ ალბუ-  
სი იქ იყო. ვიცი, რომ იქ იყო!

ჯინი: სასწრაფოდ უნდა დავინყოთ ძებნა.

პროფესორი მაკგონაგელი: პროფესორ ლონგბოტომს მოგაშვე-  
ლებთ. იქნებ გამოგადგეთ მცენარეებში მისი განსწავლულობა,  
და...

ამ დროს ბუხრიდან გრგვინვა ისმის. პროფესორი მაკგონაგელი  
ბუხარს შეშფოთებით გახედავს. ნამიც და, იქიდან ჰერმიონი გამო-  
ვარდება.

ჰერმიონი: მართალია? ჩემი დახმარება გჭირდებათ?

პროფესორი მაკგონაგელი: მინისტრო... არ გელოდით...

ჯინი: ჩემი ბრალია. „დილის მისნის“ საგანგებო გამოშვება დავა-  
ბეჭდვინე და იქ განცხადება გამოვაქვეყნე, მოხალისეებს  
დახმარებას ვთხოვდი.

პროფესორი მაკგონაგელი: გასაგებია. ჭკვიანური ნაბიჯია. დახ-  
მარების სურვილს ალბათ... საკმაოდ ბევრი გამოთქვამს.

ახლა ერთიანად გაჭვარტლული რონი შემორბის. გულმკერდზე  
სანებლით მოთხუპნილი ხელსახოცი შერჩენია.

**რონი:** რამე გამოვტოვე? ვერ მივხვდი, რომელი ფლუთი უნდა წამოვსულიყავი... რატომღაც სამზარეულოში აღმოვჩნდი (ჰერმიონი თვალებს უბრიალებს და რონი საჩქაროდ იძრობს ხელსახოცს). რა?

ბუხარი ისევ გუგუნებს და ჭვარტლისა და მტვრის კორიანტელში დრაკო ეშვება.

ყველა გაოცებული მისჩერებია დრაკოს, რომელიც მშვიდად იბერტყავს ნაცარს ტანსაცმლიდან.

**დრაკო:** ბოდიში, იატაკი დაგისვარეთ, მინერვა.

**პროფესორი მაკგონაგალი:** არა უშავს. ახია ჩემზე, ბუხარი რომ მაქვს.

**ჰარი:** მიკვირს, აქ რომ გხედავ, დრაკო. მეგონა, ჩემი სიზმრებისა არ გჯეროდა.

**დრაკო:** სიზმრების არა, მაგრამ ილბლისა მჯერა. ჰარი პოტერი ყოველთვის იქაა, სადაც რაღაც მნიშვნელოვანი ხდება. მე კი მინდა, ჩემი შვილი სალსალამათი დამიბრუნდეს.

**ჯინი:** მაშინ, ნავიდეთ აკრძალულ ტყეში და ორივე ვიპოვოთ.



## მოქმედა 2 სცენა მეოთხე

### აპოკალიფსის ტყის პირი

ალბუსი და დელფი ერთმანეთის პირისპირ დგანან. ორივეს ჯადოსნური ჯოხი აქვს მომარჯვებული.

ალბუსი: ექსპელიარმუს!

დელფის ჯოხი ხელიდან უსხლტება და ჰაერში წრეს ხაზავს.

დელფი: აი, უკვე გამოგდის. თანაც მშვენივრად.

თავის ჯადოსნურ ჯოხს ალბუსს ართმევს.

(კეკლუცად): „თქვენ ნებისმიერს განაიარალებთ“.

ალბუსი: ექსპელიარმუს!

დელფის ჯადოსნური ჯოხი ისევ ალბუსისკენ მიფრინავს.

დელფი: გამარჯვებულიც გამოვლინდა!

ერთმანეთს ანეულ ხელისგულებს ურტყამენ.

ალბუსი: არადა შელოცვებში ძლიერი არასდროს ვყოფილვარ.

უკანა პლანზე სკორპიუსი შემოდის. ხედავს, რომ თავისი მეგობარი გოგოს ელაპარაკება. თან მოსწონს და თან არ მოსწონს ეს.

დელფი: შენ მე უნდა გენახე, რა უნიჭო ვიყავი. მაგრამ მერე ბაც! და გამომივიდა. შენს შემთხვევაშიც ასე იქნება. იმას კი არ ვამბობ, რომ რამე განსაკუთრებული შემთხვევაა... მაგრამ მე მგონი, შენგან კარგი ჯადოქარი დადგება, ალბუს პოტერ.

ალბუსი: მაშინ დარჩი და კიდევ მასწავლე...

**დელფი:** რა თქმა უნდა, დავრჩები. ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, არა?

**ალბუსი:** კი, კი. რა თქმა უნდა, მეგობრები ვართ. რა თქმა უნდა!

**დელფი:** ძალიან კარგი. ჩინებულია!

**სკორპიუსი:** რა არის ჩინებული?

*სკორპიუსი მათ მტკიცე ნაბიჯით უახლოვდება.*

**ალბუსი:** შელოცვა გამომივიდა. მართალია, უმარტივესი შელოცვაა, მაგრამ... გამომივიდა!

**სკორპიუსი** (ცდილობს საერთო განწყობა გაიზიაროს, ამიტომ, ცოტა არ იყოს, ყალბი აღტაცებით): მე კიდევ სკოლისკენ მიმავალი ბილიკი ვიპოვე. მისმინე, ამ გეგმაში დარწმუნებული ხარ?

**დელფი:** კი!

**ალბუსი:** ბრწყინვალე გეგმაა. სედრიკი რომ გადავარჩინოთ, ამისათვის სამი ჯადოქრის ტურნირი არ უნდა მოვაგებინოთ. თუ ვერ გაიმარჯვებს, ვერც მოკვდება.

**სკორპიუსი:** ეს გასაგებია, მაგრამ...

**ალბუსი:** ამიტომ პირველივე დავალებაზე ყველანაირი შანსი უნდა მოვუსპოთ. და პირველი დავალება რა არის? დრაკონისთვის ოქროს კვერცხის წართმევა. სედრიკმა რა სტრატეგია აირჩია?..

*დელფი ხელს იწევს. ყურებამდე გალიმებული ალბუსი ანიშნებს, მიპასუხო.*

დიგორი, გისმენთ.

**დელფი:** რა და, ტრანსფიგურაციის შელოცვით ქვა ძალღადაქცია.

**ალბუსი:** ექსპელიარმუსის შელოცვას თუ დავახვედრებთ, ამას ველარ იზამს.

*სკორპიუსს დელფისა და ალბუსის შეხმატკბილება გულზე არ ეხატება.*

**სკორპიუსი:** კარგი. ორი კითხვა. პირველი: საიდან ვიცით, რომ დრაკონი არ მოკლავს?

**დელფი:** ყოველთვის ორი კითხვა რატომ უჩნდება?.. რა თქმა უნდა, არ მოკლავს. ეს ხომ ჰოგვორტსია. ჩემპიონის დაშავებას არ დაუშვებენ.



**სკორპიუსი:** კარგი, მეორე და უფრო მნიშვნელოვანი საკითხი: წარსულში ისე ვაპირებთ მოგზაურობას, რომ არც კი ვიცით, ანმყოში დავბრუნდებით თუ ვერა. თქვენს ენთუზიაზმს კი ვიზიარებ, მაგრამ იქნებ ჯერ ერთი საათით უკან გადავსულიყავით, რომ დროის მღევარი გამოგვეცადა და მერე...

**დელფი:** უკაცრავად, სკორპიუს, მაგრამ ამდენი დრო არ გვაქვს. სკოლასთან ასე ახლოს ლოდინი მეტისმეტად სახიფათოა. დარწმუნებული ვარ, თქვენ უკვე გეძებენ, და...

**ალბუსი:** მართალს ამბობს.

**დელფი:** ახლა კი, ესენი უნდა ჩაიცვათ.

*ქალაქის ორ ვეება პარკს ამოაძვრენს. ბიჭები იქიდან მანტიებს იღებენ.*

**ალბუსი:** ესენი ხომ დურმსტრანგის მანტიებია.

**დელფი:** ბიძაჩემის იდეაა. ჰოგვორტსის ფორმებს თუ ჩაიცვამთ, ვიღაცებს შეიძლება ეუცხოვოთ, მაგრამ სამი ჯადოქრის ტურნირში კიდევ ორი სკოლა მონაწილეობს და დურმსტრანგის ფორმებით უფრო ადვილად გაითქვიფებით მაყურებლებში. ასე არაა?

**ალბუსი:** მშვენივრად მოუფიქრებია! მოიცა, შენი მანტია სადაა?

**დელფი:** ალბუს, კომპლიმენტისთვის მადლობა, მაგრამ არა მგონია, მოსწავლედ შეეძლო თავის გასაღება. მე სადმე იქვე ვიტრიალებ და... მოვიფიქრე! ვითომ დრაკონების მომთვინიერებელი ვარ. შელოცვის გამოყენება ისედაც შენზეა.

*სკორპიუსი ჯერ მას გახედავს და შემდეგ ალბუსს.*

**სკორპიუსი:** შენ არ წამოხვალ.

**დელფი:** რაო?

**სკორპიუსი:** მართალი ხარ. შელოცვისთვის არ გვჭირდება და თუ მოსწავლის ფორმას ვერ ჩაიცვამ, შეიძლება საფრთხე შეგვიქმნა. არ გენყინოს, დელფი, მაგრამ ჯობს, დარჩე.

**დელფი:** ასე როგორ შეიძლება. ის ხომ ჩემი ბიძაშვილია... ალბუს?

**ალბუსი:** ჩემი აზრით, სკორპიუსი მართალია. ბოდიში.

**დელფი:** რა თქვი?

**ალბუსი:** ყველაფერს სწორად გავაკეთებთ.

**დელფი:** მაგრამ უჩემოდ დროის მდევარს ვერ გამოიყენებთ.

**სკორპიუსი:** შენ ხომ გვასწავლე მოხმარების წესი.

*დელფი აშკარად ძალიან გაბრაზებულია.*

**დელფი:** არა, ამის უფლებას არ მოგცემთ...

**ალბუსი:** ბიძაშენს ხომ ურჩიე, რომ გვენდოს. ახლა შენი ჯერია.

სკოლა უკვე ახლოსაა. აქ უნდა დაგველოდო.

*დელფი ორივეს თვალით ზომავს, ღრმად ოხრავს, მერე თავს აქნევს და ილიმის.*

**დელფი:** კარგი, ნადით. მაგრამ იცოდეთ... დღეს თქვენ გეძლევათ შანსი, რომელიც მხოლოდ ერთეულების ხვედრია... დღეს თქვენ საშუალება გაქვთ, შეცვალოთ ისტორია... შეცვალოთ თავად დრო. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დღეს თქვენ საშუალება გეძლევათ, მოხუც მამას შვილი დაუბრუნოთ.

*ალბუსს ულიმის, შემდეგ იხრება და ნაზად კოცნის ორივე ლოყაზე.*

*გაეცლება და ტყეს შეერევა. ალბუსი თვალს აყოლებს.*

**სკორპიუსი:** მე არ მაკოცა, შეამჩნიე? (მეგობარს გადახედავს) ხომ კარგად ხარ, ალბუს? ცოტა ფერწასული მეჩვენები... და წითელი. ფერმკრთალი და წითელი ერთდროულად.

**ალბუსი:** ნავედით. საქმეს მივხედოთ.



## მოქმედება 2 სცენა მესუთა

### აკრძალული ტყის პირი

ტყე თანდათან იბურება, ხშირდება. ხეებს შორის ადამიანების ფიგურები დაიარებიან, დაკარგულებს ეძებენ. თანდათან გაიკრიფებიან და ჰარი მარტო რჩება.

რალაც ხმა ისმის. ჰარი მარჯვნივ ბრუნდება.

ჰარი: ალბუს! სკორპიუს! ალბუს!

ახლა ფლოქვეების თქარათქური ესმის. ჰარი კრთება და იქით იყურება, საიდანაც ხმაური მოდის.

მოულოდნელად სინათლეზე ბეინი გამოდის. დიდებული იერის მქონე კენტავრია.

ბეინი: ჰარი პოტერ.

ჰარი: მიხარია, რომ გახსოვართ, ბეინ.

ბეინი: ასაკი მოგმატებია.

ჰარი: ნამდვილად ასეა.

ბეინი: მაგრამ ჭკუა არა. ჩვენი ტყის საზღვრებს ისევ არღვევ.

ჰარი: მე ყოველთვის პატივს ვცემდი კენტავრებს. ჩვენ მტრები არ ვართ. თქვენ ხომ ჩვენს მხარდამხარ, მედგრად იბრძოლეთ ჰოგვორტსის ბრძოლაში.

ბეინი: ჩემი ვალი მოვიხადე, მაგრამ მხოლოდ ჩემი რემის წინაშე, ჩვენი ღირსებისთვის, და არა შენთვის. ბრძოლის შემდეგ ტყე კენტავრებს გადაეცათ და ჩვენს მინაზე თუ უნებართვოდ შემოდგამ ფეხს, ჩვენი მტერი ხარ.

**ჰარი:** ბეინ, ჩემი ბიჭი დაიკარგა. უნდა მომადებინოთ.

**ბეინი:** აქ არის? ჩვენს ტყეში?

**ჰარი:** კი.

**ბეინი:** მაშ, ისიც შენსავით ბრიყვი ყოფილა.

**ჰარი:** ვერ დამეხმარებით, ბეინ?

*დუმილი. ბეინი მედიდურად დასცქერის ჰარის.*

**ბეინი:** შემიძლია მხოლოდ ის გითხრა, რაც ვიცი... მაგრამ, იცოდე, შენი კი არა, ჩემი რემის კეთილდღეობისთვის გეუბნები. კენტავრებს მორიგი ომი არ სჭირდებათ.

**ჰარი:** არც ჩვენ! რა იცით?

**ბეინი:** მე დავინახე შენი შვილი, ჰარი პოტერ. ვარსკვლავების მოძრაობაში დავინახე.

**ჰარი:** ვარსკვლავებში დავინახეთ?

**ბეინი:** ვერ გეტყვი, სად არის. ვერც იმას, როგორ იპოვო.

**ჰარი:** მაგრამ რაღაცა დავინახეთ, ხომ? რამე განჭვრიტეთ?

**ბეინი:** შენი შვილის გარშემო შავი ღრუბელია, საშიში შავი ღრუბელი.

**ჰარი:** ალბუსის გარშემო?

**ბეინი:** შავი ღრუბელი, რომელიც შეიძლება ყველას დაგვემუქროს. შენ შეილს იპოვი, ჰარი პოტერ, მაგრამ შეიძლება მერე სამუდამოდ დაკარგო.

*ცხენის ჭიხვინის მსგავს ხმას გამოსცემს, გაჭენდება და საგონებელში ჩავარდნილ ჰარის მარტოს ტოვებს. ჰარი ძებნას აგრძელებს, ახლა კიდევ უფრო მონდომებით.*

**ჰარი:** ალბუს! ალბუს!..





## მოქმედება 2 სცენა მეექვსე

### აპოკალიფსის ტყის პირი

სკორპიუსი და ალბუსი კუთხეში უხვევენ და ხეებს შორის გასასვლელს ხედავენ...

გასასვლელს, საიდანაც... თვალისმომჭრელი სინათლე იფრქვევა...

სკორპიუსი: აი, ისიც...

ალბუსი: ჰოგვორტსი. აქედან ჰოგვორტსის ხედი კი არ მინახავს.

სკორპიუსი: მის დანახვაზე ჯერ კიდევ გივლის ჟრუანტელი, არა?

ხეებს შორის ჰოგვორტსი ჩანს თავისი გუმბათიანი ნაგებობებითა და დიდებული კოშკურებით.

როგორც კი ჰოგვორტსის არსებობის შესახებ შევიტყვე, მაშინვე მომინდა, იქ მოვხვედრილიყავი. მამაჩემი თბილად არასდროს იხსენებდა, მაგრამ მისი მონაყოლი მაინც ცნობისმოყვარეობით მავსებდა... ათი წლის რომ გავხდი, ყოველ დილით ვამონმებდი „დილის მისანს“ იმის შიშით, რომ სკოლას რამე დაემართებოდა და იქ ვერ ვისწავლიდი.

ალბუსი: მერე წახვედი სკოლაში და აღმოაჩინე, რომ მართლაც საშინელებაა.

სკორპიუსი: ჩემთვის სულაც არა.

ალბუსი გაოგნებული შესცქერის მეგობარს.

მე მხოლოდ ის მინდოდა, ჰოგვორტსში მესწავლა და მყოლოდა მეგობარი, რომელთან ერთადაც უამრავ სიგიჟეს ჩავიდენდი.

ჰარი პოტერივით. და მისი შვილი კი მერგო. არც კი მჯერა, რომ ასე გამილიმა ბედმა.

**ალბუსი:** კი მაგრამ, მე ხომ მამაჩემს საერთოდ არ ვგავარ.

**საორაიუსი:** შენ მამაშენს ჯობიხარ. შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ, ალბუს. რასაც ახლა ვაკეთებთ, სრული სიგიჟეა, და ეს ძალიან მაგარია... ყველაზე მაგარი... მაგრამ უნდა გამოგიტყდე, სულ ცოტათი მეშინია...

ალბუსი სკორპიუსს უღიმის.

**ალბუსი:** შენც ჩემი საუკეთესო მეგობარი ხარ. და ნუ ნერვიულობ... გული კარგს მიგრძნობს.

სცენის გარედან რონის ხმა ისმის. აშკარად საკმაოდ ახლოსაა.

**რონი:** ალბუს! ალბუს!

ალბუსი დამფრთხალი ბრუნდება მისკენ.

**ალბუსი:** უნდა ნავიდეთ! ჩქარა!

ალბუსი სკორპიუსს დროის მდევარს ართმევს და ხელს აჭერს. დროის მდევარი მძლავრად ვიბრირებს და გადარეულივით ბზრიალებს.

ამასობაში სცენა იცვლება. ბიჭები ამ ყველაფერს თვალყურს ადევნებენ.

გაიელვებს დამაბრმავებელი სინათლე. მას გამაყრუებელი გრგვინვა მოჰყვება.

და დრო ჩერდება. შემდეგ გადატრიალდება, წამით, თითქოს ფიქრობსო, შეყოვნდება და უკუსვლას იწყებს, ჯერ ნელა...

შემდეგ ჩქარდება.



## მოქმედება 2 სცენა მეუვიღე

სამი ჯადოქრის ტურნირი,  
აკრძალული ტყის პირი, 1994 წ.

მოულოდნელად ბიჭებს თავზე ღრიანცელი ატყდებათ და ხალხის  
ბრბოში იკარგებიან.

სცენაზე გამოდის „დედამინის უდიდესი შოუმენი“ (მისივე სიტყვე-  
ბით), სონორუსის შელოცვით ხმას იძლიერებს და... თავის სტიქიაში  
იჭრება.

ლუდო გეგმანი: ქალბატონებო და ბატონებო, ბიჭებო და გოგონე-  
ბო, წარმოგიდგენთ დიდებულ და სანახაობრივ... ერთადერთ  
და განუმეორებელ... სამი ჯადოქრის ტურნირს!

ოვაციები და ტაში.

აბა, ჰოგვორტსელებო, თქვენი ხმა გამაგონეთ!..

პასუხად ყიჟინა ისმის.

აბა, დურმსტრანგელებო, თქვენი ჯერია!..

ისევ ყიჟინა.

ახლა კი გოგონებო მოვუსმინოთ!..

შედარებით სუსტი შეძახილები.

ფრანგები რატომ მოიკოჭლებთ? მეტი ენთუზიაზმი დამანახეთ!..  
სკორპიუსი (ღიმილით): გამოგვივიდა. ეს ლუდო ბეგმანია.

**ლუდო გეგმანი:** აი, ისინიც! ქალბატონებო და ბატონებო, ბიჭებო და გოგონებო, წარმოგიდგენთ... ჩვენი აქ შეყრის მიზეზს... ჩვენს ჩემპიონებს! დურმსტრანგის ღირსებას იცავს... ოპოპო, შეხედეთ მის წარბებს, შეხედეთ მიხრა-მოხრას! იფ, რა ბიჭია! შესვით ცოცხზე და სასწაულს ჩაიდენს... მიესალმეთ ვიქტორ „კამარა“ კრამს!

**სკორაიუსი და ალგუსი** (დურმსტრანგელი მოსწავლეების როლში შეჭრილები): მიდი, მიდი, კამარა კრამ! მიდი, მიდი, კამარა კრამ!

**ლუდო გეგმანი:** ბობატონის აკადემიას წარმოადგენს...  
*alors! ეს ხომ ფლერ დელაკურია!*

*თავაზიანი ტაში.*

ჰოგვორტსი კი არა ერთი, არამედ ორი ჩემპიონითაა წარმოდგენილი. მის დანახვაზე ძნელია ერთბაშად არ წაგერთვას ცნობიერება და მუხლები. ის ხომ სედრიკ „დამატყვევებელი“ დიგორია!

*გულშემატკივარი ყურისწამლებად იხუვლებს.*

მეორე ჩემპიონს კი თქვენ იცნობთ, როგორც „ბიჭს, რომელიც ცოცხალი გადარჩა“, მე კი მას ვიცნობ, როგორც ბიჭს, რომელიც ყოველთვის რაღაც სიურპრიზს გვთავაზობს...

**ალგუსი:** აი, მამაჩემიც.

**ლუდო გეგმანი:** დიახ, ეს ჰარი „ილბალა“ პოტერია.

*ტაშისცემა ისმის. განსაკუთრებით, მაყურებლების განაპირა რიგში მჯდომი მღელვარე გოგო აქტიურობს – მეოთხეკურსელი ჰერმიონია (მას იგივე მსახიობი განასახიერებს, რომელიც როუზს თამაშობს). ჰარის გამოცხადებას საგრძნობლად ნაკლები ურიაშული მოჰყვება, ვიდრე სედრიკისას.*

მაშ, ასე! ახლა კი სიჩუმეს ვითხოვ. პირველი დავალება ოქროს კვერცხის ხელში ჩაგდებაა. მერედა, რისი ბუდიდან? არც მეტი, არც ნაკლები – ღრაპონის! მოდით, ერთად მივესალმოთ დრაკონების მომთვინიერებელს – ჩარლი უისლის!

*ისევ ტაში და ურიაშული.*



**მოზარდი ჰერმიონი:** აქედან თუ აპირებთ ყურებას, იქნებ თავზე არ დამადგეთ და ცოტა ჩაინიოთ.

**სკორპიუსი:** როუზ? აქ რას აკეთებ?

**მოზარდი ჰერმიონი:** როუზი ვინაა? რა უაქცენტოდ ლაპარაკობთ!

**ალბუსი (მკვეთრი აქცენტით):** ბოდიში, ჰერმიონ. ვილაცაში შეეშალეთ.

**მოზარდი ჰერმიონი:** ჩემი სახელი საიდან იცით?

**ლუდო გეგმანი:** მოდი, დრო არ დაგვკარგოთ და პირველ ჩემპიონს მოვუხმოთ. შვედურ მოკლედინგას დაუპირისპირდება სემ-რიკ ღიგორი!

*დრაკონი ბრდღვინვა ჰერმიონის ყურადღებას იქცევს. ალბუსი დროს იხელთებს და ჯადოსნურ ჯოხს იმარჯვებს.*

*სცენაზე სედრიკ დიგორი შემოდის. სახეზე ეტყობა, რომ მზად არის. შეშინებულია, მაგრამ – სრულ მზადყოფნაში. დრაკონის შეტევის ასაცილებლად ხან განზე ხტება, ხან მინაზე ირთხმება. თავის შესაფარებლად რომ ისკუპებს, ტრიბუნებზე გოგონები ნივიან. მერე ერთხმად გუგუნებენ: „დიგორის არ ავნოთ, ბატონო დრაკონო!“*

*სკორპიუსი შეშფოთებული ჩანს.*

**სკორპიუსი:** ალბუს, რაღაც ვერაა რიგზე... დროის მდევარი საშინლად ცახცახებს.

*დროის მდევიდან ნიკნიკი მოისმის... უწყვეტი, ისტერიული ნიკნიკი...*

**ლუდო გეგმანი:** სედრიკი მარცხნიდან უხვევს, მარჯვნივ ხტება...

აი, ჯადოსნური ჯოხი აღმართა... აბა, ვნახოთ, რას აპირებს

ეს ახალგაზრდა, მამაცი, მომხიბვლელი ყმანვილი...

**ალბუსი (ჯადოსნურ ჯოხს უმიზნებს):** ექსპელიარმუს!

*სედრიკის ჯოხი ალბუსისკენ მოქრის და ხელში უვარდება.*

**ლუდო გეგმანი:** ...ო, არა! რა მოხდა? შავი მაგიაა, თუ რამე სხვა?

ჯადოსნური ჯოხი ხელიდან გაუფრინდა... სედრიკ დიგორი

განიარაღებულია...

**სკორპიუსი:** ალბუს, მგონი დროის მდევარს... რაღაც სჭირს...

*დროის მდევარი სულ უფრო ხმამაღლა ნიკნიკებს.*

**ლუდო გეგმანი:** დიგორის მარცხიანი დღე გაუთენდა. ასე ხომ შეიძლება დავალებას გამოეთიშოს. მარტო ამ დავალებას კი არა, მთლიან ტურნირსაც.

სკორპიუსი ალბუსს ხელს სჭიდებს.

ნიკნიკი ყურისნამლები ხდება, შემდეგ სინათლე იფეთქებს.

ანწყობი ბრუნდებიან. ალბუსი ტკივილისგან ღრიალებს.

**სკორპიუსი:** ალბუს! რამე იტკინე? ალბუს, რა...

**ალბუსი:** რა მოხდა?

**სკორპიუსი:** როგორც ჩანს, რაღაც შეზღუდვა არსებობს... ეტყობა, დროის მდევარი დროში შეზღუდულია...

**ალბუსი:** როგორ ფიქრობ, რამე გამოგვივიდა? რამე შევცვალეთ?

უეცრად სცენაზე ყველა მხრიდან შემორბიან ჰარი, რონი (რომელსაც თმა რატომღაც გვერდზე აქვს გადაყოფილი და უფრო სოლიდურადაა ჩაცმული), ჯინი და დრაკო. სკორპიუსი ყველას თვალს მოავლებს და დროის მდევარს უჩუმრად ჯიბეში იტენის. ალბუსი მოსულებს ტკივილისგან ამღვრეული მზერით შესცქერის.

**რონი:** ხომ გითხარით, ხომ გითხარით, დავინახე-მეთქი!

**სკორპიუსი:** ამას ახლა გავიგებთ...

**ალბუსი:** გამარჯობა, მამა. რამე ცუდი მოხდა?

ჰარი განცვიფრებული დახედავს შვილს.

**ჰარი:** კი. შეიძლება ასეც ითქვას.

ალბუსი გონებას კარგავს. მისაშველებლად ჰარი და ჯინი მისცვივდებიან.



## მოქმედება 2 სცენა მერვი

### ჰოგვორტსი, საავადმყოფო ფლიგელი

ალბუსს საავადმყოფოს სანოლში სძინავს. გვერდით შენუხებული ჰარი უზის. მათ თავზემოთ სათნო სახის მამაკაცის პორტრეტი კიდია, რომელიც მამა-შვილს მზრუნველად დასცქერის. ჰარი თვალებს იფშენეტს, დგება და ოთახში მიდი-მოდის. იზმორება.

ამ დროს მზერას პორტრეტზე აჩერებს. პორტრეტი იგრძნობს, რომ შეამჩნიეს და კრთება. ჰარიც შემცბარი უსწორებს თვალს.

ჰარი: პროფესორო დამბლდორ.

დამბლდორი: სალამო მშვიდობისა, ჰარი.

ჰარი: ბოლო დროს ძალიან დამაკლდით. რამდენჯერაც დირექტორის კაბინეტში შევიარე, თქვენი პორტრეტი ყოველთვის ცარიელი დამხვდა.

დამბლდორი: აჰ! მართალია. დროდადრო ჩემი სხვა პორტრეტების მონახულება მიწევს. (ალბუსს დახედავს) ხომ გამოკეთდება?

ჰარი: უკვე ოცდაოთხი საათია, ასეა გათიშული. მადამ პომფრიმ დააძინა, რომ ხელი აღუდგინოს. ძალიან გაოცებული იყო, თითქოს ოცი წლის წინაა მოტეხილი და თავისით შეხორცებული, თანაც უკუღმაო. მაგრამ გვაიმედებს, რომ გამოჯანმრთელდება.

დამბლდორი: წარმომიდგენია, რა რთულია ტკივილით გატანჯული შვილის ყურება.

ჰარი დამბლდორს ახედავს, მერე ისევ ალბუსს აცქერდება.

**ჰარი:** თქვენთვის არ მიკითხავს, რა აზრის ხართ იმაზე, რომ თქვენი სახელი დავარქვი.

**დამგლდორი:** გულახდილად რომ გითხრა, ჰარი, მეტისმეტად დიდი ტვირთი მგონია პატარა ბიჭისთვის.

**ჰარი:** თქვენი დახმარება მჭირდება, თქვენი რჩევა. ბეინი ამბობს, რომ ალბუსი საფრთხეშია. როგორ დავიცვა შვილი, დამგლდორ?

**დამგლდორი:** ამდენი ადამიანი გახვევია და მე მეკითხები, როგორ დაიცვა ბიჭი საშინელი ხიფათისგან? ბავშვებს ვერ ავარიდებთ ზიანს. ტკივილი უნდა მოვიდეს და მოვა კიდევ.

**ჰარი:** ანუ გულხელდაკრეფილი ვიდგე და ვუყურო?

**დამგლდორი:** არა. უნდა ასწავლო, როგორ დაუხვდეს ცხოვრებას.

**ჰარი:** კი მაგრამ, როგორ? საერთოდ არ მისმენს.

**დამგლდორი:** იქნებ მომენტს უცდის... რომ ბოლოს და ბოლოს დაინახავ მას...

*ჰარი წარბშეკრული ჩაფიქრდება ამ სიტყვებზე.*

*(გრძნობამორეული) პორტრეტის წყველაცაა და ნიჭიც, ყოველთვის ყველაფერი ესმოდეს. სკოლაში, სამინისტროში თქვენზე ლაპარაკობენ...*

**ჰარი:** რაო, რას ჭორაობენ ჩემზე და ჩემს შვილზე?

**დამგლდორი:** არ ჭორაობენ. ნუხან, რომ თქვენს ურთიერთობაში ბზარია გაჩენილი. რომ რთული ბავშვია. რომ შენზე ბრაზობს. ისეთი შთაბეჭდილება ჩამომიყალიბდა, რომ... შეიძლება... შვილის სიყვარულმა დაგაბრმავა.

**ჰარი:** დამაბრმავა?

**დამგლდორი:** უნდა დაინახო ისეთი, როგორიც არის, ჰარი. უნდა მიხვდე, რა აყენებს ტკივილს.

**ჰარი:** განა ვერ ვხედავ, როგორია... და რა აყენებს ტკივილს ჩემს შვილს? *(ფიქრობს)* თუ ვინ აყენებს ტკივილს?

**ალბუსი (ძილში ბუტბუტებს):** მამა...

**ჰარი:** შავი ღრუბელი ეს ვილაცაა, არა? და არა რაღაცა.

**დამგლდორი:** აჰ, ჩემი აზრი არაფერს ნიშნავს. მე ხომ საღებავი

და მოგონება ვარ, ჰარი, საღებავი და მოგონება. თანაც მე არასდროს მყოლია შვილი.

ჰარი: მაგრამ მე თქვენი რჩევა მჭირდება.

ალბუსი: მამა?

ჰარი ალბუსს გახედავს და ისევ დამბლდორს უბრუნდება, მაგრამ დამბლდორი ჩარჩოში აღარ ხვდება.

ჰარი: ოჰ, არა. ახლა სადღა ნახვედით?

ალბუსი: სად ვართ? საავადმყოფო ფლიგელში?

ჰარის ყურადღება კვლავ ალბუსზე გადააქვს.

ჰარი (შემცბარი): კი. მაგრამ მალე გამოკეთდები. მაღამ პომფრიმ არ იცოდა, რა გამოენერა და დაგვაბარა, ბევრი... შოკოლადი აჭამეთო. ცოტა შეიძლება მეც ვჭამო? რაღაც უნდა გითხრა... რაც ალბათ არ მოგეწონება.

ალბუსი მამას ცნობისმოყვარედ შესცქერის, ნეტავ რა აქვს სათქმელიო. გადანყვეტს, არ შეეპასუხოს.

ალბუსი: კარგი, გისმენ.

ჰარი შოკოლადს იღებს და დიდ ნაჭერს კბერს. ალბუსი დაბნეული უყურებს.

კარგია?

ჰარი: კი.

შოკოლადს შვილს უწვდის. ალბუსი ართმევს. მამა-შვილი ერთად ილუკმება.

ხელი როგორ გაქვს?

ალბუსი მკლავს შლის და ხრის.

ალბუსი: მშვენივრად.

ჰარი (შემპარავად): სად იყავით, ალბუს? ვერც კი წარმოიდგენ, როგორ ვინერვიულეთ. დედაშენი მოკვდა დარდით...

ალბუსი ახედავს და დამაჯერებლად ცრუობს.

ალბუსი: სკოლაში დაბრუნება არ გვინდოდა. ვიფიქრეთ, მაგლების

სამყაროში ყველაფერს თავიდან დავიწყებთო. გვიან მივხვდით, რომ შევცდით. თქვენ როცა გვიპოვეთ, უკვე ჰოგვორტსში ვბრუნდებოდით.

**ჰარი:** ღურმსტრანგის ფორმა რატომ გეცვათ?

**ალბუსი:** ფორმა და... ეს ყველაფერი... მე და სკორპიუსი... რა ვიცი, ვსულელობდით.

**ჰარი:** და რატომ გაიქეციტ? ჩემ გამო? იმ სიტყვების გამო, რაც გითხარი?

**ალბუსი:** რა ვიცი. სიმართლე რომ გითხრა, ჰოგვორტსი მაინცდამაინც სასიამოვნო ადგილი არ არის მათთვის, ვინც იქაურობას ვერ ერგება.

**ჰარი:** სკორპიუსმა შემოგთავაზა გაქცევა?

**ალბუსი:** სკორპიუსმა? არა.

*ჰარი ჩაფიქრებული აკვირდება შვილს, მისი გულისნადების ამოკითხვას ცდილობს.*

**ჰარი:** მე მინდა, რომ სკორპიუსს მალფოის ჩამოშორდე.

**ალბუსი:** რაა? სკორპიუსს?

**ჰარი:** ჩემთვის გაუგებარია, საერთოდ რატომ დამეგობრდით, მაგრამ რატომღაც მეგობრობთ... ახლა კი მინდა, რომ...

**ალბუსი:** ჩემს მეგობარს ჩამოვშორდე? ჩემს უახლოეს მეგობარს?

**ჰარი:** ეგ ბიჭი საშიშია.

**ალბუსი:** სკორპიუსი და საშიში? იცნობ საერთოდ? მამა, შენ თუ მართლა გგონია, რომ ვოლდემორის შვილია...

**ჰარი:** არ ვიცი, რა არის და ვინ არის, მაგრამ ის კი ზუზტად ვიცი, რომ მისგან თავი შორს უნდა დაიჭირო. ბეინმა მითხრა...

**ალბუსი:** ბეინი ვინაა?

**ჰარი:** ბეინი კენტავრია, რომელსაც მისნობის არნახული ნიჭი აქვს. მითხრა, რომ შენ გარშემო შავ ღრუბელს ხედავს და...

**ალბუსი:** შავ ღრუბელს?

**ჰარი:** გარდა ამისა, ყველა საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ შავი მაგია ძალებს იკრებს და როგორმე უნდა დაგიცვა... მისგან... სკორპიუსისგან.

*ალბუსი ნამით ყოყმანობს, შემდეგ სახე ელუშება.*

**ალბუსი:** და თუ არ ჩამოვშორდები?

**პარი დაძაბული შეხედავს.**

**პარი:** ერთი რუკა მაქვს. თავის დროზე ოინებისთვის შეიქმნა, მაგრამ ახლა თქვენზე მეთვალყურეობისთვის გამოვიყენებ... პროფესორ მაკგონაგელს თქვენზე თვალი მუდმივად ეჭირება. ერთად თუ დაგინახავთ, წამში თქვენთან გაჩნდება. თუ ჰოგვორტსიდან გაპარვას ისევ დააპირებთ, ყველგან მოგაგნებთ. გაკვეთილებს აღარ გააცდენ. შენ და სკორპიუსი ერთად არცერთ გაკვეთილზე აღარ იქნებით და შესვენებებსაც გრიფინდორის საერთო ოთახში გაატარებ!

**ალბუსი:** გრიფინდორში რა მინდა, მე ხომ სლიზერინში ვარ!

**პარი:** ნუ სულელობ, ალბუს, მშვენივრად მოგეხსენება, რომელ კლუბშიც ხარ. მინერვა თუ სკორპიუსთან ერთად კიდევ გნახავს, იცოდე, ისე შეგილოცავ, რომ შენს ყოველ ნაბიჯს დავინახავ და თითოეულ სიტყვას გავიგონებ. ამასობაში, ჩემს დეპარტამენტში მისი წარმომავლობის გამოძიებას დავიწყებ.

**ალბუსი (ტირილი უვარდება):** კი მაგრამ, მამა... ასე არ შეიძლება...

**პარი:** იმის გამო, რომ არ გიყვარვარ, დიდხანს ვდარდობდი, ალბათ ალბუსს კარგ მამობას ვერ ვუნევ-მეთქი. მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ სულაც არ მჭირდება, გიყვარდე. მთავარია დამიჯერო, რადგან შენი მშობელი ვარ და ვიცი, რა არის შენთვის უმჯობესი. მაპატიე, ალბუს. სხვა გზა არ მაქვს.



## მოქმედება 2 სცენა მეცხრა

### ჰოზვორტსი, კიბა

ალბუსი ჰარის სცენიდან გასვლამდე უკან მიჰყვება.

**ალბუსი:** და თუ გავიქცევი, რას იზამ?

**ჰარი:** ალბუს, დაბრუნდი პალატაში!

**ალბუსი:** ისევ გავიქცევი, იცოდე!

**ჰარი:** არსადაც არ გაიქცევი.

**ალბუსი:** გავიქცევი და ამჯერად რონი ველარ გვიპოვის.

**რონი:** ვინმემ ჩემი სახელი ახსენა?

*კიბით რონი ჩამოდის. გვერდზე თმა კიდევ უფრო ფაქიზად აქვს გადავარცხნილი. ჩვეულებრივზე მოკლე მანტია აცვია. მისი სამოსი ახლა თვალშისაცემად დარბაისლურია.*

**ალბუსი:** ძია რონ! მადლობა დამბლდორს! ახლა თქვენი იუმორი თუ გადაგვარჩენს!

**რონი:** იუმორი? მე რომ იუმორთან მწყრალად ვარ?

**ალბუსი:** როგორ თუ მწყრალად! თქვენ ხომ ოინების მალაზიის მფლობელი ხართ.

**რონი (გაოგნებული):** ოინების მალაზიის? აბა, აბა!.. მოკლედ, მიხარია, რომ მოგისწარით. ტკბილეულის მოტანას ვაპირებდი... ისა... რომ გამოჯანმრთელება მესურვა, მაგრამ... პადმა, უფრო სხვანაირად... სერიოზულად უდგება ასეთ საკითხებს, ამიტომ გადაწყვიტა, რომ აჯობებდა, სკოლისთვის სასარგებლო რამე გვეჩუქებინა. ჰოდა, აი, ეს სანერი ფრთები გიყიდეთ. ჰო, ჰო, ნახე, რა კარგებია. საუკეთესო ნახელავია.



ალბუსი: პადმა ვინ არის?

ჰარი ალბუსს უბღვერს.

ჰარი: შენი ბიცოლა.

ალბუსი: მე ბიცოლა პადმა მყავს?

რონი (ჰარის): კონფუნდუსის შელოცვის ზემოქმედების ქვეშაა, ხომ? (ალბუსს) პადმა, ჩემი ცოლი, არ გახსოვს?.. ლაპარაკისას სახე ახლოს მოაქვს და პიტნის სუნი ასდის. (ალბუსისკენ იხრება) პადმა, პანჯუს დედა. (ჰარის) აქ, რა თქმა უნდა, პანჯუს გამო ვარ. ისევ ხათაბალაში გაეხვა. ღრიალა უნდა გამომეგზავნა, მაგრამ პადმამ დაიჟინა, პირადად ნახეო. არც კი ვიცი, რატომ. პანჯუ სერიოზულად არც კი აღმიქვამს.

ალბუსი: კი მაგრამ... თქვენ ხომ ჰერმიონზე ხართ დაქორწინებული.

პაუზა. რონი აზრზე ვერ მოდის.

რონი: ჰერმიონი? არა, არა. მერლინის წვერს ვფიცავ, რას მეუბნება!

ჰარი: ალბუსს ისიც დავინწყებული აქვს, რომ გრიფინდორშია განაწილებული. რაც არ აწყობს, არ ახსოვს.

რონი: აა, სამწუხაროდ, გრიფინდორში ხარ, მეგობარო.

ალბუსი: და გრიფინდორში როგორ მოხვდი?

რონი: არ გახსოვს? გამანაწილებელი ქუდი დაიყოლიე. პანჯუმ სანაძლეო დაგიდო, რომ გრიფინდორში ვერაფრის დიდებით ვერ მოხვდებოდი, ამიტომ მის ჯინაზე გრიფინდორი აირჩიე. ვერ დაგადანაშაულებ (მშრალად), ზოგჯერ ყველას გვინდა, ვინმეს სახიდან ღიმილი ჩამოვურეცხოთ, არა? (დამფრთხალი) გთხოვთ, პადმას არ გააგებინოთ, რომ ეს ვთქვი.

ალბუსი: პანჯუ ვინაა?

რონი და ჰარი გაოცებულები აცქერდებიან ალბუსს.

რონი: ჯანდაბა, მართლა არ ჰგავხარ შენს თავს. კარგი, ნავედი, სანამ თვითონ მიმიღია ღრიალა.

მიჩანჩალებს. უწინდელი რონისგან აღარაფერია დარჩენილი.

ალბუსი: ეს როგორ მოხდა... ვერაფერი გამიგია...

ჰარი: ალბუს, არ ვიცი, რატომ იკატუნებ თავს, მაგრამ იცოდე, რომ არ გაჭრის. გადანყვეტილებას არ შევცვლი.

ალბუსი: მამა, აირჩიე: ან ნამიყვან...

ჰარი: არა, ალბუს, ულტიმატუმს აქ შენ არ აყენებ. ან ისე მოიქცევი, როგორც გეუბნები, ან უფრო დიდ, უფრო სერიოზულ შარში გაეხვევი... გასაგებია?

სკორპიუსი: ალბუს. გამოკეთდი? რა კარგია!

ჰარი: გამონერეს და სახლში მივდივართ.

ალბუსი გულმოკლული შეხედავს სკორპიუსს და უსიტყვოდ ჩაუვლის.

სკორპიუსი: გაბრაზებული ხარ ჩემზე? რა ხდება?

ალბუსი ჩერდება და სკორპიუსისკენ ბრუნდება.

ალბუსი: გამოვიდა? რამე გამოვიდა?

სკორპიუსი: არა... მაგრამ, ალბუს...

ჰარი: ალბუს, არ ვიცი, რას ბოდავთ, მაგრამ ახლავე უნდა შეწყვიტოთ. უკანასკნელად გაფრთხილებ.

ალბუსი მამასა და მეგობარს შორის იხლიჩება.

ალბუსი: არ შემიძლია.

სკორპიუსი: რა არ შემიძლია?

ალბუსი: აღარ შემიძლია შენთან მეგობრობა. ორივესთვის ასე სჯობს.

გულდანყვეტილი სკორპიუსი მამა-შვილს მზერით აცილებს.





## მოქმედება 2 სცენა მათა

### ჰოგვორტსი, დირექტორის კაბინეტი

პროფესორი მაკგონაგელი ნირნამხდარი ჩანს, ჰარი – შეუვალი, ჯინი – დაბნეული.

პროფესორი მაკგონაგელი: არა მგონია, ონავართა რუკის პირვანდელი დანიშნულება ეს ყოფილიყო.

ჰარი: ერთად თუ ნახავთ, სასწრაფოდ დააშორეთ და ყველაფერი გააკეთეთ, რომ ცალ-ცალკე იყონ.

პროფესორი მაკგონაგელი: ჰარი, დარწმუნებული ხარ, რომ სწორად დაწყვეტილებას იღებ? კენტავრების სიბრძნეში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ ბეინი საკმაოდ ფიცხია და... არ გამოვრიცხავ, თანავარსკვლავედებში ის ამოიკითხოს, რაც მას აძლევს ხელს.

ჰარი: ბეინს ვენდობი. ალბუსი სკორპიუსს უნდა ჩამოვაშოროთ მისი და სხვების კეთილდღეობისთვის.

ჯინი: მგონი, ჰარის იმის თქმა უნდა, რომ...

ჰარი (გადაჭრით): პროფესორმა იცის, რისი თქმა მინდა.

ჯინი გაოცებით გადახედავს ჰარის – ეუცხოება მისგან ასეთი ტონი.

პროფესორი მაკგონაგელი: ალბუსი ქვეყნის საუკეთესო ჯადოქრებმა შეამონმეს და ვერანაირი წყევლის ან გათვალვის კვალი ვერ უპოვეს.

ჰარი: დამბლდორმაც... დამბლდორმაც მითხრა...

პროფესორი მაკგონაგელი: რა?

ჰარი: მისმა პორტრეტმა. საგულისხმო რაღაცები ილაპარაკა...

**პროფესორი მაკაონაბელი:** ჰარი, დამბლდორი მკედარია. მე ხომ ადრეც გითხარი, რომ პორტრეტები თავიანთი მოდელების ნახევარსაც კი არ წარმოადგენენ.

**ჰარი:** მითხრა, სიყვარულმა დაგაბრმავაო.

**პროფესორი მაკაონაბელი:** დირექტორის პორტრეტი მოგონებაა. მისი დანიშნულებაა სამსახურებრივი გადაწყვეტილებების მიღებაში დამეხმაროს, მაგრამ ამ თანამდებობას როცა ვიკავებდი, მირჩიეს, პორტრეტი ნამდვილ ადამიანში არ ამრეოდა. და შენც იმავეს გირჩევდი.

**ჰარი:** მაგრამ ის მართალი იყო. ახლა ვხედეები ამას.

**პროფესორი მაკაონაბელი:** ჰარი, შენ ბევრი რამე გადაიტანე, ალბუსის დაკარგვა, მისი ძებნა, ნაიარევის ტკივილის მიზეზზე შფოთვა. მაგრამ დამიჯერე, როცა გეუბნები, რომ შეცდომას უშვებ.

**ჰარი:** ალბუსს არც ადრე ვეხატებოდი გულზე. როგორმე გადავიტან, თუ ჩემს პატივისცემას დაკარგავს. სამაგიეროდ უსაფრთხოდ იქნება. დიდ პატივს გცემთ, მინერვა, მაგრამ... თქვენ შვილები არ გყავთ...

**ჯინი:** ჰარი!

**ჰარი:** ...თქვენ ვერ გამიგებთ.

**პროფესორი მაკაონაბელი (გულნატკენი):** მეგონა, პედაგოგობის მრავალწლიანი სტაჟი რაღაცას ნიშნავდა...

**ჰარი:** ეს რუკა გაჩვენებთ, სად იმყოფება ჩემი შვილი... იმედია, გამოიყენებთ. და თუ გავიგებ, რომ ჩემი თხოვნა არ შეასრულეთ... ამ სკოლას შავ დღეს ვაყრი, როგორც საშინისტროს თანამშრომელი... მთელ ჩემს უფლებამოსილებას გამოვიყენებ, გასაგებია?

**პროფესორი მაკაონაბელი (მისი ღვარძლით შემცბარი):** გასაგებია.

**ჯინი ისე უყურებს ჰარის, თითქოს პირველად ხედავდეს. ჰარი თვალს ვერ უსწორებს მას.**



## მოქმედება 2 სცენა მეთერთმეტე

### პოპკორტსი, ბნელი ძალებისგან თავდაცვის საკლასო ოთახი

საკლასო ოთახში, ცოტა არ იყოს, მორიდებით შემოდის ალბუსი.

**პარმიონი:** ოჰ, ჩვენი მატარებლის დევნილიც მოვიდა. როგორც იქნა, პატივი დაგვდო.

**ალბუსი:** ჰერმიონ?

სახეზე გაოგნება გადაურბენს. ჰერმიონი მერხების წინ, მასწავლებლის ადგილზე დგას.

**პარმიონი:** თქვენთვის პროფესორი გრეინჯერი, პოტერ.

**ალბუსი:** აქ რას აკეთებთ?

**პარმიონი.** ვასწავლი. ცოდვებმა მიწია. თავად თუ გახსოვთ, რისთვის ხართ აქ? იმედია, იმისთვის, რომ ისწავლოთ.

**ალბუსი:** კი მაგრამ, თქვენ... თქვენ ხომ მაგის მინისტრი ხართ.

**პარმიონი:** ისევ ნახულობთ იმ სიზმრებს, პოტერ? კარგი. საკმარისია. დღევანდელი გაკვეთილის თემაა პატრონუსის შელოცვა.

**ალბუსი (განცვიფრებული):** ბნელი ძალებისგან თავდაცვის საგანს გვასწავლით?

ვილაცების ხითხითი ისმის.

**პარმიონი:** მორჩა, მოთმინების ფიალა ამევსო! ათი საჯარიმო ქულა გრიფინდორს იმის გამო, რომ თავს ისულელებ.

**პოლი ჩაპმანი (შეურაცხყოფილი ნამოხტება):** არა, არა, არა! ამას განგებ აკეთებს. გრიფინდორი ეჯავრება და ეს ყველამ იცის!

**პერმიონი:** დაბრძანდით, პოლი ჩეკმენ, სანამ კიდევ უფრო გაგიფუჭებიათ საქმე (პოლი ოხვრით ჯდება). ეს თქვენც გეხებათ, პოტერ. დაბრძანდით და მორჩით ამ ფარსს.

**ალბუსი:** თქვენ ასეთი ავი არ ხართ.

**პერმიონი:** ოცი საჯარიმო ქულა გრიფინდორს, რომ პოტერი ჩემს სიავეში დავარწმუნო.

**იან ფრედერიკსი:** ალბუს, ახლავე თუ არ დაჯდება...

ალბუსი ჯდება.

**ალბუსი:** შეიძლება ერთი რამე ვთქვა...

**პერმიონი:** არა, არ შეიძლება. თქვენს ადგილზე ჩუმად ვიჯდებოდი, პოტერ, თორემ იმ მცირეოდენ სახელსაც დაკარგავთ, რაც შეგრჩენიათ. აბა, ვინ მეტყვის, რა არის პატრონუსი? ვერავენ? ამდენი უმაქნისი ერთად როგორ შეიყარეთ.

*პერმიონი ცივად იღიმის. მართლაც ძალიან გაავებულია.*

**ალბუსი:** არა. ეს დაუშვებელია! სადაა როუზი? ის გეტყვით, რა უაზროდ იქცევით.

**პერმიონი:** ვინ არის როუზი? თქვენი წარმოსახვითი მეგობარი?

**ალბუსი:** როუზ გრეინჯერ-უისლი! თქვენი ქალიშვილი! (ხდება, რაც ნამორძა) რა თქმა უნდა, რადგან რონს არ გაყვევით ცოლად, როუზიც...

**პერმიონი:** როგორ მიბედავთ! ორმოცდაათი საჯარიმო ქულა გრიფინდორს! და გარწმუნებთ, თუ ვინმე კიდევ შემანყვეტინებს, ას ქულამდეც ავალ...

*ოთახს თვალს მოაველებს. მოსწავლეები განძრევასაც ვერ ბედავენ.*

ძალიან კარგი... პატრონუსი არის მაგიური შელოცვა, თქვენი ყველა დადებითი შეგრძნების ანარეკლი, და იგი იმ ცხოველის ფორმას იღებს, რომელსაც თქვენი ბუნება ყველაზე მეტად ჰგავს. ის სინათლისგან ბოძებული საჩუქარია. პატრონუსის მოხმობას თუ ისწავლით, გარე სამყაროსგან თავის დაცვას შეძლებთ. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ადრე თუ გვიან ეს აუცილებელი ხდება.



## მოქმედება 2 სცენა მეთორმეტი

### ჰოზვორტსი, კიბაეზი

კიბეზე ალბუსი ადის და თან აქეთ-იქით იყურება.

ვერაფერს ხედავს. გადის. კიბეები ისე მოძრაობენ, თითქოს ცეკვავენო.

მის კვალდაკვალ სკორპიუსი შემოდის. ეჩვენება, რომ ალბუსი დაინახა, თუმცა მაშინვე ხვდება, რომ ის აქ არ არის.

იატაკზე ფეხმორთხმით ჯდება. მის გარშემო კიბეები ცეკვას აგრძელებენ.

შემოდის მადამ ჰუჩი და კიბეზე ადის. კიბის თავში სკორპიუსს ხელით ანიშნებს, გაიწიეო.

სკორპიუსი ემორჩილება და მხრებჩამოყრილი გადის. აშკარად მარტოსულია და იტანჯება.

შემოდის ალბუსი და ერთ კიბეზე ადის.

შემოდის სკორპიუსი და მეორე კიბეს აუყვება.

კიბეები ერთდებან. ბიჭები ერთმანეთს შეხედავენ.

სახეზე ერთდროულად დაბნეულობა და იმედი ეხატებათ.

შემდეგ ალბუსი ზურგს აქცევს. ნამიერი კავშირი ნყდება, და მასთან ერთად, ალბათ, მათი მეგობრობაც.

კიბეები შორდება - ბიჭები ერთმანეთს გადახედავენ. ერთი - დამნაშავის სახით, მეორე გულდანყვეტილი. ორივე დამნუხრებულია.







## მოქმედება 2 სცენა მეცამეტე

### ჰარი და ჯინი პოტერების სახლი, სამზარეულო

ჯინი და ჰარი ერთმანეთს ფრთხილად ადევნებენ თვალს. კამათი არ ასცდებათ და ეს ორივემ კარგად იცის.

ჰარი: ეს სწორი გადაწყვეტილებაა.

ჯინი: როგორი დარწმუნებული ხარ.

ჰარი: შენ თვითონ მითხარი, რომ მასთან გულახდილი ვყოფილიყავი, მაგრამ სინამდვილეში საკუთარ თავთან გულახდილობა უფრო მჭირდებოდა, ჩემს გულის კარნახს უნდა მივნიდობოდი...

ჯინი: ჰარი, შენ ერთ-ერთი ყველაზე გულკეთილი ჯადოქარი ხარ ჩვენს სამყაროში და არ მჯერა, რომ გულმა ეს გიკარნახა.

კარზე კაკუნი ესმით.

იცოდე, ამჯერად კარმა გადაგარჩინა.

გადის.

ერთ ნამში დრაკო შემოდის, ბრაზმორეულია, მაგრამ ამას კარგად მალავს.

დრაკო: დიდხანს არ ვაპირებ დარჩენას. ბევრი დროც არ დამჭირდება.

ჰარი: რით შემიძლია დახმარება?

დრაკო: აქ საჩხუბრად არ მოვსულვარ, მაგრამ ჩემი შვილი ვერ

დავამშვიდე, ტირის, და როგორც მისი მამა, მოვედი, რომ გავარკვიო, რატომ გადაწყვიტე ერთმანეთს დააშორო ახლო მეგობრები.

**ჰარი:** მე არავისაც არ ვაშორებ.

**დრაკო:** გაკვეთილების ცხრილი შეგიცვლია, მასწავლებლებსაც და ალბუსსაც დამუქრებინარ. რატომ?

*ჰარი ყურადღებით ათვალიერებს დრაკოს და ზურგს აქცევს.*

**ჰარი:** ჩემი ვალია, შვილი დავიცვა.

**დრაკო:** სკორპიუსისგან?

**ჰარი:** ბეინმა მითხრა, რომ ჩემი შვილის გარშემო წყვდიადს გრძნობს. ჩემს შვილთან ახლოს.

**დრაკო:** ამით რის თქმა გინდა, პოტერ?

*ჰარი მიუტრიალდება და პირდაპირ თვალებში უყურებს დრაკოს.*

**ჰარი:** დრაკო, დარწმუნებული ხარ... აბსოლუტურად დარწმუნებული ხარ, რომ შენია?

*მომაკვდინებელი სიჩუმე დგება.*

**დრაკო:** ახლავე უკან წაილე შენი სიტყვები... ახლავე!

*მაგრამ ჰარი შეუვალია.*

*დრაკო ჯადოსნურ ჯოხს უღერებს.*

**ჰარი:** არ გინდა.

**დრაკო:** დიახაც, მინდა.

**ჰარი:** არ მინდა, რამე დაგიშავო, დრაკო.

**დრაკო:** საინტერესოა, რადგან მე მინდა, რომ რამე დაგიშავო.

*საბრძოლველად ემზადებიან და ერთმანეთს შელოცვებს უშენენ.*

**დრაკო და ჰარი:** ექსპელიარმუს!

*ჯადოსნური ჯოხები შელოცვებს ისხლეტს და ორივენი უკან გადაქანდებიან.*

**დრაკო:** ინკარცერო!

ჰარი დრაკოს ჯადოსნური ჯოხიდან გამოტყორცნილ შელოცვას იცდენს.

ჰარი: ტარანტალეგრა!

დრაკო განზე ხტება.

კარგად გივარჯიშია, დრაკო.

დრაკო: შენ კი მოდუნებულხარ, პოტერ. დანსოჯეო!

ჰარი დიდი გაჭირვებით ახერხებს გზიდან ჩამოცლას.

ჰარი: რიკტუსემპრა!

დრაკო სკამს აიტაცებს და იფარებს.

დრაკო: ფლიპენდო!

ჰარი ჰაერში გადატრიალდება. დრაკო იცინის.

თავი ხელში აიყვანე, ბებერო.

ჰარი: ერთი ასაკისანი ვართ, დრაკო.

დრაკო: ოლონდ მე ასაკი ვერ მომერიია.

ჰარი: ბრაქიაბინდო!

დრაკო თავიდან ფეხებამდე იკოჭება.

დრაკო: სულ ესაა, რაც შეგიძლია? ემანსიპარე!

დრაკო უხილავი თოკებისგან თავს ითავისუფლებს.

ლევკორპუს!

ჰარი იძულეებულია, განზე ისკუპოს.

მობილიკორპუს! ასე თუ გავერთობოდი, არ მეგონა...

დრაკო ჰარის მაგიდაზე რამდენჯერმე ახტუნებს, შემდეგ მონყვე-  
ტით ანარცხებს და თვითონაც მაგიდაზე ხტება... ჯადოსნურ ჯოხს  
იმარჯვებს, მაგრამ ამასობაში ჰარის ჯადოსნური ჯოხიდან ნასრო-  
ლი შელოცვა ხვდება...

ჰარი: ობსკურო!

დრაკო შელოცვით დაკარგულ თვალისჩინს ნამში იბრუნებს.

ისევ ერთმანეთის წინ დგებიან. პარი სკამს ესვრის.

დრაკო იხრება, რომ აიციდინოს, თან სკამს თავისი ჯადოსნური  
ჯოხით ჰაერში აშეშებს.

**ჯინი:** ეს ოთახი სულ სამი წუთის წინ დავტოვე!

სამზარეულოში დატრიალებულ ქაოსს მზერით აფასებს, შემდეგ ჰაერში  
გაყინულ სკამებს თავისი ჯადოსნური ჯოხით იატაკზე უშვებს.

(მშრალად) რა გამოვტოვე?





## მოქმედა 2 სცენა მეთოთხეატი

### ჰოგვორტსი, კიბაეზი

სკორპიუსი ყურებჩამოყრილი ჩადის კიბეზე.

მეორე მხრიდან ფაცხაფუცხით შემორბის დელფი.

დელფი: ნესით, აქ არ უნდა ვიყო.

სკორპიუსი: დელფი?

დელფი: სიმართლე რომ ითქვას, მთელ ჩვენს ოპერაციას საფრთხეს ვუქმნი... ხომ იცი, გარისკვა არ მიყვარს. თან ჰოგვორტსში პირველად ვარ. სკოლის დაცვა მოიკოჭლებს, მაგრამ იმდენი პორტრეტი, დერეფანი და მოჩვენებაა, მტრისას! ერთმა ნახევრად თავნაჭრილმა, უცნაურმა მოჩვენებამ მომასწავლა შენკენ გზა, წარმოგიდგენია?

სკორპიუსი: როგორ, ჰოგვორტსში არ ხარ ნამყოფი?

დელფი: მე, ბავშვობაში, როგორ გითხრა... რამდენიმე წელი ვიავადმყოფე. სხვები წავიდნენ, მე – ვერა.

სკორპიუსი: ასე ავად იყავი? რა ცუდია. არ ვიცოდი.

დელფი: ამ ამბავს არ ვახმაურებ... არ მინდა სიბრალული გამოვიწვიო, ხომ გესმის...

სკორპიუსს კარგად ესმის. რალაციის სათქმელად პირს ალებს, მაგრამ ამ დროს მოსწავლე ჩაუვლით და დელფი სწრაფად იმალება. სკორპიუსი ცდილობს უდარდელი გამომეტყველება მიიღოს, სანამ მოსწავლე გასცდება.

წავიდა?

**საორაიუსი:** დელფი, მგონი შენთვის ძალიან საშიშია აქ ყოფნა.

**დელფი:** აბა, გულხელდაკრეფილები ხომ არ ვისხდებით.

**საორაიუსი:** დელფი, არ გამოგვივიდა წარსულის შეცვლა. ჩავფლავდით.

**დელფი:** ვიცი, ალბუსმა ბუ გამომიგზავნა. ისტორია შეიცვალა, მაგრამ არასაკმარისად – სედრიკი მაინც დაიღუპა. პირველ დავალებაში დამარცხებამ, პირიქით, უფრო მტკიცედ გადაწყვეტინა მეორეში გამარჯვება.

**საორაიუსი:** რონისა და ჰერმიონის ცხოვრებაც თავდაყირა დადგა. ჯერაც ვერ მივმხვდარვარ, რატომ.

**დელფი:** ჰო, ყველაფერი აირდაირია და ამიტომ სედრიკს დროებით მოცდა მოუწევს. კიდევ კარგი, დროის მდევარს ასე გულდასმით ინახავ, სკორპიუს... მაგრამ ვილაცამ ხომ უნდა გიხსნათ თქვენ ორნი ამ სიტუაციიდან.

**საორაიუსი:** აა, ჩვენ?

**დელფი:** თქვენ ხომ საუკეთესო მეგობრები ხართ. ყოველ გამოგზავნილ ბუზე ვხვდები, როგორ აკლიხარ. განადგურებულია.

**საორაიუსი:** როგორც ვხედავ, გულის მესაიდუმლე უპოვია. მაინც რამდენი ბუ გამოგიგზავნა?

**დელფი ნაზად უღიმის.**

ბოდიში. ეს არ მიგულისხმია... უბრალოდ... მართლა ვერ ვხვდები, რა ხდება. როგორ არ ვეცადე, მენახა, დავლაპარაკებოდი, მაგრამ ყოველ ჯერზე თავი ამარიდა.

**დელფი:** იცი, შენხელა რომ ვიყავი, ახლო მეგობარი არ მყავდა. ისე მინდოდა, სულს მივცემდი. პატარა რომ ვიყავი, გამოვიგონე კიდევ ერთი მეგობარი, მაგრამ...

**საორაიუსი:** მეც მყავდა წარმოსახვითი მეგობარი. ქარაშოტა ერქვა. კენჭობანას წესებზე წავიჩხუბეთ და დღემდე უბრად ვართ.

**დელფი:** ალბუსს ძალიან სჭირდება, სკორპიუს. მთავარი ესაა.

**საორაიუსი:** და რაში ვჭირდები?

**დელფი:** საქმეც ეგაა. მეგობრობა ასეთი რამეა – არ იცი, რაში სჭირდება. მხოლოდ ის იცი, რომ სჭირდება. შეეხმიანე, სკორპიუს. თქვენი ასე ყოფნა დაუშვებელია.



## მოქმედება 2 სცენა მეთხუთმეტი

### ჰარი და ჯინი ჰოტარების სახლი, სამზარეულო

ჰარი და დრაკო ერთმანეთისგან მოშორებით სხედან. მათ შორის ჯინი დგას.

დრაკო: სამზარეულოს დალენვისთვის ბოდიშს გიხდი, ჯინი.

ჯინი: ოჰ, ეს ჩემი სამზარეულო არაა. აქ ძირითადად ჰარი ტრიალებს.

დრაკო: მეც მიჭირს დალაპარაკება შვილთან... სკორპიუსთან. განსაკუთრებით... ასტორიას გარდაცვალების შემდეგ. ისიც კი არ ვიცი, როგორ უმკლავდება დედის დაკარგვას. როგორ არ ვცდილობ, მაგრამ ახლოს არ მიშვებს. შენ ალბუსთან გიჭირს საერთო ენის გამოძებნა, მე – სკორპიუსთან. მთავარი ესაა, ის კი არაა, რომ ჩემი შვილია ბოროტება. შეიძლება გულზვიადი კენტავრის სიტყვებისა ბრმად გჯეროდეს, მაგრამ მეგობრობის ძალა ხომ იცი, რაცაა.

ჰარი: დრაკო, შენ რასაც უნდა ფიქრობდე...

დრაკო: იცი, მე ყოველთვის მშურდა მათი. უისლისა და გრეინჯერის. მეგობრები მეც მყავდა...

ჯინი: კრაბი და გოილი.

დრაკო: ჰო, ორი ყეყეჩი, ცოცხის თავსა და ბოლოს რომ ვერ გაარჩევდნენ ერთმანეთისგან. თქვენ... თქვენ სამნი ბრწყინავდით. ერთად ყოფნა მოგწონდათ. ერთობლივად. ყველაზე მეტად ზუსტად ეს თქვენი მეგობრობა მშურდა.

**ჯინი:** ამათი მეც მშურდა.

**ჰარის ჯინის სიტყვები აოცებს.**

**ჰარი:** ალბუსი უნდა დავიცვა...

**დრაკო:** მამაჩემსაც ეგონა, რომ მიცავდა. შეძლებისდაგვარად...

ჩემი აზრით, ცხოვრების რალაც ეტაპზე არჩევანის გაკეთება გიხდება, როგორი ადამიანი გინდა დადგე, და ასეთ დროს გვერდით მშობელი ან მეგობარი გჭირდება. მაგრამ ამ დროისთვის თუ მშობელი უკვე გძულს, ხოლო მეგობრები არ გყავს, სულ მარტო რჩები. მარტოობა კი... მძიმეა. მარტოობამ მე სიბნელისკენ მიბიძგა. საკმაოდ დიდი ხნით. ტომ რიდლიც მარტოსული ბავშვი იყო. ჰარი, შენ შეიძლება ეს ვერ გაიგო, მაგრამ ჩემთვის ცხადზე ცხადია... და მე მგონი, ჯინისთვისაც.

**ჯინი:** მართალს ამბობს.

**დრაკო:** ტომ რიდლი სიბნელემ შთანთქა და ასე გახდა ლორდი ვოლდემორი. იქნებ ის შავი ღრუბელი, ბეინმა რომ დაინახა, ალბუსის სიმარტოვეა? მისი ტკივილი, მისი სიძულვილი. არ დაკარგო ბიჭი. ამას შენც და ისიც მწარედ ინანებთ. შეიძლება თვითონ ამას ვერ ხვდებოდეს, მაგრამ მას მამაც და სკორპიუსიც ძალიან სჭირდება.

**ჰარი ჩაფიქრებული უყურებს დრაკოს.**

**რალაცის თქმას დააპირებს და გადაიფიქრებს.**

**ჯინი:** ჰარი, ფლუ ფხენილს თვითონ აიღებ, თუ მოგანოდო?

**ჰარი ცოლს ახედავს.**







## მოქმედება 2 სცენა მეთექვსმეტი

### ჰოგვორტსი, ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკაში სკორპიუსი შედის. ჯერ მარცხნივ იყურება, მერე – მარჯვნივ. შემდეგ ალბუსს ხედავს და ალბუსიც ამჩნევს მას.

სკორპიუსი: გამარჯობა.

ალბუსი: სკორპიუს, მე არ შემიძლია...

სკორპიუსი: ვიცი. ახლა გრიფინდორში ხარ. ჩემი დანახვაც არ გინდა, მაგრამ მაინც აქ ვარ და გელაპარაკები.

ალბუსი: მე არ შემიძლია შენთან ლაპარაკი, ამიტომ...

სკორპიუსი: მოგინევს. გგონია, უბრალოდ ადგები და დაივიწყებ ყველაფერს, რაც მოხდა? არ შეგიმჩნევია, რომ სამყარო შეიშალა?

ალბუსი: ვიცი. რონი უცნაური გახდა, ჰერმიონი მასწავლებელია, ყველაფერი არასწორადაა, მაგრამ...

სკორპიუსი: და როუზი არ არსებობს.

ალბუსი: ვიცი. მისმინე, ჩემთვისაც გაუგებარია ბევრი რამე, მაგრამ შენი აქ ყოფნა არ შეიძლება.

სკორპიუსი: ჩვენი საქციელის გამო როუზი არც დაბადებულა. გახსოვს სამი ჯადოქრის ტურნირის საშობაო მეჯლისზე რომ მოგვიყვნენ? ტურნირის ოთხივე ჩემპიონმა პარტნიორი აირჩია. მამაშენმა მეჯლისზე პარვატი პეტილი წაიყვანა, ვიქტორ კრამმა...

ალბუსი: ...ჰერმიონი. რონმა იეჭვიანა და იდიოტივით მოიქცა.

სკორპიუსი: მსგავსი არაფერი მომხდარა. რიტა სკიტერის წიგნი

ვიპოვე, რომელშიც ამ მეჯლისზე წერს. ყველაფერი სხვანაირადაა. რონმა ჰერმიონი დაპატიჟა მეჯლისზე.

**ალბუსი:** რა თქვი?

**აოლი ჩეაჩენი:** ჩუპუპ!

*სკორპიუსი პოლისკენ თვალს აპარებს და ხმადაბლა აგრძელებს.*

**სკორპიუსი:** როგორც მეგობრები, ისე ნავიდნენ, მეგობრულად იცეკვეს და გაერთნენ. მერე რონი პადმა პეტილს ეცეკვა და მასთან კიდევ უფრო გაერთო. მას მერე ერთმანეთს ხვდებოდნენ. რონი ამასობაში ცოტა შეიცვალა, დაქორწინდნენ. ჰერმიონი კი...

**ალბუსი:** ფსიქოპათი გახდა.

**სკორპიუსი:** ჰერმიონი კრამთან ერთად აპირებდა მეჯლისზე წასვლას და იცი, რატომ არ ნავიდა? იეჭვა, რომ ის ორი უცნაური დურმსტრანგელი ბიჭი, პირველი დავალების დროს რომ ნახა, როგორღაც სედრიკის ჯადოსნური ჯოხის გაუჩინარებაში იყვნენ გარეულები. დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ ვიქტორის მითითებით შევუშალეთ ხელი სედრიკს პირველი დავალების შესრულებაში...

**ალბუსი:** ვააა!..

**სკორპიუსი:** რადგან კრამი ასპარეზზე არ იყო, რონსაც საეჭვიანო არაფერი ჰქონდა, არადა, ეჭვიანობა გადამწყვეტი იყო... ის და ჰერმიონი მეგობრებად დარჩნენ, მაგრამ ერთმანეთი არ შეჰყვარებიან, არ დაქორწინებულან და არც როუზი დაბადებულა.

**ალბუსი:** აი, თურმე მამაჩემი რატომაა ასეთი... ისიც შეიცვალა?

**სკორპიუსი:** მამაშენთან მგონი ყველაფერი ისევეა. ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების თავმჯდომარეა. ჯინი ჰყავს ცოლად და სამი შვილი.

**ალბუსი:** აბა, რატომ იქცევა ასე...

*ოთახის კუთხიდან ბიბლიოთეკარი შემოდის.*

**სკორპიუსი:** გამიგონე, ალბუს... ეს ამბავი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შენი და მამაშენის ურთიერთობა. პროფესორ კროუკე-

რის კანონი ხომ გახსოვს – დროის ყველაზე დიდი მონაკვეთი, რომელში გადაადგილებაც შესაძლებელია, ისე რომ თავად დროში სერიოზული ცვლილებები არ მოხდეს, ხუთი საათია. ჩვენ კი წლების წინ დავბრუნდით. უმცირესი წამი, უმცირესი ცვლილებაც კი ჯაჭვურ რეაქციას იწვევს. ჩვენ საკმაოდ შევცვალეთ მოვლენები და ამ დაუფიქრებლობის გამო როუზი არ დაბადებულა!

**ბიზლიოთეკარი:** ჩშშშშ!

*ალბუსი დაძაბული ფიქრობს.*

**ალბუსი:** კარგი, დავბრუნდეთ და ყველაფერი გამოვასწოროთ. სედრიკი და როუზი დავაბრუნოთ.

**სკორპიუსი:** ...ეს არასწორი პასუხია.

**ალბუსი:** დროის მდევარი ხომ შენ გაქვს? ხომ არავის უპოვია?

*სკორპიუსი ჯიბიდან დროის მდევარს იღებს.*

**სკორპიუსი:** კი, მაგრამ...

*ალბუსი ხელიდან გამოსტაცებს.*

არა! არ გინდა, ალბუს. ნუთუ ვერ ხვდები, შეიძლება უფრო ავურიოთ ყველაფერი.

*სკორპიუსი დროის მდევარს წაატანს ხელს, ალბუსი უბიძგებს და ხელჩართული ბრძოლა იმართება.*

**ალბუსი:** ყველაფერი გამოსასწორებელია, სკორპიუს, და სედრიკი მაინც ჩვენი გადასარჩენია. როუზიც დასაბრუნებელი. უფრო ფრთხილად ვიქნებით. კროუკერს კი არა, მე დამიჯერე, ჩვენს ინტუიციას ენდე. ამჯერად ყველაფერს სწორად გავაკეთებთ.

**სკორპიუსი:** არა, ვერაფერსაც ვერ გავაკეთებთ. დამიბრუნე, ალბუს! მომეცი აქ!

**ალბუსი:** არ შემიძლია. მეტად მნიშვნელოვანია.

**სკორპიუსი:** კი, მეტისმეტად მნიშვნელოვანია... საიმისოდ, რომ ჩვენ ვითავოთ. ხომ ხედავ, არ ვვარგევართ ამ საქმეში, ყველაფერს ვურევთ.

**ალბუსი:** და რა იცი, რომ არც ახლა გამოგვივა?

**სპორაიუსი:** ვიცი. იმიტომ, რომ არ გამოგვდის! ყველაფერი გავაფუჭეთ. სრული კრახი განვიცადეთ. უმაქნისები ვართ, ნამდვილი უმაქნისები. ნუთუ აქამდე ვერ მიხვდი ამას?

ალბუსი ბოლოს და ბოლოს ჯაბნის და სკორპიუსს მინაზე ანარცხებს.

**ალბუსი:** სანამ შენ გაგიცნობდი, უმაქნისი არ ვიყავი.

**სპორაიუსი:** ალბუს, არ ვიცი, მამაშენისთვის რისი დამტკიცება გინდა, მაგრამ სწორი გზა არ გაქვს არჩეული.

**ალბუსი:** მამაჩემს არაფერსაც არ ვუმტკიცებ. უბრალოდ, სედრიკი უნდა გადავარჩინო, რომ როუზიც გადარჩეს და იქნებ... შენ თუ ხელს არ შემეშლი... რაღაცა მოვახერხო კიდევ.

**სპორაიუსი:** უჩემოდ? ოჰ, საწყალი ალბუს პოტერი – ბოლმიანი და დაკომპლექსებული, საცოდავი ალბუს პოტერი. ახლა სიბრალულით ვიტირებ.

**ალბუს:** რა თქვი?

**სპორაიუსი (გალიზიანებული):** აბა, ჩემს ადგილზე წარმოიდგინე თავი! შენ იმიტომ იქცევ ყურადღებას, რომ სახელგანთქმული ჰარი პოტერის, ჯადოქრული სამყაროს მხსნელის, შვილი ხარ. მე კი იმიტომ ვარ ყურადღების ცენტრში, რომ მამაჩემი ვოლდემორი ჰგონიათ. ვოლდემორი!

**ალბუსი:** არც კი...

**სპორაიუსი:** წამით მაინც თუ შეგიძლია წარმოიდგინო, ეს რას ნიშნავს? ოდესმე გიცდია? არა! რადგან საკუთარი თავის გარდა არაფერი განაღვლებს, იმიტომ რომ მამაშენთან უაზრო უთანხმოების გარდა არაფერი გედარდება. ის ყოველთვის ჰარი პოტერი იქნება, შეიგნე ბოლოს და ბოლოს! და შენ ყოველთვის მისი შვილი იქნები. ვიცი, რომ ძნელია, და რომ სხვა ბავშვები საშინლად გექცევიან, მაგრამ უნდა ისწავლო ამით ცხოვრება, რადგან... ბევრად უარესი რამეებიც არსებობს. გასაგებია?

**პაუზა.**

როდესაც მიხვდები, რომ დრო შეიცვალა, წამით აღტაცებამ მომიცვა, სულ ერთი წამით, როცა გავიფიქრე, იქნებ დედაჩემი არ გამხდარა ავად, იქნებ არც მომკვდარა-მეთქი. მაგრამ არა,

აღმოჩნდა, რომ მკვდარია, და მე ისევ ვოლდემორის შვილი ვარ, დედით ობოლი. და ამ დროს თანავუგრძნობ ბიჭს, რომლისგანაც საპასუხოდ ვერაფერს ვიღებ. ბოდიში, თუ ცხოვრება დაგინგრიე, რადგან შენ მე ისედაც დანგრეულ ცხოვრებას ველარ დამინგრევდი. მაგრამ არც უკეთესობისკენ შეგიცვლია, იმიტომ რომ ცუდი, ყოვლად უვარგისი მეგობარი ხარ!

ალბუსი გასუსული უსმენს. ხვდება, რა საშინლად მოექცა მეგობარს.

**პროფესორი მაკგონაგალი (სცენის მიღმიდან):** ალბუს? ალბუს პოტერ. სკორპიუს მალფოი. აქ ერთად ხართ, ხომ? თქვენთვისვე აჯობებს, ასე არ იყოს.

ალბუსი სკორპიუსს გადახედავს და მოსასხამს იღებს ჩანთიდან.

ალბუსი: ჩქარა. უნდა დავიმალოთ.

სკორპიუსი: რა?

ალბუსი: სკორპიუს, შემომხედე.

სკორპიუსი: უჩინმაჩინის მოსასხამი? ეს ხომ ჯეიმსისაა?

ალბუსი: თუ გვიპოვის, სამუდამოდ დაგვაშორებენ. გთხოვ! ვალიარებ, დამნაშავე ვარ. ძალიან გთხოვ...

**პროფესორი მაკგონაგალი (სცენის მიღმიდან. აშკარად ცდილობს, ბიჭებს დამალვის შესაძლებლობა მისცეს):** იცოდეთ, შემოვდივარ!

ოთახში პროფესორი მაკგონაგელი შემოდის, ხელში ონავართა რუკა უჭირავს. ბიჭები უჩინმაჩინის მოსასხამის ქვეშ უჩინარდებიან. გადაღლილი პროფესორი ოთახს ათვალთქვებს.

ნეტავ სად გაქრნენ... ჯერ ძალით მომაჩერეს ეს რუკა, და ახლა მაპამპულავენს კიდევ.

ფიქრობს. რუკას აცქერდება. განსაზღვრავს, სად უნდა იყვნენ ბიჭები. იქაურობას ყურადღებით ათვალთქვებს. ნივთები ადგილს იცვლიან, როცა მათ უხილავად ქცეული ბიჭები ჩაუვლიან. მაკგონაგელი ხედავს, საითაც მიემართებიან. ცდილობს, გზა გადაუღობოს, მაგრამ ბიჭები გვერდს უქცევენ.

რანაირად... თუ მამაშენის მოსასხამი არ გაქვს...

ისევ რუკას დასცქერის და ბიჭებს გახედავს. თავისთვის ელიძეობა.

რა ვუყოთ, რაკი ვერ გხედავთ, ესე იგი ვერ გხედავთ.

გადის. ბიჭები მოსასხამს გადაიძრობენ. ნამით მდუმარედ სხედან.

**ალგუსი:** ჰო, ჯეიმსს მოვპარე. ვერ წარმოიდგენ, რა ადვილია მისი გაძარცვა. ჩემოდნის საკეტის კოდად ის თარიღი აქვს დაყენებული, როცა პირველი ცოცხი აჩუქეს. მალე აღმოვაჩინე, რომ მოსასხამით უფრო ადვილი იყო მოძალადეებისგან დამალვა...

**სკორპიუსი თავს უქნევს.**

ვიზიარებ დედაშენის ამბავს. ვიცი, რომ მასზე წესიერად არც გვილაპარაკია, მაგრამ იმეღია, იცი, რომ... ვწუხვარ... საშინელებათაა, რაც მას დაემართა, რაც შენ დაგემართა....

**სკორპიუსი:** მაღლობა.

**ალგუსი:** მამაჩემმა მითხრა, რომ შენ იყავი შავი ღრუბელი, თავს რომ დამტრიალებდა. მამაჩემმა გადანყვიტა... რომ ჯობდა, შენგან თავი შორს დამეჭირა, თორემ, დამემუქრა...

**სკორპიუსი:** მამაშენს ჰგონია, რომ ჭორები სიმართლეს შეესაბამება... რომ მე ვოლდემორის შვილი ვარ?

**ალგუსი (თავს უქნევს):** ამას ახლა მისი დეპარტამენტი იძიებს.

**სკორპიუსი:** ძალიან კარგი. გამოიძიონ. ხანდახან... ხანდახან მეც კი გამიფიქრებია, იქნებ სიმართლეა-მეთქი.

**ალგუსი:** არა. სიმართლე ვერ იქნება და გეტყვი, რატომაც: იმიტომ რომ შეუძლებელია, ვოლდემორის შვილი შენსავით კეთილი იყოს. გული სიკეთით გაქვს სავსე. დარწმუნებული ვარ, ვოლდემორს შენისთანა შვილი ვერ ეყოლებოდა.

**პაუზა. სკორპიუსს ეს სიტყვები გულს უჩუყებს.**

**სკორპიუსი:** ამის გაგონება ძალიან... სასიამოვნოა.

**ალგუსი:** ეს დიდი ხნის წინ უნდა მეთქვა. სიმართლე რომ გითხრა, შენ ალბათ ყველაზე კარგი ადამიანი ხარ, ვისაც ცხოვრებაში შევხვედრივარ. შენ არ... ვერანაირად შემისიძლიდი ხელს... პირიქით, მაძლიერებ და როდესაც მამაჩემმა შენთან მეგობრობა ამიკრძალა... შენ გარეშე...

საორაიუსი: არც მე მილხინდა მარტოს.

ალბუსი: და კიდევ... ვიცი, რომ ყოველთვის ჰარი პოტერის შვილი ვიქნები... და ამას როგორმე მოვინელებ... ისიც ვიცი, რომ შენთან შედარებით სანუნუნო არაფერი მაქვს, მართლა. და რომ მე და მას უფრო გაგვიმართლა და...

საორაიუსი (ანყვეტინებს): ალბუს, ამდენი მობოდიშება არაა საჭირო, მაგრამ, თუ შეატყვე, ისევ შენს თავზე გადაგაქვს საუბარი, ამიტომ ჯობს გაჩერდე, სანამ დროა...

ალბუსი უღიმის და ხელს უწვდის.

ალბუსი: მაშ, ისევ მეგობრები ვართ?

საორაიუსი: აბა, რა.

სკორპიუსიც უწვდის ხელს, ალბუსი თავისკენ ექაჩება და გულში იკრავს.

უკვე მეორედ მეხვევი.

ერთმანეთს ღიმილით შორდებიან.

ალბუსი: იცი, კარგია, რომ ეს უთანხმოება მოგვივიდა, რადგან ამან შესანიშნავი აზრი შთამაგონა.

საორაიუსი: რა აზრი?

ალბუსი: მეორე დავალებას და დამცირებას ეხება.

საორაიუსი: ისევ წარსულში მოგზაურობას უბრუნდები? მეგონა, ეს თემა უკვე დავხურეთ.

ალბუსი: მართალი იყავი, რომ თქვი უმაქნისები ვართო. გადასარე-ვად გამოგვდის მარცხი და ეს უნარი, ეს ნიჭი, საჩვენოდ უნდა გამოვიყენოთ. მარცხიანს, როგორც წესი, სხვები ჩააგონებენ, რომ ხელმოცარულია. და ამის ჩაგონების ერთადერთი გზა არსებობს... ჩვენ ეს ყველაზე უკეთ მოგვეხსენება... დამცირე-ბა. უნდა დავამციროთ სედრიკი. ამიტომ მეორე დავალების დროს სწორედ ამას ვიზამთ.

სკორპიუსი ერთხანს ფიქრობს და შემდეგ ეღიმება.

საორაიუსი: ეს მართლა კარგი სტრატეგიაა.

ალბუსი: ვიცი.



სკორპიუსი: ბრწყინვალე სტრატეგია. სედრიკის დამცირება სედრიკისავე გადასარჩენად. ქკვიანურია. და როუზი?

ალბუსი: ამას სიურპრიზად შემოვინახავ. იცი, ამას უშენოდაც შევძლებდი, მაგრამ მინდა, რომ იქ იყო. მინდა, ეს ორივემ ერთად გავაკეთოთ. ყველაფერი გამოვასწოროთ. აბა... მოდიხარ?

სკორპიუსი: მაგრამ, მოიცა... მეორე დავალებისას ხომ ტბაში უნდა ჩაეყვინათ. შენ კი სკოლის შენობიდან გასვლის უფლება არ გაქვს.

ალბუსი ეშმაკურად იღიმის.

ალბუსი: ჰო. რაც შეეხება ამას... მთავარია, პირველ სართულზე გოგონების ტუალეტი ვიპოვოთ.







## მოქმედება 2 სცენა მერვიდგება

### უოგვორტსი, კიბა

კიბეზე ფიქრებში ჩადიოული რონი ჩადის. პერმიონს ხედავს და გამოუმეტყველდა ნაბში ეცელედა.

**რონი.** პროფესორო გრეინჯერ.

პერმიონი მისკენ იბედედა და გული უჩქარდება (თუმცა თავის თავსაც არ უტყდება რომ ასეა).

**პერმიონი:** რონ, აქ რას აკეთებ?

**რონი.** პანჯუს მხამ-ნამლების გაკეთილზე მარცხი მოუვიდა. თავს იწონებდა, რა თქმა უნდა, არასწორი ინგრედიენტები შეაზავა და ახლა უნარბებოდ და ვეება ულუაშით დაიარება, რაც, ცხადია, არ ამშვენებს. არ მინდოდა მოსვლა, მაგრამ პადმა ამბობს, როდესაც ბიჭებს სახეზე თმა ამოსდით, ასეთ დროს გვერდით მამა სჭირდებათო. შენს თმას რამე უქენი?

**პერმიონი:** რა ვიცი, უბრალოდ დაევიარცხნე.

**რონი:** აა... გიხდება დაეარცხნა.

პერმიონი ცოტა უცნაურად შეხედავს რონს.

**პერმიონი:** რონ, ნუ მიყურებ ასე.

**რონი** (გამბედაობას იკრებს): იცი, პარის შვილმა ალბუსმა იმ დღეს მითხრა, რომ ეგონა, მე და შენ... ცოლ-ქმარი ვიყავით. პა-პა. პა, პა, პა. სასაცილოა, ვიცი.

**პერმიონი:** ძალიან სასაცილო.

**რონი:** ეგონა, რომ გოგონა გყავდა. რა უცნაური იქნებოდა, არა?

ერთმანეთს თვალებში შესცქერიან. ჰერმიონი პირველი არიდებს მზერას.

**ჰერმიონი:** ძალიან უცნაური.

**რონი:** მეც ამას არ ვამბობ? ჩვენ ხომ მეგობრები ვართ... სულ ესაა.

**ჰერმიონი:** რა თქმა უნდა. მხოლოდ მეგობრები...

**რონი:** მხოლოდ... მეგობრები. საოცარი სიტყვაა „მეგობრები“. ჩვეულებრივი სიტყვაა, არადა. მეგობრები. მეგობარი. საოცარი მეგობარი. შენ ხარ ჩემი საოცარი მეგობარი, ჩემი ჰერმიონი... არა, ანუ ჩემი ჰერმიონი კი არა, ხომ გესმის... ჩემი კი არა...

**ჰერმიონი:** მესმის.

პაუზა. ორივენი გაუნძრევლად დგანან. ორივესთვის იმდენად ძვირფასია ეს წამი, რომ დუმილის დარღვევას ვერ ბედავენ. ბოლოს რონი ჩაახველებს.

**რონი:** უნდა წავიდე. პანჯუს ამბავი მოვაგვარო. ულვაშის მოზრდის ხელოვნებას ვაზიარო.

ჰერმიონს ჩაუვლის, მობრუნდება და შეხედავს. ჰერმიონიც უკან იყურება და რონი საჩქაროდ აგრძელებს გზას.

ასე თმა მართლა ძალიან გიხდება!





## მოქმედება 2 სცენა მეთვრამეტა

### ჰოვარდის, ღირსების კაბინეტი

პროფესორი მაკონაგელი მარტო დგას სცენაზე. რუკას დასცქერის და შუბლს იჭმუხნის. რუკას ჯადოსნური ჯოხით ეხება და თავისი გადანყვეტილებით კმაყოფილს ელიმება.

პროფესორი მაკონაგელი: ოინი გამომივიდა.

ისმის გრუხუნის. თითქოს მთელი სცენა ზანზარებს.

ბუხრიდან ჯერ ჯინი გამოხტება და შემდეგ ჰარი.

ჯინი: პროფესორო, გამარჯობა. ალბათ, თქვენს კაბინეტში ამაზე ღირსეულად გამოჩენა არ მეღირსება.

პროფესორი მაკონაგელი: ჰარი, ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ შენს გეგმაში მონაწილეობას არ მივიღებ. რითაც გინდა დამემუქრე, მე...

ჰარი: მინერვა, მე სამშვიდობოდ მოვედი და არა სამტროდ. ასე არ უნდა დაგლაპარაკებოდით.

პროფესორი მაკონაგელი: მე მიმაჩნია, რომ ორი ადამიანის მეგობრობაში არ უნდა ჩავერიო და....

ჰარი: თქვენც და ალბუსსაც ბოდიში უნდა მოგიხადოთ. ხომ მომცემთ ამის საშუალებას?

მათ ზურგს უკან დრაკო ებერტყება და ჭვარტლის კორიანტელს აყენებს.

პროფესორი მაკონაგელი: დრაკო?

**დრაკო:** ის თავის შვილს ეძებს, მე – ჩემსას.

**ჰარი:** როგორც უკვე გითხარით, სამშვიდობოდ მოვედით და არა სამტროდ.

პროფესორი მაკონაგელი ჰარის აკვირდება, მის სახეზე გულწრფელობას კითხულობს, რუკას ჯიბიდან ისევ იღებს და შლის.

**პროფესორი მაკონაგელი:** მშვიდობაში მონანილეობაზე არასდროს ვიტყვი უარს.

რუკას ჯადოსნური ჯოხით მსუბუქად ეხება.

(ოხვრით) ვფიცავ, რომ მოვანყობო ოინებს, მხოლოდ ოინებს და არაფერს ოინების გარდა!

რუკა თითქოს ცოცხლდება და მასზე გამოსახულებები ჩნდება.

აგერ, ერთად ყოფილან.

**დრაკო:** პირველ სართულზე, გოგონების ტუალეტში! იქ რა დაჰკარგვიათ?





## მოქმედება 2 სცენა მეცხრამეტი

### ჰოგვორტსი, გოგონების ტულატი

ტულეტში სკორპიუსი და ალბუსი შედიან. შუაგულში დიდი, ვიქტორიანული ეპოქის დროინდელი ხელსაბანი ჩანს.

სკორპიუსი: ერთი კარგად ამიხსენი... ანუ გასადიდებელ შელოცვას აპირებ...

ალბუსი: კი. ის საპონი მომანოდე, რა...

სკორპიუსი ხელსაბანიდან საპონს იღებს.

ენგორჯიო!

ჯადოსნური ჯოხიდან გამოტყორცნილი ელვა საპონს ხვდება. საპონი იბერება და თავდაპირველ ზომაზე ოთხჯერ უფრო დიდი ხდება.

სკორპიუსი: ვააა. ჩათვალე, რომ შენდამი ჩემი პატივისცემაც ამდენად გაიზარდა.

ალბუსი: მეორე დავალება ტბაზე გაიმართა. მონაწილეებს უნდა დაებრუნებინათ ის, რაც მოჰპარეს და ეს საბოლოოდ აღმოჩნდა...

სკორპიუსი: მათთვის ყველაზე საყვარელი ვინმე ან რამე.

ალბუსი: სედრიკმა თავბუშტუკის შელოცვას მიმართა, რომ ტბაში ჩაეყვინთა. ისლა დაგვრჩენია, უკან გავყვეთ და გადიდების შელოცვით ზომა შევუცვალოთ. უკვე ვიცი, რომ მდევრის მოქმედება დროში შეზღუდულია, ამიტომ სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ. მივუახლოვდეთ, თავი გავუდიდოთ და დავ-

რწმუნდეთ, რომ ტბიდან ამოტივტივდა და დავალებას, ასევე მთლიან კონკურსს გამოეთიშა...

**საორპიუსი:** მაგრამ ჯერ არ გითქვამს, როგორ ვაპირებთ ტბამდე მიღწევას...

*ამ დროს ხელსაბანის ნიჟარიდან წყალი იხუვლებს და ჭავლს გალუმპული მტირალა მირტლი ამოჰყვება.*

**მტირალა მირტლი:** ვაა. რა კარგია!.. ადრე რატომ არ მომწონდა ამის კეთება... მაგრამ ჩემი ასაკისა რომ მოიყრები, მერე ყველაფრით ტკბობას სწავლობ...

**საორპიუსი:** რა თქმა უნდა... ნამდვილი გენიოსი ხარ... მტირალა მირტლ...

*მტირალა მირტლი სკორპიუსს მიაფრინდება.*

**მტირალა მირტლი:** რა მიწოდე? მე ვარ მტირალა? მე? მე?

**საორპიუსი:** არა, არასწორად გამიგე...

**მტირალა მირტლი:** აბა, მაშინ მითხარი, რა მქვია!

**საორპიუსი:** მირტლი.

**მტირალა მირტლი:** დიახაც! მირტლი. მირტლი ელიზაბეტ უორენი... რა ლამაზი სახელია... ჩემი სახელი... სატირალი რა მაქვს.

**საორპიუსი:** ხოო...

**მტირალა მირტლი (ხითხითით):** რამდენი ხანია, ჩემს ტუალეტში ბიჭები არ შემოსულან. გოგონების ტუალეტში ბიჭებს არაფერი ესაქმებათ... მაგრამ პოტერებს უარს ვერაფერზე ვეუბნები. ვერც მალფოის მიმართ ვიყავი გულგრილი. აბა, რით შემოძლია დაგეხმაროთ?

**ალგუსი:** შენ ხომ იქ იყავი, მირტლ... ტბაში. შენზე წიგნში ამოვიკითხე. ამ მიღებით გარეთ გაღწევა შეიძლება, ხომ?

**მტირალა მირტლი:** მე ყველგან ვარ ნამყოფი. გააჩნია, შენ სად გინდა მოხვდე...

**ალგუსი:** მეორე დავალებაზე, ტბაში. სამი ჯადოქრის ტურნირზე ოცდახუთი წლის წინ. სადაც ჰარი და სედრიკი არიან.

**მტირალა მირტლი:** რა სანყენია, რომ ლამაზი ბიჭი მოკვდა. არა, განა მამაშენი არ იყო ლამაზი, მაგრამ სედრიკ დიგორი... ვერ

წარმოიდგენ, რამდენ გოგოს გაუკეთებია მისთვის სიყვარულის ჯადო ამ ტულეტში და რამდენ გოგოს უტირია, როცა დაიღუპა.

ალბუსი: დაგვეხმარე, მირტლ. მოგვახვედრე იმ ტბაში.

მტირალა მირტლი: თქვენ გგონიათ, დროში მოგზაურობა შემიძლია?

ალბუსი: საიდუმლოს შენახვა თუ შეგიძლია?

მტირალა მირტლი: ვგიჟდები საიდუმლოებებზე. ძეხორციელს არ ვეტყვი. თუ გავამხელ, დაე მოვკვდე... ან მოჩვენებებისთვის სიკვდილის ტოლფასი რამე დამემართოს...

ალბუსი: დროში მოგზაურობა ჩვენ შეგვიძლია. შენ მთავარია მიღებით აქედან გაღწევაში დაგვეხმარო. სედრიკ დიგორი უნდა გადავარჩინოთ.

მტირალა მირტლი (ყურებამდე იღიმის): ჰმმ, ეს უკვე მომწონს.

ალბუსი: და დასაკარგი დრო აღარ გვაქვს.

მტირალა მირტლი: აი, ეს ნიჟარა პირდაპირ ტბაში იცლება. ისეთი ძველია, რომ უკვე ყველა შინაგანანესს არღვევს, მაგრამ ეს სკოლა ხომ ყოველთვის სავსე იყო უსარგებლო ხარახურით. ჩაყვინთეთ და ეს მიღები პირდაპირ ტბაში გაგიყვანთ.

ალბუსი ხელსაბანში ძვრება და მანტია უსველდება. სკორპიუსიც ასე იქცევა.

ალბუსი მწვანე მცენარეებით სავსე პარკს უწვდის.

ალბუსი: გავიყოთ.

სკორპიუსი: ლაყურჩა-ბალახი? ლაყურჩა-ბალახი უნდა მივიღოთ, რომ წყალქვეშ ვისუნთქოთ?

ალბუსი: ჰო, მამაჩემივით. აბა, მზად ხარ?

სკორპიუსი: გახსოვდეს, რომ ამჯერად დროში უნდა ჩავეტიოთ...

ალბუსი: ხუთი წუთი... სულ ხუთი წუთი გვაქვს, სანამ ისევ ანწყობში დაგვაბრუნებს.

სკორპიუსი: ხომ ყველაფერი კარგად იქნება?

ალბუსი (უღიმის): ყველაფერი კარგად იქნება. მზად ხარ?

ალბუსი ლაყურჩა-ბალახს პირში იტენის და ქვემოთ უჩინარდება.

სკორპიუსი: არა, ალბუს... ალბუს...

მალლა აიხედავს. ის და მირტლი მარტონი არიან.

**მტირალა მირტლი:** როგორ მომწონს მამაცი ბიჭები.

**სკორპიუსი** (ცოტა დამფრთხალი, მაგრამ ალბუსის მაგალითით გულმოცემული): მეც მზად ვარ. რაც იქნება, იქნება...

ლაყურა-ბალახს პირში იტენის და ქვემოთ უჩინარდება.

მტირალა მირტლი მარტო რჩება სცენაზე.

გაიელვებს დამაბრმავებელი სინათლე. მას გამაყრუებელი გრგვინვა მოჰყვება. და დრო ჩერდება. შემდეგ ტრიალებს, ნამით თითქოს ფიქრობსო, შეყოვნდება და უკუსვლას იწყებს...

ბიჭები არსად ჩანან.

სცენაზე თავკუდმოგლეჯილი შემორბის შეშფოთებული ჰარი. მას ფეხდაფეხ მოჰყვებიან დრაკო, ჯინი და პროფესორი მაკონაგელი.

**ჰარი:** ალბუს... ალბუს...

**ჯინი:** გაგვასწრო.

იატაკზე ბიჭების მანტიებს პოულობენ.

**პროფესორი მაკონაგელი** (რუკას ჩახედავს): გაქრა. არა, არა, ჰოგვორტსის მინისტრეშეტში გადაადგილდება. ახლა ისევ გაქრა...

**დრაკო:** ამას როგორ ახერხებს?

**მტირალა მირტლი:** ერთი ძალიან ლამაზი, პრიალა ნივთის გამოყენებით.

**ჰარი:** მირტლ!

**მტირალა მირტლი:** უი, დამინახეთ? არადა, როგორ ვცდილობდი დამალვას. გამარჯობა, ჰარი. გამარჯობა, დრაკო. ისევ რალაცა გააფუჭეთ?

**ჰარი:** რა ნივთი გამოიყენეს?

**მტირალა მირტლი:** მე მგონი, საიდუმლოა, მაგრამ შენ ხომ ვერაფერს დაგიმალავ, ჰარი. როგორ გამშვენებს ასაკი, რა სიმპათიური გამხდარხარ. გამალღებულხარ კიდევ.



**ჰარი:** ჩემი შვილი საფრთხეშია. შენი დახმარება მჭირდება. რა ჩაი-  
ფიქრეს, მირტლ?

**მტირალა მირტლი:** ერთი ლამაზი ბიჭის... ვინმე სედრიკ დიგორის  
გადარჩენას ცდილობს.

**ჰარის თავზარი ეცემა – მაშინვე ხვდება ყველაფერს.**

**პროფესორი მაკგონაგელი:** კი მაგრამ, სედრიკ დიგორი ხომ წლების  
წინ დაიღუპა...

**მტირალა მირტლი:** დარწმუნებული იყო, რომ ეს ფაქტორი ხელს არ  
შეუშლიდა. ძალიან თავდაჯერებულია, ჰარი. ამით შენ გგავს.

**ჰარი:** ამოს დიგორისთან ჩემი საუბარი გაიგონა... ნუთუ სამინის-  
ტროს დროის მდევარი... არა, ეს შეუძლებელია!

**პროფესორი მაკგონაგელი:** სამინისტროს დროის მდევარი აქვს?  
მეგონა, ყველა გაანადგურეს.

**მტირალა მირტლი:** თურმე ყველა როგორ ოინბაზობს.

**დრაკო:** იქნებ ვინმემ ამიხსნათ, რა ხდება?

**ჰარი:** ალბუსი და სკორპიუსი არ ქრებიან და ჩნდებიან... ისინი მოგ-  
ზაურობენ... დროში მოგზაურობენ.





## მოქმედება 2 სცენა მეოცე

### ჰოგვორტსი, გოგონების ტუალეტი

**ლუდო გეგმანი:** ქალბატონებო და ბატონებო, ბიჭებო და გოგონებო, წარმოგიდგენთ დიდებულ და სანახაობრივ... ერთადერთ და განუმეორებელ... სამი ჯადოქრის ტურნირს! აბა, ჰოგვორტსელეზო, თქვენი ხმა გამავგონეთ!

*პასუხად ხმამალალი ყიჟინა ისმის.*

*ალბუსი და სკორპიუსი ტბაში მიცურავენ. წყლის სიღრმეში მარდად ეშვებიან.*

აბა, დურმსტრანგელეზო, თქვენი ჯერია!

*ხმამალალი ყიჟინა.*

ახლა კი გოგონალებს მოვუსმინოთ!

*უწინდელზე უფრო ომახიანი შეძახილები.*

ფრანგები ცოტა გამოფხიზლებულხართ!

წავიდაა! ვიქტორი ზვიგენია... ფლერი, რასაკვირველია, არაჩვეულებრივად გამოიყურება... იღბალა ჰარი ლაყუჩა-ბალახს იყენებს. ყოჩაღ, ჰარი, კარგად მოგიფიქრებია! და სედრიკი... სედრიკი, ოჰოჰო, რა სანახაობაა, ქალბატონებო და ბატონებო, სედრიკი თავბუშტუკის შელოცვით აპირებს ტბაში შეცურვას.

*ტბის სიღრმეში მათკენ სედრიკ დიგორი მოემართება, თავზე ჰაერის ბუშტი ჩაფხუტით ახურავს. ამ დროს ალბუსი და სკორპიუსი ერთდროულად შემართავენ ჯადოსნურ ჯოხებს და გადიდების შელოცვას ესვრიან.*

სედრიკი მათკენ დაბნეული ბრუნდება, შელოცვა ხვდება და გარშემო წყალს ოქროსფრად ღებავს.

და სედრიკი ზრდას იწყებს... იზრდება და იზრდება. პანიკაში ჩავარდნილი, თვალებს აცეცებს. ბიჭები უყურებენ, როგორ მიტივტივებს უმწეოდ ტბის ზედაპირისკენ.

ო, არა! ეს რა ხდება... სედრიკ დიგორი წყლის ზედაპირზეა და, როგორც ჩანს, შეჯიბრსაც ეთიშება. ოჰ, ქალბატონებო და ბატონებო, გამარჯვებული ჯერ არ გვყავს, სამაგიეროდ, გამოიკვეთა დამარცხებული! სედრიკ დიგორი ბუშტად ქცეულა და ამ ბუშტს ფრენა სწადია. ფრენა, ქალბატონებო და ბატონებო, ფრენა! ასე გაგვიფრინდა ბიჭი დავალებიდან და ტურნირიდან... აჰ, ეს რაღა ხდება... თვალებს ვერ ვუჯერებ! სედრიკის გარშემო, ცაზე, ფეიერვერკი ფეთქდება და ისახება სიტყვები: „რონს უყვარს ჰერმიონი“, ოჰოჰო!!! მაყურებლები სულ გადაირივნენ... აჰ, ქალბატონებო და ბატონებო, სედრიკის სახეს შეხედეთ. ოჰ, რა სანახაობაა, ო, რა ტრაგედიაა. ამ დამცირებას სიტყვები ვერ აღწერს...

წყალქვეშ ალბუსი კმაყოფილი ილიმის და სკორპიუსს ხელზე ხელს ურტყამს.

შემდეგ ანიშნებს, ავცუროთო. სკორპიუსი თავს უქნევს და ტბის ზედაპირისკენ მიიწევენ. სედრიკი ამასობაში ჰაერში მილივლივებს და ხალხი სიცილს აყრის. უეცრად, ყველაფერი იცვლება.

გარშემო სიბნელეა. კუნაპეტი სიბნელე.

სინათლის გაელვება... გრუხუნნი... დროის მდევრის ნიკნიკი წყდება და ანმყოში ვბრუნდებით.

წყლიდან თავს სკორპიუსი ჰყოფს მოზეიმე გამომეტყველებით.

სკორპიუსი: უჰუუუუუუუუუუუუ!

გაოცებული იყურება აქეთ-იქით. ალბუსი არსად ჩანს. სკორპიუსი ხელს ამოჰყოფს და ჰაერში მუშტს იქნევს.

გამოგვივიდა!

წამით ისევ იცდის.

ალბუს?

ალბუსი ისევ არ ჩანს. სკორპიუსი წყალში აფათურებს ხელებს, წამით დაფიქრდება და ისევ სიღრმეში ჩაყვინთავს.

შემდეგ ისევ ამოყვინთავს. ახლა უკვე შეშფოთებულია. თვალებს აცეცებს.

ალბუს... ალბუს! ალბუს!!!

მაყურებლების რიგებს პარსულ ენაზე ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვები გადაურბენს.

მოდისსს. მოდისსს. მოდისსს...

**დოლორეს ამბრიჯი:** სკორპიუს მალფოი, ამოდით ტბიდან. ახლავე ამოდით ტბიდან!!!

წყლიდან ექაჩება.

**სკორპიუსი:** ქალბატონო, დახმარება მჭირდება. ძალიან გთხოვთ.  
**დოლორეს ამბრიჯი:** ქალბატონო? მე პროფესორი ამბრიჯი ვარ, თქვენი სკოლის დირექტორი, და არა „ქალბატონი“.

**სკორპიუსი:** თქვენ ხართ დირექტორი? კი მაგრამ, მე...

**დოლორეს ამბრიჯი:** დიახ, დირექტორი მე ვარ. შეიძლება თქვენი ოჯახი გავლენიანია, მაგრამ ეს არ გაძლევთ უფლებას, თქვენს ნებაზე აქეთ-იქით იყიალოთ.

**სკორპიუსი:** ტბაში ბიჭია. ვინმეს დაუძახეთ. ჩემი მეგობარი დავკარგე, ქალბატონო... პროფესორო... დირექტორო. ჰოგვორტსის მოსწავლეა, ქალბატონო. ალბუს პოტერს ვეძებ.

**დოლორეს ამბრიჯი:** პოტერი? ალბუს პოტერი? ასეთი მოსწავლე არ გვყავს. ჰოგვორტსში უკვე წლებია პოტერის გვარისა არავინ ყოფილა. ბოლოს ვინც იყო, იმანაც ცუდად დაამთავრა. წყეულიმც იყოს! დაე, მარადიულ წყვდიადში იტანჯოს მისმა სულმა! სისხლი გამიშრო...

**სკორპიუსი:** ჰარი პოტერი მკვდარია?

ამ დროს მაყურებელთა რიგებში ჰაერის ნაკადი წამოიქროლებს და იქ მყოფთა გარშემო შავი მოსასხამები ისვეტება, რომლებიც თანდათანობით მუქი სილუეტების ფორმას იღებენ და დემენტორებად იქცევიან.

დარბაზს დემენტორები გადაუფრენენ. შავი მომაკვდინებელი ფიგურები, ბნელი, მომაკვდინებელი ძალები, ყველას შიშის ზარს სცემენ და დარბაზიდან თითქოს სიცოცხლეს ისრუტავენ.

ქარი ძლიერდება. ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებს. შემდეგ სადღაც მიღმიდან ჩურჩული აღწევს.

ხმა, რომელიც ამ სიტყვებს წარმოთქვამს, მხოლოდ მას შეიძლება ეკუთვნოდეს – ეს ვოლდემორის ხმაა...

### **ჰააარი პოტტერ.**

ჰარის სიზმარი ახდა.

**დოლორის ამბრიჯი:** ბევრი წყალი ხომ არ ყლაპეთ? თუ ყველასგან შეუმჩნეველად სისხლი გაგიმუქდათ? ჰარი პოტერი ოცი წლის წინ, სკოლაში გადატრიალების მოწყობის მცდელობისას დაიღუპა. ის დამბლდორის ერთ-ერთი იმ ტერორისტთაგანი იყო, რომლებიც ჰოგვორტსის ბრძოლაში მამაცურად დავამხეთ. ახლა კი წამობრძანდით. არ ვიცი, რა თამაშს თამაშობთ, მაგრამ დემენტორებს აღიზიანებთ და ვოლდემორის დღეს გვიშხამებთ.

პარსულ ენაზე სისინი სულ უფრო ხმამაღლა ისმის, ბოლოს ყურისწამლები ხდება და სცენაზე გველის გამოსახულებიანი დროშები ჩამოიშლება.

**სკორპიუსი:** ვოლდემორის დღე?

სცენა ბნელდება.

**პირველი ნაწილის  
დასასრული**

მეორე  
ნაწილი







მეორე ნაწილი  
**მოქმედება 3**







## მოქმედაბა 3 სცენა პირველი

### ჰოზვორტსი, ღირაქტორის კაბინეტი

დოლორეს ამბრიჯის კაბინეტში შავ მანტიაში გამოწყობილი სკორპიუსი შემოდის ჩაფიქრებული სახით. მშვილდივით მომართული და დაძაბულია.

**დოლორეს ამბრიჯი:** სკორპიუს, გმადლობთ, რომ მოხვედით.

**სკორპიუსი:** მოგესალმებით, დირექტორო.

**დოლორეს ამბრიჯი:** როგორც იცით, უკვე დიდი ხანია, ვფიქრობ, რომ ჰედ ბოის პოტენციული გაქვთ. წმინდა სისხლის, დაბადებით ლიდერი, ათლეტური...

**სკორპიუსი:** ათლეტური?

**დოლორეს ამბრიჯი:** არაა საჭირო თავმდაბლობა. მე ხომ მინახიხართ ქვიდიჩის მოედანზე. არ არსებობს სნიჩი, თქვენ რომ არ დაგეჭიროთ. როგორც ღირსეულ მოსწავლეს, ძალიან გაფასებენ. გაფასებთ ყველა მასწავლებელი, განსაკუთრებით კი მე. ავგურისტვის მომზადებულ მოხსენებებში სულ ქება-დიდებას გასხამთ. ჩვენმა ერთობლივმა ძალისხმევამ სკოლა უღირსი მოსწავლეებისგან გაფილტრა, აქაურობა ბევრად უსაფრთხო, წმინდა ადგილად აქცია...

**სკორპიუსი:** მართლა?

შორიდან ვილაცის კვილი აღწევს. სკორპიუსი ყურებს ცქვეტს, მაგრამ მაშინვე იკავებს თავს. რადაც უნდა დაუჯდეს, თავი უნდა აკონტროლოს.

**დოლორეს ამბრიჯი:** მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ სამი დღის წინ,

ვოლდემორის დღეს, ტბაში გიპოვეთ, სულ უფრო და უფრო უცნაურად იქცევით. განსაკუთრებით მაეჭვებს თქვენი აუხსნელი დაინტერესება ჰარი პოტერით...

სკორპიუსი: მე არ...

დოლორეს ამგრიჯი: რატომღაც ყველას ჰოგვორტსის ბრძოლაზე ეკითხებით, გაინტერესებთ როგორ და რატომ დაიღუპა პოტერი. და კიდევ, პირზე სულ სედრიკ დიგორის სახელი გაკერიათ... სკორპიუს, შეგამოწმეთ და ვერანაირი წყევლა და გათვალვა ვერ აღმოგიჩინეთ, ამიტომ პირდაპირ გეკითხებით: შემოძლია, თუ არა რამე გავაკეთო, რომ... ისეთი გახდეთ, როგორიც იყავით?..

სკორპიუსი: არა, არა. ჩათვალეთ, რომ ძველი სკორპიუსი დაბრუნდა. დროებით გონება დამებინდა, ეს არის და ეს.

დოლორეს ამგრიჯი: ესე იგი, შეგვიძლია თანამშრომლობა გავაგრძელოთ?

სკორპიუსი: დიახ.

*დირექტორი გულზე ხელებს იჯვარედინებს.*

დოლორეს ამგრიჯი: ვოლდემორისა და დიდებისთვის!

სკორპიუსი (ცდილობს, მიბაძოს): მმმ... ისა.. დიახ.



## მოქმედება 3 სცენა მეორე

### ჰობვორტსი, ეზო

**კარლ ჯენკინსი:** გაუმარჯოს მეფე მორიელს!

სკორპიუსს ხელისგულზე ხელს მთელი ძალით არტყამს. სკორპიუსს სტკივა, მაგრამ წარბს არ იხრის.

**იან ფრედერიკსი:** ხვალინდელი სალამო არ ჩაიშლება, ხომ?

**კარლ ჯენკინსი:** ხომ იცი, მუქი სისხლის დასალვრელად ჩვენ ყოველთვის მზად ვართ.

**პოლი ჩეპმენი:** სკორპიუს!

კიბეზე პოლი ჩეპმენი დგას. სკორპიუსს მისგან თავისი სახელის გაგონება აოცებს და პოლისკენ ტრიალდება.

**სკორპიუსი:** პოლი ჩეპმენ?

**პოლი ჩეპმენი:** მოდი, პირდაპირ საქმეზე გადავალ: ვიცი, რომ ყველას ერთი სული აქვს, გაიგოს, ვის წაიყვან... ხომ იცი, ვილაც აუცილებლად უნდა დაპატიჟო. მე კი უკვე სამმა ადამიანმა მიმინვია და უარი ვუთხარი, რომ შენთვის შანსი მომეცა.

**სკორპიუსი:** აჰა...

**პოლი ჩეპმენი:** ჰოდა, შანსს გაძლევ. თუ გაინტერესებს. არადა, ჭორებს თუ დავუჯერებთ, გაინტერესებს. და ბარემ აქვე და ახლავე გეტყვი, რომ მეც დაინტერესებული ვარ. ოღონდ ეს ჭორი არაა. ფაქტია. ფ-ა-ქ-ტ-ი.

**სკორპიუსი:** აჰა, ძალიან კარგი, მაგრამ... რაზე მელაპარაკები?

**პოლი ჩეპმენი:** სისხლიან მეჯლისზე, რა თქმა უნდა. ვის ეპატიუება მეფე მორიელი სისხლიან მეჯლისზე?

საორაიუსი: შენ გინდა, რომ მეჯლისზე ერთად წავიდეთ?

მათ ზურგს უკან კივილი ისმის.

ეს რა კივილია?

პოლი ჩეპმანი: მუქსისხლიანები, ცხადია. დილეგში... შენი ინიციატივა არ იყო? რა გემართება? აჰ, პოტერმა დალაზვროს, ფეხსაცმელზე ისევ სისხლი მომეცხო!..

იხრება და ფეხსაცმლიდან ფაქიზად იწმენდს სისხლს.

როგორც ავგური ამბობს, მომავალი თავადვე უნდა შევექმნათ, ჰოდა ახლა, მე მომავალს ვქმნი... შენთან ერთად. ვოლდემორისა და დიდებისთვის.

საორაიუსი: ჰო, ვოლდემორისთვის.

პოლი ჩაუელის. სკორპიუსი სასონარკვეთილი გასცქერის მას. ეს რა სამყაროში მოხვდა და თვითონ რა როლი აკისრია მასში?





### მოქმედება 3 სცენა მესამე

#### მაგიის სამინისტრო, ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების თავმჯდომარის კაბინეტი

დრაკო ასეთი შთამბეჭდავი არავის არასდროს უნახავს. ძალაუფლებას ასხივებს. კაბინეტის ორივე მხარეს ავეურის დროშებია ქერიდან ჩამოშლილი – ჰერალდიკური ნიშნები, რომლებითაც ფრინველის გამოსახულებაა მორთული, ფაშისტურს ნააგავს.

**დრაკო:** დააგვიანე.

**სკორპიუსი:** ეს შენი კაბინეტია?

**დრაკო:** დააგვიანე და ბოდიშსაც არ იხდი. განზრახ ცდილობ პრობლემის გამწვავებას?

**სკორპიუსი:** მოიცა, ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების თავმჯდომარე შენ ხარ?

**დრაკო:** როგორ მიბედავ! ჯერ შემარცხვინე, ახლა მალოდინე და ბოდიშსაც არ იხდი!

**სკორპიუსი:** ბოდიში.

**დრაკო:** სერ.

**სკორპიუსი:** ბოდიში, სერ.

**დრაკო:** მე შენ ასეთი დაუდევარი არ გამიზრდიხარ, სკორპიუს. იმისთვის არ გამიზრდიხარ, რომ ჰოგვორტსში სახელი გამიტეხო.

**სკორპიუსი:** სახელი გაგიტეხო, სერ?

**დრაკო:** ჰარი პოტერზე! ჰარი პოტერზე სვამ კითხვებს! სხვა ვერაფერი მოიფიქრე, რომ თავი მომჭრა? როგორ ბედავ და მალფოის გვარს არცხვენ?

**სკორპიუსი:** ო, არა. შენი ნამოქმედარია? არა, არა. შეუძლებელია!..  
**დრაკო:** სკორპიუს...

**სკორპიუსი:** „დილის მისანში“ დღეს გამოქვეყნებული ამბავი...  
სამმა ჯადოქარმა ხიდები ააფეთქა მხოლოდ იმიტომ, რომ  
ენახათ, ერთი აფეთქება რამდენ მაგლს დახოცავდა... ეს შენი  
მითითებით მოხდა?

**დრაკო:** სკორპიუს, ფრთხილად!

**სკორპიუსი:** სიკვდილის ბანაკები მუქსისხლიანებისთვის, ავგუ-  
რის მონინაალმდეგეთა ნამება, ცოცხლად დანვა. რამდენად  
ურევია შენი ხელი ამ ყველაფერში? დედა სულ მეუბნებოდა,  
რომ იმაზე უკეთესი ადამიანი ხარ, ვიდრე მგონია, მაგრამ  
სინამდვილეში სწორედ ეს ხარ, არა? მკვლელი, ჯალათი...

*დრაკო დგება, სკორპიუსს ხელს ავლებს და მაგიდაზე ანარცხებს.  
ამას იმდენად მოულოდნელად და მარდად აკეთებს, რომ ბიჭს გაო-  
ცებისგან ენა უვარდება.*

**დრაკო:** მისი სახელი ტყუილად არ ახსენო, სკორპიუს. ჩემი ტკივი-  
ლით მანიპულირებას ნუ შეეცდები. დედაშენი ამას არ იმსა-  
ხურებს.

*თავზარდაცემული და შეშინებული სკორპიუსი არაფერს ამბობს.  
დრაკო მის სახეზე ყველაფერს კითხულობს და ხელს უშვებს, შვი-  
ლისთვის ტკივილის მიყენება არ სიამოვნებს.*

და არა, იმ იდიოტებს, მაგლებს რომ აფეთქებენ, ჩემთან  
არაფერი აქვთ საერთო. თუმცა, ავგური მე მთხოვს მაგლე-  
ბის პრემიერ-მინისტრის ოქროთი მოქრთამვას... დედაშენმა  
მართლა გითხრა ეს ჩემზე?

**სკორპიუსი:** მითხრა, რომ ბაბუას არ მოსწონდა შენი არჩევანი,  
ენინაალმდეგებოდა თქვენს დაქორწინებას... მიაჩნდა, რომ  
დედა მაგლებისადმი მეტისმეტად დადებითად იყო განწყო-  
ბილი... რომ ძალიან სუსტი იყო... მაგრამ შენ შენი გაიტანე და  
ცოლად მოიყვანე. მითხრა, ეს ყველაზე ვაჟკაცური საქციელი  
იყო, რაც ოდესმე მინახავსო.

**დრაკო:** დედაშენის გვერდით თავი მართლა უძლეველი მეგონა.

**საორაიუსი:** მაგრამ მაშინ სხვა ადამიანი იყავი.

*მამას თვალეში უყურებს. დრაკო შუბლს იკრავს.*

ბევრი ცუდი რამ მაქვს ჩადენილი, შენ – კიდევ უფრო უარესები. მამა, რამ გვაქცია ასეთებად?

**დრაკო:** არაფერმა. ისეთები ვართ, როგორებიც ყოველთვის ვიყავით.

**საორაიუსი:** მალფოები. ოჯახი, რომლის იმედიც ყოველთვის შეგიძლია გქონდეს, როცა სამყაროს განადგურებას აპირებ.

*დრაკო თითქოს რაღაცას იაზრებს და სკორპიუსს ყურადღებით აკვირდება.*

**დრაკო:** სკოლის ინციდენტის... მიზეზი რა იყო?

**საორაიუსი:** არ მინდა ის ვიყო, ვინც ვარ.

**დრაკო:** და ეს აზრი რატომ გაგიჩნდა?

*სკორპიუსი გამალებით ფიქრობს, როგორ გაანდოს თავისი ამბავი.*

**საორაიუსი:** საკუთარ თავს უცხო თვალთ შევხედე.

**დრაკო:** იცი, დედაშენში ყველაზე მეტად რა მიყვარდა? ყოველთვის შეეძლო უკუნ სიბნელეში ჩემთვის სინათლისკენ გზა ეჩვენებინა. მან სამყარო, ყოველ შემთხვევაში, ჩემი სამყარო, როგორც შენ ასე ხატოვნად ბრძანე, „განადგურებისგან“ იხსნა.

**საორაიუსი:** სიმართლეს მეუბნები?

*დრაკო შვილს შეათვალიერებს.*

**დრაკო:** დედაშენს უფრო მეტად ჰგავხარ, ვიდრე მეგონა:

*პაუზა. სკორპიუსს შეფიქრიანებული მისჩერებია.*

არ ვიცი, რა ჩაიფიქრე, მაგრამ ფრთხილად იყავი. ისე ნუ იზამ, რომ შენი თავიც დამაკარგვინო.

**საორაიუსი:** დიახ, სერ.

*დრაკო ერთხელაც შეხედავს შვილს, ცდილობს, მისი განზრახვა ამოიცნოს.*

**დრაკო:** ვოლდემორისა და დიდებისთვის.



სკორპიუსი კიდევ შეავლებს თვალს და კარისკენ მიაბიჯებს.  
სკორპიუსი: ვოლდემორისა და დიდებისთვის.





## მოქმედება 3 სცენა მეოთხე

### პოპორტსი, ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკაში სკორპიუსი შემოდის და გამწარებით იწყებს წიგნებში ქექვას. ისტორიის წიგნს პოულობს.

**სკორპიუსი:** როგორ გახდა სედრიკი სიკვდილის მხვრელი? რა გამოვტოვე? მაჩვენე სინათლისკენ გზა... გამანდე შენი საიდუმლოება. მაინც რა გამოვტოვე?

**კრავ პოპარ უმცროსი:** აქ რატომ ხარ?

სკორპიუსი კრეგისკენ ტრიალდება. ბიჭს დაკონკილი, გაქუცული ტანსაცმელი აცვია და მას სასონარკვეთით შესცქერის.

**სკორპიუსი:** რა იყო, აკრძალულია?

**კრავ პოპარ უმცროსი:** ჯერ არ დამისრულებია. შეძლებისდაგვარად სწრაფად ვმუშაობ. მაგრამ პროფესორმა სნეიპმა იმდენი მოგვცა, რომ... თან თემის ორნაირად დანერა... არა, განა ვწუნუნებ... ბოდიში.

**სკორპიუსი:** კარგად ამიხსენი. რა არ დაგისრულებია?

**კრავ პოპარ უმცროსი:** შენი საშინაო დავალება შხამ-წამლებში. მე მოხარული ვარ, მაღლიერიც კი... ვიცი, რომ საშინაო დავალებებს და წიგნებს ვერ იტან და ხომ იცი, არასდროს დამილატებიხარ.

**სკორპიუსი:** მე ვერ ვიტან საშინაო დავალებებს?

**კრავ პოპარ უმცროსი:** შენ ხომ მეფე მორიელი ხარ. რა თქმა უნდა, საშინაო დავალებებს ვერ იტან. „მაგიის ისტორია“ რაში გჭირდება? შემიძლია ეგ დავალებაც მოგიმზადო.

პაუზა. სკორპიუსი წამით აკვირდება კრეგს და ეცლება. კრეგი გადის.

ორიოდე წამში შუბლშეკრული სკორპიუსი ბრუნდება.

სკორპიუსი: რაო? სნეიპი ახსენა?

—



## მოქმედება 3 სცენა მესამე

### პროპორტსი, შხამ-ნამლები და საკლასო ოთახი

შხამ-ნამლების გაკვეთილზე სკორპიუსი შემორბის, კარს იჯახუნებს. ხმაურზე სევერუს სწიპი თავს მალა სწევს.

**სწიპი:** კარზე დაკაკუნება არ უსწავლებიათ შენტვის, ბიჭო?

სკორპიუსი სწიპს სახეში აჩერდება, მიიმედ სუნთქავს. ცოტა არ იყოს, დამფრთხალია, ამასთან ერთად – ალტყინებულიც.

**სკორპიუსი:** სევერუს სწიპ! ჩემთვის დიდი პატივია.

**სწიპი:** პროფესორი სწიპიც საკმარისია. შეიძლება ამ სკოლაში მეფესავით იქცეოდეთ, მალფოი, მაგრამ ჩვენ თქვენი ქვეშევრდომები არ ვართ.

**სკორპიუსი:** თქვენ ხართ პასუხი ჩემს ყველა კითხვაზე.

**სწიპი:** მოხარული ვარ. ახლა კი, თუ რამის თქმა გინდათ, მითხარით, გეთაყვა, თუ არადა გასვლისას კარის გახურვა არ დაგავინწყდეთ.

**სკორპიუსი:** თქვენი დახმარება მჭირდება.

**სწიპი:** მიმსახურეთ.

**სკორპიუსი:** უბრალოდ ჯერ არ ვიცი... როგორ დამეხმარებით. ისევ საიდუმლო აგენტი ხართ? ფარულად ისევ დამბლდორისთვის მუშაობთ?

**სწიპი:** დამბლდორი? დამბლდორი მკვდარია. და მისთვის რომ ვმუშაობდი, ეს ყველამ იცის. მე ხომ მის სკოლაში ვასწავლიდი.

**სკორპიუსი:** არა, მისთვის სხვა რამესაც აკეთებდით. სიკვდილის

- მხვრელებს უთვალთვალელებდით. რჩევებს აძლევდით. ყველას ეგონა, რომ თქვენ მოკალით ის, მაგრამ სინამდვილეში მისი მხარდამჭერი იყავით. თქვენ სამყაროს გადამრჩენელი ხართ.
- სნეიპი:** ძალიან სერიოზული ბრალდებებია, ყმანვილო. არ გეგონოს, რომ მამაშენის გვარი სასჯელისგან გიხსნის.
- სკორპიუსი:** და რას იზამთ, თუ გეტყვით, რომ არსებობს სხვა რეალობა... სხვა სამყარო, რომელშიც ვოლდემორი ჰოგვორტსის ბრძოლაში დამარცხდა და ჰარი პოტერმა და დამბლდორის არმიამ გაიმარჯვა?
- სნეიპი:** გიპასუხებთ, რომ ხმები იმის შესახებ, თითქოს ჰოგვორტსის ფავორიტი მეფე მორიელი ჭკუაზე შეცდა, გაზვიადებული სულაც არ ყოფილა.
- სკორპიუსი:** იმ სამყაროში დროის მდედარი მოიპარეს. მე მოვიპარე ალბუსთან ერთად. სედრიკ დიგორის გადარჩენა გვინდოდა, იმიტომ რომ იმ რეალობაში მკვდარი იყო. გვსურდა, სამი ჯადოქრის ტურნირის მოგებაში მისთვის ხელი შეგვეშალა. მაგრამ ამ ნაბიჯით ის სულ სხვა ადამიანად ვაქციეთ.
- სნეიპი:** სამი ჯადოქრის ტურნირში ჰარი პოტერმა გაიმარჯვა.
- სკორპიუსი:** მარტოს არ უნდა გაემარჯვა. სედრიკი და ჰარი ერთად იღებდნენ თასს. ჩვენ ის დავამცირეთ და ტურნირს გამოვთიშეთ. ამ დამცირების შედეგად სიკვდილის მხვრელი გახდა. ვერაფრით გავარკვიე, რა ჩაიდინა ჰოგვორტსის ბრძოლაში, ვინმე მოკლა, თუ რა ქნა... მაგრამ რაღაც აშკარად გააკეთა და ამან ყველაფერი შეცვალა.
- სნეიპი:** სედრიკ დიგორიმ მხოლოდ ერთი და ისიც უმნიშვნელო ჯადოქარი – ნევილ ლონგბოტომი მოკლა.
- სკორპიუსი:** აჰა! ახლა ყველაფერი გასაგებია! პროფესორ ლონგბოტომს უნდა მოეკლა ნაგინი, ვოლდემორის გველი. ნაგინი უნდა მომკვდარიყო, რომ ვოლდემორის მოკვლა შესაძლებელი გამხდარიყო. გასაგებია! თქვენ ამოხსენით ამოცანა! ჩვენ გავანადგურეთ სედრიკი, შედეგად, მოკვალით ნევილი და ვოლდემორმა ბრძოლაში გაიმარჯვა. ხედავთ? ახლა ხვდებით?
- სნეიპი:** ვხედავ მალფოის, რომელსაც რატომღაც ჩემი გამასხა-

რავება გადაუნყვეტია. აქედან დამეკარგე, სანამ მამაშენი გამიფრთხილებია და შენთვის პრობლემები შემიქმნია.

სკორპიუსი ფიქრობს და შემდეგ საბოლოო, გადამწყვეტ სვლას აკეთებს.

**სკორპიუსი:** თქვენ დედამისი გიყვარდათ. ყველაფერი არ მახსოვს, მაგრამ ვიცი, რომ ჰარის დედა ლილი გიყვარდათ. ვიცი, რომ ნლების განმავლობაში იყავით საიდუმლო აგენტი. ვიცი, რომ უთქვენოდ ომს ვერაფრით მოვიგებდით. საიდან მეცოდინებოდა ეს, სხვა სამყარო რომ არ მენახა?

ნათქვამი სნეიპზე შთაბეჭდილებას ახდენს. ჩუმადაა.

მხოლოდ დამბლდორმა იცოდა, ასე არ არის? და როდესაც ის დაიღუპა, ალბათ რა მარტოსულად გრძნობდით თავს. მე ვიცი, რომ თქვენ კარგი ადამიანი ხართ. ჰარი პოტერმა თავის შვილს უთხრა თქვენზე, დიდი ადამიანი იყო.

სნეიპი სკორპიუსს დაბნეული შესცქერის, ვერ ხვდება, რა ამბავია. რამე ხრიკს ხომ არ უწყობენ? ჩიხშია მომწყვდეული.

**სნეიპი:** ჰარი პოტერი მკვდარია.

**სკორპიუსი:** ჩემს რეალობაში არა. მან თქვა, რომ თქვენ ყველაზე მამაცი ადამიანი ხართ, ვისაც ოდესმე იცნობდა. მან იცოდა თქვენი საიდუმლო, იცოდა, დამბლდორისთვის რაც გააკეთეთ. და ამის გამო თქვენით აღტაცებული იყო. ამიტომ დაარქვა თავის შვილსა და ჩემს უახლოეს მეგობარს ორივეს სახელი – ალბუს სევერუს პოტერი.

სევერუსი კრინტს არ ძრავს. ეს სიტყვები მასზე ძლიერად მოქმედებს.

გთხოვთ... ლილის ხათრით მაინც დამეხმარეთ იმ სამყაროს გადარჩენაში.

სნეიპი ფიქრობს, შემდეგ სკორპიუსს უახლოვდება და მანტიიდან ჯადოსნურ ჯოხს იღებს. შეშინებული ბიჭი უკან იხევს. პროფესორი ჯადოსნურ ჯოხს კარს უმიზნებს.

სნეიპი: კოლოპორტუს!

კარი წკაპუნით ირაზება. სნეიპი საკლასო ოთახის ბოლოში პატარა კარს აღებს.

წავედით.

სკორაპიუსი: ერთი კითხვა მაქვს... სად მივდივართ?

სნეიპი: ადგილის შეცვლა ბევრჯერ მოგვიხდა. ყველა შტაბი გაგვი-  
ნადგურეს. ეს კარი მტარვალ ტირიფის ფესვებში დამალულ  
ოთახში მიგვიყვანს.

სკორაპიუსი: გასაგებია, მაგრამ „თქვენი“? ვინ ხართ „თქვენ“?

სნეიპი: ნახავ.





## მოქმედება 3 სცენა მეექვსე

### შეთქმულთა შტაბი

მაგიდაზე გართხმულ სკორპიუსს თავზე ჰერმიონი ადგას. დიდებულად გამოიყურება: ტანსაცმელი გახუნებია, თვალები ნამდვილი მეომარივით უელავს და ეს ძალიან ამშვენებს.

**ჰერმიონი:** ერთხელაც გაინძრევი და ბაყაყად გადაგაქცევ.

**სნეიპი:** სანდოა. სანდოა-მეთქი. (პაუზა) თქვენ ხომ არასდროს მისმენთ. მოსწავლეს აუტანელი იყავით და ახლაც აუტანელი ხართ.

**ჰერმიონი:** მშვენიერი მოსწავლე ვიყავი!

**სნეიპი:** საშუალოზე ცუდი. ის ჩვენს მხარესაა!

**სკორპიუსი:** მართალს გეუბნებათ, ჰერმიონ.

ჰერმიონი სკორპიუსს უნდობლად უყურებს.

**ჰერმიონი:** იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველასთვის გრეინჯერი ვარ. და შენი ერთი სიტყვაც არ მჯერა, მალფოი...

**სკორპიუსი:** ყველაფერი ჩემი ბრალია, ჩემი და ალბუსის.

**ჰერმიონი:** ალბუსის? ალბუს დამბლდორის? ალბუს დამბლდორი რა შუაშია?

**სნეიპი:** დამბლდორს არ გულისხმობს. ალბათ ჯობია დაჯდე.

შემორბის რონი, თმა გაჩეჩილი აქვს, ტანსაცმელი – ჭუჭყიანი, მემობოხის როლი მას ჰერმიონზე ნაკლებად უხდება.

**რონი:** სნეიპ, რა სასიამოვნო სიურპრიზია... (სკორპიუსს ამჩნევს და იფოფრება) ამას აქ რა უნდა?



ჯადოსნური ჯოხის ამოსაღებად მანტიაში ხელს აფათურებს.

იცოდე, შეიარაღებული ვარ და ძალიან საშიში... გირჩევნია...

ხვდება, რომ ჯადოსნური ჯოხი უკულმა უჭირავს და სასწრაფოდ  
ასწორებს.

მიფრთხილდე...

სწავიპი: არაფერს დაგიშავებთ, რონ.

რონი ჰერმიონს გადახედავს. ჰერმიონი თავს უქნევს.

რონი: მაღლობა დამბლდორს.





## მოქმედება 3 სცენა მეშვიდე

### შეთქმულთა შტაბი

ჰერმიონი ზის და დროის მდევარს უკირკიტებს. რონი კი მოსმენილის გაანალიზებას ცდილობს.

**რონი:** ესე იგი, შენ მეუბნები, რომ ისტორიის მიმართულება ნევილ ლონგბოტომმა შეცვალა? დაუჯერებელია!

**ჰერმიონი:** ეს სიმართლეა, რონ.

**რონი:** კარგი, და შენ რატომ ხარ ასე დარწმუნებული?

**ჰერმიონი:** ის, რაც სნეიპზე იცის... რაც ყველა ჩვენგანზე იცის... შეუძლებელია, ტყუილი იყოს...

**რონი:** იქნებ კარგი ალლო აქვს და გამოიცნო?

**სამორაიუსი:** არა, არ მაქვს. შეგიძლიათ ჩემი დახმარება?

**რონი:** ჩვენ იქით გზა მაინც არ გაქვს. დამბლდორის არმია, მას შემდეგ რაც მისი დიდების მზე ჩაესვენა, საგრძნობლად შეთხელდა. უფრო ზუსტად, შეიძლება ითქვას, მარტო ჩვენ-ღა დავრჩით, მაგრამ ბრძოლას ვაგრძელებთ. მათ ცხვირწინ ვიმალებით – იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად მოაფიქრდებათ ჩვენი ძებნა. ყველანაირად ვცდილობთ, ჩვენი არსებობა შევახსენოთ. აგერ, გრეინჯერზე ძებნაა გამოცხადებული. მეც ძებნილი ვარ.

**სანიპი (გულგრილად):** გრეინჯერზე ცოტა უფრო ნაკლებად.

**ჰერმიონი:** ერთი გამარკვიეთ, იმ სხვა სამყაროში... სანამ თქვენ ყველაფერს აურევდით... რა ხდება?

**სამორაიუსი:** ვოლდემორი მკვდარია. ჰოგვორტსის ბრძოლაში საბო-

ლოოდ დაამხეს. ჰარი ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების თავმჯდომარეა. თქვენ მაგიის მინისტრი ხართ.

გაოცებისგან ენაჩავარდნილ ჰერმიონს ელიმება.

**ჰერმიონი:** მე – მაგიის მინისტრი?

**რონი** (არ უნდა, საუბარს გამოაკლდეს): შესანიშნავია! და მე რას ვსაქმიანობ?

**სკორპიუსი:** თქვენ უისლების ჯადოსნური ოინების მაღაზიის მფლობელი ხართ.

**რონი:** მოიცა, ესე იგი ის მაგიის მინისტრია და მე – ოინების მაღაზიის მფლობელი?

სკორპიუსი ნანყენ რონს შესცქერის.

**სკორპიუსი:** ძირითადად შვილების აღზრდით ხართ დაკავებული.

**რონი:** პირდაპირ გადასარევი! იმედია, დედა მაინც ჰყავთ ლამაზი.

**სკორპიუსი** (ნითლდება): იცით, რა... გააჩნია, თქვენ როგორ ფიქრობთ... საქმე ისაა, რომ... თქვენ ორივეს... საერთო შვილები გყავთ... გოგო და ბიჭი.

ორივე გაოცებული შეხედავს.

სიყვარულით შეუღლდით... სხვა დროსაც გაგიკვირდათ, როდესაც თქვენ ბნელი ძალებისგან თავდაცვის საგანს ასწავლიდით, რონი კი პადმაზე იყო დაქორწინებული. რატომღაც ყოველ ჯერზე გაკვირვებთ ეს ფაქტი.

ჰერმიონი და რონი ერთმანეთს გადახედავენ, შემდეგ თვალს არიდებენ. მერე რონი ისევ გადახედავს, რამდენჯერმე ჩაახველებს, ყოველ ჯერზე სულ უფრო გაუბედავად.

**ჰერმიონი:** უისლი, პირი დახურეთ, როცა მე მიყურებთ.

რონი პირს ხურავს, თუმცა მაინც უხერხულადაა ანურული.

და სნეიპი? სნეიპი რას აკეთებს იმ სხვა სამყაროში?

**სნეიპი:** სავარაუდოდ, მკვდარი ვარ.

სკორპიუსს შესცქერის. სკორპიუსი იღუშება. სნეიპი ცივად იღიმის.

არ გამომპარვია, რომ ჩემმა ნახვამ გაგაოგნა. როგორ მოვკვდი?

**საორავისი:** გმირულად.

**სნეიპი:** ვისი ხელით?

**საორავისი:** ვოლდემორის.

*სიჩუმე. სნეიპი გაგონილს იაზრებს.*

**სნეიპი:** გასაგებია. თვით ბნელი ბატონის ხელით სიკვდილიც სასახელოა, ვგონებ.

**ჰერმიონი:** ძალიან ვწუხვარ, სევერუს.

*სნეიპი უყურებს. ცდილობს გულისტკივილი დამალოს. თავის მსუბუქი გაქნევით რონზე ანიშნებს.*

**სნეიპი:** მის ცოლობას ისევ ასეთი სიკვდილი მიჩვევია.

**ჰერმიონი:** რომელი შელოცვები გამოიყენეთ?

**საორავისი:** ექსპელიარმუსი პირველ დავალებზე და ენგორჯიო – მეორეზე.

**რონი:** ფარის მსუბუქი ჯადოები ორივეს დასაბლოკად საკმარისი უნდა იყოს.

**სნეიპი:** და შემდეგ ნახვედით?

**საორავისი:** დიახ, დროის მდევარმა უკან დაგვაბრუნა. საქმე ისაა, რომ ეს დროის მდევარი მხოლოდ ხუთი წუთით გაბრუნებს წარსულში.

**ჰერმიონი:** და მხოლოდ დროში შეგიძლიათ გადაადგილება, არა სივრცეში?

**საორავისი:** კი. ადგილი უცვლელია.

**ჰერმიონი:** საინტერესოა...

*სნეიპი და ჰერმიონი ხედებიან, ეს რას ნიშნავს.*

**სნეიპი:** ესე იგი მე და ბიჭი.

**ჰერმიონი:** არ გენყინოთ, სნეიპ, მაგრამ ამას ვერავის ვანდობ, მეტისმეტად მნიშვნელოვანი საქმეა.

**სნეიპი:** ჰერმიონ, თქვენზე, როგორც ყველაზე საშიშ მემამბოხეზე, მთელ ჯადოქრულ სამყაროში ძებნაა გამოცხადებული. ამისათვის კი გარეთ მოგიხდებათ გასვლა. ბოლოს გარეთ როდის იყავით?

**პერმიონი:** დიდი ხანია, არ ვყოფილვარ, მაგრამ...

**სნეიპი:** გარეთ დემენტორები გელიან, რომ კოცნით სული ამოგნოვონ.

**პერმიონი:** სევერუს, მეყო ნასუფრალით ცხოვრება, გადატრიალების ფუჭი მცდელობები. ეს ჩვენი შანსია, რომ სამყარო შევცვალოთ.

*რონს თავს უქნევს და ისიც რუკას ჩამოშლის.*

ტურნირის პირველი დავალება აკრძალული ტყის პირას შედგა. ჩვენ აქ გადავალთ წარსულში, მოვხვდებით ტურნირზე, დავბლოკავთ შელოცვას და მშვიდობით დავბრუნდებით. თუ სიზუსტეს დავიცავთ, ამის გაკეთება შესაძლებელია და ჩვენს დროში გარეთ საერთოდ არ დაგვჭირდება თავის გამოყოფა. შემდეგ ისევ გავემგზავრებით წარსულში, ტბისკენ გავეშურებით და მეორე დავალების შედეგს შევცვლით.

**სნეიპი:** ყველაფერს სასწორზე დებთ...

**პერმიონი:** თუ ყველაფერს სწორად გავაკეთებთ, ჰარი გადარჩება, ვოლდემორი მოკვდება და ავგური აღარ იარსებებს. ამისათვის გარისკვა ღირს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს თქვენ ძალიან ძვირად დაგიჯდებათ.

**სნეიპი:** რას ვიზამთ, ზოგჯერ ძვირი საფასურიც გადასახდელია.

*სნეიპი და პერმიონი ერთმანეთს თვალს უსწორებენ და ოდნავ უკრავენ თავს. სნეიპს სახეზე ძლივსშესამჩნევი ნალველი გადაურბენს.*

*იმედია, ეს ნუთია, დამბლდორის სიტყვები არ გავიმეორე.*

**პერმიონი (ლიმილით):** არა, დარწმუნებული ვარ, ეს სიტყვები მთლიანად სევერუს სნეიპს ეკუთვნის.

*სკორპიუსისკენ ბრუნდება და დროის მდევარზე ანიშნებს.*

*მალფოი...*

*სკორპიუსი დროის მდევარს აწვდის. პერმიონი ლიმილით დახედავს, აღტაცებულია, რომ ისევ უნევს მისი გამოყენება და თან – ასეთი დიადი მიზნისთვის.*

*იმედია, მუშაობს.*

---

დროის მდევარს ართმევს და ისიც თრთის, შემდეგ სწრაფად დაბზრიალდება.

გაიელვებს დამაბრმავებელი სინათლე. მას გამაყრუებელი გრგვინვა მოჰყვება.

და დრო ჩერდება. შემდეგ გადატრიალდება, ნამით თითქოს ფიქრობსო, შეყოვნდება და უკუსვლას იწყებს, ჯერ ნელა...

გრუხუნი, ელვა და ყველანი ქრებიან.





## მოქმედება 3 სცენა მერვე

აკრძალული ტყის პირი, 1994 წ.

პირველი ნაწილის სცენა მეორდება, მაგრამ, ამჯერად, სცენის სიღრმეში. ვხედავთ ალბუსსა და სკორპიუსს დურმსტრანგის ფორმებში, ფონად კვლავ ჩაგვესმის „ბრწყინვალე“ (ისევ მისივე სიტყვებით) ლუდო ბეგმანის ხმა.

სკორპიუსი, ჰერმიონი, რონი და სნეიპი ფხიზლად ათვალიერებენ იქაურობას.

ლუდო ბეგმანი: და აი, არენაზე სედრიკ დიგორი შემოდის. თითქოს მზად არის. ცოტა შეშინებულია, მაგრამ მზად არის. დრაკონის შეტევას იცილებს... ისევ იცილებს. თავის შესაფარებლად განზე ხტება.

ტრიბუნებზე გოგონები წივიან. მერე ერთხმად ყვირიან: „დიგორის არ ავნოთ, ბატონო დრაკონო!“ სედრიკი მარცხნიდან უხვევს, მარჯვნივ ხტება... ჯადოსნურ ჯოხს იმარჯვებს...

სნეიპი: რალაც ძალიან გაუგრძელდა... დროის მდევარი ტრიალებს.  
ლუდო ბეგმანი: აბა, ვნახოთ, რას აპირებს ეს ახალგაზრდა, მამაცი, მომხიბვლელი ყმანვილი...

ალბუსი ამ დროს ცდილობს, სედრიკის ჯადოსნური ჯოხი გამოიხმოს. ჰერმიონი მის შულოცვას ბლოკავს. ბიჭი უნუგეშოდ დასცქერის თავის ჯადოსნურ ჯოხს, ვერ ხვდება, რატომ უმუხბოდა.

და შემდეგ დროის მდევარი ბზრიალებს, ყველანი მას დასცქერიან  
და პანიკა იპყრობთ, რადგან დრო თითოეულ მათგანს ისრუტავს.

ძალლი! ტრანსფიგურაციის შელოცვით ქვა ძალლად აქცია...  
ღიახ, ღიახ! დიგორიმ დრაკონს ძალლით სძლია!







## მოქმედება 3 სცენა მეცხრა

### აკრძალული ტყის პირი

წარსულიდან ისევ ტყის პირას ბრუნდებიან. რონი ტკივილისგან იგრიხება. სნეიპი იქაურობას თვალს ავლებს და მაშინვე ხვდება, რომ შარში არიან.

რონი: ვაი, ვაი. ვაივაივაივაი.

ჰერმიონი: რონ... რონ... რა დაგემართა?

სნეიპი: ოჰ, არა. ასეც ვიცოდი.

სკორპიუსი: დროის მდევარმა ალბუსსაც რაღაცა დამართა, როცა პირველად ვიმოგზაურეთ დროში.

რონი: ცოტა... ადრე ვერ... გვითხარი?

სნეიპი: აქ დაგვინახავენ. უნდა დავიმალოთ. ჩქარა!

ჰერმიონი: რონ, სიარული ხომ შეგიძლია... წამოდი...

რონი დგება და ტკივილისგან შეჰყვირებს. სნეიპი თავის ჯადოსნურ ჯოხს ბლუჯავს.

სკორპიუსი: გამოგვივიდა?

ჰერმიონი: შელოცვა დავბლოკეთ. სედრიკს თავისი ჯადოსნური ჯოხი დარჩა. კი, გამოგვივიდა.

სნეიპი: მაგრამ ცუდ ადგილზე დავბრუნდით... გარეთ ვართ. გარეთ ხართ!

რონი: დროის მდევარი ისევ უნდა გამოვიყენოთ... აქაურობას მოვშორდეთ...

სნეიპი: ჯერ თავი რამეს უნდა შევაფაროთ. ძალზე დაუცველი ადგილია.

მოულოდნელად, დარბაზიდან სუსხიანი ქარის ქროლა იგრძნობა.

მათ გარშემო მრუმე მოსასხამები ისვეტება, ეს დემენტორების შავი სილუეტებია.

**პერმიონი:** გვიანია.

**სნაიპი:** დავილუპეთ!

**პერმიონი** (გადაწყვეტილებას იღებს): ისინი მე მეძებენ და არა თქვენ. რონ, მიყვარხარ და ყოველთვის მიყვარდი. სამივე უნდა გაიქცეთ. ახლავე! წადით!

**რონი:** რა?

**სკორპიუსი:** რა?

**რონი:** მოიცა, რას ამბობდი სიყვარულზე?

**პერმიონი:** ეს ჯერ კიდევ ვოლდემორის სამყაროა. და მე აქ აღარაფერი მესაქმება. მომდევნო დავალებაში ჩარევა კი ყველაფერს შეცვლის.

**სკორპიუსი:** მერე დემენტორის კოცნა? ისინი ხომ სულს ამოგნოვენ!

**პერმიონი:** წარსულს თუ შეცვლით, ვერაფერსაც ვერ მიზამენ. ახლავე წადით!

*დემენტორები გრძნობენ მათ იქ ყოფნას. მოსასხამიანი ლანდები ყველა მხრიდან წივილით ეშვებიან.*

**სნაიპი:** წავედით! ჩქარა!

*სკორპიუსს მკლავში სწვდება და ექაჩება. სკორპიუსი ფეხათრევით მიჰყვება.*

*პერმიონი რონს უყურებს.*

**პერმიონი:** შენც უნდა წახვიდე.

**რონი:** ჯერ ერთი, მგონი, მეც ძებნილი ვარ. მეორეც, ტკივილი მართლა ძალიან მანუხებს. და მესამეც, აქ დარჩენა მირჩევნია. ექსპექტო...

*პატრონუსის გამოსახმობად ხელს იწვდის, მაგრამ პერმიონი აჩერებს.*

**პერმიონი:** მოდი, მოვიტყუოთ აქ და ბიჭს, რაც შეიძლება, მეტი დრო მივცეთ.

რონი შეხედავს და სევდიანად უქნევს თავს.

გოგონა...

**რონი:** ...და ბიჭი. მეც მომეწონა ეს აზრი.

გარშემო იყურება. იცის, რა ხვედრი ელის.

მეშინია.

**პირამიონი:** მაკოცე...

რონი დაფიქრდება და კოცნის. შემდეგ მათ რაღაც ძალა სწყვეტს ერთმანეთს და მიწაზე აკრავს. ვხედავთ, როგორ ამოდის მათი სხეულებიდან ოქროსფერ-მოთეთრო თხელი ნისლი. ორივეს სულს სწოვენ და ეს საზარელი სანახაობაა.

სკორპიუსი ამ სცენას უმწეოდ მისჩერებია.

**სანიკი:** წყალთან ჩავიდეთ. იარე, არ გაიქცე.

სნეიპი სკორპიუსს მზერით აფასებს.

სიმშვიდე შეინარჩუნე, სკორპიუს. შეიძლება ბრმები არიან, მაგრამ შიშს ადვილად იცნოსავენ.

სკორპიუსი სნეიპს გაოგნებული მიშტერებია.

**სკორპიუსი:** მათ ახლახან სული ამოსწოვეს...

თავზე დემენტორი გადაუქროლებთ და სკორპიუსის წინ ეშვება.

**სანიკი:** სხვა რამეზე იფიქრე, სკორპიუს. ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანე.

**სკორპიუსი:** მცირეა... ვერაფერს ვხედავ... თითქოს ნისლში ვიძირები და გონება მებინდება...

**სანიკი:** შენ მეფე ხარ, მე კი პროფესორი. მხოლოდ მაშინ დაგვესხმიან თავს, თუ საფუძვლიანი მიზეზი მიეცემათ. იფიქრე მათზე, ვინც გიყვარს, იფიქრე იმაზე, თუ რატომ აკეთებ ამას.

**სკორპიუსი:** დედაჩემის ხმა ჩამესმის. შევლას მთხოვს, მაგრამ... იცის, რომ ვერ ვუშველი...

**სანიკი:** მომისმინე, სკორპიუს. იფიქრე ალბუსზე. მთელ შენს სამეფოს თმობ ალბუსისთვის, ხომ ასეა?

სკორპიუსს ღონე ეცლება, მთლიანად დემენტორის ნებას მიჰყვება.

ერთი ადამიანი. სულ ერთი ადამიანია საჭირო სამყაროს შესაცვლელად. ლილის ჰარი ვერ გადავურჩინე, ამიტომ ახლა თავს დავდებ იმ საქმისთვის, რომლისაც მას ასე სწამდა. და რომელიც, შესაძლოა... ამასობაში უკვე მეც ვირნმუნე.

სკორპიუსი სნეიპს უღიმის და მტკიცე ნაბიჯს დგამს დემენტორისგან შორს.

**სკორპიუსი:** როცა რეალობა იცვლება, მასთან ერთად ჩვენც ვიცვლებით. ამ სამყაროში მე გაცილებით უკეთესი მდგომარეობა მიკავია, მაგრამ თვითონ სამყარო არაა უკეთესი. ეს კი არ მინდა.

მოულოდნელად, მათ წინ დოლორეს ამბრიჯი ჩნდება.

**დოლორეს ამბრიჯი:** პროფესორო სნეიპ!

**სნეიპი:** პროფესორო ამბრიჯ!

**დოლორეს ამბრიჯი:** ახალი ამბავი გაიგეთ? ის მოლალატე მუქსის-ხლიანი ჰერმიონ გრეინჯერი დავიჭირეთ. სადღაც აქვე იყო.

**სნეიპი:** ეს... შესანიშნავია.

ამბრიჯი დაუინებით შესცქერის სნეიპს. სნეიპი თვალს უსწორებს.

**დოლორეს ამბრიჯი:** თქვენთან ერთად. გრეინჯერი თქვენთან ერთად იყო.

**სნეიპი:** ჩემთან ერთად? ცდებით.

**დოლორეს ამბრიჯი:** თქვენთან და სკორპიუს მალფოისთან ერთად. ეს მოსწავლე ბოლო დროს სულ უფრო მაშფოთებს.

**სკორპიუსი:** მე?

**სნეიპი:** დოლორეს, გაკვეთილზე გვაგვიანდება, ამიტომ თუ შეიძლება...

**დოლორეს ამბრიჯი:** თუ გაკვეთილზე გვაგვიანდებათ, სკოლისკენ რატომ არ მიემართებით? ტბისკენ რატომ მიდიხართ?

წამით სამარისებური სიჩუმეა, შემდეგ სნეიპი სრულიად მოულოდნელად... იღიმის.

სნეიპი: დიდი ხანია, მიხვდით?

ამბრიჯი მიწას სწყდება, ხელებს განზე შლის, ბნელ ძალებს უხმობს და ჯადოსნურ ჯოხს მათკენ იშვერს.

დოლორის ამბრიჯი: წლების წინ. და უფრო ადრე უნდა მიმელო ზომები.

სნეიპი ჯადოსნური ჯოხის ამოღებას ასწრებს.

სნეიპი: დეპულსო!

ამბრიჯს შელოცვა უკან გადატყორცნის.

რა ვუყოთ, თავის ამბიციებს ემსხვერპლა. ახლა კი უკან დასახევი გზა არ გვაქვს.

მათ გარშემო ცა კიდევ უფრო შავდება.

ექსპექტო პატრონუმ!

სნეიპი ჯოხიდან ვერცხლისფერი ფურირემის ფორმის პატრონუსს უშვებს.

სკორპიუსი: ფურირემი? ლილის პატრონუსი.

სნეიპი: უცნაურია არა? გულისნადები თავს არ მაღავეს.

მათ გარშემო დემენტორები იყრიან თავს. სნეიპი ხვდება, ეს რას ნიშნავს.

უნდა გაიქცე. მე შევაკავებ, რამდენ ხანსაც შეეძლებ.

სკორპიუსი: გმადლობთ, რომ უკუნ სიბნელეში სინათლისკენ გზა მიჩვენეთ.

სნეიპი, თხემით ტერფამდე გმირი, სევდიანად უღიმის.

სნეიპი: გადაეცი ალბუსს... ალბუს სევერუსს... ვამაყოფ, რომ ჩემს სახელს ატარებს. ახლა კი წადი. წადი!

ფურირემი სკორპიუსს გამოხედავს და ფეხს უჩქარებს.

სკორპიუსი წამით დაფიქრდება და შემდეგ ფურირემს მისდევს. გარემო სულ უფრო პირქუში ხდება. საიდანღაც ძარღვებში სისხლის

გამყინავი კივილი ისმის. სკორპიუსი ტბას ხედავს და მასში ხტება.

სნეიპი უკანასკნელ ძალებს იკრებს.

სნეიპს რალაცა მთელი ძალით ანარცხებს მიწაზე, შემდეგ ჰაერში აიტაცებს და სულს ამოართმევს. კივილი ძლიერდება და თითქოს მრავლდება.

ფურირემი მისკენ ბრუნდება და ულამაზესი თვალებით შესცქერის. შემდეგ ქრება.

გაისმის გრუხუნი და გაიელვებს სინათლე. შემდეგ სიჩუმეა, რომელიც დიდხანს გასტანს.

სამარისებური სინყნარე სუფევს. ყველაფერი გარინდებულა.

და შემდეგ... წყლიდან სკორპიუსი ჰყოფს თავს და ღრმად სუნთქავს. გარშემო იყურება, ქოშინებს. ცას ახედავს, რომელიც უწინდელზე ლურჯი ჩანს.

ამასობაში უეცრად წყლიდან ალბუსიც ამოდის. სიჩუმე. სკორპიუსი თვალებს არ უჯერებს. ბიჭები მძიმედ სუნთქავენ.

**ალბუსი:** ვაჰ!

**სკორპიუსი:** ალბუს!

**ალბუსი:** ძლივს ამოვასწარი. დაინახე ტრიტონი? ის რომ ეჭირა, რა ჰქვია... და მერე ის რალაცა...

**სკორპიუსი:** ეს მართლა შენ ხარ?

**ალბუსი:** ძალიან უცნაური რალაცა მოხდა... მე მგონი, სედრიკმა გაბერვა დაინყო... მაგრამ მერე ისევ შეიკუმშა... შენკენ გამოვიხედე და ჯადოსნური ჯოხი გეჭირა ხელში...

**სკორპიუსი:** შენ აზრზე არ ხარ, როგორ მიხარია, რომ ისევ გხედავ.

**ალბუსი:** ორი წუთის წინ არ მნახე?

სკორპიუსი ცდილობს, ალბუსს გადაეხვიოს. ამის წყალში გაკეთება კი არც ისე ადვილია.

საორპიუსი: მას მერე ბევრი რამ მოხდა.

ალბუსი: ფრთხილად, არ დამახრჩო. ეს რა გაცვია?

საორპიუსი: რა მაცვია? (თავის მანტიას გადაიძრობს). და შენ თვითონ რა გაცვია? ვაშა! სლიზერინის ფორმა!

ალბუსი: გამოვიდა? რამე ვქენით?

საორპიუსი: საბედნიეროდ, არა!

ალბუსი განცვიფრებული უყურებს.

ალბუსი: რა? ჩავფლავდით?

საორპიუსი: კი, კი, ჩვენდა ბედად!

წყალს ხელს დაჰკრავს და ირგვლივ შხეფებს ისვრის. ალბუსი გაჭირვებით გადის ნაპირზე.

ალბუსი: სკორპიუს, ისევ ტკბილულს მიეძალე და ზედმეტი მოგივიდა?

საორპიუსი: აი, ისევ... ალბუსის უგერგილო იუმორი. მომნატრებია.

ალბუსი: ახლა მართლა გავნერვიულდები...

შემოდის ჰარი და ნელოსკენ გამორბის. მას ფეხდაფეხ მოჰყვებიან დრაკო, ჯინი და პროფესორი მაკგონაგელი.

ჰარი: ალბუს. ალბუს. რამე ხომ არ დაიშავე?

საორპიუსი (სიხარულით ცას ენევა): ჰარი! ჰარი პოტერია! ჯინიც. და პროფესორი მაკგონაგელი... და მამა, მამაჩემი... გამარჯობა, მამა.

დრაკო: სალამი, სკორპიუს.

ალბუსი: ყველანი აქ ხართ.

ჯინი: მირტლმა ყველაფერი გვითხრა.

ალბუსი: რა ხდება?

პროფესორი მაკგონაგელი: ეს თქვენ დაბრუნდით წარსულიდან, თქვენ უნდა გვითხრათ, რა ხდება.

სკორპიუსი გონებაში აფასებს, რამდენად ბევრი შეიძლება იცოდნენ უფროსებმა.

საორპიუსი: ო, არა. ეს რა დამემართა! სადაა?

ალბუსი: საიდან დავბრუნდითო?

**სკორპიუსი:** დაეკარგე! დროის მდედარი დაეკარგე.

**ალბუსი** (გალიზიანებული გადახედავს სკორპიუსს): რაო, რა დაეკარგე?

**პარი:** ალბუს, გეყოფა თავის მოკატუნება.

**პროფესორი მამონაბელი:** ბიჭებო, მგონი, ჩვენთვის რაღაცების  
ახსნა მოგინევთ.







## მოქმედება 3 სცენა მათა

### ჰოგვორტსი, ღირაქტორის კაბინეტი

დრაკო, ჯინი და ჰარი ყურებჩამოყრილი სკორპიუსისა და ალბუსის უკან დგანან. პროფესორი მაკგონაგელი ცეცხლს აფრქვევს.

**პროფესორი მაკგონაგელი:** ესე იგი... ნესების დარღვევით გადახტით ჰოგვორტსის ექსპრესიდან, შეიპარეთ მაგიის სამინისტროში და გაძარცვეთ მინისტრის კაბინეტი. თქვენს თავზე აიღეთ დროში მოგზაურობა, რის შემდეგაც გააქრეთ ორი ადამიანი...

**ალბუსი:** გეთანხმებით, რომ ეს ყველაფერი კარგად არ ჟღერს...

**პროფესორი მაკგონაგელი:** მერე ჰუგოსა და როუზ გრეინჯერ-უისლის გაქრობის გამოსასწორებლად კვლავ წარსულში დაბრუნება გადანყვიტეთ... და ამჯერად, ორი ადამიანის დაბრუნების მაგივრად დაკარგეთ უამრავი ადამიანი, მოკალით მამაშენი, ამასთანავე, ალადგინეთ ყველაზე საშიში ჯადოქარი, ვისაც კი ოდესმე უარსებია, და შავი მაგიის ახალი ერა დაამკვიდრეთ. (მშრალად) მართალი ხართ, მისტერ პოტერ, კარგად ნამდვილად არ ჟღერს. ნუთუ ვერ ხვდებით, რამხელა სისულელე ჩაიდინეთ?

**სკორპიუსი:** დიახ, პროფესორო.

ალბუსი წამით ყოყმანობს. ჰარის გადახედავს.

**ალბუსი:** დიახ.

**ჰარი:** პროფესორო, თუ შეიძლება...

**პროფესორი მაკგონაგელი:** არ შეიძლება. როგორც მშობელი რა

ზომებს მიმართავთ, ეს მე არ მეხება, მაგრამ ეს ჩემი სკოლაა, ჩემი მოსწავლეები არიან და მათთვის სასჯელს მე მოვიფიქრებ.

**დრაკო:** გეთანხმებით.

**ჰარი ჯინის შეავლებს თვალს.** ჯინი უარყოფის ნიშნად თავს აქნევს.

**პროფესორი მაკგონაგალი:** გასარიცხები კი ხართ, მაგრამ (ჰარისკენ ცალ თვალს აპარებს), გარემოებების გათვალისწინებით, თქვენივე უსაფრთხოებისთვის აჯობებს, რომ ჩემი მზრუნველობის ქვეშ დარჩეთ. გაკვეთილების შემდეგ საკლასო ოთახიდან ფეხს არ მოიცვლით... ჩათვალეთ, რომ მთელი წლით ხართ დასჯილები. შობა თქვენთვის არ არსებობს. დაივიწყეთ ოდესმე ჰოგსმიდში წასვლა. და ეს მხოლოდ დასაწყისია...

*მოულოდნელად კაბინეტში საქმიანი სახით შემორბის ჰერმიონი.*

**ჰერმიონი:** რა გამოვტოვე?

**პროფესორი მაკგონაგალი (მკაცრად):** ჰერმიონ გრეინჯერ, ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ოთახში შესვლამდე კარზე უნდა დააკაკუნოთ?

*ჰერმიონი ხვდება, რომ ზღვარს გადავიდა.*

**ჰერმიონი:** აჰ!

**პროფესორი მაკგონაგალი:** თქვენი დასჯაც რომ შემეძლოს, მინისტრო, ამას სიამოვნებით ვიზამდი. რას ფიქრობდით, დროის მდევარს რომ ინახავდით?!

**ჰერმიონი:** ამის მიზეზი მქონდა...

**პროფესორი მაკგონაგალი:** თანაც წიგნების კარადაში. დროის მდევარს წიგნების კარადაში ინახავდით. სასაცილოა პირდაპირ!

**ჰერმიონი:** მინერვა (ჰერს ღრმად შეისუნთქავს). პროფესორო მაკგონაგელ...

**პროფესორი მაკგონაგალი:** თქვენი შვილები არ არსებობდნენ!

*ჰერმიონს ამაზე პასუხი არ აქვს.*

*და ეს ჩემს სკოლაში, ჩემს ცხვირწინ მოხდა. იმ ყველაფრის*

მერე, რაც დამბლდორმა გააკეთა, თავს არ ვიცოცხლებდი, რამე რომ...

**პერმიონი:** ვიცი.

**პროფესორი მაკონაგელი** (როგორღაც თავს იკავებს): თქვენი განზრახვა, სედრიკი გადაგერჩინათ, ღირსეულია, მაგრამ უგუნური. როგორც თქვენივე მონათხრობიდან ჩანს, სიმამაცე ნამდვილად გამოგიჩენიათ თქვენც, სკორპიუს, და თქვენც, ალბუს. მაგრამ გაკვეთილი, რომელსაც იმედია აქედან ისწავლით, და რომელსაც ზოგჯერ მამაშენიც არ ითვალისწინებდა, ისაა, რომ სიმამაცე სიბრყვეს ვერ აბათილებს. ყოველთვის დაფიქრდით და მერე იმოქმედეთ. გაითვალისწინეთ, რა შეიძლება მოხდეს. სამყარო, რომელსაც ვოლდემორი აკონტროლებს...

**სკორპიუსი:** საზარელია.

**პროფესორი მაკონაგელი:** თქვენ ძალიან ახალგაზრდები ხართ (ჰარის, დრაკოს, ჯინისა და ჰერმიონს გადახედავს). ძალიან ახალგაზრდები. წარმოდგენაც არ გაქვთ, რა საშინელი ნგრევა შეიძლება მოიტანოს ჯადოქრულმა ომებმა. თქვენ დაუფიქრებლად მოეპყართ იმ რეალობას, რომლის შექმნისა და შენარჩუნებისთვის ზოგიერთებმა... ჩემმა და თქვენმა ახლო მეგობრებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს...

**ალბუსი:** დიახ, პროფესორო.

**სკორპიუსი:** დიახ, პროფესორო.

**პროფესორი მაკონაგელი:** ახლა წადით. ყველანი თავისუფლები ხართ. მიბრძანდით და დროის მდევარი მიპოვეთ.





## მოქმედება 3 სცენა მეთერთმეტი

### ჰოპვორტსი, სლიზარინის საერთო საცხოვრებელი

ალბუსი თავის ოთახში ზის. პარი შემოდის. გაცეცხლებულია, მაგრამ ცდილობს, ბრაზი მოთოკოს.

**პარი:** გმადლობ, რომ მოსვლის უფლება მომეცი.

ალბუსი მამისკენ ბრუნდება, თავს უკრავს. ისიც ფრთხილობს.

ჯერჯერობით დროის მდევრის ძებნა ნარუმატებლად მიმდინარეობს. სირინოზებთან და ტრიტონებთან მოლაპარაკებას ვანარმოებთ, რომ ტბაში ძებნის უფლება მოგვცენ.

უხერხულად ჯდება.

კარგი ოთახი გაქვს.

**ალბუსი:** ჰო, მწვანე დამამშვიდებელი ფერია. არა, განა გრიფინდორის ოთახები ცუდია, მაგრამ წითელი ფერის ნაკლი ისაა, რომ... არ გენყინოს, მაგრამ ამბობენ, თანდათან ჭკუიდან გადაჰყავსო...

**პარი:** შეგიძლია ამიხსნა, რატომ გააკეთე ეს?

**ალბუსი:** მე მეგონა, შემეძლო... რალაცების შეცვლა. მეგონა, სედრიკის ამბავი... უსამართლობა იყო.

**პარი:** რა თქმა უნდა, უსამართლობაა, ალბუს, გგონია, მე არ ვიცი ეს? მე იქ ვიყავი. ვნახე, როგორ დაიღუპა. მაგრამ ამაზე წასვლა... ასე გარისკვა...

**ალბუსი:** ვიცი.

**პარი (თავს ველარ იკავებს):** თუ მე მბაძავდი, ყველაფერი არასწო-

რად გაგიგია. თავგადასავალი მე არ ამირჩევია, იძულებით აღმოვჩნდი მასში ჩათრეული. შენ კი მართლა დაუფიქრებლად მოიქეცი – უგუნური და საშიში ნაბიჯი გადადგი, რასაც შეიძლებოდა ყველაფერი გაენადგურებინა...

ალბუსი: ვიცი. გავიგე. ვიცი.

პაუზა. ალბუსი ცრემლს ინმენდს. ჰარი ამჩნევს და სულს ითქვამს, ცდილობს დამშვიდდეს.

ჰარი: მაგრამ... მეც შემეშალა. არ უნდა დამეშვა ის აზრი, რომ სკორპიუსი ვოლდემორის შვილია. ის არ ყოფილა შავი ღრუბელი.

ალბუსი: რა თქმა უნდა, არ ყოფილა.

ჰარი: რუკა გადავმალე. მოვაშორე. იცი, რომ დედაშენს შენი გაქცევის დღიდან შენი ოთახისთვის ხელი არ დაუკარებია? მეც კი არ მიშვებდა შიგნით... არავის აკარებდა იქაურობას. ძალიან შეაშინე... ძალიან შეგვაშინე.

ალბუსი: შენც შეგაშინე?

ჰარი: კი.

ალბუსი: მე მეგონა, ჰარი პოტერს არაფრის ეშინოდა.

ჰარი: ნუთუ მართლა ასეთ შთაბეჭდილებას ვტოვებ შენზე?

ალბუსი ყურადღებით აკვირდება მამას.

ალბუსი: სკორპიუსს მგონი ეს არ მოუყოლია: პირველი დავალების მარცხის მერე, ნარსულიდან რომ დავბრუნდით, მე რატომღაც გრიფინდორის კლუბში აღმოვჩნდი განანილებული. ჩვენ მაშინაც არ გვექონდა კარგი ურთიერთობა. ანუ ის ფაქტი, რომ სლიზერინში ვარ... არ არის ჩვენი პრობლემების სათავე. მარტო ეს არაა საქმე.

ჰარი: ჰო. ვიცი. მარტო ეს არაა საქმე.

ჰარი ალბუსს უყურებს.

ალბუს, ყველაფერი რიგზე გაქვს?

ალბუსი: არა.

ჰარი: არც მე.





## მოქმედება 3 სცენა მეთორმეტი

სიზმარი, გოდრიკ პოლოუ, სასაფლაო

პატარა ჰარი ყვავილებით შემკულ საფლავთან დგას და დასცქერის. ხელში თვითონაც მომცრო თაიგული უჭირავს.

**დეიდა პეტუნია:** რაღას უცდი, დადე ეგ შენი გაქუცული თაიგული და წავიდეთ აქედან. ამ სოფლის ატანა არ მაქვს. ან რა სახელი ჰქვია, რა უღმერთო ადგილია. სიბინძურის ბუდე! წავედით, ჩქარა.

ჰარი საფლავს უახლოვდება. წამით ყოვნდება.

დროზე, ჰარი... არ მაქვს ამდენი დრო. დადლის სკაუტების ჯგუფს დღეს ვარჯიში აქვს და ხომ იცი, როგორ ვერ იტანს დაგვიანებას.

**პატარა ჰარი:** დეიდა პეტუნია, ჩვენ გარდა სხვა ნათესავი არ ჰყავდათ?

**დეიდა პეტუნია:** არა. მარტო მე და შენ.

**პატარა ჰარი:** და... ხალხს არ უყვარდა? თქვენ ხომ თქვით, მეგობრები არ ჰყავდათო.

**დეიდა პეტუნია:** ლილი როგორ არ ცდილობდა... ცხონებული... მისი ბრალი არ იყო. უბრალოდ, ადამიანები გაურბოდნენ მისი ხასიათის, ქცევის, აურის გამო... მამაშენი კი... საძაგელი კაცი... წარმოუდგენლად საძაგელი. მეგობრები არცერთს ჰყავდა.

**პატარა ჰარი:** მაშინ... საიდან ამდენი ყვავილი? რატომაა მათი საფლავები თაიგულებით მორთული?

დეიდა პეტუნია საფლავებს დახედავს და თითქოს ახლაღა ამჩნევს ყვავილებს. ეს სანახაობა მასზე შთაბეჭდილებას ახდენს. თავისი დის საფლავს უახლოვდება, გვერდით ჯდება და ცდილობს მონო-ლილ ემოციას სძლიოს, მაგრამ არაფერი გამოსდის.

**დეიდა პეტუნია:** ა, ჰო. მართლაც ყოფილა. შეიძლება სხვა საფლავებიდან ქარმა მოიტანა, ან ვილაცამ ბოროტად იხუმრა. ჰო, ალბათ ასეა, ვილაც უსაქმური წავიდა, დაიარა საფლავები, ყვავილები შეაგროვა და აქ დააწყო...

**პატარა ჰარი:** მაგრამ თაიგულებს მათ სახელზე წარწერებიც რომ აქვს? „ლილი და ჯეიმს, არასდროს დავივიწყებთ, რაც ჩვენთვის გააკეთეთ“, „ლილი და ჯეიმს, თქვენი გმირობა...“

**ვოლდემორტი:** დანაშაულის სუნი მცემს, ჰაერში დანაშაულის მყრალი სუნი ტრიალებს.

**დეიდა პეტუნია (პატარა ჰარის):** წადი, მოშორდი აქაურობას...

უკან ეწევა ჰარის. პოტერების საფლავებს ზემოთ ჰაერში ვოლდემორტის ხელი აღიმართება და ხელს მთელი ტანი მოჰყვება. მის სახეს ვერ ვხედავთ, მხოლოდ სხეულის უფორმო, ამაზრზენ სილუეტს.

ვიცოდი, რომ ეს ადგილი სახიფათოა. რაც უფრო მალე გავაღწევთ გოდრიკ ჰოლოუდან, მით უკეთესი.

პატარა ჰარის სცენიდან ექაჩებიან, მაგრამ ის ვოლდემორტისკენ ბრუნდება და სახეში ჩახედავს.

**ვოლდემორტი:** ისევ ჩემი თვალებით ხედავ, ჰარი პოტერ?

პატარა ჰარი შეძრწუნებული გადის, სწორედ ამ დროს ვოლდემორტის მოსასხამიდან ალბუსი ამოხტება და მამისკენ განწირული იშვერს ხელს.

**ალბუსი:** მამა... მამა...

ისმის პარსულ ენაზე წარმოთქმული რამდენიმე სიტყვა.

მოდისსსს. მოდისსსს. მოდისსსს...

და მერე – კივილი.

შემდეგ კიდებიდან ჩურჩული აღწევს და ყველას თითქოს ნისლი-  
ვით მოიცავს.

ხმა, რომელიც ამ სიტყვებს წარმოთქვამს, მხოლოდ მას შეიძლება  
ეკუთვნოდეს – ეს ვოლდემორის ხმაა...

ჰააარი პოტტერ...





## მოქმედება 3 სცენა მეცამეტი

### პარი და ჯინი პოტარაზის სახლი, სამზარეულო

პარი შეძრულია. თავისი სიზმრების შესაძლო ახსნა თავზარს სცემს.

ჯინი: პარი? პარი! რა მოხდა? რატომ ყვიროდი?

პარი: ისევ არ მანებებს სიზმრები თავს.

ჯინი: ასე ერთბაშად არ შეწყდებოდა. სტრესული პერიოდი გქონდა და...

პარი: მაგრამ გოდრიკ პოლოუში პეტუნიასთან ერთად არასდროს ვყოფილვარ. ეს არ...

ჯინი: პარი, უკვე მართლა მაშინებ.

პარი: ის ჯერ კიდევ აქ არის, ჯინი.

ჯინი: ვინ არის აქ?

პარი: ვოლდემორი. სიზმარში ვოლდემორი და ალბუსი ვნახე.

ჯინი: ალბუსიც?

პარი: მან თქვა... ვოლდემორმა თქვა... „დანაშაულის სუნი მცემს, ჰაერში დანაშაულის მყრალი სუნი ტრიალებს...“ მე მელაპარაკებოდა.

პარი ჯინის შეხედავს და თავის ნაიარევს ხელით ეხება. ჯინი ილუშება.

ჯინი: პარი, ალბუსი ისევ საფრთხეშია?

პარი ფითრდება.

პარი: მგონი, ყველანი საფრთხეში ვართ.



## მოქმედება 3 სცენა მეთოთხმეტი

### ჰობვორტსი, სლიზარინის საერთო საცხოვრებელი

ალბუსის სანოლის თავზე სკორპიუსია დახრილი.

სკორპიუსი: ალბუს... გაიღვიძე... ალბუს.

ალბუსი არ იღვიძებს.

ალბუს!

ალბუსი ელდანაკრავივით ხტება და ეღვიძება. სკორპიუსი იცინის.

ალბუსი: ძალიან სასიამოვნოა ასე გაღვიძება. საერთოდ არაა საშიში.

სკორპიუსი: იცი, უცნაურია, მაგრამ ყველაზე სახიფათო ადგილზე ყოფნის მერე შიში თითქოს დავძლიე. მე ვარ სკორპიუს უშიშარი. მე ვარ მალფოი უშფოთველი.

ალბუსი: ძალიან კარგი.

სკორპიუსი: სერიოზულად გეუბნები. სხვა დროს ასეთი გამოკეტვა, გაკვეთილების მერე ყოველდღე დარჩენა, სულიერად გამტეხდა, მაგრამ ახლა... ყველაზე უარესი რა შეიძლება მიყონ? ვოლდი დააბრუნონ და მანამონ? ვერ მივართვი.

ალბუსი: იცი, რომ კარგ ხასიათზე როცა ხარ, მაშინებ?

სკორპიუსი: დღეს შხამ-ნამღების გაკვეთილზე როუზი რომ გამომეცხადა და „ფულის მონა“ მიწოდა, კინალამ გადავეხვიე. არა, კინალამ კი არა, ვცადე მოვხვეოდი, მაგრამ წვივში წიხლი მითავაზა.

**ალბუსი:** მგონი, უშიშრობა შენი ჯანმრთელობისთვის საშიშია.

*სკორპიუსი ალბუსს დაფიქრებით შეხედავს.*

**სკორპიუსი:** შენ არ იცი, რა კარგია აქ დაბრუნება, ალბუს. იქაურობა მეზიზღებოდა.

**ალბუსი:** გარდა იმ ფაქტისა, რომ პოლი ჩეპმენი გეპრანჭებოდა, არა?

**სკორპიუსი:** სედრიკი სულ სხვა ადამიანი იყო – ბოროტი, საშიში. მამაჩემი... აკეთებდა იმას, რასაც უბრძანებდნენ. და მე? იცი, მე სხვა სკორპიუსი აღმოვაჩინე – გაბლენძილი, გაბრაზებული, ავი. ადამიანებს ჩემი ეშინოდათ. თითქოს ყველანი გამოცდის წინაშე დავდექით და ვერცერთმა ვერ ჩავაბარეთ.

**ალბუსი:** კი მაგრამ, შენ ხომ შეცვალე მოვლენები. შანსი მოგეცა თუ არა, ეს რეალობა დააბრუნე. შენი თავი დაიბრუნე.

**სკორპიუსი:** მხოლოდ იმიტომ, რომ ვიცოდი, ვინ უნდა ვყოფილიყავი.

*ალბუსი სკორპიუსის ნათქვამს იაზრებს.*

**ალბუსი:** როგორ ფიქრობ, მე ჩავაბარე გამოცდა? ვერა, ხომ?

**სკორპიუსი:** შენ ჯერ არ დამდგარხარ გამოცდის წინაშე.

**ალბუსი:** ცდები. სისულელე ის კი არ იყო, ერთხელ რომ გავემგზავრეთ ნარსულში – ერთხელ ყველა შეიძლება შეცდეს. სისულელე ის იყო, რომ იმდენად ამბიციური ვიყავი, ეს მეორედაც გავბედე.

**სკორპიუსი:** ეს ორივემ ერთად გავაკეთეთ, ალბუს.

**ალბუსი:** და რატომ ავიკვიატე? სედრიკის გამო? კარგი, რა. არა! რალაცის დამტკიცება მინდოდა. მამაჩემი მართალია. მას თავისი ნებით არ გაუყვია თავი თავგადასავალში, მე კიდეც... ყველაფერი ჩემი ბრალია. შენ რომ არა, ყველაფერი ბნელ ძალებს დარჩებოდათ.

**სკორპიუსი:** მაგრამ ასე არ მოხდა. და ეს მხოლოდ ჩემი დამსახურება არაა. როდესაც თავში დემენტორები შემიძვრნენ... სევერუს სნეიპმა მირჩია, შენზე მეფიქრა. შენ შეიძლება იქ არ იყავი, ალბუს, მაგრამ შენც იბრძოდი... იბრძოდი ჩემ გვერდით.

*გულაჩუყებული ალბუსი ოდნავ უკრავს თავს.*

და სედრიკის გადარჩენაც არ იყო ურიგო წამოწყება... ჩემი  
აზრით... მაგრამ ხომ ხვდები, რომ ამას უნდა შევეშვათ...  
ალბუსი: კი, ვხვდები. მშვენივრად ვხვდები.  
სკორპიუსი: ძალიან კარგი. ახლა კი ამის განადგურებაში უნდა  
დამეხმარო.

დროის მდევარს უჩვენებს.

ალბუსი: შენ ხომ ყველას უთხარი, ტბის ფსკერზეაო!

სკორპიუსი: როგორც აღმოჩნდა, მალფოი უშფოთველი ბრწყინ-  
ვალე მატყუარაცაა.

ალბუსი: სკორპიუს... ვინმეს უნდა ვუთხრათ ამის შესახებ...

სკორპიუსი: ვის? სამინისტრომ ერთხელ უკვე ჩაიბარა და ვერ  
დაიცვა. შეიძლება კიდევ ვანდოთ? მხოლოდ მე და შენ გამო-  
ვცადეთ ჩვენს ტყავზე, რამდენად საშიშია ეს ნივთი, რაც  
იმას ნიშნავს, რომ მე და შენვე უნდა გავანადგუროთ. ჩვენი  
შეცდომა აღარავინ უნდა გაიმეოროს, ალბუს. არავინ! არა  
(ცოტა არ იყოს, დრამატულად), დროა, წარსულში დაბრუნება  
წარსულში დარჩეს!

ალბუსი: ეგ ფრაზა შენ მოიგონე? რაღაც ძალიან გეამაყება.

სკორპიუსი: მთელ დღეს მოვუნდი.





## მოქმედება 3 სცენა მეთხუთმეტი

### ჰობვორტსი, სლიზარინის საერთო საცხოვრებელი

ჰარი და ჯინი სწრაფი ნაბიჯით შედიან საერთო საცხოვრებელში. ფეხდაფეხ კრეგ ბოუკერ უმცროსი მიჰყვებათ.

კრებ ბოუკერ უმცროსი: რამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ. ეს წესის დარღვევაა, თან ახლა შუალამეა.

ჰარი: ჩემი შვილი უნდა ვნახო.

კრებ ბოუკერ უმცროსი: მისტერ პოტერ, ვიცი, ვინც ხართ, მაგრამ თქვენც უნდა გესმოდეთ, რომ სკოლის შინაგანანესით აკრძალულია საერთო საცხოვრებელში მშობლებისა და პროფესორების შესვლა, თუ ოფიციალური ნებართვა არ ექნებათ...

მათ პროფესორი მაკგონაგელი ეწევა.

პროფესორი მაკგონაგელი: ნუ შეგვალონეთ, კრებ. გაგვატარეთ.

ჰარი: ჩვენი შეტყობინება მიიღეთ? ძალიან კარგი.

კრებ ბოუკერ უმცროსი (განცვიფრებული): დირექტორო. მე უბრალოდ...

ჰარი სანოლის ფარდას სწევს.

პროფესორი მაკგონაგელი: გაიპარა?

ჰარი: დიახ.

პროფესორი მაკგონაგელი: და მალფოი?

ჯინი მეორე სანოლის ფარდას სწევს.

ჯინი: ოჰ, არა!..

**პროფესორი მამონაგელი:** ახლავე ძირისძირამდე გავჩხრეკთ სკოლას. კრეგ, საქმე გამოგვიჩნდა...

*გახეკებული ჯინი და ჰარი სანოლს დასცქერიან.*

**ჯინი:** მაინც რამდენჯერ უნდა გამეორდეს ეს?

**ჰარი:** გული მიგრძნობს, ამჯერად ყველაფერი უარესადაა.

*ჯინი შიშით აღსავსე თვალებით შესცქერის ქმარს.*

**ჯინი:** ბოლო დროს ხომ არ გილაპარაკიათ?

**ჰარი:** კი.

**ჯინი:** აქ მოხვედი და დაელაპარაკე?

**ჰარი:** ხომ იცი, რომ მოვედი.

**ჯინი:** რა უთხარი ჩვენს შვილს, ჰარი?

*ჰარი მის ხმაში ბრალდების ტონს იჭერს.*

**ჰარი:** შევეცადე, რომ გულახდილი ვყოფილიყავი, როგორც შენ მირჩიე... ისეთი არაფერი მითქვამს.

**ჯინი:** თავი გააკონტროლე? რამდენად ცხარე საუბარი გქონდათ?

**ჰარი:** ...არა მგონია, მე... შენი აზრით, ისევ მე გავაქციე?

**ჯინი:** ჰარი, ერთ შეცდომას გაპატიებ, ორსაც, მაგრამ რაც უფრო მეტჯერ ცდები, მით უფრო მიჭირს ამის გაკეთება.



## მოქმედა 3 სცენა მითქვსსმეტა

### ჰოგვორტსი, საბუე

სკორპიუსი და ალბუსი ვერცხლისფერი შუქით განათებულ საბურავზე მიძვრებიან. მათ გარშემო ყრუდ ისმის ბუების ხმადაბალი კივილი.

სკორპიუსი: მე მგონი, კონფრინგო საკმარისი იქნება.

ალბუსი: არაფერიც! ასეთი რამისთვის ექსპულსო მაინც გინდა.

სკორპიუსი: ექსპულსო? შევულოცავთ და ამ საბუედან მთელ კვირას მოვუნდებით ნამსხვრევეების აკრეფას.

ალბუსი: ბომბარდაზე რას იტყვი?

სკორპიუსი: და ყველა გავალვიძოთ ჰოგვორტსში? იქნებ გაშეშების ჯადო? ადრე დროის მდეურებს ამ ჯადოთი ანადგურებდნენ...

ალბუსი: საქმეც ეგაა. ეს ადრეც გაუკეთებიათ, მოდი, ჩვენ რამე ახალი ვცადოთ. რამე სახალისო.

სკორპიუსი: სახალისო? მომისმინე, ბევრი ჯადოქარი არ ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას შელოცვის სწორად შერჩევას, მაგრამ ეს მართლა გადამწყვეტია. მე თუ მკითხავ, თანამედროვე ჯადოქრობაში ამ საკითხს სათანადო ყურადღება არ ეთმობა.

დელფი: „თანამედროვე ჯადოქრობაში ამ საკითხს სათანადო ყურადღება არ ეთმობა“ – სასწაული ვილაცხები ხართ, რა...

სკორპიუსი გაოცებული გახედავს მათ ზურგს უკან მოულოდნელად გამოჩენილ დელფის.

სკორპიუსი: ვაა. შენ... შენ აქ რას აკეთებ?

**ალბუსი:** გადავწყვიტე, რომ ბუ გამეგზავნა და მისთვის შემეტყუობინებინა, რას ვაპირებდით.

**სკორპიუსი** საყვედურით უყურებს მეგობარს.

ეს მასაც ეხება...

**სკორპიუსი** დაფიქრდება და შემდეგ თანხმობის ნიშნად თავს უქნევს.

**დელფი:** რა მეხება? რა ხდება?

**ალბუსი** მანტიიდან დროის მდევარს იღებს.

**ალბუსი:** დროის მდევარი უნდა გავანადგუროთ. ის, რაც მეორე დავალების მერე სკორპიუსმა თავისი თვალით ნახა, დაუშვებელია... სამწუხაროდ, ველარ გავრისკავთ უკან დაბრუნებას. შენს ბიძაშვილს ვერ გადავარჩინთ.

**დელფი** ჯერ დროის მდევარს შეხედავს და შემდეგ ბიჭებს.

**დელფი:** წერილში ამაზე არაფერი მოგიწერია...

**ალბუსი:** წარმოიდგინე ყველაზე ცუდი სამყარო და მერე წარმოიდგინე მაგაზე ორჯერ უარესი სამყარო. ადამიანებს ანამებენ, ყველგან დემენტორები დაძრწიან, მმართველობა დესპოტიკოლდემორის ხელშია, მამაჩემი მკვდარია, მე არ დავბადებულვარ, სამყარო შავ მაგიაშია გახვეული – ჩვენ უბრალოდ ვერ დავუშვებთ, რომ ეს მოხდეს.

**დელფი** ჭოჭმანობს. შემდეგ სახე ეცვლება.

**დელფი:** ვოლდემორი მართავდა? ცოცხალი იყო?

**სკორპიუსი:** ყველაფერს ის მართავდა. საშინელება იყო.

**დელფი:** იმის გამო, რაც ჩვენ გავაკეთეთ?

**სკორპიუსი:** დამცირებით გამოწვეულმა სიბრაზემ სედრიკი გააბოროტა, ის სიკვდილის მხვრელებს შეუერთდა და... ყველაფერი ცუდად წარიმართა. ძალიან ცუდად.

**დელფი** სკორპიუსს თვალს არ აშორებს. სახე უნალღლიანდება.

**დელფი:** სიკვდილის მხვრელი?

**სკორპიუსი:** და მკვლელი. მან პროფესორი ლონგბოტომი მოკლა.



დელოზი: მაშინ... რა თქმა უნდა... უნდა გავანადგუროთ.

ალბუსი: ანუ, შენც გვეთანხმები, ხომ?

დელოზი: მეტიც... მე ვიტყვოდი, რომ სედრიკიც გაგვიგებდა და დაგვეთანხმებოდა. მოდი, ერთად გავანადგუროთ და შემდეგ მე ბიძაჩემთან დავბრუნდები. ყველაფერს ავუხსნი.

ალბუსი: გმადლობ.

დელოზი სევდიანად უღიმის მათ და დროის მდედვარს ართმევს. დახედავს და გამომეტყველება ოდნავ ეცვლება.

ოჰ, რა ლამაზი ნიშანია!

დელოზი: რა ნიშანი?

დელოზის მანტია ცოტათი შეხსნია და კისერზე ავეურის გამოსახულება მოუჩანს.

ალბუსი: უკან, კისერზე. აქამდე არ შემიმჩნევია. ფრთები... ესაა, ხომ, მაგლები ტატუს რომ ეძახიან?

დელოზი: აჰ, დიახ. ეს ავეურია.

სკორპიუსი: ავეური?!

დელოზი: ნუთუ ჯადოსნურ არსებათა მოვლის საგანში არ გაგივლიათ? ავბედითი იერის შავი ფრინველები, რომლებიც წვიმიან ამინდში მოთქვამენ. ჯადოქრებს სჯეროდათ, რომ ავეურის ტირილი სიკვდილს მოასწავებდა. პატარა რომ ვიყავი, ჩემს მეურვეს ერთი ავეური გალიაში ჰყავდა.

სკორპიუსი: შენს... მეურვეს?

დელოზი სკორპიუსს შესცქერის. ახლა, როცა დროის მდედარი მას აქვს ხელთ, ბიჭების რეაქციით ტკბება.

დელოზი: მიჩინებდა, იმიტომ მოთქვამს, რომ იცის, ცუდად დაამთავრებო. მაინცდამაინც არ ვუყვარდი. ევფემია როული... მარტო იმიტომ შემეფარა, რომ ოქროს უხდიდნენ.

ალბუსი: მაშინ, მისი ფრინველი რატომ გაქვს ამოსვირინგებული?

დელოზი: მახსენებს, რომ მომავალი ჩემს ხელშია.

ალბუსი: რა მაგარია, მეც მომინდა ავეურის ტატუ.

სკორპიუსი: როულების მთელი გვარი მგზნებარე სიკვდილის მხვრელი იყო.

სკორპიუსს თავგზა ერევა.

ალბუსი: კარგი, მოდი შევეუდგეთ... რით გავანადგუროთ? კონფრინგო? გაშეშება? ბომბარდა? შენ რომელს გამოიყენებდი?

სკორპიუსი: ახლავე დაგვიბრუნე დროის მდედარი. მომეცი.

დელფი: რა თქვი?

ალბუსი: სკორპიუს, რას აკეთებ?

სკორპიუსი: არ მჯერა, რომ ოდესმე ავად იყავი. რატომ არ სწავლობდი ჰოგვორტსში? რატომ ხარ ახლა აქ?

დელფი: მე მხოლოდ ჩემი ბიძაშვილის დაბრუნება მინდა!

სკორპიუსი: ისინი შენ გინოდებდნენ „ავგურის“. იმ... სხვა სამყაროში. შენ ავგურიდ მოგიხსენიებდნენ.

დელფის სახეზე ღიმილი ეფინება.

დელფი: ავგური? ძალიან მომწონს.

ალბუსი: დელფი?

დელფი ელვის უსწრაფესად მოქმედებს. ჯადოსნურ ჯოხს იღებს და სკორპიუსს იოლად უკუაგდებს. მასზე ღონიერია. სკორპიუსი ცდილობს შეაკავოს, მაგრამ დელფი მალევე ჯაბნის.

დელფი: ფულგარი!

სკორპიუსს მკლავებს მჭრელი, პრიალა ბანრები უკრავს.

სკორპიუსი: ალბუს! გაიქეცი!

ალბუსი დაბნეული მოიხედავს და შემდეგ ადგილს სწყდება.

დელფი: ფულგარი!

ალბუსი იატაკს ენარცხება, ხელები მასაც უმოწყალოდ აქვს ბანრებით გაკოჭილი.

ეს პირველი შელოცვაა, რომლის გამოყენებაც თქვენზე მომიხდა. მეგონა, მეტი დამჭირდებოდა, მაგრამ თქვენი გაკონტროლება ამოსზე გაცილებით იოლი აღმოჩნდა. ბავშვები, განსაკუთრებით პატარა ბიჭები, ბუნებით დამყოლები არიან. ასე არ არის? ახლა კი ერთხელ და სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო ამ ქაოსს...

ალბუსი: კი მაგრამ, რატომ? რა? ვინ ხარ შენ?

დელზი: მე ახალი წარსული ვარ, ალბუს.

ალბუსს ჯადოსნურ ჯოხს ხელიდან სტაცებს და შუაზე ტეხს.

მე ახალი მომავალი ვარ.

სკორპიუსსაც გამოსტაცებს ჯადოსნურ ჯოხს და მასაც ამტვრევს.

მე ვარ პასუხი, რომელსაც ეს სამყარო დღემდე ეძებდა.



## მოქმედება 3 სცენა მეჩვიდმეტი

### მაგიის სამინისტრო, ჰერმიონის კაბინეტი

ჰერმიონის მაგიდაზე რონი ჩამომჯდარა და ფაფას მიირთმევს.

**რონი:** ვერ მომინელებია ის ფაქტი, რომ ზოგიერთ რეალობაში ჩვენ ცოლ-ქმარი არ ვართ.

**ჰერმიონი:** რონ, რაც უნდა იყოს, მოიცდის. ათ წუთში გობლინებთან მაქვს შეხვედრა გრინგოტსის დაცვა-უსაფრთხოების საკითხზე...

**რონი:** იცი, რას ვამბობ? ჩვენ აგერ უკვე რამდენი ხანია ერთად ვართ, ქორწინებაში... ისე დიდი ხანია...

**ჰერმიონი:** რონ, თუ ჩემგან დასვენება გინდა და პირდაპირ ვერ მეუბნები, იცოდე, ამ კალამზე წამოგაცვამ.

**რონი:** გაჩუმდი. მაცალე რაღაცის თქმა. იცი, რა მინდა? საქორწინო ფიცის განახლების რიტუალი, ამას წინათ რომ წავიკითხეთ. აბა, რას იტყვი?

**ჰერმიონი (ოდნავ ლბება):** ხელახლა გინდა ჩემზე დაქორწინება?

**რონი:** პირველად რომ დავექორწინდით, ძალიან ახალგაზრდები ვიყავით, მე დავთვერი და... სიმართლე გითხრა, ბევრი რამე არც მახსოვს და... მთავარი ისაა, რომ მიყვარხარ, ჰერმიონ გრეინჯერ, და მინდა, შესაძლებლობა მქონდეს, ეს უამრავი ხალხის წინაშე ისევ გითხრა... ფხიზელმა.

ჰერმიონი ღიმილით უყურებს, თავისკენ მიიზიდავს და კოცნის.

**ჰერმიონი:** რა ტკბილი ხარ.

**რონი:** შენ კიდევ ირისის კანფეტის გემო გაქვს.

ჰერმიონი იცინის. ერთმანეთისკენ ისევ საკოცნელად იწევენ, მაგრამ ამ დროს მათ ჰარი, ჯინი და დრაკო შემოუსწრებენ. წყვილი მაშინვე ერთმანეთს შორდება.

**ჰერმიონი:** ჰარი, ჯინი და... მე, ო... დრაკო... სასიამოვნოა შენი ნახვა...

**ჰარი:** სიზმრები... ისევ დამეწყო, უფრო სწორად, არ შეწყვეტილა.

**ჯინი:** და ალბუსი ისევ დაიკარგა.

**დრაკო:** სკორპიუსიც. მაკგონაგელმა მთელი სკოლა ფეხზე დააყენა. ბიჭები არსად ჩანან.

**ჰერმიონი:** ახლავე გამოვიძახებ აურორებს. მე...

**რონი:** არა, არაა საჭირო. ყველაფერი რიგზეა. ალბუსი... წუხელ ვნახე. ყველაფერი კარგადაა.

**დრაკო:** სად ნახე?

*ყველა რონს უყურებს. ის ცოტათი შემცბარი აგრძელებს.*

**რონი:** ნევილთან ერთად ჰოგსმიდში ცეცხლოვანი ვისკის დასალევად შევიარე. როგორც ხდება, ამ მთისა და იმ ბარისას მოვეყვით... უკან რომ ვბრუნდებოდით, საკმაოდ გვიანი იყო, ძალიან გვიანი, და ვცდილობდი გამერკვია, რომელი ფლუ ფხვნილი გამომეყენებინა, თორემ ხომ იცით, ნასვამზე ვინრო, მიხვეულ-მოხვეულ საკვამურებში სულაც არ გინდა მოხვედრა...

**ჯინი:** რონ, მთავარ სათქმელზე თუ არ გადახვალ, მიგახრჩობთ.

**რონი:** ის არ გაქცეულა, უბრალოდ ცოტა ხნით განმარტოება უნდა. თავისზე უფროსი შეყვარებული იშოვა...

**ჰარი:** უფროსი შეყვარებული?

**რონი:** მშვენიერი გოგოა. ულამაზესი ვერცხლისფერი თმა აქვს. სახურავზე დავინახე ერთად, საბუესთან ახლოს. სკორპიუსიც იქვე ტრიალებდა და იმდენს კი ვერ ხვდებოდა, რომ მარტო დაეტოვებინა. მახსოვს, გავიფიქრე, რა კარგია, ჩემს სიყვარულის ელექსირებს ასეთი გასავალი რომ აქვს-მეთქი.

*ჰარი უეცრად იაზრებს.*

**ჰარი:** თმა... მოვერცხლისფრო-მოცისფრო?

**რონი:** ააა, კი, ვერცხლისფერ-ცისფერი.

**ჰარი:** დელფი დიგორიზე ამბობს. ამოს დიგორის ძმისშვილზე.

**ჯინი:** ისევ სედრიკის ამბავია?

ღრმად ჩაფიქრებული ჰარი არაფერს ამბობს. ჰერმიონი შეშფოთებით მიმოიხედავს ოთახში და შემდეგ კარში გასძახებს:

**პერმიონი:** ეთელ! გობლინებთან შეხვედრა გააუქმე.





## მოქმედება 3 სცენა მეთვრამეტი

### წმინდა ოსვალდის სახელობის მოხუცებულ ჯადოქართა თავმჯდომარე, ამოსის ოთახი

დრაკოსთან ერთად შემოდის ჰარი. ხელში ჯადოსნური ჯოხი ჩაუბლუჯავს.

ჰარი: სად არიან?

ამოსი: ჰარი პოტერ, რით შემიძლია დაგეხმაროთ, სერ? და დრაკო მალფოი... რა პატივია...

ჰარი: მე ვიცი, როგორ გამოიყენეთ ჩემი შვილი.

ამოსი: თქვენი შვილი გამოვიყენე? არა. ეს თქვენ... თქვენ გამოიყენეთ ჩემი საოცარი ბიჭი, სერ.

დრაკო: ახლავე გვითხარით, სად არიან ალბუსი და სკორპიუსი. გვითხარით, თორემ მწარედ განანებთ.

ამოსი: მე საიდან უნდა ვიცოდე, სად არიან?

დრაკო: თავს ნუ იშტერებ, ბერიკაცო. ვიცი, რომ ბუებს უგზავნიდი.

ამოსი: მსგავსი არაფერი მიქნია.

ჰარი: ამოს, არც იმდენად მოხუცი ხართ, რომ აზკაბანი აგცდეთ. ბოლოს ჰოგვორტსის კოშკში დაინახეს თქვენს ძმისშვილთან ერთად. და მას მერე ვერსად ვპოულობთ.

ამოსი: წარმოდგენა არ მაქვს, თქვენ... (ხმა უწყდება, წამით დაბნეული დუმს) ძმისშვილი?

ჰარი: არ მეგონა, ასე თუ დაეცემოდით... დიახ! თქვენი ძმისშვილი, ნუთუ იმასაც უარყოფთ, რომ თქვენს მითითებებს ასრულებდა?

**ამოსი:** დიახ, უარყოფ. ძმისშვილი არ მყავს.

*ელდანაცემი ჰარი შეშდება.*

**დრაკო:** დიახ, გყავთ. მედდაა და აქ მუშაობს. თქვენი ძმისშვილი...  
დელფინი დიგორი.

**ამოსი:** ზუსტად ვიცი, რომ ძმისშვილი არ მყავს, რადგან და-ძმა არ  
მყოლია. არც მე და არც ჩემს ცოლს.

**დრაკო:** სასწრაფოდ უნდა გავარკვიოთ, ვინაა სინამდვილეში.







## მოქმედება 3 სცენა მეცხრამეტი

### ჰოვორტსი, ქვიდიჩის მოედანი

ვხედავთ დელფის, რომელიც ნილბის ჩამოხსნის მერე თითოეული ნამით ტკბება. მღელვარებისა და უსუსურობის ნატამალიც არ შერჩენია. მის ტონსა და მიხრა-მოხრაში მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლება იგრძნობა.

ალბუსი: ქვიდიჩის მოედანზე რატომ მოვედით?

დელფი არ პასუხობს.

სკორპიუსი: სამი ჯადოქრის ტურნირი. მესამე დავალება. ლაბირინთი. აქ ლაბირინთი იყო. ისევ სედრიკისთვის ვბრუნდებით.

დელფი: დიახ, დროა, ერთხელ და სამუდამოდ გადავარჩინოთ „ზედმეტი“. სედრიკისთვის დავბრუნდებით და ამავედროულად, ალვადგენთ იმ სამყაროს, რომელიც შენ ნახე, სკორპიუს...

სკორპიუსი: იმ ჯოჯოხეთის დაბრუნება გინდა?

დელფი: მე მინდა დავაბრუნო წმინდა და ძლიერი მაგია. მე მინდა, ბნელი ძალა აღზევდეს.

სკორპიუსი: ვოლდემორი გინდა დააბრუნო?

დელფი: ჯადოქრული სამყაროს ერთადერთი ჭეშმარიტი მბრძანებელი. ის დაბრუნდება. ახლა კი საქმეს შევუდგეთ. თქვენი ნყალობით პირველი ორი დავალება, ცოტა არ იყოს, გადაიტვირთა მაგიით – თითოეულზე სულ მცირე, ორი ვიზიტია მომავლიდან და ჩვენი გამომხეურების ან ყურადღების გაფანტვის საფრთხეც მეტია. მესამე დავალება კი ხელუხლებელია, ამიტომ იქიდან დავიწყებთ.

ალბუსი: ვერ შევაჩერებთ. რაც უნდა ძალა დაგვატანო... ხომ ვიცით, რომ ტურნირი უნდა მოიგოს მამაჩემთან ერთად.

დელფი: თქვენგან მარტო მის შეჩერებას კი არა, მის დამცირებას ვითხოვ. თუნდაც ლაბირინთიდან იისფერი ბუმბულისგან დამზადებულ ცოცხზე შიშვლად ამხედრებული აფრინდეს. დამცირებამ ერთხელ გაჭრა და მეორედაც გაჭრის. და წინასწარმეტყველებაც აღსრულდება.

სკორპიუსი: არ ვიცოდი, წინასწარმეტყველებაც თუ არსებობდა, რა წინასწარმეტყველება?

დელფი: შენ სამყარო ისეთი დაინახე, როგორიც უნდა იყოს, სკორპიუს. და დღეს ჩვენ მის დაბრუნებაზე ვიზრუნებთ.

ალბუსი: არ ვიცი, ვინ ხარ და რა გინდა ჩვენგან, მაგრამ ვერ გვაიძულებ. არ დაგემორჩილებით.

დელფი: რა თქმა უნდა, დამემორჩილებით.

ალბუსი: იმპერიუსის წყევლის გამოყენება მოგიწევს. ჩემი გაკონტროლების გარეშე ვერაფერს იზამ.

დელფი: არა. წინასწარმეტყველების აღსასრულებლად შენ მჭირდები და არა შენი მარიონეტი. შენ უნდა დაამცირო სედრიკი, ამიტომ იმპერიუსის წყევლა არ გამომადგება, სხვანაირად მომიწევს შენი იძულება.

ჯადოსნურ ჯოხს იღებს და ალბუსს უმიზნებს. ალბუსი გამომწვევად უსწორებს თვალს.

ალბუსი: რაც გინდა, ის გიქნია.

დელფი შეხედავს და შემდეგ ჯადოსნურ ჯოხს სკორპიუსს მიუშვერს.

დელფი: მაშ, კარგი.

ალბუსი: არა!!!

დელფი: ასეც ვიფიქრე, რომ ეს უფრო გაჭრიდა.

სკორპიუსი: ალბუს, რაც უნდა დამმართოს... თავისი არ უნდა გავატანიოთ...

დელფი: კრუციო!

სკორპიუსი ტკივილისგან ყვირის.

ალბუსი: მე...

**დელზი** (იციინის): რა? შენი აზრით, რამეს გახდები? შენ? ჯადოქრული სამყაროს ყველაზე დიდი იმედგაცრუება, შენი ოჯახის სამარცხვინო ლაქა! თეთრი ყვავი! გინდა, რომ შენს ერთადერთ მეგობარს გული არ ატკინო? მაშინ ის გააკეთე, რასაც გეუბნები.

*ალბუსი ჯიქურ მისჩერებია.*

აჰ, არა? კრუციო!

**ალბუსი:** გეყო! გთხოვ.

*კისრისტეხით შემორბის კრეგი.*

**კრეგ ბოუპარ უმცროსი:** სკორპიუს? ალბუს? ყველა თქვენ გეძებთ...

**ალბუსი:** კრეგ. გაიქეცი! დახმარება ითხოვე!

**კრეგ ბოუპარ უმცროსი:** რა ხდება?

**დელზი:** ავადა კედავრა!

*დელფის ჯოხიდან გამოჭრილი მწვანე სხივი მთელ სცენას კვეთს, კრეგი ზურგით ეცემა და მაშინვე კედება.*

*ჩამონოლილი სიჩუმე თითქოს უსასრულოდ გრძელდება.*

რით ვერ გაიგეთ, რომ აქ ბავშვურ თამაშებს არ ვთამაშობთ. თქვენ მჭირდებით, თქვენი მეგობრები – არა.

*ელდანაცემი ალბუსი და სკორპიუსი კრეგის გვამს დასცქერიან.*

დიდი ხანი დამჭირდა შენი სისუსტის დასადგენად, ალბუს პოტერ. ჯერ მეგონა, სიამაყე იყო, მეგონა, მამაშენზე შთაბეჭდილების მოსახდენად ყველაფერზე ნახვილოდი, მაგრამ მერე მიხვდი, რომ შენც იგივე სუსტი ნერტილი გაქვს, რაც მამაშენს – მეგობრები. თუ იმას არ გააკეთებ, რასაც გეტყვი, სკორპიუსი მოკვდება, ზუსტად ისე, როგორც ახლა მოკვდა ზედმეტი.

*ბიჭებს თვალებს უბრიალებს.*

ვოლდემორი დაბრუნდება და ავგური მას გვერდს დაუმშვენებს. ზუსტად ისე, როგორც წინასწარმეტყველებაშია: „როცა

ზედმეტები გადარჩებიან, როცა დრო გადატრიალდება, როცა უნახავი შვილები დახოცავენ თავიანთ მამებს, მაშინ დაბრუნდება ბნელი ბატონი“.

ილიმის. სკორპიუსს გააფთრებით სწვდება და თავისკენ ექაჩება.

სედრიკი ზედმეტია, ალბუსი კი...

ალბუსსაც სწვდება და თავისკენ იზიდავს.

... უნახავი შვილი, რომელიც დროის გადანერით მამას მოკლავს და ბნელ ბატონს დააბრუნებს.

დროის მდევარი ბზრიალს იწყებს. დელფი ბიჭებს ძალით აკიდებინებს ხელებს დროის მდევარზე.

წავიდა!

გაიელვებს დამაბრმავებელი სინათლე. მას გამაყრუებელი გრგვინვა მოჰყვება.

და დრო ჩერდება. შემდეგ გადატრიალდება, წამით თითქოს ფიქრობსო, შეყოვნდება და უკუსვლას იწყებს, ჯერ ნელა...

და შემდეგ სწრაფდება.

ბოლოს თითქოს შესრუტვის ხმა გაისმის... და ბრავვანი.



## მოქმედა 3 სცენა მეოცე

სამი ჯადოქრის ტურნირი, ლაბირინთი, 1995 წ.

ლაბირინთი მიხვეულ-მოხვეული ცოცხალი ღობეა, რომელიც მუდმივად მოძრაობს და ფორმას იცვლის. დელფი მასში მტკიცე ნაბიჯით შედის და ალბუსსა და სკორპიუსსაც ექაჩება. ხელებშეკრული ბიჭები ფეხათრევით მიჰყვებიან.

ლუდო გეგმანი: ქალბატონებო და ბატონებო, ბიჭებო და გოგონებო, წარმოგიდგენთ დიდებულ და სანახაობრივ... ერთადერთ და განუმეორებელ... სამი ჯადოქრის ტურნირს!

მაყურებლების ხმამალალი ყიჟინა. დელფი მარცხნივ უხვევს.

აბა, ჰოგვორტსელებო, თქვენი ხმა გამაგონეთ!

პასუხად ყურისნამლები ღრიანცელი.

აბა, დურმსტრანგელებო, თქვენი ჯერია!!!

ისევ გამაყრუებელი ღრიანცელი.

ახლა კი გოგატონელეგს მოვუსმინოთ!!!

ომახიანი ყიჟინა.

დელფი და ბიჭები იძულებულები არიან, სწრაფად გადაადგილდნენ, რადგან ლაბირინთი იცვლება, კედლები ერთმანეთს ერწყმის.

როგორც იქნა, ფრანგებმა დაგვანახეს, რა შეუძლიათ. ქალბატონებო და ბატონებო, წარმოგიდგენთ... სამი ჯადოქრის ტურნირის ბოლო დავალებას. საიდუმლოებებითა და ხიფა-

თით ალსავსე ბნელ ლაბირინთს, რომელიც ცოცხალია. დიახ, ცოცხალი!

*სცენას ვიქტორ კრამი გადაკვეთს. ლაბირინთში გზას მიიკვლევს.*

და რატომ უნდა მოუნდეს ჭკუათმყოფელ ადამიანს ამ კოშმარში საკუთარი ნებით შესვლა? იმიტომ რომ ლაბირინთი თასს მალავს... და ჩვეულებრივ თასს კი არა... დიახ... ლაბირინთის შუაგულში სამი ჯადოქრის ტურნირის მთავარი ჯილდო იმალება.

**დელფი:** სად არის? სადაა სედრიკი?

*მოდრავი ლობე ალბუსსა და სკორპიუსს ლამის შუაზე გლეჯს.*

**სკორპიუსი:** ლაბირინთიც ჩვენს მოკვლას ცდილობს? ვერაფერს იტყვი, ბედი უფრო და უფრო გვიღიმის.

**დელფი:** ჩამომრჩებით და თავს დააბრალეთ, რაც მოგივათ.

**ლუდო ბეგმანი:** განსაცდელი დიდია, მაგრამ ჯილდოც სახარბიელო. მაშ, ვინ იბრძოლებს სისხლის ბოლო წვეთამდე? ვისთვის აღმოჩნდება ეს ტური საბედისწერო? ვინ არის ჩემპიონებს შორის ნამდვილი ჩემპიონი? ამას დრო გვიჩვენებს, ქალბატონებო და ბატონებო, ამას დრო გვიჩვენებს...

*ლაბირინთის სიღრმისკენ მიიწევენ, სკორპიუსსა და ალბუსს დელფი მიუძღვის. ბიჭები ოდნავ ჩამორჩებიან, რომ ერთმანეთთან დალაპარაკების საშუალება მიეცეთ.*

**სკორპიუსი:** ალბუს, რამე უნდა ვილონოთ.

**ალბუსი:** ვიცი, მაგრამ რა? ჯოხები გადაგვიმტვრია, გაკოჭილები ვართ და შენი მოკვლით იმუქრება.

**სკორპიუსი:** მე მზად ვარ მოვკვდე, თუ ეს ვოლდემორის დაბრუნებას ხელს შეუშლის.

**ალბუსი:** დარწმუნებული ხარ?

**სკორპიუსი:** დიდხანს გლოვა არ მოგიწევს. მე რომ მომკლავს, შენც მალე მიგაყოლებს.

**ალბუსი (სასონარკვეთილი):** დროის მდევრის ხარვეზი – ხუთი წუთის წესი. ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ დრო გავიყვანოთ.

**სკორპიუსი:** არაფერი გამოგივა.

კიდევ ერთი ღობე იცვლის მიმართულებას, დელფი ალბუსსა და სკორპიუსს თავისკენ ეწევა. უიმედობის ლაბირინთში გზას აგრძელებენ.

**ლუდო გეგმანი:** მოდით, შეგახსენებთ სატურნირო ცხრილს. ქულე-ბით ჯერჯერობით პირველ ადგილს მისტერ სედრიკ დიგორი და მისტერ ჰარი პოტერი იყოფენ. მეორე ადგილზეა მისტერ ვიქტორ კრამი და მესამე ადგილზე მის ფლერ დელაკური!

მოულოდნელად, ცოცხალი ღობის უკნიდან ალბუსი და სკორპიუსი გამოჩნდებიან. კისრისტეხით მორბიან.

**ალბუსი:** საით წავიდა?

**სკორპიუსი:** რა მნიშვნელობა აქვს? როგორ ფიქრობ, რომელ ბილიკს უნდა გავუყვეთ?

ამ დროს გამოჩნდება დელფი, რომელიც მათ მოსდევს. ჰაერში ანეული, ცოცხის გარეშე, ფრენით მოჰყვება.

**დელფი:** თქვე საცოდავებო!

ბიჭებს მინაზე დასცემს.

გეგონათ, გამექცეოდით?!

**ალბუსი (გაოცებული):** შენ ხომ... ცოცხიც კი არ გაქვს.

**დელფი:** ჰმ, ცოცხები... მოუქნელი, უსარგებლო ნივთები. სამი წუთი უკვე გავიდა. ორი წუთიღა დაგვრჩა და ახლა ჩემს სიტყვას აღარ გადახვალთ. გასაგებია?

**სკორპიუსი:** არა, არ არის გასაგები!

**დელფი:** გგონია, ჩემთან ბრძოლა შეგიძლია?

**სკორპიუსი:** ბრძოლა არა, მაგრამ წინააღმდეგობის განევა – კი! თუ სიცოცხლეზე ხელს ავიღებთ.

**დელფი:** წინასწარმეტყველება უნდა აღსრულდეს! და ჩვენ მას შევასრულებთ!

**სკორპიუსი:** წინასწარმეტყველება შეიძლება აუხდენელი დარჩეს.

**დელფი:** ცდები, ბავშვო, წინასწარმეტყველება მომავალია.

**სკორპიუსი:** თუ წინასწარმეტყველება ასეთი გარდაუვალია, რატომ ვცდილობთ მასზე გავლენის მოხდენას? ერთს ამბობ

და მეორეს აკეთებ! ამ ლაბირინთში სინამდვილეში იმიტომ მიგვათრევ, რომ გგონია, წინასწარმეტყველების ახდენას შენი ჩარევა სჭირდება... მაშინ, ამავე ლოგიკით, წინასწარმეტყველება შეიძლება სულაც არ შესრულდეს... ან მის შესრულებას ხელი შეეშალოს.

**დეღფი:** ბევრს ნუ ლაპარაკობ. კრუციო!

სკორპიუსი ტკივილისგან იგრიხება.

**ალბუსი:** სკორპიუს!

**სკორპიუსი:** ალბუს, შენ გამოცდა გინდოდა. ესეც შენი გამოცდა, და იცოდე, უნდა ჩავაბაროთ.

ალბუსი სკორპიუსს გადახედავს და ბოლოს და ბოლოს ხვდება, როგორ უნდა მოიქცეს. თავს უკრავს.

**დეღფი:** იცოდეთ, ორივეს დაგხოცავთ!

**ალბუსი (გამბედაობას იკრებს):** კარგი. დაგხოცე. შენ თუ შეგაჩერებთ, სიხარულით მოგკვდებით.

გამძვინვარებული დეღფი ჰაერში აიჭრება.

**დეღფი:** ამის დრო არ გვაქვს. კრუ...

**უცნობი ხმა:** ექსპელიარმუს!

ბრახ! დეღფის ჯოხი ხელიდან უვარდება. სკორპიუსი გაოგნებული აცეცებს თვალებს.

ბრაქიაბინდო!

და დეღფი გაკოჭილია. სკორპიუსი და ალბუსი ერთდროულად ბრუნდებიან ქუსლებზე და პირდაღებულები იყურებიან იქით, საიდანაც შელოცვა ტყორცნეს. შორიახლოს ახალგაზრდა, სიმპათიური ჩვიდმეტიოდე წლის ბიჭი დგას. სედრიკი!

**სედრიკი:** არ მომიახლოვდეთ.

**სკორპიუსი:** კი მაგრამ, შენ ვინ ხარ?

**სედრიკი:** სედრიკ დიგორი. კივილი გავიგონე და გამოვიქეცი. დამენახეთ, მხეცებო. შემებრძოლეთ!

ალბუსი გაოცებისგან თვალებს აჭყეტს.



ალბუსი: სედრიკი?!

სკორპიუსი: შენ გადაგვარჩინე...

სედრიკი: თქვენც დავალების ნაწილი ხართ? დაბრკოლება ხართ?  
თქვით. თქვენც უნდა დაგამარცხოთ?

სიჩუმე.

სკორპიუსი: არა. მხოლოდ და მხოლოდ უნდა გაგვათავისუფლო.  
ესაა დავალება.

სედრიკი ფიქრობს, ცდილობს გამოიცნოს, მახეში ხომ არ იტყუებენ  
და შემდეგ ჯადოსნურ ჯოხს გაიქნევს.

სედრიკი: ემანსიპარე! ემანსიპარე!

ბიჭებს ბანრები ეხსნებათ.

ახლა შემიძლია წავიდე? ლაბირინთი ბოლომდე გავიარო?

ბიჭები გულდათუთქულები შესცქერიან სედრიკს.

ალბუსი: სამწუხაროდ, ლაბირინთი ბოლომდე უნდა გაიარო.

სედრიკი: გასაგებია...

სედრიკი თავდაჯერებით შორდება მათ. ალბუსი გასცქერის, უნდა,  
რალაცა უთხრას, მაგრამ არ იცის, რა.

ალბუსი: სედრიკ...

სედრიკი მოტრიალდება.

მამაშენს ძალიან უყვარხარ.

სედრიკი: რა ბრძანეთ?

მათ უკან დელფის სხეული ამოძრავდება, მინაზე მიფოფხავს.

ალბუსი: ვიფიქრე, რომ უნდა გცოდნოდა.

სედრიკი: კეთილი. გმადლობთ.

სედრიკი ალბუსს წამითაც აცქერდება და შემდეგ გზას აგრძელებს.  
დელფი მანტიიდან დროის მდედვარს იღებს.

სკორპიუსი: ალბუს.

ალბუსი: არა. მოიცა...

**სკორპიუსი:** დროის მდევარი ბრუნავს... ნახე, რას აკეთებს... აქ დატოვებას გვიპირებს.

ალბუსი და სკორპიუსი დელფის მისცვივდებიან დროის მდევრის წასართმევად.

გაიელვებს დამაბრმავებელი სინათლე. მას გამაყრუებელი გრგვინვა მოჰყვება.

და დრო ჩერდება. შემდეგ გადატრიალდება, წამით თითქოს ფიქრობსო, შეყოვნდება და უკუსვლას იწყებს, ჯერ ნელა...

შემდეგ ჩქარდება.

ალბუს...

**ალბუსი:** ეს რა ჩავიდინეთ!

**სკორპიუსი:** სხვა გზა არ გვექონდა! დროის მდევარს უნდა გავყოლოდით. უნდა შეგვეჩერებინა.

**დედო:** შეგეჩერებინეთ? და გგონიათ, შემაჩერეთ? მეყო! საკმარისია. შეიძლება ბნელი ძალების დასაბრუნებლად სედრიკის გამოყენების ყველა შანსი მომისპეთ, მაგრამ იქნებ მართალი ხარ, სკორპიუს... იქნებ მართლა შეიძლება წინასწარმეტყველების ახდენისთვის ხელის შეშლა. ყელში ამომიხვედით, უსარგებლო ღლაპებო. ერთ ძვირფას წამსაც აღარ დაგახარჯავთ. დროა, რამე ახალი მოვსინჯო.

დროის მდევარს ძირს ანარცხებს. მდევარი იმსხვრევა და ირგვლივ წვრილ ნატეხებად იფანტება.

კვლავ ჰაერში აჭრილი დელფი სიცილ-ხარხარით მიფრინავს.

ბიჭები ცდილობენ დაიჭირონ, თუმცა ამაოდ. აშკარაა, რომ ვერაფერს გახდებიან. ის მიფრინავს, ესენი მირბიან.

**ალბუსი:** არა... არა... არ გავუშვათ...

სკორპიუსი ბრუნდება და დროის მდევრის ნამსხვრევების წამოკრეფას ცდილობს.

სულ განადგურდა?

სკორაპიუსი: აღარაფერი ეშველება. აქ გავიჭედეთ. არ ვიცი, რომელ  
დროში... ან რა აქვს ჩაფიქრებული.

ალბუსი: ჰოგვორტსი ისევ ისეთი ჩანს.

სკორაპიუსი: ჰო. აქ არ უნდა დაგვინახონ. წავიდეთ, სანამ ვინმეს  
შევუმჩნევივართ.

ალბუსი: როგორმე უნდა შევაჩეროთ, სკორაპიუს.

სკორაპიუსი: ვიცი. მაგრამ როგორ?





## მოქმედება 3 სცენა ოცდამეერთე

ნინო ოსვალდის სახელობის მოხუცებულ  
ჯადოქართა თავმჯდომარე, დელზის ოთახი

ჰარი, ჰერმიონი, რონი, დრაკო და ჯინი მუხის პანელებით განყობილ  
სადა ოთახს ათვალიერებენ.

ჰარი: ალბათ, კონფუნდუსის შელოცვა გამოიყენა ამოსზეც და  
ყველა დანარჩენზეც. მედღად და მის ძმისშვილად გაასალა  
თავი.

ჰერმიონი: ახლა გადავამოწმე სამინისტროსთან, მასზე არანაირ  
ინფორმაციას არ ვფლობთ. ფაქტობრივად, აჩრდილია.

დრაკო: სპეციალის რეველიო!

ყველა დრაკოს შეხედავს.

ყოველი შემთხვევისთვის ვცადე. რაღას უცდით? მასზე არა-  
ფერი ვიცით, იქნებ ამ ოთახში მაინც ვიპოვოთ რამე.

ჯინი: აქ სად რა უნდა დაემალა. ნახეთ, რა სადა ოთახია.

რონი: ეს პანელები ვნახოთ. შეიძლება პანელები მალავდეს რამეს.

დრაკო: ან სანოლი.

დრაკო სანოლის ჩხრეკას იწყებს, ჯინი მაგიდაზე ლამპას უკირკი-  
ტებს, დანარჩენები კედლებზე ხის პანელებს ათვალიერებენ.

რონი (ყვირილით აბრახუნებს კედლებზე): რას გვიმალავ? რა გაქვს  
მანდ?

ჰერმიონი: იქნებ ერთი ნუთით შევისვენოთ და იმაზე დავფიქრდეთ,  
რა...

ჯინი ნავთის ლამპას შუშას ხსნის. ლამპიდან ჯერ ამოსუნთქვის ხმა ისმის და შემდეგ სისინი. ყველა მისკენ ბრუნდება.

ეს რა იყო?

ჰარი: წესით, ვერ უნდა ვარჩევდე, მაგრამ ეს პარსული ენაა.

ჰერმიონი: და რას ამბობს?

ჰარი: მე რა ვიცი... ვოლდემორის სიკვდილის მერე პარსულად ხომ ველარ ვლაპარაკობ.

ჰერმიონი: მისი სიკვდილის მერე არც ნაიარევი გტკივია.

ჰარი ჰერმიონს თვალს უსწორებს.

ჰარი: ამბობს: „მოგესალმები, ავგური“. მე მგონი, უნდა ვუბრძანო, გაიხსნას.

დრაკო: მერე რაღას უცდი.

ჰარი თვალებს ხუჭავს და პარსულ ენაზე იწყებს ლაპარაკს.

მათ გარშემო ოთახი გარდაიქმნება. უფრო ბნელი და უიმედო ხდება. კედლებზე დაკლაკნილი გველები ისახება.

და მათზე – მანათობელი საღებავით დანერილი წინასწარმეტყველება.

ეს რაღაა?

რონი: „როცა ზედმეტები გადარჩებიან, როცა დრო გადატრიალდება, როცა უნახავი შვილები დახოცავენ თავიანთ მამებს, მაშინ დაბრუნდება ბნელი ბატონი...“

ჯინი: წინასწარმეტყველება. ახალი წინასწარმეტყველება.

ჰერმიონი: სედრიკი... „ზედმეტი“ სედრიკს უწოდეს.

რონი: როცა დრო გადატრიალდება... დროის მღევარი მას აქვს, არა?

ყველანი იჭუფრებიან.

ჰერმიონი: მას უნდა ჰქონდეს.

რონი: კი მაგრამ, სკორპიუსი ან ალბუსი რაში სჭირდება?

ჰარი: იმიტომ რომ, მე ვარ ის მშობელი, რომელიც შვილს ვერ ხედავს, თავისი შვილისა არ ესმის.

დრაკო: ვინაა ეს ქალი? რატომაა ბნელი ბატონით ასე შეპყრობილი?

**ჯინი:** მგონი, მე ვიცი.

ყველა მისკენ ტრიალდება. ჯინი ზემოთ მიუთითებს... კიდევ უფრო ილუშებიან და თვალები შიშით ევსებათ.

მაყურებელთა დარბაზის ყველა კედელზე სიტყვები გამოისახება – საშიში, შემზარავი სიტყვები.

**„მე ავალორძინებ ბნელ ძალას. მე დავაბრუნებ მამას.“**

**რონი:** არა, არა...

**პერმონი:** ეს რანაირად შეიძლებოდა მომხდარიყო?

**დრაკო:** ვოლდემორს შვილი ჰყავდა?

შეძრწუნებულები იყურებიან მაღლა. ჯინი ჰარის ხელს ჩაჰკიდებს.

**ჰარი:** არა, არა, არა. ოღონდ ეს არა...

სცენა ბნელდება.

---

**შესვენება**





მეორე ნაწილი  
**მოქმედება 4**







## მოქმედა 4 სცენა პირველი

### მაგიის სამინისტროს სათათბირო დარბაზი

სათათბირო დარბაზი ჯადოქრებითაა სავსე. ჰერმიონი სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე გამოდის. ხელის აწევით ითხოვს სიჩუმეს. მაშინვე სიმშვიდე ისადგურებს. დამსწრეთა მორჩილება ჰერმიონს აოცებს. იქაურობას თვალს ავლებს.

**ჰერმიონი:** გმადლობთ. მიხარია, რომ ასე ბევრმა შეძელით ჩემს...

მეორე... რიგგარეშე საერთო კრებაზე მოსვლა. გთხოვთ, ჯერ სიტყვით გამოსვლის საშუალება მომცეთ და კითხვები მერე დამისვით... კითხვა კი, ვიცი, ბევრი გექნებათ...

როგორც ბევრმა თქვენგანმა იცის, ჰოგვორტსში ჯადოქრის ცხედარი აღმოვაჩინეთ. გარდაცვლილ ჯადოქარს კრეგ ბოუკერი ერქვა. კარგი ბიჭი იყო. დანაშაულის ჩამდენის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ მოგვეპოვება, მაგრამ გუშინ წმინდა ოსვალდის სახელობის თავშესაფარი გავჩხრიკეთ და ერთ-ერთ ოთახში ორი რამ აღმოვაჩინეთ: ერთი – წინასწარმეტყველება, რომელიც ბნელი ძალების დაბრუნებას მოასწავებდა და მეორე – ჭერზე წარწერა იმის თაობაზე, რომ ბნელ ბატონს... რომ ვოლდემორს შვილი ჰყავდა.

ახალი ამბავი ექოსავით გადაურბენს დარბაზში მყოფებს.

ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ გაგვაჩნია. ჯერ გამოძიება მიმდინარეობს. დავკითხავთ მათ, ვისაც სიკვდილის მხვრელებთან რამე კავშირი აქვთ... ჯერჯერობით მისი შვილის ან წინასწარმეტყველების შესახებ ვერავითარი ოფი-

ციალური ჩანანერი ვერ მოვიძიეთ, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, სიმართლეს შეესაბამებოდეს. გოგონა ჯადოქრული სამყაროსგან მალულად იზრდებოდა და ახლა ის... ახლა...

**პროფესორი მაკგონაბაი:** გოგონა? ქალიშვილი ჰყავდა?

**ჰერმიონი:** დიახ. ქალიშვილი.

**პროფესორი მაკგონაბაი:** და ახლა დაკავებულია?

**ჰარი:** პროფესორო, ხომ ითხოვა, კითხვები ბოლოს დამისვითო.

**ჰერმიონი:** არა უშავს, ჰარი. არა, პროფესორო. საქმეც ისაა, რომ სამწუხაროდ, მისი დაკავება არ შეგვიძლია. ვერც მის შეჩერებას შევძლებთ. მასზე უბრალოდ ხელი არ მიგვიწვდება.

**პროფესორი მაკგონაბაი:** ეს როგორ... ვერ მოვძებნით?

**ჰერმიონი:** საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ... ის წარსულში გადაიკარგა.

**პროფესორი მაკგონაბაი:** ვერა და ვერ ვიჯერებ, რომ იმდენად გაუფრთხილებელი ხართ, დროის მღევარს დღემდე ინახავდით.

**ჰერმიონი:** პროფესორო, გარნმუნებთ...

**პროფესორი მაკგონაბაი:** გრცხვენოდეთ, ჰერმიონ გრეინჯერ!

*ჰერმიონი პროფესორის საყვედურზე კრთება.*

**ჰარი:** ჰერმიონი ამას არ იმსახურებს. თქვენ გაქვთ გაბრაზების უფლება. ყველას აქვს. მაგრამ ეს მხოლოდ ჰერმიონის ბრალი არ არის. არ ვიცით, იმ ალქაჯმა როგორ ჩაიგდო ხელში დროის მღევარი. შეიძლება სულაც ჩემმა შვილმა მისცა.

**ჯინი:** ჩვენმა შვილმა... ან ჩვენს შვილს მოჰპარა.

*ჯინი ტრიბუნაზე ადის და ჰარის გვერდით დგება.*

**პროფესორი მაკგონაბაი:** თქვენი სოლიდარობა ალტაცების ღირსია, მაგრამ დაუდევრობაზე თვალს ვერ დავხუჭავთ.

**დრაკო:** მაშინ ამ დაუდევრობაზე მეც ვარ პასუხისმგებელი.

*დრაკოც ტრიბუნაზე ადის და ჯინის გვერდით დგება. დრამატული მომენტია. დარბაზში გაოცების შეძახილები გაისმის.*

ჰერმიონსა და ჰარის არაფერი დაუშავებიათ. მხოლოდ ჩვენს

დაცვას ცდილობდნენ. თუ ისინი დამნაშავეები არიან, მაშინ მეც ვარ დამნაშავე.

*პერმიონი მხარდამჭერებს გულაჩუყებული გადახედავს. მათ რონიც უერთდება სცენაზე.*

**რონი:** ერთს დავაზუსტებ... მე საქმის კურსში არ ვიყავი, ამიტომ პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ, და დარწმუნებული ვარ, ჩემი შვილების ხელიც არ ურევია ამ ამბავში... მაგრამ თუ ეს ადამიანები აქ დგანან, მაშინ მეც მათ გვერდით ვარ.

**ჯინი:** არავინ იცის, სად არიან... არც ის, ერთად არიან თუ არა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი შვილები ყველაფერს გააკეთებენ მის შესაჩერებლად...

**პერმიონი:** ფარ-ხმალი არ დაგვიყრია. მივმართეთ გოლიათებს, ტროლებს, ყველას, ვინც კი ვიპოვეთ. აურორები ყველგან დაფრინავენ, ეძებენ, ესაუბრებიან მათ, ვინც საიდუმლოებები იცის, და უთვალთვალევენ მათ, ვინც საიდუმლოებებს არ გვიმხელს...

**პარი:** მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ: სადღაც წარსულში ჯადოქარი ცდილობს, თავიდან გადაწეროს ყველაფერი, რაც აქამდე ვიცოდით... და ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია, ლოდინია. ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ ნუთს, როდესაც ის ან წარმატებას მიაღწევს ან ხელი მოეცარება.

**პროფესორი მაკგონაგელი:** და თუ ყველაფერი გამოუვა?

**პარი:** მაშინ... ამ დარბაზში მყოფთა უმრავლესობა უბრალოდ აღარ იარსებებს. არც ჩვენ ვიარსებებთ და სამყარო ვოლდემორს დარჩება.



## მოქმედა 4 სცენა მეორე

შოტლანდიის მთიანეთი, რკინიგზის სადგური  
ავიგორში, 1981 წ.

ალბუსი და სკორპიუსი შეშფოთებით შესცქერიან სადგურის უფროსს.

ალბუსი: ხომ არ გამოველაპარაკოთ?

სკორპიუსი: და რა ვუთხრათ? გამარჯობა, ბატონო სადგურის უფროსო... ბატონო მაგლო. კითხვა გვაქვს: აქ შემთხვევით ჯადოქარს ხომ არ ჩამოუფრენია? და, ბარემ ისიც გვითხარით, ახლა რომელი წელია. ჩვენ ჰოგვორტსიდან ვართ გამოქცეულები, რადგან კინალამ სამყარო თავდაყირა დავაყენეთ...

ალბუსი: იცი, ყველაზე მეტად რა მანუხებს? მამა იფიქრებს, რომ ეს განზრახ ჩავიდინეთ.

სკორპიუსი: ალბუს... რას მეუბნები. გაგიჟდი? ჩვენ გამომწყვდეულები... დაკარგულები ვართ დროში. ალბათ სამუდამოდ, და შენ იმაზე ნერვიულობ, მამაშენი რას იფიქრებს? თქვენი ვერაფერი გამიგია.

ალბუსი: გეთანხმები. ადვილი გასაგები არ არის. მამაჩემი რთული ტიპია.

სკორპიუსი: და შენ არა? არ მინდა, გოგონებში შენი გემოვნება გავაკრიტიკო, მაგრამ ხომ გახსოვს, ვინ მოგწონდა...

ორივემ იცის, ვის გულისხმობს.

ალბუსი: მართალი ხარ. მომწონდა... ეს რა გაუკეთა კრეგს...

**სკორპიუსი:** მოდი, ამაზე არ ვიფიქროთ. იმაზე ვიფიქროთ, რომ არც ჯადოსნური ჯობები გვაქვს, არც ცოცხები და არც ჩვენს დროში დაბრუნების საშუალება. მხოლოდ ჩვენი ჭკუისა და... ჰო, მარტო ჩვენი ჭკუის ამარა ვართ დარჩენილები. და როგორმე დელფი უნდა შევაჩეროთ.

**სადგურის უფროსი (მკვეთრი შოტლანდიური აქცენტით):** რაო, ბიჭებო, აგვიანებს თქვენი მატარებელი?

**სკორპიუსი:** რა ბრძანეთ?

**სადგურის უფროსი:** თუ ძველ ორთქლმავალს ელოდებით, იცოდეთ, აგვიანებს. ორთქლმავალი იმ ხაზზე დადის. შეცვლილი განრიგი ნახეთ.

*ბიჭების გაოცებული სახეების დანახვაზე კოპებს იკრავს, შეცვლილ განრიგს გადასცემს მათ და მარჯვენა სვეტზე მიუთითებს.*

*გვიანია.*

*ალბუსი მატარებლის მიმოსვლის განრიგს იღებს და ათვალთვრებს. ინფორმაციის გაცნობის კვალდაკვალ სახე ეცვლება. სკორპიუსი ისევ სადგურის უფროსს მიშტერება.*

**ალბუსი:** მიხვდით, სადაცაა.

**სკორპიუსი:** როგორ მიხვდით?

**ალბუსი:** განრიგზე თარიღს შეხედე.

*სკორპიუსი განრიგზე იხრება და კითხულობს.*

**სკორპიუსი:** 1981 წლის 30 ოქტომბერი. ჰელოუინის დღე. ოცდაცხრამეტი წლის წინ. მაგრამ... რატომ... ააჰ!!!

*სკორპიუსიც ხვდება და სახე ექუფრება.*

**ალბუსი:** მამაჩემის მშობლების დალუპვა. მამაჩემზე თავდასხმა... ის წამი, როცა ვოლდემორს თავისივე წყევლა მიუბრუნდა. დელფი აღარ ცდილობს თავისი წინასწარმეტყველების ასრულებას, მისი მიზანია, არ დაუშვას უფრო დიდი წინასწარმეტყველების ასრულება.

**სკორპიუსი:** დიდი წინასწარმეტყველება?

**ალბუსი:** „მოვა ის, ვისაც ეყოფა ძლევამოსილება, დაამარცხოს

ბნელი ბატონი...”

*სკორპიუსი ც ჰყვება.*

**სკორპიუსი და ალბუსი (ერთხმად):** „შობილი მათგან, ვინც სამჯერ გამოიწვია იგი, შობილი მეშვიდე თვის მიწურულს...”

*სკორპიუსი ყოველი სიტყვის მერე უფრო და უფრო იბღვირება.*

**სკორპიუსი:** ჩემი ბრალია. მე ჩავანვეთე, რომ წინასწარმეტყველებისთვის ხელის შეშლა შეიძლება... მე ვუთხარი, რომ წინასწარმეტყველების ლოგიკა საეჭვოა...

**ალბუსი:** ღცდაოთხ საათში ვოლდემორი პატარა ჰარი პოტერის მოკვლისას თავს დაიწყევლის. დელფი ცდილობს, ამ წყევლას ხელი შეუშალოს. ის ჰარის თავად უპირებს მოკვლას. სასწრაფოდ გოდრიკ ჰოლოუში უნდა წავიდეთ.





## მოქმედება 4 სცენა მესამე

გოდრიკ ჰოლოუ, 1981 წ.

ალბუსი და სკორპიუსი გოდრიკ ჰოლოუს ცენტრალურ ქუჩაზე მიაბიჯებენ. პატარა ლამაზ სოფელში სიცოცხლე ჩქეფს.

სკორპიუსი: თავდასხმის აშკარა კვალი თითქოს არ ჩანს....

ალბუსი: ეს არის გოდრიკ ჰოლოუ?

სკორპიუსი: მამაშენს აქ არასდროს მოუყვანიხარ?

ალბუსი: არა, რამდენჯერმე სცადა, მაგრამ უარი ვუთხარი.

სკორპიუსი: ახლა ექსკურსიის დრო არ გვაქვს, სამყარო მანიაკი ალქაჯისგან უნდა ვიხსნათ, მაგრამ შეხედე, წმინდა იერონიმეს სახელობის ეკლესია...

ხელით ანიშნებს თუ არა, ეკლესიაც გამოჩნდება.

ალბუსი: რა ლამაზია!

სკორპიუსი: და წმინდა იერონიმეს სახელობის სასაფლაოც ლამაზადაა მოჩვენებებით სავსე (მეორე მხარეს იშვერს ხელს). იქ აღმართავენ მამაშენისა და მისი მშობლების ძეგლს...

ალბუსი: მამაჩემს ძეგლი აქვს?

სკორპიუსი: ჯერ არა, მაგრამ ექნება. იმედია. და ეს... ეს ის სახლია, სადაც ბათილდა ბეგმთი ცხოვრობდა... ცხოვრობს.

ალბუსი: ბათილდა ბეგმთი? „მაგიის ისტორიის“ ავტორი?

სკორპიუსი: კი, ეგ. ოპ, ღმერთო, აი, თვითონაც გამოჩნდა. ვაააა. რატომღაც ავლელდი, რომ დავინახე. მართლა წიგნის ჭია ვარ.

ალბუსი: სკორპიუს!

სკორპიუსი: ეს კი...



ალბუსი: ჯეიმს, ლილი და ჰარი პოტერების სახლი...

სახლიდან ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის წყვილი გამოდის საბავშვო ეტლით. ალბუსი მათკენ გაიწევეს, მაგრამ სკორპიუსი აჩერებს.

სკორპიუსი: ალბუს, არ უნდა დაენახო. შეიძლება დრო ისევ აირიოს. გახსოვდეს, ამჯერად ჭკუით უნდა ვიყოთ.

ალბუსი: მაგრამ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ არ... მოვასწარი... დელფის ჯერ არ...

სკორპიუსი: ახლა რა ვქნათ? ბრძოლისთვის მოვემზადოთ? დელფი საკმაოდ... ღონიერია.

ალბუსი: ჰო. გეგმა უნდა შევიმუშაოთ. რა ვქნათ? რამე უნდა მოვიფიქროთ. მამაჩემი უნდა დავიცვათ.





## გოქმედეზა 4 სცენა მეოთხე

### გაბიის სამინისტრო, ჰარის კაბინეტი

ჰარი სწრაფად იქექება საბუთებში.

დამბლდორი: სალამო მშვიდობისა, ჰარი.

პაუზა. ჰარი დამბლდორის პორტრეტს გულგრილად ახედავს.

ჰარი: პროფესორი დამბლდორი ჩემს კაბინეტში. დიდი პატივია. ალბათ ამ სალამოს სხვა პორტრეტებში მონყენილობაა, თორემ არ მიკადრებდით.

დამბლდორი: რას აკეთებ?

ჰარი: საბუთებს ვათვალიერებ. მინდა დავრწმუნდე, რომ არაფერი გამომეპარა. ვცდილობ ძალების მობილიზებას, რომ რამენაირად მაინც ვიბრძოლოთ. არადა, ბრძოლა სადღაც ჩვენგან შორს მძვინვარებს, მაგრამ მეტი რა შემიძლია?

პაუზა. დამბლდორი არაფერს ამბობს.

სად იყავით აქამდე, დამბლდორ?

დამბლდორი: ახლა ხომ აქ ვარ.

ჰარი: აქ ხართ, როცა ბრძოლა უკვე წაგებულია. თუ უარყოფთ იმას, რომ ვოლდემორი დაბრუნებას აპირებს?

დამბლდორი: ეს... შესაძლებელია.

ჰარი: წადით. დამტოვეთ. თქვენი აქ ყოფნა არ მინდა და არ მჭირდება. როცა თქვენი იმედი მქონდა, არსად ჩანდით. სამჯერ შევებრძოლე მას უთქვენოდ. თუ საჭიროა, ისევ დავუპირისპირდები... მარტო.

**დამბლდორი:** ჰარი, ნუთუ გგონია, რომ მასთან ბრძოლას თავს ვარი-  
დებდი? რომ შემძლებოდა, შენ აუცილებლად დაგზოგავდი...

**ჰარი:** „სიყვარული გვაბრმავებს“? იცით მაინც ეს რას ნიშნავს? თუ  
ხვდებით, რამდენად ცუდი რჩევა მომეცით? ჩემი შვილი...  
ჩემი ბიჭი ახლა ჩვენთვის იბრძვის ზუსტად ისე, როგორც მე  
ვიბრძოდი თქვენთვის. მე მას ისეთივე ცუდი მამობა გავუ-  
წიე, როგორიც თქვენ – მე. მივატოვე იქ, სადაც ვერასდროს  
იგრძნობდა სიყვარულს... მის გულში ისეთი ნყენა დავაგროვე,  
ნლები დასჭირდება იმის მისახვედრად, რომ...

**დამბლდორი:** თუ პრივიტ დრაივს გულისხმობ, მაშინ...

**ჰარი:** ნლები... ნლები გავატარე იქ მარტომ ისე, რომ არ ვიცოდი,  
ვინ ვარ, ან იქ რატომ ვარ. არ ვიცოდი, ვინმეს საერთოდ თუ  
ვანალვლებდი!

**დამბლდორი:** მე... შენთან დაახლოებას ვერიდებოდი.

**ჰარი:** მაშინაც კი საკუთარ თავზე ფიქრობდით....

**დამბლდორი:** არა. შენზე ვფიქრობდი. არ მინდოდა შენთვის ტკი-  
ვილის მოყენება...

*დამბლდორი ცდილობს, პორტრეტიდან გადმოიხაროს, მაგრამ არა-  
ფერი გამოსდის. ცდილობს, თვალზე მომდგარი ცრემლი დამალოს.*

მაგრამ ბოლოს მაინც მომიხდა შენთან შეხვედრა... თერთმეტი  
წლის იყავი და როგორი მამაცი, როგორი კარგი... ერთხელაც  
არ დაგიჩივლია, ისე შეუდექი შენ წინაშე დასახულ გზას. რა  
თქმა უნდა, მიყვარდი... და ვიცოდი, რომ იგივე განმეორებო-  
და... რომ მას, ვინც მიყვარს, გამოუსწორებელ ზიანს ვაყენებ.  
არ ვარ მე ის ადამიანი, ვისაც უნდა უყვარდეს... არასდროს  
მყვარებია ისე, რომ ტკივილი არ მიმეყენებინა.

*პაუზა.*

**ჰარი:** უფრო ნაკლებ ტკივილს მომაყენებდით, ეს ყველაფერი ადრე-  
ვე რომ გეთქვათ ჩემთვის.

**დამბლდორი** (*ალარ ცდილობს ცრემლების დამალვას*): დაბრმავებული  
ვიყავი. აი, რა დღეში გვაგდება სიყვარული. ვერ ვხვდებოდი,  
რომ სწორედ იმის მოსმენა გჭირდებოდა, რომ ამ გულდახ-  
შულ, ცბიერ, საშიშ ბერიკაცს... უყვარდი.

*პაუზა. ორივეს მონოლილი ემოცია ახრჩობს.*

**ჰარი:** დაჩივლებით როგორ არ დამიჩივლია.

**დამბლდორი:** ჰარი, ამ ქაოსურ, ვნებათაღელვით სავსე სამყაროში სრულყოფილი პასუხი არ მოიძებნება. სრულყოფილებაზე კაცობრიობას, მაგიას ხელი არ მიუწვდება. ბედნიერების ყოველ ბრწყინვალე წუთს ახლავს ერთი წვეთი შხამი – იმის ცოდნა, რომ ტკივილი კვლავ დაბრუნდება. იყავი გულწრფელი მათ მიმართ, ვინც გიყვარს, დაანახე მათ შენი ტკივილი. ტანჯვა ისეთივე ადამიანური რამაა, როგორიც სუნთქვა.

**ჰარი:** ეს ჩემთვის ადრეც გითქვამთ.

**დამბლდორი:** დღეს მეტი ვერაფრით დაგეხმარები.

*პორტრეტი გასვლას აპირებს.*

**ჰარი:** არ წახვიდეთ!

**დამბლდორი:** საყვარელი ადამიანები სინამდვილეში არასდროს გვეტოვებენ, ჰარი. არის ისეთი რამეები, რასაც სიკვდილი ვერ ერევა. საღებავი... მოგონება... სიყვარული...

**ჰარი:** მეც მიყვარდით, დამბლდორ.

**დამბლდორი:** ვიცი.

*გადის. ჰარი მარტო რჩება. შემოდის დრაკო.*

**დრაკო:** იცი, რომ სხვა რეალობაში... ანუ იმ რეალობაში, რომელიც სკორპიუსმა ნახა... ჯადოქრული ძალოვანი სტრუქტურების თავმჯდომარე მე ვიყავი? იქნებ ეს კაბინეტი მალე ჩემი გახდეს... მოხდა რამე?

*ჰარი დამწუხრებულია.*

**ჰარი:** შემოდი, შენს კაბინეტს დაგათვალიერებინებ.

*დრაკო ყოყმანით შემოდის კაბინეტში და აქეთ-იქით უკმაყოფილოდ იყურება.*

**დრაკო:** სამინისტროს ჩინოვნიკობა არასდროს მხიბლავდა. არც ბავშვობაში... მამაჩემი კი, ჩემგან განსხვავებით, მხოლოდ ამაზე ოცნებობდა.

**ჰარი:** აბა შენ რა გინდოდა, რომ გამოსულიყავი?

**დრაკო:** ქვიდიჩი მაინტერესებდა. მაგრამ კარგად არ გამომდიოდა. ძირითადად კი, ის მინდოდა, რომ ბედნიერი ვყოფილიყავი.

*ჰარი თავს უქნევს. დრაკო უფრო ყურადღებით აცქერდება.*

ბოდიში. საუბრით თავის შექცევა კარგად არ გამომდის, იქნებ პირდაპირ საქმეზე გადავსულიყავით?

**ჰარი:** რა თქმა უნდა. რა საქმე გაქვს?

*პაუზა.*

**დრაკო:** როგორ გგონია, თეოდორ ნოტს მხოლოდ ერთი დროის მდევარი ჰქონდა?

**ჰარი:** რა?

**დრაკო:** დროის მდევარი, რომელიც სამინისტრომ მას ჩამოართვა, პროტოტიპია. იაფფასიანი ლითონისგან დამზადებული. საქმეს, რა თქმა უნდა, აკეთებს... მაგრამ დროში მხოლოდ ხუთი წუთით გადაადგილება სერიოზული ხარვეზია... შავი მაგიის არტეფაქტების დამფასებელ კოლექციონერებს ამას ვერ მიყიდდი.

*ჰარი ხედება, რასაც გულისხმობს დრაკო.*

**ჰარი:** შენთვის მუშაობდა?

**დრაკო:** არა. მამაჩემისთვის. მას უყვარდა ისეთი რამეების შეგროვება, რაც სხვას არავის ექნებოდა. სამინისტროს დროის მდევრები... კროუკერის წყალობით... თავზე საყრელად ჰქონდა. მაგრამ წარსულში ერთი საათით გადანაცვლება არ აკმაყოფილებდა, უნდოდა მრავალი წლის წინ მოხვედრილიყო. დარწმუნებული ვარ, დროის მდევარი არასდროს გამოუყენებია. გულის სიღრმეში ეს სამყარო უვოლდემოროდ ერჩივნა. მაგრამ მისთვის დროის მდევარი ნამდვილად შეიქმნა.

**ჰარი:** და ამ ამბავს აქამდე ინახავდი?

*დრაკო დროის მდევარს აჩვენებს.*

**დრაკო:** ხუთწუთიანი ლიმიტის პრობლემა მოხსნილია. თანაც, ნახე:

ოქროსავით ბზინავს, ნამდვილად მალფოების საკადრისი ნივთია. რატომ გელიმება?

**პარი:** ჰერმიონ გრეინჯერმა სწორედ იმიტომ არ გაანადგურა პირველი, რომ ეჭვობდა, სადმე მეორეც იარსებებსო. ამის შენახვისთვის შეიძლება აზკაბანში მოხვედრილიყავი.

**დრაკო:** ან უფრო უარესი... წარმოიდგინე, ხალხს რომ გაეგო, რომ დროში მოგზაურობის უნარი მაქვს. რამდენი დაიჯერებდა, რომ ის ჭორი სიმართლეა.

**პარი დრაკოს გაგებით შეხედავს.**

**პარი:** სკორპიუსი.

**დრაკო:** შეგვეძლო შვილების გაჩენა, მაგრამ ასტორიას სუსტი ჯანმრთელობა ჰქონდა. სისხლის შეჩვენება, თანაც ძალიან სერიოზული. მისი წინაპარი დაწყევლეს და... მისგან მემკვიდრეობით ერგო. ხომ იცი, ასეთი რამეები თაობების მერე იჩენს ხოლმე თავს...

**პარი:** ძალიან სამწუხარო ამბავია, დრაკო.

**დრაკო:** მე არ მინდოდა მისი ჯანმრთელობის ხარჯზე გარისკვა. ვთქვი, სულერთია, თუ მალფოის გვარი ჩემთან ერთად მოკვდება-მეთქი... თუ როგორც ამბობდა მამაჩემი... მაგრამ ასტორიას ბავშვი მალფოის გვარის გასაგრძელებლად ან წმინდა სისხლის დასაცავად კი არა, ჩვენთვის უნდოდა. მერე ჩვენი შვილი, სკორპიუსი, დაიბადა... ეს ორივეს ცხოვრებაში უბედნიერესი დღე იყო, მიუხედავად იმისა, რომ მშობიარობამ ასტორია საგრძნობლად დაასუსტა. სამივენი გადავიხვეწეთ. მინდოდა მისი შერჩენილი ძალები დამეზოგა... და ასე აგორდა ჭორები...

**პარი:** წარმომიდგენია, რა საშინელება იქნებოდა.

**დრაკო:** ასტორიამ ყოველთვის იცოდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. არ უნდოდა, მისი გარდაცვალების მერე მარტო დავრჩენილიყავი, რადგან... იყო დრაკო მალფოი, ნიშნავს იყო ძალიან მარტო. ჩემზე ყოველთვის გავრცელდება ჭორები. წარსულს ვერსად გავექცევი. მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რომ ამ ჭორებით გატენილი, გამკიცხავი სამყაროსგან მისი გარი-

დებით კიდევ უფრო უარეს ქორებს ვუყრიდი საფუძველს, რომელთა ატანაც ამჯერად ჩემს შვილს მოუხდებოდა.

**ჰარი:** სიყვარული აბრმავეს. ჩვენ ორივე შევეცადეთ, ჩვენი შვილებისთვის მიგვეცა არა ის, რაც მათ, არამედ რაც ჩვენ გვჭირდებოდა. ისეთი გულმოდგინებით ვცდილობდით წარსულის გადაწერას, რომ აწმყო დაუზნებრივად მათ.

**დრაკო:** ამიტომ მოგიტანე ეს. დიდი ხანია, ვინახავ. ძლივს ვუძლებ მისით სარგებლობის ცდუნებას, მიუხედავად იმისა, რომ ასტორიასთან თუნდაც ერთი წუთის გასატარებლად სულს გავყიდდი.

**ჰარი:** ოჰ, დრაკო... არ შეიძლება... არ შეიძლება ამის გამოყენება.

*დრაკო ჰარის შეხედავს და პირველად, ამ უკიდურესი სასოწარკვეთის უამს, ერთმანეთს მეგობრებივით უსწორებენ თვალს.*

**დრაკო:** უნდა ვიპოვოთ... საუკუნეებიც რომ დაგვჭირდეს, ჩვენი ბიჭები უნდა ვიპოვოთ...

**ჰარი:** ჩვენ ხომ არ ვიცით მათი ადგილსამყოფელი დროსა და სივრცეში. დროში ძებნა, როცა წარმოდგენაც კი არ გაქვს, სად ეძებო, წყლის ნაყვია. არა, სამწუხაროდ, მარტო სიყვარული არ კმარა, და არც მარტო დროის მდევარი. ახლა ყველაფერი ჩვენს შვილებზეა დამოკიდებული. ჩვენი გადარჩენა მხოლოდ მათ შეუძლიათ.





## მოქმედა 4 სცენა მეხუთე

გოდრიკ ჰოლოუ, ჯეიმსი და ლილი ჰოტარაგის  
სახლთან, 1981 წ.

**ალბუსი:** ვუთხრათ ბებიაჩემს და პაპაჩემს?

**სკორპიუსი:** რა, რომ შვილის გაზრდას ვერ მოესწრებიან?

**ალბუსი:** ბებიაჩემი საკმაოდ ძლიერია... ვიცი, რომ ძლიერია... ხომ დაინახე.

**სკორპიუსი:** არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა, ალბუს. და შენს ადგილზე მეც გამინევდა გული მასთან სალაპარაკოდ. მაგრამ ხომ გახსოვს, რომ ბებიაშენი ვოლდემორს უნდა შეევედროს ჰარის შეწყალებას. დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ჰარის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

**ალბუსი:** დამბლდორი! დამბლდორი ხომ ცოცხალია! დამბლდორი ჩავრიოთ. დამბლდორი მოვძებნოთ და ჩავრიოთ, როგორც შენ დაუკავშირდი მაშინ სნეიპს...

**სკორპიუსი:** გავრისკოთ და შევატყობინოთ, რომ მამაშენი გადარჩება? რომ შვილები ეყოლება?

**ალბუსი:** ის ხომ დამბლდორია! დამბლდორი ყველაფერს გაუძლებს!

**სკორპიუსი:** ალბუს, ასამდე წიგნი მაინც დაწერილა იმაზე, თუ რა იცოდა დამბლდორმა, საიდან იცოდა, რაც იცოდა, ან რატომ გააკეთა ის, რაც გააკეთა. ერთი რამე კი უდავოა: მან უნდა გააკეთოს ის, რაც გააკეთა, და ამაში რამენაირად ჩარევას მე არ ვაპირებ. სნეიპისთვის დახმარების თხოვნა იმიტომ შევძელი, რომ ალტერნატიულ რეალობაში ვიყავი. ახლა კი უბრალოდ წარსულში ვართ. ჩვენ აქ ვერაფერს გამოვასწორებთ ისე, რომ



მეტი პრობლემა არ შეექმნათ. თუ ჩვენმა თავადასავალმა რამე გვასწავლა, სწორედ ესაა. ვინმესთან დალაპარაკება... დროის ამღვრევა ძალიან სახიფათოა.

**ალბუსი:** მაშინ გამოდის, რომ... მომავალს უნდა დავეუკავშირდეთ. მამაჩემს შეტყობინება უნდა გავუგზავნოთ.

**სკორპიუსი:** როგორ? ისეთი ბუ არ გვყავს, რომ დროში იფრინოს, მამაშენს კი დროის მღვევარი არ აქვს.

**ალბუსი:** როგორმე შეტყობინებას თუ გავუგზავნით მამას, აუცილებლად გამოძებნის აქ დაბრუნების საშუალებას. დროის მღვევრის საკუთარი ხელით დამზადებაც რომ დასჭირდეს.

**სკორპიუსი:** მოგონება გავუგზავნოთ... საფიქრელას მსგავსად... თავზე დავადგეთ და ჩავძახოთ რამე იმ იმედით, რომ ეს მოგონება ზუსტად საჭირო დროს გაახსენდება. ვიცი... ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ... ბავშვს თავზე წამოვადგეთ და... ვუმეოროთ: „გვიშველეთ! გვიშველეთ! გვიშველეთ!“ მგონია, რომ ამით შეიძლება მას მცირე ფსიქოლოგიური ტრავმა მივაყენოთ.

**ალბუსი:** მცირე?

**სკორპიუსი:** მცირედი ტრავმა არაფერია იმასთან შედარებით, რაც ახლა ხდება... და იქნებ როდესაც დაფიქრდება... მოგვიანებით... ჩვენი სახეებიც გაახსენდეს...

**ალბუსი:** როცა ვყვიროდით „გვიშველეთ“?

*სკორპიუსი ალბუსს უყურებს.*

**სკორპიუსი:** მართალი ხარ. უვარგისი აზრია.

**ალბუსი:** ასეთი საშინელი აზრი კარგა ხანია, არ მოგსვლია.

**სკორპიუსი:** გასაგებია! კარგი, ჩვენ თვითონ გადავცემთ... ორმოცწელს დავიცდით და... პირადად ვეტყვიტ...

**ალბუსი:** შანსი არაა... როგორც კი დელფი აქაურობას თავის ნებაზე მოაწყობს, მთელ ჯარს დაგვადევნებს, რომ როგორმე გვიპოვოს და ამოგვხოცოს...

**სკორპიუსი:** აბა, რა ვქნათ, სადმე გადავიმალოთ?

**ალბუსი:** შენთან ერთად სადმე მომდევნო ორმოცი წლით გადაშალვის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ მაინც გვიპოვიან. ჩვენ

თუ მოვკვდებით, დრო ცუდი მიმართულებით წავა. არა. რამე ისეთი უნდა მოვიფიქროთ, რისი გაკონტროლებაც შეგვიძლია, რამე ისეთი, რასაც, გვეცოდინება, რომ ზუსტად საჭირო დროს მიიღებს. ჩვენ უნდა...

**სკორპიუსი:** გამოსავალს ვერ ვხედავ. ისე, ბნელი ძალების გაბატონების შემთხვევაში თანამებრძოლის არჩევა რომ დამჭირვებოდა, შენ აგირჩევდი.

**ალბუსი:** არ გენყინოს, მაგრამ მე ვინმე ცოტა უფრო ღონიერს და ჯადოქრობაში უფრო გამოცდილს ვარჩევდი.

*სახლიდან ლილი გამოდის და საბავშვო ეტლით პატარა ჰარი გამოჰყავს. ბავშვს სათუთად ახვევს საბანში.*

მისი საბანი... საბანში ახვევს.

**სკორპიუსი:** ჰო, დღეს ცოტა არ იყოს, გრილა.

**ალბუსი:** მამა ყოველთვის ამბობდა, ეს ერთადერთი ნივთია, რაც მშობლებისგან დამრჩაო. ნახე, როგორი სიყვარულით შეფუთნა... ალბათ, როგორ გაუხარდებოდა მამას, ეს რომ ენახა... ნეტავ შემეძლოს მისთვის ამის მოყოლა.

**სკორპიუსი:** მე კიდევ ნეტავ შემეძლოს მამაჩემს ვუთხრა... არ ვიცი, რა. ალბათ ის, რომ ზოგჯერ უფრო მამაცი შემიძლია ვიყო, ვიდრე ჰგონია.

*ალბუსს გონება უნათდება.*

**ალბუსი:** სკორპიუს... მამაჩემს ის საბანი ჯერ კიდევ აქვს.

**სკორპიუსი:** არაფერი გამოვა. ახლა რომ რამე დავაწეროთ საბანზე, თუნდაც ძალიან პატარა ასოებით, საჭირო დროზე ადრე წაიკითხავს და ყველაფერს გავაფუჭებთ.

**ალბუსი:** სიყვარულის ელექსირებზე რა იცი? რა ინგრედიენტებისგან შედგება?

**სკორპიუსი:** ბევრი რამისგან... მათ შორის მარგალიტის მტვერისგანაც.

**ალბუსი:** მარგალიტის მტვერი იშვიათი ინგრედიენტია, არა?

**სკორპიუსი:** კი, და საკმაოდ ძვირიც. რატომ დაინტერესდი?

**ალბუსი:** მე და მამამ სკოლაში წასვლის წინა დღეს ვიჩხუბეთ.

საორაიუსი: ეს ვიცი. შეიძლება ითქვას, ამ დავიდარაბაში სწორედ მაგიტომ გავეხვიეთ.

ალბუსი: გაბრაზებულმა საბანი მოვისროლე და სიყვარულის ელექსირის ბოთლს მოვახვედრე. ელექსირი ბიძაჩემმა გამომიგზავნა. დიდი ხუმარა ვინმეა.

საორაიუსი: ხო, სასაცილო ტიპია.

ალბუსი: მოკლედ, ბოთლი გატყდა და ელექსირი საბანზე დაიღვარა. ისიც ზუსტად ვიცი, რომ დედაჩემმა მამაჩემი ჩემი წამოსვლის მერე ოთახს არ გააკარა.

საორაიუსი: მერე?

ალბუსი: მერე ის, რომ ჰელოუინი ახლოვდება როგორც ჩვენს დროში, ისე მათ დროშიც. მამამ მითხრა, რომ ამ დღეს ყოველთვის ამ საბანთან ერთად ხვდება – ეს ერთადერთი ნივთია, რაც დედამისისგან დარჩა... ამიტომ ზუსტად ვიცი, რომ საბანს მოძებნის და როცა იპოვის...

საორაიუსი: მაინც ვერ მიგიხვდი.

ალბუსი: რა შედის რეაქციაში მარგალიტის მტვერთან?

საორაიუსი: როგორც ამბობენ, მარგალიტის მტვერს დემიგაისის ნაყენს თუ შეურევ, იწვის...

ალბუსი: და ეს (არ იცის, ზუსტად როგორ წარმოთქვას სიტყვა) დემიგაისის ნაყენი შეუიარაღებელი თვალისთვის ხილულია?

საორაიუსი: არა.

ალბუსი: ანუ, თუ საბანს ხელში ჩავიგდებთ და დემიგაისის ნაყენით დავანერთ რამეს, მაშინ...

საორაიუსი (გონება უნათდება): არ გამოჩნდება, სანამ სიყვარულის ელექსირი არ გადაესხმება შენს ოთახში, ანმყოში. დამბლდორს ვფიცავ, გადასარევი აზრია!

ალბუსი: ახლა ის უნდა მოვიფიქროთ, სად ვიშოვოთ... დემიგაისი.

საორაიუსი: იცი, რა... ამბობენ, ბათილდა ბეგმოთი კარს არასდროს კეტავდაო.

ანჯამებზე ჩამოკიდებული კარი იღება.

სიმართლე უთქვამთ. დროა, ჯადოსნური ჯოხები ავნაპნოთ და ნაყენი მოვამზადოთ.



## მოქმედება 4 სცენა მეექვსე

### ჰარი და ჯინი პოტერების სახლი, ალბუსის ოთახი

ჰარი ალბუსის საწოლზე ზის. შემოდის ჯინი.

ჯინი: გამიკვირდა შენი აქ დანახვა.

ჰარი: ნუ ლელავ. ხელი არაფრისთვის მიხლია. შენი აკლდამა არ ნამიბილნავს. (ნარბს იკრავს) ბოდიში, ცუდად შევარჩიე სიტყვები.

ჯინი არაფერს ამბობს. ჰარი ახედავს.

იცი, ცუდი ჰელოუინი არაერთხელ მქონია, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამაზე ცუდი ჰელოუინი მხოლოდ ერთხელ იყო.

ჯინი: შევცდი... შენ რომ დაგადანაშაულე. ყოველთვის ჩაგჩინებ, ნაჩქარევი დასკვნები ნუ გამოგაქვს-მეთქი და მე თვითონ... ალბუსი დაიკარგა თუ არა, მაშინვე დავუშვი, რომ ეს შენი ბრალი იყო. მაპატიე.

ჰარი: აღარ გგონია, რომ ეს ჩემი ბრალია?

ჯინი: ჰარი, ის ძლიერმა შავმა მაგმა გაიტაცა, როგორ შეიძლება ეს შენი ბრალი იყოს?

ჰარი: მე გავაქციე. მე მივუგდე შვილი მას.

ჯინი: მოდი, ისე ნუ ვილაპარაკებთ, თითქოს ბრძოლა უკვე წაგებულ გვაქვს.

ჯინი თავს უქნევს. ჰარის ცრემლები წასკდება.

**ჰარი:** მაპატიე, ჯინ...

**ჯინი:** ვერ გაიგე, რა გითხარი? მეც მაპატიე-მეთქი.

**ჰარი:** მე არ უნდა გადავრჩენილიყავი... ჩემი ბედისწერა სიკვდილი იყო... დამბლდორიც კი ასე ფიქრობდა... მაგრამ გადავრჩი. და ამდენი ადამიანი... ეს ამდენი ხალხი... ჩემი მშობლები, ფრედი, ჰოგვორტსის ბრძოლაში დაცემული ორმოცდაათი... და მაინცდამაინც მე გადავრჩი? რატომ? ამხელა მსხვერპლი... და სულ ჩემ გამო.

**ჯინი:** ისინი ვოლდემორს შეეწირნენ.

**ჰარი:** მაგრამ მე რომ უფრო ადრე შემეჩერებინა? ამდენი ადამიანის სისხლი არ იქნებოდა ჩემს სინდისზე. ახლა კი ჩვენი შვილიც შეეწირე...

**ჯინი:** ის არ მომკვდარა. გესმის, ჰარი? არ მომკვდარა.

*ჰარის ეხვევა. ორი მწუხარე ადამიანი დიდხანს დუმს.*

**ჰარი:** ბიჭი, რომელიც გადარჩა... რამდენი ადამიანი უნდა დაიღუპოს იმისთვის, რომ ბიჭი გადარჩეს?

*ჰარი წამით ყოყმანობს, დაბნეულია. შემდეგ საბანს ამჩნევს და მისკენ მიემართება.*

*ეს საბანილა დამრჩა... იმ ჰელოუინიდან. სულ ეს მაქვს მათ მოსაგონრად და...*

*საბანს იღებს და მასზე ნახვრეტს აღმოაჩენს. დანალვლიანებული დახედავს.*

*ნახვრეტები გასჩენია. რონის სულელურმა სიყვარულის ელექსირმა ამოწვა. ნახე, რა დღეშია. სულ გაფუჭდა.*

*საბანს შლის და მასზე ამომწვარ ასოებს ხედავს. გაოცებისგან პირს აღებს.*

*ეს რა არის?*

**ჯინი:** ჰარი... აქ რაღაცა წერია...

*სცენის მეორე მხარეს ალბუსი და სკორპიუსი ჩანან.*

**ალბუსი:** „მამა“...

სკორპიუსი: „მამით“ ვინყებთ?

ალბუსი: ხომ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ვწერთ.

სკორპიუსი: ჰარი ჰქვია. „ჰარით“ უნდა მივმართოთ.

ალბუსი (მტკიცედ): არა, ვინყებთ „მამით“.

ჰარი: „მამა“... მართლა „მამა“ აწერია? კარგად არ იკითხება...

სკორპიუსი: „მამა, გვიშველე“.

ჯინი: „მიშვილე“? რა წერია, „მიშვილე“? და მერე „მოდრიკე“?

ჰარი: „მამა მიშვილე მოდრიკე ჰოლი“? არა... რა უცნაური ხუმრობაა.

ალბუსი: „მამა. გვიშველე. გოდრიკ ჰოლოუ“.

ჯინი: მომეცი აქ. მე უკეთესი მხედველობა მაქვს. ჰო. „მამა მიშვილე მოდრიკე“... აქ „ჰოლი“ არ წერია... მგონი, „ჰოლოუ“? და მერე რალაც ციფრები. ესენი უფრო კარგად ჩანს „3... 1... 1... 0... 8... 1“.

ეს არის, მაგლური ტელეფონის ნომერია? თუ კოორდინატები?

ჰარის გონება უნათდება.

ჰარი: არა. თარიღია! 1981 წლის 31 ოქტომბერი! ჩემი მშობლების ამოხოცვის დღე.

ჯინი ჯერ ჰარის შესცქერის, შემდეგ საბანს.

აქ „მიშვილე“ კი არა, „გვიშველე“ წერია.

ჰარი: „მამა. გვიშველე. გოდრიკ ჰოლოუ. 31/10/81.“ შეტყობინებაა. ჩემმა ჭკვიანმა ბიჭმა შეტყობინება დამიტოვა!

გახარებული ჰარი ჯინის კოცნის.

ჯინი: ეს ალბუსმა დაწერა?

ჰარი: კი, და ადგილიც და დროც მიუთითა. ახლა უკვე ისიც ვიცით, ის ალქაჯი სადაა და სად შეგვიძლია შევებრძოლოთ.

ისევ კოცნის ჯინის.

ჯინი: ბავშვები ჯერ არ დაგვიბრუნებია.

ჰარი: ჰერმიონთან ბუს ვაფრენ. შენ დრაკოს მისწერე. გადაეცი, რომ გოდრიკ ჰოლოუში მოვიდეს დროის მდევრით.

ჯინი: ჰარი, იცოდე, ამჯერად უჩემოდ არსად ნახვალ. მეც მოვდივარ.

სპორაიუსი: „მამით“ ვინყებთ?

ალბუსი: ხომ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ვწერთ.

სპორაიუსი: ჰარი ჰქვია. „ჰარით“ უნდა მივმართოთ.

ალბუსი (მტკიცედ): არა, ვინყებთ „მამით“.

ჰარი: „მამა“... მართლა „მამა“ აწერია? კარგად არ იკითხება...

სპორაიუსი: „მამა, გვიშველე“.

ჯინი: „მიშვილე“? რა წერია, „მიშვილე“? და მერე „მოდრიკე“?

ჰარი: „მამა მიშვილე მოდრიკე ჰოლი“? არა... რა უცნაური ხუმრობაა.

ალბუსი: „მამა. გვიშველე. გოდრიკ ჰოლოუ“.

ჯინი: მომეცი აქ. მე უკეთესი მხედველობა მაქვს. ჰო. „მამა მიშვილე

მოდრიკე“... აქ „ჰოლი“ არ წერია... მგონი, „ჰოლოუ“? და მერე

რალაც ციფრები. ესენი უფრო კარგად ჩანს „3... 1... 1... 0... 8... 1“.

ეს არის, მაგლური ტელეფონის ნომერია? თუ კოორდინატები?

ჰარის გონება უნათდება.

ჰარი: არა. თარიღია! 1981 წლის 31 ოქტომბერი! ჩემი მშობლების

ამოხოცვის დღე.

ჯინი ჯერ ჰარის შესცქერის, შემდეგ საბანს.

აქ „მიშვილე“ კი არა, „გვიშველე“ წერია.

ჰარი: „მამა. გვიშველე. გოდრიკ ჰოლოუ. 31/10/81.“ შეტყობინებაა.

ჩემმა ჭკვიანმა ბიჭმა შეტყობინება დამიტოვა!

გახარებული ჰარი ჯინის კოცნის.

ჯინი: ეს ალბუსმა დანერა?

ჰარი: კი, და ადგილიც და დროც მიუთითა. ახლა უკვე ისიც ვიცით,

ის ალქაჯი სადაა და სად შეგვიძლია შევებრძოლოთ.

ისევ კოცნის ჯინის.

ჯინი: ბავშვები ჯერ არ დაგვიბრუნებია.

ჰარი: ჰერმიონთან ბუს ვაფრენ. შენ დრაკოს მისწერე. გადაეცი, რომ

გოდრიკ ჰოლოუში მოვიდეს დროის მდევრით.

ჯინი: ჰარი, იცოდე, ამჯერად უჩემოდ არსად წახვალ. მეც მოვდი-

ვარ.





## მოქმედება 4 სცენა მეშვიდე

### გოდრიკ ჰოლოუ

რონი, ჰერმიონი, დრაკო, ჰარი და ჯინი ახლანდელ გოდრიკ ჰოლო-  
უში მიაბიჯებენ. სოფელი ნლების განმავლობაში გაზრდილა და  
ხალხმრავალ სავაჭრო დაბად ქცეულა.

**ჰერმიონი:** გოდრიკ ჰოლოუ. ოცი წელი მაინც იქნება, რაც...

**ჯინი:** მეჩვენება, თუ უწინდელზე მეტი მაგლი ირევა აქ?

**ჰერმიონი:** ეტყობა, შაბათ-კვირას ბევრი ხალხი ჩამოდის.

**დრაკო:** გასაგებია, რატომაც... შეხედეთ იმ ჩალის სახურავებს. ეს  
ფერმერების ბაზარი არაა?

ჰერმიონი ჰარის უახლოვდება, რომელიც გრძნობამორეული ათვა-  
ლიერებს გარემოს.

**ჰერმიონი:** გახსოვს, ბოლოს აქ რომ ვიყავით? თითქოს ძველი დრო  
დაბრუნდა.

**რონი:** კი, ერთ დაუპატიჟებელ კიკინიანს თუ არ ჩავთვლით.

დრაკო ყურებს ცქვეტს.

**დრაკო:** იცი, რას გეტყვი...

**რონი:** მალფოი, შეიძლება ჰარის დაუძმაკაცდი და შეიძლება, შვილი  
შენზე უკეთესი გამოგივიდა, მაგრამ ჩემი ცოლის მიმართ უსა-  
მართლო ბრალდებები გაქვს გამოთქმული...

**ჰერმიონი:** ...და შენს ცოლს შენი გამოქომაგება არ სჭირდება.

ჰერმიონი მზერით ბურღავს რონს. რონი გმირულად უძლებს  
დარტყმას.



რონი: კარგი. მაგრამ კიდევ რამეს თუ წამოაყრანტალებ მასზე ან ჩემზე...

დრაკო: რაო, რას მიზამ, უისლი?

პარმიონი: გულში ჩაგიკრავს, რადგან ყველანი ერთ გუნდში ვართ. არა, რონ?

რონი (მისი მტკიცე მზერით შემცბარი ყოყმანობს): კარგი, პო. ეგ ვარცხნილობა გიხდება, დრაკო.

პარმიონი: გმადლობ, მეუღლე... ეს შესაფერისი ადგილი ჩანს. მოდი, საქმეს შევუდგეთ.

დრაკო მანტიიდან დროის მდევარს იღებს... ყველა მის გარშემო იკრიბება. დროის მდევარი გადარეულივით იწყებს ბზრიალს.

გაიელვებს დამაბრმავებელი სინათლე. მას გამაყრუებელი გრგვინვა მოჰყვება.

და დრო ჩერდება. შემდეგ გადატრიალდება, წამით თითქოს ფიქრობსო, შეყოვნდება და უკუსვლას იწყებს, ჯერ ნელა...

და შემდეგ ჩქარდება.

გარშემო იყურებიან.

რონი: გამოგვივიდა?





## მოქმედება 4 სცენა მერვე

გოდრიკ ჰოლოუ, ფარდული, 1981 წ.

ალბუსი თავს სწევს და გაოცებული ხედავს ჯინის, შემდეგ ჰარის, შემდეგ რონის, დრაკოს და ჰერმიონის გაბრწყინებულ სახეებსაც არჩევს.

**ალბუსი:** დედა?

**ჰარი:** ალბუს სევერუს პოტერ. გვიხარია შენი დანახვა.

ალბუსი ჯინისკენ მირბის და მკლავებში უვარდება. ჯინი გახარებული იხუტებს.

**ალბუსი:** ჩვენი შეტყობინება მიიღეთ?

**ჯინი:** მივიღეთ.

სკორპიუსი მკვირცხლი ნაბიჯით მიდის მამასთან.

**დრაკო:** თუ წინააღმდეგი არ ხარ, მეც გადაგვხვევი...

სკორპიუსი გაუბედავად უყურებს, შემდეგ ერთმანეთს სანახევროდ, უხერხულად ეხვევიან. დრაკოს ეღიმება.

**რონი:** დელფი სად არის?

**სკორპიუსი:** დელფის შესახებ საიდან იცით?

**ალბუსი:** აქ არის. და ჩვენი აზრით, შენს მოკვლას ცდილობს. სანამ ვოლდემორს თავისი წყევლა მიუბრუნდება, მოგკლავს და ამით წინასწარმეტყველების აღსრულებას ხელს შეუშლის...

**ჰერმიონი:** ჰო, ჩვენც ასე ვფიქრობთ. ხომ არ იცით, ზუსტად სად არის ახლა?

**სკორპიუსი:** გაქრა. თქვენ დროის მდევრის გარეშე რანაირად...  
როგორ...

**პარი (ანყვეტინებს):** გრძელი და ჩახლართული ამბავია, სკორპიუს.  
ახლა ამის დრო არ გვაქვს.

დრაკო მადლიერებით უღიმის პარის.

**პარმიონი:** პარი მართალია. დროს ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. პოზიციები უნდა დაეიკავოთ. გოდრიკ პოლოუ დიდი დასახლება არ არის, მაგრამ შეიძლება ნებისმიერი მხრიდან მოვიდეს. ისეთი ადგილი გვჭირდება, საიდანაც მთელი დაბა ხელისგულივით მოჩანს, ანუ საიდანაც ერთდროულად ბევრი ადგილის თვალთვალის საშუალება გვექნება, და რაც მთავარია, სადაც კარგად დაეიმალებით, რადგან ჩვენ არაფრის დიდებით არ უნდა დაგვინახონ.

ყველა დაძაბული ფიქრობს.

მე მგონი, ნმინდა იერონიმეს სახელობის ეკლესია ყველა ამ მოთხოვნას პასუხობს. თქვენ რას ფიქრობთ?





## მოქმედება 4 სცენა მეცხრა

ბოდრიკ ჰოლოუ, ნინო იარონიძის სახელობის  
აკლასია, საკურთხეველი, 1981 წ.

ალბუსს ეკლესიის გრძელ სკამზე სძინავს. ჯინი მას გულდასმით მეთვალყურეობს. ჰარი მოპირდაპირე მხარეს, სარკმელში იყურება.

**ჰარი:** არაფერი ჩანს. რატომ არ მოდის?

**ჯინი:** ჩვენ ერთად ვართ, დედაშენი და მამაშენი ცოცხლები არიან... დროში მოგზაურობა შეგვიძლია... ჰარი, მოვლენებს ვერ დავაჩქარებთ. მაშინ მოვა, როცა მზად იქნება და ჩვენც მზად დავხვდებით.

მძინარე ალბუსს გადახედავს.

ყველა არა, მაგრამ ზოგიერთი ჩვენგანი მაინც...

**ჰარი:** საბრალო ბავშვმა გადანყვიტა, რომ სამყარო უნდა გადაარჩინოს.

**ჯინი:** საბრალო ბავშვმა სამყარო გადაარჩინა. საბნის ამბავი ძალიან მარჯვედ მოიფიქრეს. ისიც მართალია, რომ კინალამ სამყარო გაანადგურეს, მაგრამ მოდი, ამაზე ნუ გავამახვილებთ ყურადღებას.

**ჰარი:** შენი აზრით, კარგად იქნება?

**ჯინი:** რა თქმა უნდა. ოღონდ ცოტა დრო დასჭირდება... ისევე, როგორც შენ.

ჰარის ეღიმება. ჯინი ალბუსს გახედავს. ჰარიც შეიღს უყურებს.

იცვი, მას შემდეგ, რაც საიდუმლო ოთახი გავხსენი... როდესაც ვოლდემორმა იმ საშინელი დღიურით მომაჯადოვა და კინალამ ყველაფერი გავანადგურე...

**ჰარი:** მახსოვს.

**ჯინი:** საავადმყოფოდან რომ გამომნერეს, ზედ არავინ მიყურებდა, ყველამ გამრიყა... გარდა იმ ბიჭისა, რომელსაც ყველაფერი ჰქონდა... რომელიც გრიფინდორის საერთო ოთახში მომიახლოვდა და აფეთქობანას თამაში შემომთავაზა. ხალხს ჰგონია, რომ შენზე ყველაფერი იცის, მაგრამ შენში საუკეთესო ისაა, რომ შეგიძლია გმირობა გამოიჩინო წვრილმან, უხმაურო რაღაცებში. იმის თქმა მინდა, რომ როდესაც ეს ყველაფერი დამთავრდება, გახსოვდეს: ადამიანებს, და განსაკუთრებით ბავშვებს, ზოგჯერ უბრალოდ ვინმესთან აფეთქობანას თამაში უნდათ და მეტი არაფერი.

**ჰარი:** შენი აზრით, ეს გვაკლია? აფეთქობანას თამაში?

**ჯინი:** არა, მაგრამ სითბო, რომელიც იმ დღეს შენგან ვიგრძენი... არ ვარ დარწმუნებული, რომ ალბუსიც გრძნობს ამას.

**ჰარი:** მისთვის ყველაფერზე ვარ წამსვლელი.

**ჯინი:** ჰარი შენ ყველასთვის ყველაფერზე წამსვლელი ხარ. მზად იყავი, თავი გაგენირა სამყაროსთვის. მას კი შენგან კონკრეტული სიყვარული სჭირდება. ეს ორივეს უფრო ძლიერ ადამიანებად გაქცევთ.

**ჰარი:** იცვი, როდესაც გვეგონა, რომ ალბუსი სამუდამოდ დავკარგეთ, მხოლოდ მაშინ გავაცნობიერე სრულად, რა გაიღო დედაჩემმა ჩემთვის: ისეთი კონტრშელოცვა, რომელმაც მომაკვდინებელი წყევლა აისხლიტა.

**ჯინი:** ერთადერთი ჯადო, რომლისაც ვოლდემორს არაფერი გაეგებოდა – სიყვარული.

**ჰარი:** მე ის კონკრეტულად მიყვარს, ჯინი.

**ჯინი:** ვიცვი, მაგრამ ეს უნდა იგრძნოს.

**ჰარი:** გამიმართლა, რომ შენ მყავხარ.

**ჯინი:** ძალიან. და სხვა დროს ამ საკითხს სიამოვნებით ჩავუღრმავებოდი, მაგრამ ახლა, მოდი დელფის შეჩერებაზე ვიფიქროთ.

**ჰარი:** დრო იწურება.

**ჯინის ახალი აზრი ეწვევა.**

**ჯინი:** ჰარი... ხომ არ გიფიქრიათ რომელიმეს, რატომ აირჩია მაინცდამაინც დღევანდელი დღე?

**ჰარი:** იმიტომ რომ, ეს ის დღეა, როდესაც ყველაფერი შეიცვალა...

**ჯინი:** შენ ახლა ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის იქნები, არა?

**ჰარი:** წლის და სამი თვის.

**ჯინი:** ამ ერთი წლისა და სამი თვის განმავლობაში ნებისმიერ დროს შეეძლო შენი მოკვლა. ახლაც, უკვე ოცდაოთხი საათია გოდრიკ ჰოლოუშია და რას ელის?

**ჰარი:** მგონი მთლად ვერ მიგიხვდი...

**ჯინი:** იქნებ შენ კი არა, მას ელის... რომ ის შეაჩეროს?

**ჰარი:** რაო?

**ჯინი:** დელფიმ ეს ღამე იმიტომ შეარჩია, რომ ის აქაა. მამამისი მოდის. მას მამასთან შეხვედრა უნდა. მასთან ერთად უნდა ყოფნა, მამასთან ერთად, რომელიც უყვარს. ვოლდემორს პრობლემები მას შემდეგ გაუჩნდა, რაც თავს დაგესხა. ეს რომ არ ექნა, მაშინ...

**ჰარი:** უფრო ძლევამოსილი გახდებოდა... ბნელ ძალებს სულ უფრო მოიკრებდა...

**ჯინი:** წინასწარმეტყველების გაბათილების საუკეთესო გზა ჰარი პოტერის მოკვლა კი არა, ვოლდემორისთვის ხელის შეშლაა.



## მოქმედება 4 სცენა მხათა

გოდრიკ ჰოლოუ, ნინდა იერონიმეს სახელობის  
ეკლესია, 1981 წ.

*ყველანი ერთად შეჯგუფულან და შფოთავენ.*

**რონი:** მოიცა, კარგად გამაგებინეთ, ჩვენ ახლა ვოლდემორის დასაცავად ვიბრძვით?

**ალბუსი:** ვოლდემორისა, რომელიც ჩემს ბებიას და პაპას მოკლავს? რომელიც მამაჩემის მოკვლას შეეცდება?

**პერმიონი:** ჯინი მართალია. დელფი ჰარის მოკვლას არ აპირებს. ის ცდილობს შეაჩეროს ვოლდემორი, რომელიც ჰარის მოკვლას აპირებს. ბრწყინვალე გეგმაა.

**დრაკო:** ანუ... უბრალოდ ვიცდით? სანამ ვოლდემორი არ გამოჩნდება?

**ალბუსი:** თვითონ დელფიმ თუ იცის, ზუსტად როდის გამოჩნდება ვოლდემორი? ოცდაოთხი საათით ადრე იმიტომ ხომ არ მოვიდა აქ, რომ არ იცის, როდის და საიდან მოვა? სკორპიუს, შემისწორე, თუ ვცდები, მაგრამ ისტორიის წიგნებში, მგონი, არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როდის და როგორ ჩამოვიდა ვოლდემორი გოდრიკ ჰოლოუში.

**სკორპიუსი და პერმიონი:** არ ცდები.

**რონი:** ერთ წიგნიერს კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ორს რა გაუძლებს.

**დრაკო:** როგორ შეიძლება ეს ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ?

**ალბუსი:** იცით, რა მეხერხება ყველაზე კარგად?

**ჰარი:** ალბუს, შენ ბევრი რამ გეხერხება.

**ალბუსი:** მრავალწინიანი სასმლის მომზადება. და მე მგონი, ბათილდა ბეგმოს ყველა ინგრედიენტი უნდა ჰქონდეს თავის სარდაფში. შეგვიძლია ვოლდემორის სახე მივიღოთ და დელფი ასე მოვიტყუოთ.

**რონი:** მრავალწინიანი სასმელისთვის იმ ადამიანის ნაწილი გჭირდება, ვისი სახეც უნდა მიიღო. ვოლდემორისა რა გვაქვს?

**ჰერმიონი:** არაფერი, მაგრამ ის აზრი მომწონს, რომ კატა-თაგვობანას თამაშში თავგმა კატად გაასალოს თავი.

**ჰარი:** ტრანსფიგურაციის შელოცვა რამდენად ზუსტ შედეგს მოგვცემს?

**ჰერმიონი:** როგორ გამოიყურება, ვიცით. თან აქ ბრწყინვალე ჯადოქრები გვყავს.

**ჯინი:** ვოლდემორად გინდა გადაიქცე ტრანსფიგურაციის შელოცვით?

**ალბუსი:** სხვა გამოსავალი არ გვაქვს.

**ჰერმიონი:** მართლაც ასეა.

*რონი თამამად გამოდის წინ.*

**რონი:** მაშინ მე მზად ვარ... ჩემი აზრით, ვოლდემორი მე უნდა განვასახიერო. ვოლდემორობა სასიამოვნო არ უნდა იყოს, მაგრამ... თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და... ჩვენ შორის მე ალბათ ყველაზე განონასწორებული ვარ... და იქნებ ბნელ ბატონად გარდასახვამ მე უფრო ნაკლები ზიანი მომაყენოს, ვიდრე თქვენ... უფრო მგრძნობიარე ხალხს.

*ფიქრებში ჩაძირული ჰარი ორიოდ ნაბიჯით შორდება შეკრებილებს.*

**ჰერმიონი:** ვინაა მგრძნობიარე?!

**დრაკო:** მეც გამოვდივარ მოხალისედ. არ გეწყინოს, რონ, მაგრამ მე მგონია, რომ ვოლდემორად ყოფნა სიზუსტის დაცვას მოითხოვს, ასევე შავი მაგიის ცოდნას და...

**ჰერმიონი:** მეც გამოვთქვამ სურვილს. ეს ჩემი, როგორც მაგიის მინისტრის მოვალეობა და უფლებაა.



სკორპიუსი: იქნებ წილი ვყაროთ...

დრაკონი: იცოდე, შენ ამაში არ მონაწილეობ, სკორპიუს.

ალბუსი: იცით, რა...

ჯინი: არა, არაფრის დიდებით! ხომ არ გაგიჟებულხართ ყველანი?

მე ვიცი, რას ნიშნავს, როცა მისი ხმა ჩაგესმის გონებაში... ჩემს თავში, ზუსტად ვიცი, რომ აღარ შემოვუშვებ...

ჰარი: არა, ეს მე უნდა ვიყო.

*ყველა ჰარისკენ ბრუნდება.*

დრაკონი: რა თქვი?

ჰარი: იმისათვის, რომ გეგმამ გაამართლოს, დელფიმ ეჭვი არ უნდა შეიტანოს ვოლდემორის ვინაობაში. ის პარსულად დაელაპარაკება და... აი, ვიცოდი, რომ ტყუილად არ მახსოვს ეს ენა... და რაც მთავარია, მე ვიცი, რას ნიშნავს, გრძნობდე და ფიქრობდე ვოლდემორივით; ვიცი, რას ნიშნავს იყო ვოლდემორი. ეს ჩემი გასაკეთებელია.

რონი: სისულელეა. ლამაზად ნათქვამი სისულელე. არ დავუშვებ, რომ შენ...

ჰერმიონი: სამწუხაროდ, მართალი ხარ, ჩემო მეგობარო.

რონი: ჰერმიონ, ცდები. ვოლდემორის განსახიერება არც ისეთი განსაკუთრებული რამეა, რომ მხოლოდ ჰარიმ...

ჯინი: ძალიან არ მინდა, ჩემს ძმას დავეთანხმო, მაგრამ...

რონი: შეიძლება... სამუდამოდ ვოლდემორად დარჩეს...

ჰერმიონი: ეს შეიძლება ნებისმიერ ჩვენგანს დაემართოს. შენი შესწოთება გასაგებია, მაგრამ...

ჰარი: ერთი წუთით, ჰერმიონ... ჯინ.

*ჯინი და ჰარი თვალს თვალში უყრიან ერთმანეთს.*

შენ თუ არ გინდა, ამას არ ვიზამ, მაგრამ ჩემი აზრით, ერთადერთი გამოსავალია. მითხარი, თუ ვცდები.

*ჯინი წამით დუმს და შემდეგ მსუბუქად უკრავს თავს. ჰარის სახეზე მტკიცე გამომეტყველება ეფინება.*

ჯინი: არ ცდები.

ჰარი: მაშინ, რაღას ვუცდით.

**დრაკო:** სამოქმედო გეგმა არ უნდა შევიმუშაოთ?

**ჰარი:** დელფი ეძებს. თვითონ მოვა ჩემთან.

**დრაკო:** და რომ გიპოვის, მერე? შეგახსენებ, რომ საკმაოდ ძლიერ ჯადოქართან გაქვს საქმე.

**რონი:** მაგას რა კითხვა უნდა. აქ შემოიტყუებს და ჩვენ ოთხში ამოვიღებთ.

**დრაკო:** ოთხში ამოვიღებთ?

*ჰერმიონი იქაურობას ათვალთვლებს.*

**პერმიონი:** ამ კარს უკან დავიმალებით. ჰარი, აქამდე თუ მოიტყუებ (ხელით ანიშნებს ადგილს, სადაც მრგვალი სარკმლიდან შემოჭრილი სინათლის სვეტი იატაკზე ეშვება), მერე ჩვენ გამოვალთ და გაქცევის საშუალებას არ მივცემთ.

**რონი (დრაკოსკენ თვალს აპარებს):** და მერე ოთხში ამოვიღებთ.

**პერმიონი:** ჰარი, უკანასკნელად გეკითხები, დარწმუნებული ხარ, რომ შეძლებ?

**ჰარი:** კი, შევძლებ.

**დრაკო:** არა, გეგმაში ბევრი გარღვევაა... ბევრი რამე შეიძლება არასწორად წარიმართოს... შეიძლება ტრანსფიგურაციის შელოცვამ დიდხანს არ იმოქმედოს და მიგვიხვდეს... ახლა თუ გაგვექცევა, წარმოიდგინეთ, რამხელა ზიანის მოტანა შეუძლია... დრო გვჭირდება, რომ სათანადოდ დავგეგმოთ...

**ალბუსი:** დრაკო, ენდეთ მამაჩემს. არ დაგვაღალატებს.

*ჰარი გულაჩუყებული გადახედავს ალბუსს.*

**პერმიონი:** ჯადოსნური ჯოხები მოამზადეთ.

*ყველა ჯადოსნურ ჯოხს იმარჯვებს. ჰარი თავისას ბლუჯავს.*

*ნელ-ნელა სინათლე იმძლავრებს და თვალისმომჭრელი ხდება...*

*ტრანსფიგურაცია ნელა და ჯოჯოხეთურად მტკივნეულად მიმდინარეობს.*

*და ჰარის ადგილზე ვოლდემორის ფიგურა აღიმართება. შესახედად საზარელია.*

ტრიალდება. თავის მეგობრებსა და ოჯახის წევრებს ათვალთქვებს.

ყველა შეძრწუნებული მისჩერებია.

რონი: ჯანდაბა.

პარი/ვოლდემორი: მაშ, გამოვიდა?

ჯინი (დინჯად): კი, გამოვიდა.



## მოქმედა 4 სცენა მეთერთმეტე

გოდრიკ ჰოლოუ, წმინდა იერონიმეს სახელობის  
ეკლესია, 1981 წ.

რონი, ჰერმიონი, დრაკო, სკორპიუსი და ალბუსი სარკმელთან  
დგანან და გარეთ იყურებიან. ამ სანახაობას გარიდებული ჯინი  
კუთხეში ზის.

ალბუსი ამჩნევს, რომ დედამისი ცალკე დამჯდარა, და მისკენ მიე-  
მართება.

ალბუსი: დედა, ხომ იცი, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

ჯინი: ვიცი. უფრო, იმედი მაქვს. უბრალოდ... ასეთს ვერ ვუყურებ...  
საყვარელ კაცს საძულველი კაცის ნიღაბში.

ალბუსი დედის გვერდით ჯდება.

ალბუსი: დე, იცი, როგორ მომწონდა? მართლა ძალიან მომწონდა  
დედფი. ის კი თურმე ვოლდემორის შვილი ყოფილა.

ჯინი: ეს კარგად გამოსდით, ალბუს... გულუბრყვილოების მახეში  
გაბმა.

ალბუსი: სულ ჩემი ბრალია ყველაფერი.

ჯინი ალბუსს იხუტებს.

ჯინი: უცნაურია. მამაშენი კი ამტკიცებს, რომ ყველაფერი მისი  
ბრალია. საოცარი მამა-შვილი ხართ.

სკორპიუსი: ისაა. ის! დაინახა.

**პერმიონი:** ყველანი თქვენ-თქვენს პოზიციაზე განთავსდით და გახსოვდეთ, რომ სანამ სინათლეზე არ შემოიტყუებს, არ გამოხვიდეთ. მხოლოდ ეს ერთი შანსი გვაქვს და არ უნდა გავუშვათ ხელიდან.

*ყველა დაფაცურდება.*

**დრაკო:** ჰერმიონ გრეინჯერი, ჰერმიონ გრეინჯერი თავის ჭკუაზე მატარებს (ჰერმიონი მას უბრუნდება. დრაკოს ელიმება). და ამის სანინაალმდეგო არაფერი მაქვს.

**სკორპიუსი:** მამა...

*იფანტებთან და ორი დიდი კარის უკან იმალებიან.*

*ჰარი/ვოლდემორი ისევ შემოდის ეკლესიაში. რამდენიმე ნაბიჯს დგამს და ბრუნდება.*

**ჰარი/ვოლდემორი:** არ ვიცი, ვინ ხარ, რომ მომყვები, მაგრამ ვინც გინდა იყო, მწარედ განანებ.

*მის უკან დელფი გამოჩნდება. თვინიერი სახით ასცქერის მამას. ეს არის ნუთი, რომელსაც მთელი ცხოვრება ელოდა.*

**დელფი:** ლორდ ვოლდემორ, მე... მე მოგყვებოდით.

**ჰარი/ვოლდემორი:** არ ვიცი, ვინ ხარ. მომშორდი.

*დელფი ღრმად ისუნთქავს ჰაერს.*

**დელფი:** მე თქვენი შვილი ვარ.

**ჰარი/ვოლდემორი:** შენ რომ ჩემი შვილი იყო, მეცოდინებოდა.

*დელფი ვედრებით შესცქერის.*

**დელფი:** მე მომავლიდან ვარ. ბელატრისა ლესტრეინჯისა და თქვენი შვილი. მალფოების მამულში დავიბადე ჰოგვორტსის ბრძოლამდე... ბრძოლამდე, რომელსაც წააგებთ. აქ თქვენს გადასარჩენად ვარ მოსული.

*ჰარი/ვოლდემორი მოუტრიალდება. დელფი თვალებში უყურებს.*

როდესაც როდოლფუს ლესტრეინჯი, ბელატრისას ქმარი, აზკაბანიდან დაბრუნდა, გამანდო, ვინც ვარ და გამიმხილა

წინასწარმეტყველება, რომლის აღსრულებაც მენერა. მე  
თქვენი შვილი ვარ, სერ.

**ჰარი/ვოლდემორი:** ბელატრისას ვიცნობ და მასთან გარკვეულ  
მსგავსებას მართლაც ვხედავ შენს სახეზე, თუმცა მას ბევრად  
ჩამოუვარდები... მაგრამ მტკიცებულების გარეშე...

*დელფი მაშინვე პარსულ ენაზე წარმოთქვამს რამდენიმე სიტყვას.*

*ჰარი/ვოლდემორი ბოროტად იცინის.*

ესაა შენი მტკიცებულება?

*დელფი ძალდაუტანებლად აფრინდება ჰაერში. ჰარი/ვოლდემორი  
გაოცებული იხევს უკან.*

**დელფი:** მე თქვენი, ბნელი ბატონის, ავგური ვარ და მზად ვარ ყვე-  
ლაფერი გავიღო, ოღონდაც თქვენს სამსახურში ჩავდგე.

**ჰარი/ვოლდემორი (ცდილობს, გაოცება არ შეეტყოს):** ფრენა... ჩემგან  
ისნაველე?

**დელფი:** შევეცადე, თქვენს გზას გავყოლოდი.

**ჰარი/ვოლდემორი:** ჯერ არ შემხვედრია ჯადოქარი, რომელიც  
შეეცდებოდა, ჩემი სწორი გამხდარიყო.

**დელფი:** სწორად გამიგეთ.. თქვენთვის თავის გატოლება არც მიფიქ-  
რია, ლორდ. მაგრამ მთელი ცხოვრება მივუძღვენი იმას, რომ  
თქვენთვის საამაყო შვილი ვყოფილიყავი.

**ჰარი/ვოლდემორი (ანყვეტინებს):** ვხედავ, რაც ხარ. და იმასაც ვხე-  
დავ, შენგან რა შეიძლება დადგეს, შვილო.

*დელფი ათრთოლებული შესცქერის.*

**დელფი:** მამა?

**ჰარი/ვოლდემორი:** წარმოიდგინე, ერთად რამდენს შევძლებთ...

**დელფი:** მამა...

**ჰარი/ვოლდემორი:** აქ მოდი, სინათლეზე უნდა შევათვალიერო ჩემი  
სისხლი და ხორცი.

**დელფი:** თქვენი მისია შეცდომაა. ჰარი პოტერზე თავდასხმა შეც-  
დომაა. ის გაგანადგურებთ.

ჰარი/ვოლდემორის ხელი ჰარის ხელს ემსგავსება. გაცელებული და შეცბუნებული დახედავს და სწრაფად მალავს სახელოში.

ჰარი/ვოლდემორი: ბავშვმა რა უნდა დამაკლოს.

დელფი: ის დედამისის სიყვარულითაა შეიარაღებული. თქვენი წყევლა ასხლტება, უკუიქცევა და გაგანადგურებთ. მას გააძლიერებს, თქვენ კი დაგასუსტებთ. ძალებს კი მოიკრებთ, მაგრამ მომდევნო ჩვიდმეტ წელს მასთან ბრძოლაში გაატარებთ, ბრძოლაში, რომელსაც წააგებთ.

ჰარი/ვოლდემორს თავზე ნელ-ნელა თმა ეწვერება, ამას გრძნობს და თავს კაპიუშონში მალავს.

ჰარი/ვოლდემორი: მაშინ არ დავესხმები. მართალი ხარ.

დელფი: მამა?

ჰარი/ვოლდემორი დაბლდება, ჰარის კიდევ უფრო ემსგავსება, ვიდრე ვოლდემორს. დელფის ზურგს აქცევს.

მამა?

ჰარი (გულმოდგინედ ბაძავს ვოლდემორის ხმას): კარგი გეგმა შემომთავაზე. ბრძოლას გადავდებ. შენ მე კარგად მემსახურე. ახლა კი, გამოდი სინათლეზე, რომ დაგათვალიერო.

ერთ-ერთი კარი ოდნავ იღება და სწრაფადვე იხურება. დელფი ამას ხედავს და შუბლს იკრავს. ეჭვი უძლიერდება.

დელფი: მამა...

ცდილობს, მამა კარგად შეათვალიეროს, მაგრამ ჰარი სახეს არიდებს. ერთმანეთს ფარვანებივით უტრიალებენ.

შენ არ ხარ ლორდი ვოლდემორი!

დელფი ელვის სისწრაფით იღებს მანტიიდან ჯადოსნურ ჯოხს. ჰარიც არ ჩამორჩება.

ინცენდიო!

ჰარი: ინცენდიო!

ჯადოსნური ჯოხებიდან გამოსროლილი სხივები ერთმანეთს კვეთს და თვალისმომჭრელად ფეთქდება.

მეორე ხელით დელფი თვალის დახამხამებაში ტყორცნის შელოცვას უკვე გამოღებულ კარს და რაზავს.

**დელფი:** პოტერ. კოლოპორტუს!

ჰარი შეცბუნებული გახედავს კარს.

რაო, გეგონა, მეგობრები შემოგიერთდებოდნენ?

**პერიონი** (სცენის მიღმიდან): ჰარი... ჰარი...

**ჯინი** (სცენის მიღმიდან): კარი მეორე მხრიდან ჩაკეტა.

**ჰარი:** კეთილი. მარტო გაგიმკლავდები.

შეტევას უპირებს, მაგრამ დელფი გაცილებით ძლიერია. ჰარის ჯადოსნური ჯოხი ჰაერში რკალს ხაზავს და დელფის უვარდება ხელში. ჰარი განიარაღებული და უმნეოა.

რანაირად?... ვინ ხარ?

**დელფი:** დიდი ხანია, გითვალთვალე, ჰარი პოტერ. მე უკეთ შეგისწავლე, ვიდრე მამაჩემმა.

**ჰარი:** გგონია, ჩემი სისუსტეები იცი?

**დელფი:** მე თავს არ ვზოგავდი, რომ მისი ღირსი გავმხდარიყავი! დიახ, დროის უზენაესი ჯადოქარი ჩემით იამაყებს. ექსპულსო!

ჰარის ფეხქვეშ იატაკი ფეთქდება, მაგრამ ის განზე გადაგორებას ასწრებს. ეკლესიის სკამის ქვეშ მიფორთხავს, თან ცდილობს მოიფიქროს, როგორ გაუნოს ნინაალმდეგობა.

ჰარი პოტერი მიხობხავს... ჰარი პოტერი. ჰადოქრული სამყაროს გმირი. ვირთხასავით გამირბის. ვინგარდიუმ ლევიოსა!

სკამი ჰაერში აიჭრება.

საკითხავი ისაა, მიღირს თუ არა შენს მოკვლაზე დროის დახარჯვა. მამაჩემს როგორც კი შევაჩერებ, შენი განადგურება ისედაც გარდაუვალი იქნება. როგორ მოვიქცე? ოჰ, ცოტას გავერთობი, მოგკლავ.

სკამს მთელი ძალით ანარცხებს ჰარის. სკამი ნაფოტებად იქცევა, მაგრამ ჰარი ასწრებს გვერდზე გახტომას.



იატაკში ამოჭრილი ცხაურიდან ალბუსი მოძვრება. ამას ვერავინ ამჩნევს.

ავადა...

ალბუსი: მამა...

ჰარი: ალბუს! არა!

დელფი: ორნი ხართ? ჰმმ, არჩევანის წინაშე ვარ... მაშინ ჯერ ბიჭს მოვკლავ. ავადა კედავრა!

მომაკედინებელ წყევლას ალბუსისკენ მიმართავს, მაგრამ ჰარი შვილს ხელს ჰკრავს და ჯადოსნური ჯოხიდან გამოტყორცნილი სინათლე იატაკს ხვდება.

ჰარი საპასუხოდ შელოცვას ესვრის.

გგონია, ჩემზე ძლიერი ხარ?

ჰარი: არა, მე – არა...

ერთმანეთს დაუნდობლად უშენენ შელოცვებს, ალბუსი ამასობაში სწრაფად ეცლება ბრძოლის ველს და ჯერ ერთ კარს უმიზნებს ჯადოსნურ ჯოხს, მერე – მეორეს.

მაგრამ ჩვენ – კი!

ალბუსი ორივე კარს ალებს თავისი ჯადოსნური ჯოხით.

ალბუსი: ალოჰომორა! ალოჰომორა!

ჰარი: მარტოს არასდროს მიბრძოლია და არც მომავალში ვიბრძოლებ.

ღია კარებიდან ჰერმიონი, რონი, ჯინი და დრაკო გამორბიან და შელოცვებს აყრიან დელფის. დელფი სიმწრით კივის. თავდაუზოგავად იბრძვის, მაგრამ ამდენ მონინაალმდეგეს ვერ ერევა.

რამდენჯერმე გაისმის გრუხუნის და დამარცხებული დელფი მონყევტით ვარდება დაბლა.

დელფი: არა... არა...

ჰერმიონი: ბრაქიაბინდო!

დელფის თოკები მჭიდროდ ეხვევა.

ჰარი დელფისკენ იწევს. თვალს არ აშორებს მას. დანარჩენები უკან იხევენ.

ჰარი: ალბუს, ყველაფერი რიგზე გაქვს?

ალბუსი: კი, მამა.

ჰარი დელფის თვალს არ სწყვეტს. მას ჯერ კიდევ უფროთხის.

ჰარი: ჯინი, ალბუსი ხომ არ დაშავებულა? უნდა დავრწმუნდე, რომ არაფერი ემუქრება...

ჯინი: თვითონ აიჩემა. ცხაურში სხვა ვერავინ გამოვეტეოდით. შევეცადე, შემეჩერებინა.

ჰარი: უბრალოდ მითხარი, რომ კარგადაა.

ალბუსი: კარგად ვარ, მამა, მართლა.

ჰარი დელფის ნელ-ნელა უახლოვდება.

ჰარი: ჩემი მოკვლა ბევრს უცდია... მაგრამ შენ ჩემს შვილზე გაბედე თავდასხმა!

დელფი: მე მხოლოდ მამასთან შეხვედრა მინდოდა.

ეს სიტყვები ჰარის აცვიფრებს.

ჰარი: შენს ცხოვრებას თავიდან ვერ გამოიგონებ. ყოველთვის ობოლი იქნები. შეეგუე ამას.

დელფი: უბრალოდ მომეცი უფლება, მამაჩემი ვნახო.

ჰარი: არ შემიძლია და არ მინდა.

დელფი (შესაბრალისად): მაშინ მომკალი.

ჰარი ნაშით დაფიქრდება.

ჰარი: არც ეს შემიძლია.

ალბუსი: რას ამბობ, მამა, ის ხომ სახიფათოა.

ჰარი: არა, ალბუს...

ალბუსი: მაგრამ ის ხომ მკვლელია... ჩემი თვალით ვნახე, როგორ ჩაიდინა მკვლელობა.

ჰარი მოუტრიალდება და ჯერ შვილს შეხედავს, მერე ჯინის.

ჰარი: ალბუს, ის მკვლელია, ჩვენ – არა.

ჰარიმონი: ჩვენ მათზე უკეთესები უნდა ვიყოთ.

რონი: ჰო, ხელები მეც მექავება, მაგრამ ცხოვრებისგან თუ რამე ვისწავლეთ, ესაა.

დელფი: წამართვი გონება, წამართვი მეხსიერება, დამავინწყე, ვინ ვარ.

რონი: არა, ახლა ჩვენს დროში დაგაბრუნებთ.

ჰერიონი: დედაშენის მსგავსად, აზკაბანში წახვალ.

დრაკო: და იქ დალპები.

ჰარი ყურებს ცქვეტს. სისინი ესმის.

და შემდეგ თვით სიკვდილის ხმა, ისეთი, აქამდე რომ არ გაგვიგონია.

**ჰააარრი პოტტტტტერ...**

სკორპიუსი: ეს რა არის?

ჰარი: არა. არა. ჯერ ადრეა.

ალბუსი: რა?

რონი: ვოლდემორი.

დელფი: მამა?

ჰერიონი: უკვე? აქ?

დელფი: მამა!

დრაკო: სილენციო! (დელფი ხმას გაკმენდს). ვინგარდიუმ ლევიოსა!

(დელფის სხეული ჰაერში იწევა და კუთხისკენ მილივლივებს)

ჰარი: მოდის. სადაცაა აქ იქნება.

სცენის ბოლოდან ვოლდემორი შემოდის, სცენას გადაკვეთს და მაყურებლების დარბაზში ჩადის. თან სიკვდილი მოაქვს, და ეს ყველასთვის ცხადია.



## მოქმედება 4 სცენა მეთორმეტი

გოდრიკ ჰოლოუ, 1981 წ.

*ჰარი უმწეოდ აყოლებს თვალს ვოლდემორს.*

**ჰარი:** დედაჩემის და მამაჩემის დახოცვას აპირებს... და მისი შეჩერება არ შემძლია.

**დრაკო:** როგორ არ შეგიძლია.

**სკორპიუსი:** მამა, ახლა ამის დრო არ არის...

**ალბუსი:** მისი შეჩერება შეგიძლია. მაგრამ ამას არ იზამ.

**დრაკო:** აი, ეს უკვე თამამი განაცხადია.

*ჯინი ჰარის ხელს ჩაჰკიდებს.*

**ჯინი:** ჰარი, აუცილებელი არაა უყურო. იქნებ ახლავე დავბრუნდეთ სახლში.

**ჰარი:** მე ეს დავუშვი... და უნდა ვუყურო კიდევ.

**პერმიონი:** მაშინ ყველანი აქ, შენთან დავრჩებით.

**რონი:** ყველა ერთად ვუყურებთ...

*ამ დროს უცნობი ხმები ისმის...*

**ჯეიმსი (სცენის მიღმიდან):** ლილი, ჰარი წაიყვანე და გაიქეცი! ჩქარა! მაინც მოგვაგნო! გაიქეცი! მე დავაკავებ...

*ისმის აფეთქების ხმა და მერე ხარხარი.*

*არ მოგვეკარო... გესმის? არ მოგვეკარო!*

**ვოლდემორი (სცენის მიღმიდან):** ავადა კედავრა!

*ჰარი თითქოს ტკივილისგან კრთება, როცა დარბაზს მწვანე სინათლე გაკვეთს.*

ალბუსი ხელზე ხელს ჰკიდებს. ჰარი მაგრად ეჭიდება. მას ეს ახლა ძალიან სჭირდება.

ალბუსი: მან ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო.

ჰარის მეორე მხრიდან ჯინი ამოუდგება და ხელზე ხელს ჰკიდებს. ჰარი ცოლ-შვილს მთელი ტანით ეკვრის.

ჰარი: ეს დედაჩემი ჩანს ფანჯარაში. დედაჩემი... რა ლამაზია.

ჯერ კარზე ბრახუნის და მერე აფეთქების ხმა ისმის.

ლილი (სცენის მიღმიდან): ჰარის თავი დაანებეთ! არა! არა! ჰარის თავი დაანებეთ...

ვოლდემორი (სცენის მიღმიდან): გზიდან ჩამომეცალე, სულელო გომბიოვ... გზიდან ჩამომეცალე-მეთქი...

ლილი (სცენის მიღმიდან): ოლონდ ჰარის ნუ მოკლავთ, გემუდარებით! მე მომკალით მის ნაცვლად...

ვოლდემორი (სცენის მიღმიდან): იცოდე, ბოლოჯერ გაფრთხილებ...

ლილი (სცენის მიღმიდან): ოლონდ ჰარი არა... გემუდარებით... შეინყა-ლეთ... შეიბრალეთ... ოლონდ ჩემი შვილი არა! გემუდარებით. ყველაფერს გავაკეთებ...

ვოლდემორი (სცენის მიღმიდან): ავადა კედავრა!

ჰარის ტანში თითქოს ელვა უვლის. მწუხარებისგან მუხლები ეკვეთება და იატაკზე იკეცება.

მაყურებლების გარშემო მოგუდული კივილი ისმის. ჯერ თითქოს დაბლა ეშვება და მერე მაღლა მიიწევს.

ჩვენ ამ ყველაფერს მხოლოდ ვუყურებთ.

თანდათან ყველა ხმა წყდება.

სცენა იცვლება და ტრიალებს.

ჰარი, მისი ოჯახის წევრები და მეგობრები თვალს ეფარებიან.



## მოქმედა 4 სცენა მაცამეტა

გოდრიკ ჰოლოუ, ჯეიმსი და ლილი  
პოტარაგის სახლი, 1981 წ.

ნანგრევებად ქცეულ სახლში ვართ. სახლში, რომელზეც სულ ცოტა ხნის წინ საზარელი თავდასხმა მოხდა.

ნანგრევებში ჰაგრიდი შემოდის.

ჰაგრიდი: ჯეიმს?

გარშემო იყურება.

ლილი?

ფრთხილად დააბიჯებს, თითქოს მოსალოდნელი სანახაობა აშინებს. გული ამოვარდნაზე აქვს.

შემდეგ მათ ხედავს და შეშდება, ხმა უწყდება.

ოჰ! ოჰ! არა... ნუთუ... ნუთუ... მე არ... კი მითხრეს, მაგრამ არ მჯეროდა...

დასცქერის მათ და თავჩაქინდრული, რაღაცას ბუტბუტებს, ვეება ჯიბეებიდან რამდენიმე შემჭკნარ ყვავილს იღებს და იატაკზე აწყობს.

მაპატიეთ. მითხრეს... მითხრა, დამბლდორმა მითხრა. აქ ვერ დავრჩები. მაგლები მოდიან ლურჯი ციმციმებით და აქ ამხელა დოყლაპია რომ დავხვდები, აშკარად არ მოენონებათ, ხო?

ქვითინებს.

მაგრამ, როგორ მიჭირს აქედან წასვლა.

მინდა იცოდეთ, რომ... თქვენ არ დაგივიწყებენ... არც მე... და  
არც სხვები...

და უეცრად რაღაც ხმა ესმის... ბავშვის ქსუტუნის. ჰაგრიდი გამო-  
ცოცხლდება და ხმისკენ გასწევს.

დაბლა იხედება და ბავშვის პატარა სანოლს წაადგება, საიდანაც  
თითქოს სინათლე ასხივებს.

გამარჯობა. შენ ჰარი უნდა იყო.

გამარჯობა, ჰარი პოტერ.

მე რუბეუს ჰაგრიდი ვარ.

და შენი მეგობარი ვიქნები, მოგწონს ეს თუ არა.

იმიტომ რომ... ჯერ არ იცი, მაგრამ ცუდი ამბავი დაგემართა.

და მეგობრები დაგჭირდება.

ახლა ჯობია, ჩემთან ერთად წამოხვიდე, არა?

ოთახი მოციხისფრო შუქით ივსება და თითქმის არამინიერი კაშკაში  
გაუდის. ჰაგრიდი პატარა ჰარის ნაზად იყვანს ხელში.

და შემდეგ, უკანმოუხედავად გააბოტებს სახლიდან.

დარბაზში და სცენაზე ბინდი წვება.



## მოქმედება 4 სცენა მეთოთხმეტი

### ჰომოფობია, საკლასო ოთახი

ოთახში აღტაცებული სკორპიუსი და ალბუსი შემორბიან და ზურგს უკან კარს იჯახუნებენ.

**სკორპიუსი:** არ მჯერა, რომ გავბედე!

**ალბუსი:** არც მე მჯერა.

**სკორპიუსი:** როუზ გრეინჯერ-უისლი! როუზ გრეინჯერ-უისლი დავპატიჟე პაემანზე.

**ალბუსი:** და უარით გამოგისტუმრა.

**სკორპიუსი:** მთავარია, რომ დავპატიჟე. ნიადაგი მოვსინჯე. აი, ნახავ, ბოლოს ქორწინებით თუ არ დავაგვირგვინე!

**ალბუსი:** ხვდები, რომ უიმედო მეოცნებე ხარ?

**სკორპიუსი:** დაგეთანხმებოდით, მაგრამ... პოლი ჩეპმენმა რომ სკოლის მეჯლისზე მიმინვია, გავინყდება?

**ალბუსი:** ალტერნატიულ რეალობაში, სადაც შენ გაცილებით... ბევრად უფრო პოპულარული იყავი... და თანაც სხვა გოგომ დავპატიჟა... რაც იმას ნიშნავს, რომ...

**სკორპიუსი:** კი, ლოგიკა მკარნახობს, რომ პოლი უნდა ავირჩიო... ან უფლება მივცე, თვითონ დამიახლოვდეს... მართლა ძალიან ლამაზია, მაგრამ... როუზი როუზია.

**ალბუსი:** ლოგიკა იმასაც უნდა გკარნახობდეს, რომ ბოდავ. როუზი ვერ გიტანს.

**სკორპიუსი:** დავაზუსტებ. ადრე ვერ მიტანდა, მაგრამ დაინახე, როგორ შემომხედა, როცა დაველაპარაკე? ეს სიძულვილი კი არა, სიბრალული იყო.



ალბუსი: და სიბრალული კარგია?

სკორპიუსი: სიბრალული მხოლოდ დასაწყისია, ჩემო მეგობარო, საძირკველი, რომელზეც სასახლეს დავაშენებ... სიყვარულის სასახლეს.

ალბუსი: სიმართლე რომ გითხრა, მეგონა, პირველი მე გავიჩენდი შეყვარებულს.

სკორპიუსი: კი, კი, უდავოდ გაიჩენ. შხამ-წამლების ახალ თვალეზ-დანისლულ პროფესორზე რას იტყვი? შენთვის საკმარისად დიდია?

ალბუსი: ჩემზე უფროსი ქალები არ მაინტერესებს!

სკორპიუსი: და თან, მის საცდუნებლად დრო თავსაყრელად გაქვს, იმიტომ რომ როუზის მოხიბვლისთვის მე წლები დამჭირდება.

ალბუსი: შენი თავდაჯერებულობა მაგიჟებს.

კიბზე როუზი ჩამოდის. ბიჭებს ჩაუვლის და გადახედავს.

როუზი: გამარჯობა.

ბიჭებმა არ იციან, რა უპასუხონ. როუზი სკორპიუსს უყურებს.

ასე თუ დაიძაბები ხოლმე ჩემ დანახვაზე, არაფერი გამოვა.

სკორპიუსი: გასაგებია. აღარ ვიზამ.

როუზი: ძალიან კარგი, „მეფე მორიელი“.

ღიმილით გასცდება მათ. სკორპიუსი და ალბუსი ერთმანეთს უყურებენ. ალბუსი იცინის და სკორპიუსს მხარში მუშტს უთავაზებს.

ალბუსი: მართალი ყოფილხარ... სიბრალული კარგი დასაწყისია.

სკორპიუსი: ქვიდიჩის მოედანზე მიდიხარ? სლიზერინი ჰაფლეპაფს ეთამაშება... დიდი ამბავია...

ალბუსი: მეგონა, ქვიდიჩს ვერ ვიტანდით.

სკორპიუსი: ადამიანები იცვლებიან. თანაც, ბოლო დროს ვვარჯიშობ. შეიძლება მალე გუნდიც კი შევკრიბო. ნამოდი.

ალბუსი: არ შემოიძლია. მამაჩემი დამპირდა მონახულებას...

სკორპიუსი: სამინისტროში შეებულება აილო?

ალბუსი: გასეირნება უნდა... ჩემთვის რალაცის ჩვენება... რალაცის გაზიარება...

სკორპიუსი: გასეირნება?

ალბუსი: ჰო, ვიცი. მგონი, მამაშვილური შეხვედრის მონყობას აპირებს. ეგეთ რაღაცებზე გული მერევა, მაგრამ ალბათ უარს მაინც არ ვეტყვი.

სკორპიუსი ალბუსს სწვდება და ეხვევა.

ეს რა არის? მე მეგონა, ხვეენა ამოვიღეთ ჩვენი ურთიერთობიდან.

სკორპიუსი: მაშინ ძალიან დამაბნიე. მაგრამ ახლა მგონი ჩვევა გადმომედო.

ალბუსი: ფრთხილად, როუმმა არ იეჭვიანოს.

სკორპიუსი: ჰაჰა, მართალი ხარ.

ერთმანეთს ღიმილით შორდებიან.

ალბუსი: ვახშამზე გნახავ.





## მოქმედება 4 სცენა მითხუთმეტე

### თვალნარმტაცი ხადი პორცვიდან

ზაფხულის მშვენიერ დღეს ჰარი და ალბუსი ბორცვზე ადიან. ხმას არცერთი არ იღებს. სახე ნეტარებით მიუფიცხებიათ მზისთვის.

ჰარი: აბა, მზად ხარ?

ალბუსი: რისთვის?

ჰარი: ჯერ ერთი, მეოთხე კურსის გამოცდებისთვის... მეორეც, მეხუთე კურსისთვის. მეხუთე კურსი მნიშვნელოვანი წელია... მე რომ მეხუთე კურსზე ვიყავი...

ალბუსს ღიმილით შეხედავს და მოკლედ ჭრის.

ბევრი რამე ჩავიდინე. ზოგი კარგი, ზოგი ცუდი, ზოგიც – სადავო.

ალბუსი: გავითვალისწინებ.

ჰარის ელიმება.

იცო, შენი მშობლების შორიდან დანახვის შესაძლებლობა მომეცა. ისინი... თქვენ... ერთად ბედნიერები ჩანდით. მამაშენი კვამლის რგოლებს უშვებდა შენ თავზემოდ და შენც გულიანად ხითხითებდი.

ჰარი: მართლა?

ალბუსი: მე მგონი, რომ გაგეცნო, ძალიან მოგეწონებოდა ისინი. ჩვენც – მე, ლილის და ჯეიმსსაც – მოგეწონებოდა.

ჰარი თავს უქნევს. ოდნავ უხერხული დუმილია. ორივე ცდილობს, საუბრის თემა გამონახოს და არცერთს არ გამოსდის.

**ჰარი:** იცი, მე მეგონა, ვოლდემორი სამუდამოდ წარსულში დავტოვე... მეგონა, გავაქრე ჩემი ცხოვრებიდან... მერე ნაიარევი ამტკივდა, სიზმრებში მომეკვლინა და პარსულადაც ავლაპარაკდი და ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ საერთოდ არ ვიყავი შეცვლილი... რომ ის არასდროს გამიშვებდა...

**ალბუსი:** გაგიშვა?

**ჰარი:** ჩემი ნაწილი, რომელიც ვოლდემორი იყო, დიდი ხნის წინ მოკვდა, მაგრამ მისი ფიზიკური მოცილება საკმარისი არ აღმოჩნდა, გონებიდანაც უნდა ამომეგდო. და ეს... ორმოცი წლის კაცისთვის რთული გაკვეთილია...

**ალბუსს შეხედავს.**

რაც მაშინ გითხარი, იმის პატიება არ შეიძლება და ვერც იმას გთხოვ, რომ დაივინყო, მაგრამ იმედი მაქვს, წარსულში დარჩება. მე შევეცდები, უკეთესი მამა გავხდე შენთვის, ალბუს. შევეცდები, უფრო გულახდილი ვიყო შენთან და...

**ალბუსი:** მამა, არ არის საჭირო...

**ჰარი:** შენ მითხარი, რომ გგონია, არაფრის მეშინია, არადა... ყველაფრის მეშინია. მაგალითად, სიბნელის მეშინია, იცოდი ეს?

**ალბუსი:** ჰარი პოტერს სიბნელის ეშინია?

**ჰარი:** დახურული სივრცეებიც მაშინებს და, ეს არავისთვის მითქვამს, ძალიან არ მიყვარს (ცოტა ხანს ყოყმანობს, სანამ თქმას გადანყვეტს) მტრედები.

**ალბუსი:** მტრედებისაც გეშინია?

**ჰარი (სახეს ქმუხნის):** საძაგელი, ლორმუცელა, ბინძური არსებები. მათ დანახვაზე მბურძგლავს.

**ალბუსი:** კი მაგრამ, მტრედები ხომ უწყინარები არიან!

**ჰარი:** ვიცი. მაგრამ ყველაზე მეტად რისაც მეშინია, ალბუს სევერუს პოტერ, ეს შენი მამობაა. იმიტომ რომ აქ წესები არ არსებობს. ადამიანების უმრავლესობას მამა მაინც ჰყავს, რომ მისი მაგალითით იხელმძღვანელოს – მიბაძოს ან არ მიბაძოს მას. მე კი მსგავსი არაფერი... თითქმის არაფერი. ჰოდა, დღემდე ვსწავლობ. და ყველანაირად უნდა შევეცადო, რომ კარგი მამა გავხდე.

ალბუსი: მე კი შევეცდები, უკეთესი შვილი ვიყო. ვიცი, რომ ჯეიმსს არ ვგავარ, მამა, თქვენნაირი ვერასდროს ვიქნები...

ჰარი: ჯეიმსი მე სულაც არ მგავს.

ალბუსი: არა?

ჰარი: ჯეიმსს ყველაფერი მარტივად გამოსდის. ჩემი ბავშვობა კი მუდმივი წვალება იყო.

ალბუსი: ჩემიც... ესე იგი... იმას ამბობ, რომ მე გგავარ?

ჰარი ალბუსს უღიმის.

ჰარი: სიმართლე რომ ითქვას, შენ უფრო დედაშენს დაემსგავსე – მამაჭი, ფიცხი, ხალასი, რაც ძალიან მახარებს და რის გამოც, მე თუ მკითხავ, ძალიან კარგი შვილი ხარ.

ალბუსი: კინალამ სამყარო გავანადგურე.

ჰარი: დელფი ვერსად წაგვივიდოდა. ალბუს... შენ ის სოროდან გამოიყვანე და მასთან შებრძოლების საშუალება მოგვეცი. ახლა შეიძლება ამას ვერ აცნობიერებ, მაგრამ შენ გადაგვარჩინე.

ალბუსი: უკეთესადაც ხომ შემეძლო?

ჰარი: გგონია, იგივე კითხვა ჩემი თავისთვის არ დამისვამს?

ალბუსი (გულდანყვეტილი, რადგან იცის, რომ მამამისი ასე არ მოიქცეოდა): და მერე... როცა დავიჭირეთ... მისი მოკვლა მინდოდა.

ჰარი: შენ დაინახე, როგორ მოკლა კრეგი. გაბრაზებული იყავი, ალბუს, და ეს ბუნებრივია. თანაც, შენ ამას არ იზამდი.

ალბუსი: რა იცი? იქნებ ეს ჩემი სლიზერინული მხარეა? იქნებ ეს ისაა, რაც გამანანებელმა ქუდმა ჩემში დაინახა?

ჰარი: ერთი გამაგებინა, შენს თავში რა ხდება, ალბუს... მაგრამ იცი, რა... შენ მოზარდი ხარ და შენს გონებას ვერასდროს ჩავწვდები, მაგრამ სამაგიეროდ შენს გულში რა ხდება, ვიცი. დიდხანს არ ვიცოდი, მაგრამ ამ „დიდი გაქცევის“ წყალობით მივხვდი, რამ მიგიყვანა იქამდე. სლიზერინი, გრიფინდორი... როგორი იარლიყიც უნდა მოგაკერონ, მე ვიცი... უბრალოდ ვიცი, რომ გული კარგი გაქვს... და იმისდა მიუხედავად, გინდა ეს თუ არა, შენგან დიდი ჯადოქარი დადგება.

ალბუსი: ოჰ, მე სულაც არ ვაპირებ, ჯადოქარი გამოვიდე, მტრელების რბოლა უფრო მაინტერესებს.

ჰარის ელიმება.

ჰარი: ეს სახელები, შენ რომ გქვია... შენთვის ტვირთად არ უნდა იქცეს. ალბუს დამბლდორიც არ იყო შეუმცდარი... სევერუს სნეიპი კი... სნეიპზე ყველაფერი იცი.

ალბუსი: ისინი კარგი ადამიანები იყვნენ.

ჰარი: ისინი დიდი ადამიანები იყვნენ. დიდი ადამიანები დიდი ნაკლოვანებებით და იცი რა – ეს ნაკლოვანებები მათ სიდიადეს მატებდა.

ალბუსი გარშემო იყურება.

ალბუსი: მამა, სად ვართ?

ჰარი: აქ ხშირად მოვდივარ ხოლმე.

ალბუსი: მაგრამ, ეს ხომ სასაფლაოა...

ჰარი: კი, და ეს სედრიკის საფლავია...

ალბუსი: მამა...

ჰარი: იმ ბიჭს, რომ დაიღუპა... კრეგ ბოუკერს... რამდენად კარგად იცნობდი?

ალბუსი: მთლად კარგად არა.

ჰარი: არც მე ვიცნობდი სედრიკს კარგად. შეიძლებოდა ქვიდიჩის ინგლისის ნაკრებში მოხვედრილიყო, ან მისგან ბრწყინვალე აურორი დამდგარიყო. რა არ გამოვიდოდა მისგან. და ამოსი მართალია... ის უდროოდ წაგვართვეს. ამიტომ, როცა კი ვახერხებ, აქ მოვდივარ ხოლმე. უბრალოდ, რომ მოვუბოდიშო.

ალბუსი: ეს... ეს სწორი საქციელია.

ალბუსი სედრიკის საფლავს უახლოვდება და მამის გვერდით დგება. ჰარი შეილს უღიმის და ცას ასცქერის.

ჰარი: მგონი, კარგი დღე გველის.

შეილს მხარზე ეხება და მათი სილუეტები ოდნავ, სულ ოდნავ ერწყმის ერთმანეთს.

ალბუსი (ღიმილით): მეც ასე მგონია.

დასასრული

# ორიგინალური ისტორიის ავტორთა ბიოგრაფიები

## ჯ.კ როულინგი

### ორიგინალური ისტორიის ავტორი

ჯ.კ როულინგი ავტორია ჰარი პოტერის შვიდი ნაწარმოებისა, რომელთა დღემდე 450 მილიონზე მეტი ეგზემპლარია გაყიდული და 79 ენაზეა თარგმნილი. გამოცემული აქვს სამი დამატებითი წიგნიც, რაც თავიდანვე საქველმოქმედო მიზნებს ემსახურებოდა. რობერტ გელბრეითის სახელით მან 2012 წელს მოზრდილთა აუდიტორიისთვის გამოსცა ნაწარმოები „შემთხვევითი ვაკანსია“. ამის გარდა ავტორია კორმორენ სტრაიქის დეტექტიური სერიისა. „ჯადოსნური ცხოველები. სად ვიპოვოთ ისინი“ ჯ. კ. როულინგის სასცენარო დებიუტია. ამავდროულად, ის ფილმის პროდიუსერიცაა. ფილმი ჯადოქრული სამყაროს ერთგვარი დამატებაა. ის მაყურებელმა 2016 წლის ნოემბერში იხილა.

## ჯონ ტიფანი

### ორიგინალური ისტორიის ავტორი და რეჟისორი

ჯონ ტიფანი იყო მიუზიკლ *Once*-ის რეჟისორი, რომლისთვისაც უესტ ენდსა და ბროდვეიზე არაერთი ჯილდო მიიღო. იყო Royal Court-ის დაძმარე რეჟისორი. მის ანგარიშზეა *The Twits*, *Hope* და *The Pass*. შოტლანდიის ეროვნული თეატრისთვის დადგა *Let The Right One In*, რომელმაც გადაინაცვლა Royal Court-ში, უესტ ენდსა და St Ann's Warehouse-ში. შოტლანდიის ეროვნული თეატრისთვის მისი მორიგი ნამუშევარია „მაკბეტი“ (ასევე დაიდგა ბროდვეიზე), *Enquirer*, *The Missing*, *Peter Pan*, *The House of Bernarda Alba*, *Transform Caithness: Hunter*, *Be Near Me*, *Nobody Will Ever Forgive Us*, *The Bacchae*, *Black Watch*, რომელმაც გაიმარჯვა Olivier and Critics' Circle-ის საუკეთესო რეჟისორის ნომინაციაში, *Elizabeth Gordon Quinn* და *Home: Glasgow*. მისი ბოლოდროინდელი ნამუშევრებია ART-სა და ბროდვეიზე დადგმული *The Glass Menagerie* და BAM-ზე *The Ambassador*. ტიფანი იყო შოტლანდიის ეროვნული თეატრის რეჟისორის ასისტენტი 2005-2012 წლებში, 2010-2011 სასწავლო წლებში კი ჰარვარდის უნივერსიტეტის Radcliffe-ის სტიპენდიატი.



## ჯეკ თორნი

### ორიგინალური ისტორიის ავტორი და დრამატურგი

ჯეკ თორნი თეატრის, კინოს, ტელევიზიისა და რადიოს სცენარისტია. მისი ნამუშევრები თეატრში: *Hope* და *Let the Right One In*, რომელთა რეჟისორიც ჯონ ტიფანია, Graeae Theatre Company-სა და ეროვნული თეატრისთვის დადგმული *The Solid Life of Sugar Water*, Edinburgh Fringe Festival-თვის დადგმული *Bunny*, Trafalgar Studios-თვის *Stacy*, ასევე 2nd May 1997 და *When You Cure Me for the Bush*. Donmar Warehouse-თვის მისი ადაპტაციაა *Stuart: A Life Backwards*, ხოლო HighTide-თვის - *The Physicists*. მისი მოღვაწეობა კინოში უკავშირდება *War Book*-ს, *A Long Way Down*-სა და *The Scouting Book for Boys*-ს. ტელევიზია: *The Last Panthers*, *Don't Take My Baby*, *This Is England*, *The Fades*, *Glue*, *Cast-Offs* და *National Treasure*. 2016 წელს მოიგო პრესტიჟული ჯილდო BAFTA საუკეთესო მინი-სერიისა (*This Is England '90*) და საუკეთესო დრამის კატეგორიაში (*Don't Take My Baby*), 2012 წელს კი საუკეთესო დრამის სერიისა (*The Fades*) და საუკეთესო მინისერიისთვის (*This Is England '88*).